კვირის პალიტრა

გზა

N3 (241) 20/I.-2 ...ბი 60 თ.

1168
2005

+ თემა — ეჭვიანობა: სანი, რომელიც გუსალად გაქცევთ

„მარტო ლამაზი ფეხები არ გიშველის“ — რატომ ემუქრებიან თამუნა გაბრიელაშვილს

კულისები — რაში უხდიან ფულს დათო გოგიჩაიშვილს ანუ ამერიკული მენეჯმენტი ქართული ხასიათის გათვალისწინებით

წამლები, რომლებიც ფსიქიკურ გადახრებს იწვევს



პირველი პაემანი: „ძვირფასმა ადამიანმა ჩემ გვერდით თავი კარგად უნდა იგრძნოს...“

წარსულის ლანდები — „შეეცადნენ, გაეჩერებინათ, მაგრამ ალემ სტალინის ძეგლს მაინც ბოლო მოუღო. შემდეგ იარალი ამოიღო და გაისროლა...“

ერთგული თანამგზავრი მთელი წლის განმავლობაში

არ გამოგრჩეთ!



კალენდრის ბითუმად შეძენის მსურველებმა

დარეკეთ 36-35-75, 899-10-66-54

 კვირის პალიტრა
№3 (241)
20 – 26 იანვარი 2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„ბლოკბასტერი ბადაარჩენს საქართველოს“ ანუ ტრიუმფული რეფორმა ქართულ კინოში 3
ერთი კითხვა 4
ჭრელი მსოფლიო 4, 5, 6
ოფსაიტი
„მრისხანე ოპოზიცია“, რომელიც მტერი არასოდეს ყოფილა 7
კოლეგა
„ყოჩაღ!.. მაინც გველი გამიზრდია უბეში“ 10
სასიძო
„...შენი მორიგეობისას აუცილებლად ჩავიდენ დანაშაულს“ 11
ტალანტი
ძმები გულამშვილები ამერიკელ პროდიუსერთა დაფინანსებას ელიან 12
კრიმინალი
- „15 ათასი ლარის გამო გენერალი კაცი ციხეში გამოკეტეს“ – ჩივის კენჭაძის ადვოკატი 14
- რატომ ტიროდა მკვლელობის მთავარი მოწმე პროცესზე? 15
- მეზობელმა მეზობელი არ დაინდო 16
- სასტიკი შურისძიება ციხეში 17

კულისები
რაში უხდიან ფულს დათო გოგიჩაიშვილს ანუ ამერიკული მენეჯმენტი ქართული ხასიათის გათვალისწინებით 18
შთამომავლობა
...ერთ ქალიშვილს მხატვრობა, მეორეს კინორეჟისორობა დაანათლა 21
ტესტი
ერთგული მკითხველი 23
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი ბოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 24
ნამდვილი ამბავი
„ქალი გამოვიდა ქმრის საღალატოდ...“ 24
თემა
ეჭვიანობა – სენი, რომელიც ტუსაღად გაქცევთ 26
გზავნილები
„...მივხვდი, რომ ჩემი ქმრის უსაქციელობა ჩემი ბრალი ყოფილა“ 29
ჯანმრთელობა
- ფსორიაზი – როგორ გავიხანგრძლივოთ რემისია 32
- როცა კლიმაქსი ახლოვდება 33

ტაძარი
როგორ შევარჩიოთ ნათლია და რა არის მიმრქმელის უმთავრესი მოვალეობა 34

ეჭვიანობა – სენი, რომელიც ტუსაღად გაქცევთ

ეჭვიან ადამიანებთან ურთიერთობა იოლი როდია. თანაც, როგორც ფსიქოლოგები ამტკიცებენ, ეჭვიანობა თურმე გადამდები დაავადებაა. შესაძლოა, ცოლმა ეს სენი ქმარს გადასდოს და – პირიქით...

26

„მარტო ლამაზი ფეხები არ გიშველის...“ – რატომ ემუქრებიან თამუნა გაბრიელაშვილს

„როდესაც აქ მოვედით, მე და ჩემს მეგობარს რამდენიმე ადგილი შემოგვთავაზეს, მათ შორის, გადაცემის პროდიუსერის და გადაცემის წამყვანის – ანუ დიჯეის. მე შემომთავაზეს, რომ გადაცემის წამყვანი ვყოფილიყავი, მაგრამ...“

56

ამერიკული მენეჯმენტი ქართული ხასიათის გათვალისწინებით

„ოჰაიოს უნივერსიტეტში დავწერე კვლევა იმის შესახებ, თუ როგორი იქნებოდა ეს ფორმატი ჩვენს ქვეყანაში... ეკრანზე ჩანს, რომ ვკაიფობ, ვერთობი და ფულს ამაში მიხდიან. სინამდვილეში კი, ეს ყველაფერი შრომატევადი პროცესის შედეგია...“

18

„მრისხანე ოპოზიცია“, რომელიც მტერი არასოდეს ყოფილა

„ეს ამბავი რომ გავიგე, კონტროლი დავკარგე საკუთარ თავზე და „მერაბს“ კი არ გავიძახოდი – მთელი ხმით ვღრიალებდი – „ვაი, უბედურო საქართველოვ! ვაი, დაღუპულო საქართველოვ!“ ისეთი ღრმა განცდა მქონდა, რომ საქართველო მერაბის გარეშე სწორი გზით ვერ წავიდოდა...“

7

წარსულის ლანდები

გურულების დაწუნებული ვეფხვები, 40 ცალი ბორკის ბიუსტი და... ჭკუანასწავლი მოლები 35

სისტემა

აიკიდო – გზა, რომელიც არ ცნობს აპრძალვებს 37

ფავორიტები

იპერ კასილასი – სუპერკლუბის გოლკიპერი, რომელიც ვარჯიშზე მეტროთი დადიოდა... 39

ავტო 41

ქართული დეტექტივი

ლუბა ელიავშვილი. კვირუასი მკვლელი და ჩიპოლინო (გაგრძელება) 42

ჩემი თაობა

„მამაკაცების რევერანსები, ნავთქურაზე მომზადებული კერძები და „ბავშვობის ბემოს“ მქონე ჩაი 46

ვარსკვლავი

ჯულია სტაილზი – დიდი ეკრანისკენ მიმავალ გზას თავად იკვალავს 48

ბომონდი 50

საფრთხე

უკუჩვენების აფექტი 52

პირველი პაემანი

„მთელი ღამე ვფიქრობდი, რა უნდა მეთქვა...“ 55

მოდელი

„მარტო ლამაზი ფეხები არ გიშველის“ – რატომ ემუქრებიან თამუნა გაბრიელაშვილს 56

მოდა

წელს მოდაშია ყველა+ფერი, ოღონდ... ჭუჭყიანი 57

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

ტესტი ერუდიციაზე 58

გარემო

ეგზოტიკური ფაუნის მშვენიერი ნიმუშები 59

ჰოროსკოპი

კვირის (24-30 იანვარი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი

როგორი დამოკიდებულება გაქვთ ფულთან? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გურულების დაწუნებული ვეფხვები, 40 ცალი ბორკის ბიუსტი და... ჭკუანასწავლი მოლები

უზბეკეთში იმ დროს, „კაგებეს“ ხელმძღვანელი, მეგრელი კაცი, გვარად საჯაია იყო. ალე მას დაუახლოვდა და მისი დახმარებით ცეკას მდივანს შეხვდა, რომელსაც საბუშაო ფართი სთხოვა. იმანაც ორი მეჩეთი გამოუყო. მაგრამ თურმე, მოლებს ძალიან შეუწუხებიათ...

35

საფრთხე – უკუჩვენების აფექტი

...ყველასათვის მოულოდნელად, სრულიად მშვიდი და გაწონასწორებული სტუდენტი გამხეცებულ შეშლილად გადაიქცა... აშშ-ში დაიწყო პროცესი, რომელზეც მსოფლიოს ერთ-ერთ უმსხვილეს ფარმაცევტულ კომპანიას ბრალს სდებენ იმაში, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ტრაგიკული მოვლენები, მის მიერ გამოშვებული ფერიმჭამელების სამკურნალო აბების მიღების გამო მოხდა.



52

ჯულია სტაილზი: დიდი ეკრანისკენ მიმავალ გზას თავად იკვალავს

ამერიკული კინოს ამომავალი ვარსკვლავი ჯულია სტაილზი მათ რიცხვს მიეკუთვნება, ვისზედაც ამბობენ ხოლმე, საკუთარი თავი თავადვე შექმნაო. სხვის დახმარებას არასდროს დალოდებია და ცხოვრების გზაზე მწვანე შუქს ყოველთვის თავად ინთებდა.

48

ძვირფასი მკვლელი და ჩიპოლინო

ლუბა ელიავშვილი

ხმის გათიშვას ვაპირებდი, რომ აღელვებულმა წამყვანმა გამოაცხადა: „ეს წუთია, აფეთქების ხმამ შეაზანზარა სასტუმრო „ტიფლის ქალაქი“, სასტუმროს წინ მდგარ „ბეემვეს“ მარკის შავი ფერის ავტომანქანას მოულოდნელად ცეცხლი გაუჩნდა“.



42

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

„ბლოუბასტერი გადაარჩენს საქართველოს"

ანუ ტრიუმფული რეფორმა ქართულ კინოში

რას აღარ აკეთებს ჩვენი პრეზიდენტი, რომ მთელ მსოფლიოს გააცნოს თავისი სამშობლო: ფეხდაფეხ დადის ქვეყნიდან ქვეყანაში, მაგრამ ამას დროც დიდი მიაქვს, ენერგიაც და ფულიც. თანაც, ოფიციალურ ვიზიტზე როგორ გინდა, მოასწრო ყველაფერი? კარგი, ბატონო, შეიძლება ბევრი ჭამო, დალიო და ამით ქართული სუფრის ტრადიციებს აზიარო უცხოელები; სიტყვა-პასუხითაც მოახერხებ თავის მოწონებას, მაგრამ რას უშვრები ისტორიას? როგორ გინდა დაანახვო, „ვისი გორისა ხარ"?! ხმლის ქნევას და „ქართველო, ხელი ხმალს იკარო"-ს სიმღერას ხომ არ დაიწყებ პრეზიდენტი კაცი?!

არადა, სხვა ქვეყნები ერთ ფილმს გადაიღებენ და მთელმა დუნიამ იცის ყველაფერი მათ შესახებ. ამერიკელებმა ხომ მთლად ცას მიაჭირეს ფეხი?! ისტორიული პიროვნებები და მოვლენები რომ ამოწურეს (ან კი რა ამოუწურავი ისტორია მაგათ აქვთ), მელოდრამებზე გადავიდნენ და თუ ვინმეს ცოლი გაუბოზდა ან სარეცხი მანქანა გაუფუჭდა, ყველაზე და ყველაფერზე ფილმს იღებენ და მილიონებსაც შოულობენ. ჩვენ რით ვართ ნაკლები?! რომელი „მამაცი გული", „ალექსანდრე", ან „ტიტანიკი" შეედრება იმას, რაც საქართველოში მომხდარა და ხდება?! „ტიტანიკი" არაა მთელი საქართველო?! – ამდენი ხანია ვიყინებით და ვიძირებით. ჩვენც ხომ შეგვიძლია „ალექსანდრე" გადავიღოთ და დავარქვათ „ალექსანდრე (კახა)"...

მაგრამ სადღაა კინო?! ეჰ, რა კარგი დრო იყო!.. უცხო თვალისაგან მალულად თუ რამის გაკეთება გინდოდა, ყველაფრისათვის კინოში შედიოდი: „აკოსმოსსაც" გააბოლებდი, გოგონას სიყვარულსაც აუხსნიდი და სანამ რაჯ კაპური სიმღერას დაამთავრებდა, ცოლობაზეც დაითანხმებდი... ახლა, აღარც კინოა და თუა, ისეთი ძვირი ღირს ბილეთი, რომ საცოდავ ტინეიჯერ წყვილებს „გამოყინული აქვთ ყველაფერი" „ვერარეჩკას" ნაპირებზე ნახოხიალევი...

ჰოდა, როგორც იქნა, წლების მანძილზე „კომაში" მყოფ ქართულ კინოსაც გამოუჩნდნენ გულშემატკივრები და ისეთი ბლოკბასტერის გადაღება განიზრახეს, პოპულარობასაც რომ მოუტანს საქართველოს და უამრავ პრობლემასაც რომ მოგვიგვარებს: „დავით აღმაშენებელს" რომ ნახავენ ნატოსა და ევროსაბჭოში, ტერიტორიულ მთლიანობასაც უპრობლემოდ აღგვადგენინებენ, თვითონ ბაგაფში და კოკოითიც ბოდიშებით ჩამოვლენ თბილისში... და ყველაზე მთავარი: უმდიდრესი ქვეყნები რომ ნახავენ, ვინ ვიყავით ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში, გაუკვირდებათ – ახლა რა სჭირთ ამ საცოდავებსო, – და მერე ნახეთ თქვენ გრანტები და დახმარებები...

ოღონდ, ამ კარგ იდეას განხორციელებაც ჭკვიანურად სჭირდება: მთავარი როლისთვის ნიჭიერი მსახიობების მეტი რა გვყავს, მაგრამ გაჭირვების გამო ისეთ ტელესერიალებში „გაისვარა" უმრავლესობა, ახლა რომ აღმაშენებლად ვიხილოთ, ისტორიული დრამა კომედიად მოგვეჩვენება... ამიტომ, გავბედავ და მე მივაწვდი კარგ იდეას ამ საქმის ინიციატორებს: ჩვენი მამა-მარჩენალი მაინც კი გაიძახის, „აღმაშენებლის დროინდელ საქართველოს აღვადგენო" და ბარემ ეს როლიც მას მივცეთ – უარს იტყვის თუ რა?! „მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელობას" პრემიერ-მინისტრი იკისრებს, ისიც ხომ მისი მთავარი მრჩეველი და მასწავლებელია; პოლიტიკაშიც მან მოიყვანა... აი, ლიპარიტის როლზე კი კონკურსის გამოცხადება დაგვჭირდება, რადგან „ბაღვაშების" მეტი რა გვყავს დღეს...

რაც შეეხება 40 ათასი ყივჩაღის ჩამოსახლებას, ეს საკითხი თურქი-მესხების ჩამოსახლებით მოვაგვაროთ, დღესაც ნაჯახივით რომ გვადევს ევროსაბჭოს წინაშე ვალად... და ყველაზე მთავარი: დიდგორის ბრძოლა, სადაც მეფეთ მეფეს 40-ათასიანი თავისი არმია ჰყავდა, 15 ათასი ყივჩაღი და 100 ჯვაროსანი. ამ 40 ათასს რეგულარული ჯარით და რეზერვისტებით შევკრებთ თავის დეპუტატიან-მინისტრებიანად; ყივჩაღთა მაგივრად ის თურქი-მესხები დავაყენოთ დიდგორის ველზე; ჯვაროსნებად ეუთოს და ევროსაბჭოს მონიტორინგის ჯგუფები გამოდგებიან; ყველას დღევანდელი „აღმაშენებელი" ვუსარდლოთ, წინასაბრძოლო მოწოდების ტექსტსაც დაწერა არ დასჭირდება – მაინც თავისი სიტყვებით იტყვის და წინ სოხუმისაკენ!.. მერე ნახეთ, თქვენ, „ძლევაი საკვირველი..."

როგორც პროექტის მესვეურები ამბობენ, ფილმის გადაღებას 6-7 მილიონი ლარი (ან დოლარი) დასჭირდება, მაგრამ რა პრობლემაა?! პრეზიდენტს აღმაშენებლის როლი ვათამაშოთ და ხომ თქვა, ქართველ მილიონერებს თვითონ გამოვართმევ ფულსო?! ჰოდა, ბლოკბასტერს ტიტრებში წაჰყვება ასეთი რეკლამები:

„ჩამოსახლებული ყივჩაღების მხიარულ განწყობას უზრუნველყოფს ღვინო „ძველი თბილისი"; „დიდგორის ველზე დაცემულთა სპონსორია „კოკა-კოლა"; „მეცხოვნეებთან და მალემსრბოლებთან კავშირს უზრუნველყოფს „ჯეოსელი"; „მთავარი როლის შემსრულებლის ჩაცმულობაზე ზრუნავს ავთო ცქვიტინიძე" (რა სჭირს აღმაშენებელს ცქვიტინიძის ჩასაცმელი?!)...

P.S. 2006 წელი, კონსტიტუციური ცვლილებების განხილვა:

პრეზიდენტი სააკაშვილის გამოსვლა: – მე დაჟინებით მოვითხოვ, შევიდეს ასეთი სახის ცვლილება: შეიცვალოს ქვეყნის პირველი პირის ტიტული და ეწოდოს „პრეზიდენტთა პრეზიდენტი ყოველთა ქართველთა, ლაზთა, კახთა, ჰერთა, ოვსთა და აფხაზთა..."

პროვოკატორი

დაოჯახებულები უფრო ჯანმრთელნი ყოფილან

ასეთი დასკვნა გამოიტანეს აშშ-ის სამედიცინო სტატისტიკის ნაციონალური ცენტრის სპეციალისტებმა, რომლებმაც საგანგებო კვლევა ჩაატარეს. მედიკოსთა მიერ მოპოვებული მონაცემების თანახმად, დაქორწინებული მამაკაცებიც და ქალებიც ფიზიკურად უფრო აქტიურები არიან, ნაკლებ თამბაქოს ეწევიან და ნაკლებ სპირტიან სასმელს სვამენ. მათ, დაუოჯახებელ ადამიანებზე უფრო იშვიათად აწუხებთ თავის ტკივილი და მძიმე ფსიქიკური აშლილობა. საინტერესოა, რომ ადამიანები, რომლებიც ე.წ. სამოქალაქო ქორწინებაში იმყოფებიან, ასევე ხშირად აწყდებიან ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ვიდრე ისინი, ვინც ოფიციალურად არიან დაქორწინებულნი. ცენტრის მიერ წარმოდგენილ მოხსენებაში არ არის ახსნილი, თუ რა შეიძლება იყოს აღნიშნული გარემოების მიზეზი. ექსპერტთა თქმით, ამის დასადგენად, დამატებითი საკვლევი სამუშაოა ჩასატარებელი. თუმცა, არსებობს 2 თეორია. პირველის თანახმად, დაქორწინებულ ადამიანთა მთავარ უპირატესობას, ფინანსური, სოციალური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის შეგრძნება წარმოადგენს. მეორე თეორიის მიმდევრები ირწმუნებიან: აღნიშნული სტატისტიკა იმით აიხსნება, რომ სუსტი ჯანმრთელობის მქონე ადამიანები უფრო იშვიათად ქორწინდებიან. საკვლევი ჯგუფის ხელმძღვანელმა შარლოტ შონბორნმა მიღებულ შედეგებს ასეთი კომენტარი დაურთო: „ვფიქრობ, რომ ქორწინება ადამიანებს გარკვეული დონის სტაბილურობის შეგრძნებას სძენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი უფრო დაცულად გრძნობენ თავს“. ■

მოსკოვი პრევენციული დარტყმისთვის ემზადება?..

— მოსკოვი თბილისს კიდევ ერთხელ ადანაშაულებს ჩეჩენი ტერორისტების მფარველობაში და პანკისში „დაბანაკებულ“ 300-კაციან დაჯგუფებაზე ლაპარაკობს...

სალომე ზურაბიშვილი, *საგარეო საქმეთა მინისტრი:*

— ტერორისტების თემას ჩვენი რუსი კოლეგები მაშინ წამოწევენ ხოლმე წინ, როცა ამ ფორმით ჩვენზე ზეწოლის ბერკეტების ამოქმედება სურთ. მოსკოვში მშვენივრად იციან, რომ 2002 წლის აგვისტოსთვის, ამერიკელების დახმარებით, პანკისი ჩეჩენი და სხვა ეროვნების ტერორისტებისგან მთლიანად გაიწმინდა. პარალელურად, რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ეუთოს მონიტორინგი დაიწყო, რაც უსაფრთხოების დამატებით გარანტიებს ქმნიდა. თუ ვინმეს აქვს სურვილი, საქართველოს ხელისუფლება მზადაა, პანკისის ხეობის ერთობლივად გასაკონტროლებლად, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურებს იმ ფაქტს, რომ ჩვენს ტერიტორიაზე არც ცალკეული ტერორისტები და არც ტერორისტული დაჯგუფებები არ არსებობს. რუსეთის მხრიდან კონსტრუქციული თანამშრომლობის ნაცვლად, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, ზედიზედ ვიღებთ უსაფუძვლო ბრალდებებს, რაც ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ მოსკოვი საქართველოს ტერიტორიაზე ე.წ. პრევენციული დარტყმების განსახორციელებლად საჭირო საბაბს ეძებს. ჩვენ ყველა ზომას მივმართავთ, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვრის ეს მონაკვეთი საერთაშორისო მეთვალყურეობის გარეშე არ დარჩეს და ჩვენს მეზობელ სახელმწიფოს პრევენციულ დარტყმებზე ლაპარაკის საშუალება წაერთვას. ■

„ფართო ავტონომიაზე სეპარატისტები არ საუბრობენ“

— საქართველოს პრეზიდენტი სტრასბურგში, ცხინვალისა და აფხაზეთისთვის „ძალიან ფართო“ ავტონომიის სტატუსის მინიჭებაზე საუბარს აპირებს. ოპოზიციის აზრით, ამგვარი ავტონომია ქვეყნის ერთიანობას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის. როგორია, თქვენი აზრით, რეალური მიდგომა?

დავით ბაძრაძე, *ევროატლანტიკური ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე:*

— საქართველოს ხელისუფლებამ მშვიდობიანი, პოლიტიკური გზით კონფლიქტების მოგვარება გადაწყვიტა, ამიტომ საჭიროა, მოვნახოთ ურთიერთობის ის ფორმა, რომელიც დაპირისპირებულ მხარეებს შეთანხმებამდე მიიყვანს. ჩვენ ვაპირებთ, რომ ცხინვალის რეგიონსაც და აფხაზეთსაც მივცეთ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, ძალზე მაღალი დონის პოლიტიკური სტატუსი. სავარაუდოდ, პრეზიდენტი სწორედ ამ იდეის გაცხადებას გეგმავს სტრასბურგში ვიზიტის დროს. ამ პროექტის კონცეპტუალური ჩონჩხი უკვე არსებობს, მისი საბოლოო ვარიანტი უახლოეს პერიოდში მომზადდება. მთავარია, რომ ფართო ავტონომიის პირობებში, აფხაზეთი და ცხინვალი საქართველოს შემადგენლობაში ფიქსირდება, რაც ქვეყნის დაშლის კი არა — გამთლიანების საფუძველია. დღეს სეპარატისტებს ფართო ავტონომიაზე საუბარიც არ სურთ. მაგრამ საქართველო ამ პროექტით, საერთაშორისო ასპარეზზე პოზიციებს გაიმაგრებს და სეპარატისტებსაც, ამის შემდეგ, შემხვედრი ნაბიჯების გადადგმა მოუწევთ. ■

„პრეზიდენტს კონკურენციის ეშინია“

— ევროსაბჭოს რეკომენდაციის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლება რეალური თვითმმართველობისა და მერის არჩევითობის საკითხს კვლავ ღიად ტოვებს. რისი ეშინია ხელისუფლებას?

ფიქრია ჩიხრაძე, *„მემარჯვენე ოპოზიცია“:*

— ადგილობრივი თვითმმართველობის ორი არჩევნები უკვე ჩატარდა. ხალხმა საკმაოდ დიდი ენთუზიაზმით მიიღო მონაწილეობა ამ არჩევნებში. მაგრამ არჩეული საკრებულოები დღემდე, უუფლებო მდგომარეობაში რჩებიან. ისინი დამოუკიდებლად ვერანაირ პრობლემას ვერ წყვეტენ, არ გააჩნიათ ფინანსები და ძალაუფლება. თუ 2006 წლის ადგილობრივ არჩევნებსაც იმავე პრინციპით ჩავატარებთ, თვითმმართველობა ისევ უუფლებოდ დარჩება და შემდეგ, მისი რეაბილიტაცია უკვე შეუძლებელი გახდება. საერთაშორისო ორგანიზაციები რეალურ თვითმმართველობას ითხოვენ. გარდა ამისა, ეს ქვეყნის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. ჩვენთან დამკვიდრებული ერთპიროვნული მმართველობისაკენ მისწრაფება ეწინააღმდეგება მერის არჩევითობასაც. პრეზიდენტი შიშობს, რომ თბილისელების ნდობით აღჭურვილი მერი მას ძალაუფლებაში შეეზიარება. არჩეული მერი ხომ სერიოზული ფიგურა იქნება და გოშიასავით ვერავინ უზამს პირს იქით, საითაც ხელისუფლებას მოესურვება. ■

„სტრასბურგი სააკაშვილს ზარ-ზეიმით დახვდება“

— ევროსაბჭოს კრიტიკულ დასკვნას, ამ ორგანიზაციიდან საქართველოს გარიცხვის საკითხიც ხომ არ შეიძლება მოჰყვეს და სავარაუდოდ, რა არგუმენტებით წარდგება ჩვენი პრეზიდენტი ევროსაბჭოს სხდომაზე?



გიორგი გაჩეჩილაძე, *პოლიტოლოგი:*

— ევროსაბჭოს აღნიშნულ დასკვნაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. ეს ორგანიზაცია მსგავსი შინაარსის რეკომენდაციებს არაერთ ქვეყანაში აგზავნიდა, მათ შორის — ბალტიის ქვეყნებსა და თურქეთშიც, მაგრამ მსგავსი დასკვნების გამო, ევროსტრუქტურებიდან მათი გარიცხვა დღის წესრიგში არ დამდგარა. მათიას იორშს არაერთხელ უთქვამს, რომ მათი კრიტიკა გულშემატკივრის პოზიციაა და მეტი არაფერი... დასკვნაში მითითებული არაერთი შენიშვნა ნამდვილად გასათვალისწინებელია. ხელისუფლებას მოუწევს, მეტი ყურადღება მიაქციოს იმ ხარვეზებს, რომლებიც სოციალური ფონის გაუმჯობესებასა და დემოკრატიის გამტკიცებას უკავშირდება. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თვით ამერიკაშიც, რომელიც დემოკრატიის სამშობლოდ ითვლება, ყველაფერი მოწესრიგებული როდია. განა, ამერიკის ხელისუფლება არ არღვევდა ადამიანის უფლებებს ერაყში?! განა, ევროპის რომელიმე ქვეყანაში იდეალურადაა გამართული სასამართლო სისტემა?! მით უფრო გადაჭარბებულად მეჩვენება საუბარი ავტორიტარულ რეჟიმსა და ერთპიროვნულ მმართველობაზე, რაც დემოკრატი სააკაშვილის პრეზიდენტობის პირობებში მართლაც, წარმოუდგენელია. დარწმუნებული ვარ, სტრასბურგში იუშჩენკოსთან ერთად ჩასულ სააკაშვილს ზარ-ზეიმით შეხვდებიან და როგორც პოლიტიკაში ხდება ხოლმე, შენიშვნები და წყენა ყველას დაავიწყდება. მთავარია, ჩვენ არ წავუყრუოთ იმ ხარვეზებს, რომლებიც უპირობოდ საჭიროებს შეცვლას, რათა ჩვენში ჭეშმარიტი სამოქალაქო საზოგადოება ჩამოყალიბდეს. ■

ფილანთროპს პოლიცია ეძებს

ჰონკონგის პოლიციას უჩვეულო ძიების წარმოება უწევს: ის ცდილობს, მიაგნოს უცნობს, რომელიც ქუჩაში უცნობ ადამიანებს ფულს ურიგებდა. როგორც მასმედია იტყობინება, 40-იოდე წლის მამაკაცი აჩერებდა გამვლელებს და თითოეულს 1.000 დოლარს გადასცემდა. როგორც გაირკვა, ასეთი ბედნიერება, სულ ცოტა 7 გამვლელს მაინც წვდა წილად. „თუმცა, ჩვენი ვარაუდით, მან გაცილებით

მეტი ადამიანი დაასაჩუქრა ფულით, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას ერთ-ერთმა სამართალდამცველმა და დასძინა. — კუპიურები ნამდვილია და ვფიქრობთ, არ არის მოპოვებული კრიმინალური გზით. მაგრამ ჩვენ ვალდებული ვართ, დავადგინოთ ფილანთროპის ვინაობა და იმაშიც დავრწმუნდეთ, რომ ის არავის აძალებდა ფულის აღებას და არ იმყოფებოდა ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ“. ■

განცხადება

შაბათს, 22 იანვარს, „კათარზისში“ კვლავ ღია კარის დღეა. ყველას, ვისაც სურვილი აქვს, გემრიელად დაპურდეს, ვეპატიჟებით საათნოების სახლში, 11.00-დან 16.00 სთ-მდე. მის.: დავით აღმაშენებლის გამზ. №121.

ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ტელ.: 96-16-46.

2004-ᲨᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲗᲘ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲓ ᲓᲐᲗᲠᲘᲜᲐᲕᲓᲐ

ავტორიტეტული ბრიტანული გაზეთის — The Guardian — ინფორმაციით, 2004, ავიამგზავრებისთვის ყველაზე უსაფრთხო წელი აღმოჩნდა. თუ ჰაერში მოწყობილ ტერაქტებს არ მივიღებთ მხედველობაში, მთელი წლის მანძილზე 5-მა თვითმფრინავმა განიცადა კატასტროფა, რომლის დროსაც 466 ადამიანი დაიღუპა, ეს კი 2003 წლის მაჩვენებლებზე გაცილებით ნაკლებია: წინა წელს ავიაკატასტროფებმა 702 მგზავრის სი-

ცოცხლე შეიწირა. გარდა ამისა, 2004 წლის აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე დაბალია, ვიდრე 1984 წლის, როცა ჰაერში, დღევანდელზე სამჯერ ნაკლები თვითმფრინავი ფრენდა.

2004 წელს დაღუპული 5 თვითმფრინავიდან 3 აზიის, 2 კი — აფრიკის ქვეყნებს ეკუთვნოდა. ევროპისა და ამერიკის ავიაკომპანიები უკვე 3 წელია, ისე დაფრინავენ, რომ ტექნიკური მიზეზებით ან პილოტის შეცდომის გამო კატასტროფა არ მოსვლიათ. უკანასკნელად მსგავსი შემთხვევა 2001 წლის ნოემბერში მოხდა: მაშინ კომპანია American Airlines-ის თვითმფრინავის ბორტზე 260 მგზავრი იმყოფებოდა...

ᲗᲐᲘᲒᲣᲚᲗᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲠᲣᲙᲝᲠᲓᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ

სტატისტიკის მოყვარული დასავლური პრესა იტყობინება, რომ გერმანიაში ფოსტით გაგზავნილი თაიგულების რაოდენობამ წელიწადში 3,9 მილიონს მიაღწია. კომპანია „ფლეროპის“ თავკაცის ლუდვიგ აპელის თქმით, „თუ ადრე, შეყვარებულთან განშორების შემდეგ, მამაკაცებსა და ყმაწვილებს, წერილებისა და ლექსების გაგზავნა სჩვეოდათ, ახლა ისინი თავიანთ რჩეულებთან თაიგულების გაგზავნას ამჯობინებენ, — და დასძინა: — ზოგჯერ ყვავილებს, შამპანურის ბოთლი და შოკოლადის ფილაც ახლავს თან“.

„ᲑᲐᲒᲐᲤᲨᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲐ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ...“

— არჩევნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ომისათვის მზადებაზე ლაპარაკობს და „სამხედრო წვრთნებს“ იწყებს. თქვენი აზრით, რას ემსახურება ბაგაფშის ეს მანევრი?

— ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲪᲘᲢᲐᲫᲔ, *პოლიტოლოგი:*

— ვფიქრობ, აფხაზებს საკაშვილის მიერ არაერთგზის გაკეთებული განცხადებების შემდეგ, მინიმუმ 2 წლის მანძილზე, მშვიდად შეუძლიათ ყოფნა, რადგან ჩვენი ხელისუფლება აქტიურ საბრძოლო მოქმედებებზე გადასვლას არ აპირებს. აფხაზეთში ბაგაფშის ინიციატივით დაწყებული წვრთნები კი, ახალარჩეული დე ფაქტო პრეზიდენტის მხრიდან საკუთარი ხელისუფლების განმტკიცების მცდელობას უფრო ჰგავს, ვიდრე თბილისთან ომისთვის მზადებას. ყველასათვის კარგად არის ცნობილი, თუ რა ვითარებაში იბრძოდა ბაგაფში, ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად და დღემდე რა სიტუაციაა აფხაზეთის ტერიტორიაზე. ბაგაფშს პოზიციების გამაგრება სჭირდება, უნდა, შექმნას ისეთი ფონი, თითქოს ერთპიროვნულად აკონტროლებს სიტუაციას და სრულფასოვანი პრეზიდენტია... რაც შეეხება სამხედრო ტექნიკას — შეიძლება, აფხაზებს ოსებზე მეტი შეიარაღება აქვთ, მაგრამ არც აფხაზებს მოეპოვებათ არაფერი ისეთი, რომ სამხედრო წვრთნებით იწონებდნენ თავს. ბაგაფში მშვენივრად ხედავს: თანამედროვე მსოფლიოში მოვლენები ისე ვითარდება, რომ მალე, თბილისთან კონსტრუქციული დიალოგის დაწყება მოუწევს და ორი დაჟანგული ტანკის აქეთ-იქით ტარება აღარ დასჭირდება.

„ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲡ ᲓᲐᲣᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ“

— დავით აღმაშენებელზე მხატვრული ფილმის გადაღებასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. შეძლებს თუ არა უცხოელი რეჟისორი დიდი ქართველი მეფის რეალისტური ეკრანული სახის შექმნას?

— ᲜᲐᲠᲘᲙᲐ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ, *ისტორიკოსი:*

— ჩემი აზრით, დავით აღმაშენებელზე ფილმის გადაღება უამრავ სირთულესთან იქნება დაკავშირებული. ამიტომ ამ საკითხის ასე საჩქაროდ გადაწყვეტა, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. პირველ რიგში, არასასიამოვნოა ის ფაქტია, რომ ამ პროცესში არაპროფესიონალები არიან ჩაბმული. გარდა ამისა, საქართველოში იმდენი ნიჭიერი რეჟისორია, რომ ბუნებრივად იბადება კითხვა: ირლანდიელმა ან ამერიკელმა რატომ უნდა გადაიღოს ფილმი დავით აღმაშენებელზე? დარწმუნებული ვარ, რომ უცხოელს გაუჭირდება ქართული ხასიათის გახსნა. ახალგაზრდა, გამოუცდელი სცენარისტები კარგს იზამენ, თუ პროფესიონალებს ჰკითხავენ რჩევას. რამდენადაც ვიცი, ფილმისთვის 7 მილიონია გამოყოფილი და ის ევროპული ტექნოლოგიების შესაბამისად უნდა გაკეთდეს. მშვენიერი იქნება, რომ მსოფლიომ ეკრანზე ნახოს, თუ ვინ იყო დავით აღმაშენებელი და რას ნიშნავს დიდგორის ბრძოლა, მაგრამ მეფის გაცოცხლება მხოლოდ ქართველ რეჟისორს და ქართველ მსახიობს შეეძლება.

მერაბის გარეშე საქართველო სწორი გზით ვერ წავიდოდა

ტელევიზიიდან დათხოვნილი ლუიზა შაკიაშვილი, ძმის, რძლისა და 5 ძმისშვილის წყალობით პესიმიზმს არ მისცემია და იმედით ელის იმ დროს, როცა აუცილებლად შეძლებს თავისი საყვარელი საქმის რომელიმე ტელევიზიაში გაგრძელებას. რაც შეეხება პოლიტიკას და დისიდენტურ წარსულს — ციხე-კოლონიებში გატარებულ წლებზე საუბრისას, განსაკუთრებული სევდით იხსენებს დაპატიმრებიდან 2 თვის შემდეგ შემდგარ, პირველ, 45-წუთიან პაემანს მშობლებთან, რომლის დროსაც, მამას თვალზე ცრემლი არ შეშრობია. მიუხედავად ქალბატონი ლუიზას ოპტიმისტური შეძახილისა — მამა, მე არაფერი მიჭირსო! — მამის გულმა ქალიშვილის პატიმრობას ვერ გაუძლო და 7 თვის თავზე გარდაიცვალა...

„მრისხანე ოპოზიცია“, რომელიც მტერი არასოდეს ყოფილა

ნუცა თოფჩიშვილი

— ქალბატონო ლუიზა, დიდი ხანია აღარ ჩანხართ. ეს იმის ნიშანი ხომ არ არის, რომ ყველაფერი კარგად არის?.. თუ ხელი ჩაიქნიეთ და ფიქრობთ — დაე, ყველაფერი თავისი გზით წავიდესო?

— ეს იმის ნიშანია, რომ ყველაფერი ისე ცუდადაა, რომ ჩემი გამოჩენა ვერაფერს უშველის (იცინის). არა, იმას არ ვფიქრობ, რომ ყველაფერი თავისი გზით წავიდეს, მაგრამ ალბათ ასაკი და ჯანმრთელობა ხელს აღარ მიწყობს. ხომ ხედავთ — ტელევიზიიდანაც გამომიშვეს, ყველაფერთან ერთად, უმუშევარიც ვარ.

— გულდაწყვეტილი ხართ. ცუდად მოგექცნენ?

— ძალიან არასწორად მოიქცა ჩვენი თავმჯდომარე, როცა ჭეშმარიტი და ნამდვილი პროფესიონალები ქუჩაში გაუშვა, ისეთი პროფესიონალები, როგორებიც არიან: თამარ ცაგარეიშვილი, ნელი კობიაშვილი, ანი იოსელიანი, დოდო იორდანიშვილი, ნუნუ გრძელიშვილი, „მოამბის“ წამყვანი ჟურნალისტები და ბევრი სხვა გაათავისუფლა. მე ჩემს თავზე არ ვლაპარაკობ. ჩემზე ჩემი გადაცემები მეტყველებდა და ასე თუ ისე, იცნობს საქართველო ჩემს შემოქმედებას... რას ნიშნავს, საზოგადოებრივ ტელევიზიად გარდაქმნა?.. ვინც ადრე მუშაობდა, გავუშვათ და ახალი ხალხი მივიღოთ?.. რატომ ათავისუფლებ იმ პროფესიონალებს, რომლებსაც ასეთი დიდი გამოცდილება აქვთ?.. მათ ხომ, გაჭირვებასა და შავბნელ დღეებში მხრებით გამოუტარებიათ ეს ტელევიზია და სხვანაირი ტკივილით უყვართ ეს დაწესებულება! რატომ ვერ შევძლებთ ჩვენ იმის გაკეთებას, რასაც ახალმოსული შეძლებს?! ტრაბახობენ — ხელფასები გავზარდეთო. ჩვენს ხარჯზე გაიზარდა ხელფასები?.. რას ნიშნავს ამდენი ხალხის ულუკმაპუროდ დატოვება? ეს, სატრაბახოა? მე რა მეთქმის — ყოფილი პარლამენტარი ვარ, მაღალი პენსია მაქვს. საპენსიო ხალხი კი არა — უფრო ახალგაზრდები დარჩნენ ქუჩაში. ჯერ ეს სასაცილო პენსია რა არის და იმის გარეშეც დატოვეს ხალხი!.. არ მეგონა, დღევანდელი ხელისუფლება ასეთი უსულგულო თუ იქნებოდა. აბსოლუტურად არ აინტერესებს თავიანთი ამომრჩევლის ბედ-იღბალი. ჩემი ბიოგრაფია, ჩემი წარსული და ჩემი ასაკი მაძლევს იმის უფლებას, რომ ნებისმიერ პიროვნებას, თუნდაც ეს ქვეყნის პრეზიდენტი იყოს, რჩევა მივცე. ჰოდა, ვურჩევ მათ, ამ საკითხს ცოტა მეტი დაფიქრებით, სულით და გულით მიუდგნენ; მომმეთა მიმართ უფრო მეტი თანაგრძნობა და სიბრალული გამოიჩინონ, თორემ, ცუდად წაუვათ საქმე. დიდხანს არ იქნება დადუმებული ხალხი, რაც მე სულაც არ მინდა — ამას ტკივილი მალაპარაკებს. ეს მთავრობა ნამდვილად არ მძულს, ბევრი მათგანი ჩემი ახლობელიც კი იყო... მთელი ცხოვრება კომუნისტებს ვებრძოდი და ამის გამო ციხე-კოლონიებიც მაქვს ნახული. კომუნისტების დამცველად ვერ გამოვდგები, მაგრამ ასეთი უსულგულონი ისინიც კი არ იყვნენ... ეს შოკური თერაპია ცოტა უფრო უმტკივნეულოდ უნდა გააკეთონ, ნუ დაშოკავენ მთელ ქვეყანას.

— თქვენ — ადამიანი, რომელიც შევარდნაძეს ყოველთვის ებრძოდით, რატომ დათანხმდით მასთან თანამშრომლობაზე? არ გაშინებდათ, რომ დისიდენტობით მოპოვებულ ხალხის სიყვარულს დაკარგავდით?

— არა მგონია, რომ ხალხის სიყვარული დავკარგე. ხალხმა დაინახა, რომ მე ყველა მთავრობის მიმართ ვარ ობიექტური. თუ რამე ჩემთვის მიულებელი დავინახე, ახლობელი იქნება თუ მეგობარი, მასაც ვებრძვი. მხედველობაში ზვიად გამსახურდია მყავს. თუ მომეწონა რამე და რაღაცის იმედი გამიჩნდა, მტერიც რომ იყოს, მის გვერდით დავდგები. ეტყობა, ამის გამო მაპატია ხალხმა შევარდნაძის გვერდით დგომა და არ შემიძულა. ისე, შევარდნაძის გვერდით ცოტა ხანი ვიყავი. საკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძესავით 5 და 7 წელი არ ვმდგარვარ მის გვერდით. რატომ ვიდექი მის გვერდით?.. ვიფიქრე — და არა მგონია, ეს ფიქრი ლოგიკას მოკლებული ყოფილიყო, — რომ 65 წლის კაცი, რომელსაც ყველანაირი დიდება მოპოვებული ჰქონდა, სამოქალაქო ომის, ქაოსის მდგომარეობაში მყოფ საქართველოში დაბრუნებაზე რომ დათანხმდა, ქვეყანას სიკეთეს მოუტანდა. ჩემთვის წარმოუდგენელი იყო იმაზე ფიქრიც კი, რომ მისი ჩამოსვლა უფრო მეტად დაანგრევდა საქართველოს. ვფიქრობდი — თუ ქვეყანას ააყვავებს და კატასტროფული მდომარეობიდან გამოიყვანს, მის გვერდით დავდგები და თუ პირიქით მოხდა, მე ვიქნები მისი ყველაზე მკაცრი და მრისხანე ოპონენტი-მეთქი! — და მგონი,

როდესაც ზვიადმა „ეროვნული ფორუმი“ დატოვა, მაშინ გავმწარდი ძალიან. არ უნდა დაეტოვებინა...

შევასრულე პირობა: როცა დავინახე, რომ ეს კაცი ქვეყნის სახსნელად კი არა, მის დასაქცევად ჩამოსულა, იმ დღიდან ჩავუდექი ოპოზიციაში. მანამდე კი, ნახევარი წელი, დუმილის პერიოდი მქონდა, როცა ჩემს თავში ვაცნობიერებდი ეჭვებს და უკმაყოფილებას...

— შევარდნაძის ჩამოგდების პროცესში — ანუ „ვარდების რევოლუციის“ დროს, არ გაგჩენიათ სურვილი, რომ ამ პროცესში ჩაბმულიყავით?

— სხვათა შორის, მიტინგზე მივედი, მიუხედავად იმისა, რომ ამათი ბოლომდე არ მჯეროდა. მაინც ეჭვი მეპარებოდა — ეს დადგმული სპექტაკლი ხომ არ არის-მეთქი?.. ძალიან მღრღნიდა ეს ეჭვი და აქტიური ალბათ, უფრო ამიტომაც არ ვიყავი. მიუხედავად ამისა, შევარდნაძის ჩამოგდების იმდენად დიდი სურვილი მქონდა, რომ მიტინგზე ორჯერ ვიყავი. ერთხელ სიტყვითაც გამოვედი და ტელევიზიამ გადასცა კიდეც. ხალხი „ლუიზა, ლუიზას!“ სკანდირებდა... ერთგვარად ვალი მოვიხადე. შეიძლება, ჩემი გამოსვლით ბევრი ვერაფერი შევმატე, მაგრამ ვერ მოვითმინე.

— ზვიადი გამსახურდიას მკაცრი ოპონენტი იყავით. იქნებ, წლების შემდეგ, დღევანდელი გადასახედიდან რამეს ნანობთ?..

— ზვიადის მტერი არასოდეს ვყოფილვარ. ჩვენ თანამებრძოლები და თანამოაზრეები ვიყავით. სანამ „ეროვნული ფორუმი“ არ გაიხლიჩა, ერთად ვიყავით. როდესაც ზვიადმა „ეროვნული ფორუმი“ დატოვა, მაშინ გავმწარდი ძალიან. არ უნდა დაეტოვებინა. მართალია, მაშინ საშინელება მოხდა, ტყვია რომ გავარდა „თეთრ გიორგისა“ და „მხედრიონს“ შორის, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ეს მტრის მიერ ყოფილიყო პროვოცირებული, რათა „ეროვნული ფორუმი“ გაეხლიჩა?!. შენ რომ ლიდერი ხარ და მთელი ერი შემოგყურებს, პროვოკაციაზე წამოგების უფლება არ გაქვს. ადგილზე, „ფორუმის“ ფარგლებშივე უნდა გარკვეულიყო ყველაფერი და იქვე გადაწყვეტილიყო, თუ ვინ უნდა წასულიყო და ვინ — დარჩენილიყო. რასაკვირველია, დამნაშავე მყავს მხედველობაში: ის ორგანიზაცია, თავისი ლიდერიანად, უნდა გარიცხულიყო. „ეროვნული ფორუმის“ გახლეჩით დაიწყო ქართველი ერის გახლეჩა. მაშინ ჩაისახა სამოქალაქო ომი. ზვიადისგან, როგორც ახლობლისგან, ბევრი რამ ვერ ავიტანე. ოპონენტების დაპატიმრებები რომ დაიწყო, იმავე მუხლით, რომლითაც კომუნისტები ჩვენ გვასამართლებდნენ (226 მუხლის მესამე ნაწილი), ყოფილი დისიდენტისგან და ყოფილი თანამებრძოლისგან, რომელიც წლების მანძილზე ებრძოდა კომუნისტებს, — არ მეტკინებოდა გული?!. აი, ეს მიზეზები იყო, რომლის გამოც მრისხანე ოპოზიციაში ჩავუდექი, თორემ, მისი მტერი არასოდეს ვყოფილვარ...

ძმასთან და ძმის შვილებთან ერთად

— თუ ყოფილა თქვენს ცხოვრებაში ისეთი ტრაგიკული მომენტი, როდესაც გითქვამთ — „აი, ცხოვრება დამთავრდა...“

— ეს იყო მერაბ კოსტავას დაღუპვის დღე. მერაბი ჩემი მეგობარი იყო. კინოს სახლთან ვიყავი, ეს ამბავი რომ გავიგე. კონტროლი დავკარგე საკუთარ თავზე და „მერაბს“ კი არ გავიძახოდი — მთელი ხმით ვღრიალებდი — „ვაი, უბედურო საქართველოვ! ვაი, დაღუპულო საქართველოვ!“ ისეთი ღრმა განცდა მქონდა, რომ საქართველო მერაბის გარეშე სწორი გზით ვერ წავიდოდა და დაიღუპებოდა. მერაბი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეტრი, წინამძღოლი იყო. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ასე იყო. თავდადებული, უტეხი, წამებგამოვლილი, ცოცხლად მოარული წმინდანი იყო ჩვენ შორის. მერაბი ცოცხალი რომ ყოფილიყო, საქართველო სხვა გზით წავიდოდა. აფხაზებს და ქართველებს შორის პირველად რომ უნდა დაწყებულიყო ომი ღალიძგასთან, ეს მერაბმა არ დაუშვა!..

— „ნაზი, როგორც მოგონება...“ — ასე ჰქვია გიომ აპოლინერის ერთ-ერთ წიგნს. იქნებ, თქვენი ყველაზე „ნაზი“ მოგონება გაიხსენოთ.

— ძალიან მიყვარს ხელოვანი ხალხი, მწერლები, პოეტები — რასაკვირველია, ვინც ჩემთვისაა საყვარელი და მისაღები. მართლაც, ნაზ მოგონებად დამრჩება და არ დამავიწყდება შემთხვევა, როდესაც ჩემთვის საყვარელ, ცნობილ მსახიობს, უჭკნობი სილამაზით გამორჩეულ ლიანა ასათიანს შევხვდი ერთ-ერთ საღამოზე. შორიდან ვიცნობდით ერთმანეთს. გადავეხვიე, გადავკოცნე და ვუთხარი — ქალბატონო ლიანა, როგორ მიყვარხართ-მეთქი!.. — გენაცვალე, შენ გიყვარვარ, მე კი, შენი თაყვანისმცემელი ვარო! — მიპასუხა. ვაიმე, რა ბედნიერი ვიყავი! თურმე, ჩემ შესახებ ყველაფერი სცოდნია. ეს ორი სიტყვა ყოველგვარ სახელმწიფო პრემიაზე ძვირფასი იყო ჩემთვის... ასევე ნაზი მოგონება უკავშირდება ანა კალანდაძეს, ჩემს უსაყვარლეს პოეტს. მისი საიუბილეო საღამო იყო. საღამოს შემდეგ, ა-ლა-ფურშეტი გაიმართა. წამოსვლა რომ დავაპირე, ქალბატონმა ანამ დამიძახა — ლუიზა, არ წახვიდე, შენთან ერთად ფოტო მინდა გადავიღოო. ის ფოტოსურათი სათუთად მაქვს შენახული. ნეტავ, იცოდეთ, რა ამაყი და ბედნიერი ვიყავი იმ დღეს!.. და ცოტა უფრო შორეული წარსულიდან შემორჩენილი, უნაზესი მოგონება ლადო გუდიაშვილს უკავშირდება. ადრე ტელევიზიაში მუსიკალური განყოფილების რეჟისორად ვმუშაობდი და კლასიკური მუსიკის საკითხებზე ვამზადებდი გადაცემებს. ჩვენი რედაქციის ხელმძღვანელის მოადგილე მზია რამიშვილი, ლადო გუდიაშვილის კარის მეზობელი იყო. ერთხელ, ჩემი ერთ-ერთი გადაცემა რომ გავიდა ეთერში, ლადო გუდიაშვილს უნახავს და მზიასთვის უკითხავს — გუშინდელი გადაცემა თქვენი რედაქციის იყოო? მზიამ რომ დაუდასტურა, ბატონმა ლადომ ჰკითხა — ავტორი ვინ იყოო? მზიამ უპასუხა — ერთი ახალგაზრდა, კახელი კარგი გოგო, გვარად შაკიაშვილიო. ბატონმა ლადომ უთხრა — ისე მომეწონა, თვალზე ცრემლი მომადგა; გადაეცი, ლადო გუდიაშვილმა დიდი მადლობა შემოგითვალა ასეთი კარგი გადაცემისთვის-თქო. მე არ ვიცი, ამ სიტყვების ფასი რა შეიძლება იყოს... აი, ეს 3, ძალიან სათუთი და ნაზი მოგონება მაქვს და მე მგონი, სამივე — ღირსეული.

— იუმორის გრძნობით უხვად ხართ დაჯილდოებული და თქვენ საპარლამენტო ცხოვრებიდან მხიარულ

რატომ ათავისუფლებ ტელევიზიიდან იმ პროფესიონალებს, რომლებსაც ასეთი დიდი გამოცდილება აქვთ?..

...აი, ეს ვ, ძალიან სათუთი და ნაზი მოგონება მაქვს და მე მგონი, სამივე — ლირსეული.

ამბავს ხომ არ გაიხსენებთ?

— პარლამენტის წევრი ვარ, შევარდნაძის გვერდით რომ ვიდექი, მაშინ. შესვენებაზე ვართ გამოსული. მომიახლოვდა შევარდნაძე და მეუბნება — გავიგე, ხასბულატოვზე (რუსეთის სათათბიროს მაშინდელი ვიცე-სპირკერი) თხოვდები და მე რატომ არ მეუბნებიო? — რას ლაპარაკობთ, რა ხასბულატოვი, რის ხასბულატოვი-მეთქი?!. კი, კი, გუშინ საღამოს ერთ ადგილზე ვიყავი და იქ გავიგე, რომ ხასბულატოვზე თხოვდები; მე არ უნდა მკითხო, ვისზე თხოვდები?.. ხომ ვარ თქვენი თავმჯდომარეო!.. იხოცებიან სიცილით ჩვენ გვერდზე მდგარი ვახტანგ გოგუაძე და რუსიკო ბერიძე. მე ვერ ვხვდები ვერაფერს. თან, თმა ახალი შეჭრილი მაქვს და შევარდნაძე დასძენს — ეს თმაც ქორწილისთვის შეგიჭრია და ჩვენ გინდა დაგვიმალოო?!. — ბატონო ედუარდ, ნუ დამტანჯეთ, მითხარით, რა ხასბულატოვზე მელაპარაკებით-მეთქი?.. თურმე, წინა ღამით, ფილარმონიაში „ჟუმორინაზე“ ყოფილა სცენა, სადაც გივი ბერიკაშვილი რაჭული გუდასტვირით შირებს მღეროდა და ერთ-ერთ შირში უთქვამს — ხასბულატოვზე ლუიზა შაკიაშვილი გავათხოვოთ, იქნებ, გვეშველოსო... ამ კონცერტის შემდეგ, არ იყო ბევრი დრო გასული, რომ „I არხის“ ჟურნალისტმა, დალი ფრიდონაშვილმა (ავტორმა გადაცემისა — „გინდ დიჯერეთ, გინდ — არა“) შემომთავაზა, მის გადაცემაში მიმეღო მონაწილეობა და გივი ბერიკაშვილის შირებისთვის მეპასუხა. დალიმ იცოდა, რომ ვმღეროდი, ვუკრავდი და შირებსაც ვთხზავდი. შევეშინი რამდენიმე კაფია და ვუპასუხე გივის, რასაც დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა *(იცინის)*. შემდგომ, ახალ „ჟუმორინაში“ გივიმ ჩემი პასუხის პასუხი გააკეთა, რაზეც მე აღარ მიპასუხია...

— კახელ ქალბატონს, ქართულ სუფრაზე რომ არ გკითხოთ, არ შემიძლია.

— ქართულ სუფრაზე ჩემი შეხედულება „ორიგინალობით“, ჯგერენაიასას ვერ გაუტოლდება *(იცინის)*... ქართული სუფრა, იმ ტრადიციებით, რომლებსაც ადრე იცავდნენ, ძალიან მომწონდა. ქართულ სუფრაზე იმართებოდა შეჯიბრი კაფიაობაში, ლექსის თქმაში (ექსპრომტებში), სიმღერაში, ცეკვაში, სადღეგრძელოში. ამას ერქვა ქართული ტრადიციული სუფრა. ვერ ვიტან, გაწელილ სადღეგრძელოებს და თამადის დიქტატს. მშრალი, გაუთავებელი სადღეგრძელოები დრომ მოიტანა. ეს ხომ გაუკულმართებული ტრადიციაა. ასეთი სუფრები ძველ საქართველოში არასოდეს ყოფილა. პანეგირიკები, ქება-დიდება ჩემთვის მიუღებელია. ერთი სუფრა დამამახსოვრდა განსაკუთრებულად. ომარ კელაპტრიშვილის შვილმა ცოლად მოიყვანა გურამ აბსანძის ქალიშვილი. მაშინ გურამი ციხეში იჯდა. ქორწილში დაპატიჟებული იყვნენ ანსამბლ „კელაპტრის“ წევრები, რომლებიც, მეგრულ სიმღერებს მღეროდნენ. გურამი სამეგრელოდანაა და უყვარს თავისი კუთხის სიმღერები. უეცრად, დავურეკე გურამს ციხეში და შვილის ქორწილიდან მეგრული სიმღერა მოვასმენინე. იტირა. რა მადლობელი იყო!.. ჩვენ კი, რაც მობილური ტელეფონის გამომგონებლის სადღეგრძელოები ვსვით, ხომ წარმოგიდგენია?!. ■

გათავისუფლდით სახსრების ჭრიალისაგან

ნატურალური ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო საშუალება „გლუკოზამინ მსმ“

- ამცირებს ტკივილებს დაავადებულ სახსრებში და აუმჯობესებს მათ მოძრაობას;
- ამცირებს სახსრების ანთებას და მის თანმხლებ პროცესუალურ სიმპტომებს;
- ხელს უწყობს სახსრების ხრტილოვანი ნაწილის აღდგენას;
- არ აღიზიანებს კუჭს;
- უსაფრთხოა ჰიპერტონიკებისათვის.

სახსრების კომპლექსური მკურნალობისათვის ასევე გთავაზობთ:

- კალციუმით გამდიდრებულ პრეპარატს „კალცი ნაითი“. „კალცი ნაითი“ აღადგენს ორგანიზმში კალციუმის ბალანსს. საუკეთესო საშუალებაა მოტეხილობებისა და ოსტეოპოროზის სამკურნალოდ.

- ძლიერ ტკივილგამაყუჩებელ მალამოს „ვეფხვის ბალზამი“. „ვეფხვის ბალზამი“ მსოფლიოში ცნობილია როგორც საუკეთესო ტკივილგამაყუჩებელი მალამო კუნთებისა და სახსრებისათვის. „ვეფხვის ბალზამ“-ს ეფექტურად გამოიყენებენ სპორტსმენები.

გელით ახალ მისამართზე:
დ. ალმაშენებლის 193 ☎ 356-456; 34-45-10
სამუშაო საათები: ყოველდღე, კვირის გარდა 10.00 – 18.00

ნუტრიმენს ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

რაც ტელეკომპანია „202“-დან ნიკა ქავთარაძე, ზვიო, შონზო და მთელი მათი ჯგუფი წავიდა, ტელევიზიაში მუსიკალურმა კლიპებმა და სხვა, ე.წ „მეორადმა“ ტელეპროდუქციამ იმატა, აღარც ის ცნობილი გადაცემები გადის, რომლებიც ხალხს ძალიან შეუყვარდა. თუმცა, ახალი სერიალი — „დიდი სახლი“ დაიწყო, სადაც ქრისტინე იმედაძე და თაკო გაჩეჩილაძე მონაწილეობენ. როგორ გრძნობს თავს ტელეკომპანიის შეფი — შალვა რამიშვილი ძველი გუნდის გარეშე და რა სიახლეებს გვპირდება „202“ — ამაზე თავად შალვა მოგვითხრობს.

„ოჩარ! .. მაინც გვერ გამიზრდია უბეში“

ნათია ქივიძე

— შალვა, შენი ტელევიზია რამდენადმე ერთფეროვანი გახდა, თუმცა რამდენიმე თვის წინ მოცემულ ინტერვიუში მითხარი, რომ სოლიდური გეგმები გქონდა...

— მართალია. ახლა სწორედ მაგ ამბავზე ვმუშაობთ. ვამზადებთ ახალ გადაცემას, ქართული კლიპების შესახებ და მას ერთ-ერთი დიჯეი წაიყვანს...

— გადაცემა რაღად გინდა? თქვენს არხზე ისედაც სულ კლიპები არ გადის?!.

— ასეთი ფორმატის გადაცემა ყველა ტელევიზიას აქვს და ჩვენც გვექნება. რა თქმა უნდა, მათგან განსხვავებული, მაგრამ მაინც გავაკეთებთ.

— როგორც მახსოვს, ახალი სერიალის გადაღებასაც აპირებდი...

— ხომ ვიღებთ ,,დიდ სახლს“!..

— მაგრამ მაშინ ამბობდი, სერიოზული სერიალი იქნებაო. „დიდი სახლი“ არც სერიოზულია და არც — იუმორისტული. ხომ ვერ მეტყვი, რა სახის სერიალია?..

— სერიალი, რომელიც მაზოხისტებს მოსწონთ. ეს პასუხი გაკმაყოფილებს?.. რა ვიცი, რა სახის სერიალია, ხალხს მოსწონს და მორჩა.

— რატომ გადაწყვიტე, რომ ამ სერიალში, ანი გიუნტერთან ერთად, ქრისტინე იმედაძე და თაკო გაჩეჩილაძე მოგეწვია?

— ვფიქრობ, რომ ისინი ძალიან ლამაზები და კარგები არიან. ყოველ საღამოს ტელეეკრანზე მათი ხილვა ხალხს, რა თქმა უნდა, დიდ სიამოვნებას მიანიჭებს. მათ მსახიობური მონაცემები დიდად არ მოეთხოვებათ, რადგან პროფესიონალი მსახიობები არ არიან, მაგრამ მაინც კარგად ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას. მოკლედ, კმაყოფილი ვარ, რომ ისინი ავირჩიე სერიალში გადასაღებად.

— როგორც ვიცი, კიდევ ერთ ახალ გადაცემას ამზადებ...

— კი, ასეა. ეს იქნება ძალიან სერიოზული შოუბიზნესური გადაცემა, რომელიც შაბათობით გავა ეთერში. მისი წამყვანი მე ვიქნები და მომღერლებს მოვიწვევ ხოლმე, რადგან ,,დებატებში“ ამის დრო აღარ რჩება.

— არა მგონია, შოუბიზნესი ძალიან სერიოზული იყოს... შენ რატომ უნდა იყო წამყვანი? არ სჯობდა, სხვა ვინმე მოგეძებნა?

— მე ამ საქმეს თავს კარგად გავართმევ. თან ახალ სახეებსაც ვეძებ. ჯერ ასე იქნება და მერე ვნახოთ, რა შეიცვლება. ისე, ვიდრე მკითხავ, აქვე აღვნიშნავ, რომ იუმორისტულ გადაცემებზე აღარ ვიმუშავებ, რადგან აღარ მინდა.

— ეი. ის შენი შოუბიზნესური გადაცემა „VIP შოუს“ გაგრძელების მაგვარი იქნება?

— კი, ასეა. ,,VIP შოუს“ ემსგავსება, თუმცა რაღაცებს, რა თქმა უნდა, შევცვლი.

— რადგან საუბარი ამ საკითხს შეეხო, მითხარი, თავს როგორ გრძნობ, შენგან გაქცეული ბიჭების გარეშე?

— მშვენივრად. რა თქმა უნდა, კარგი იყო, როცა ისინი აქ იყვნენ, მაგრამ არც ახლა ვარ ცუდად. გავიგე, ,,იმედში“ რომ დაუწყიათ მუშაობა და ძალიან გამიხარდა. ისინი ძალიან ნიჭიერები არიან და ბევრს მიაღწევენ.

— თუმცა ისინი „202“-იდან წასვლის შემდეგ ამბობენ, რომ შენი ტელევიზია მდარე ხარისხისაა...

— მათ ჩემზე რაც არ უნდა განაცხადონ, მე ცუდს ვერაფერს ვიტყვი, რადგან მართლა, ნიჭიერები არიან და სადაც არ უნდა წავიდნენ, მაინც კარგად იქნებიან.

— ურთიერთობას აღარ აგრძელებთ?

— სამწუხაროდ, არა. კარგა ხანია, არც ერთი არ მინახავს და არც მისაუბრია მათთან. ეს ჩემი ბრალია, იმდენი საქმე მაქვს, რომ თავისუფალი დრო, ფაქტობრივად, არ მრჩება და ვერ ვუკავშირდები.

— ამ ბოლო დროს, რეკლამა მოგიმრავლდათ. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდა?

— არა. ტელევიზია მატერიალურად არც წინ წასულა და არც — უკან. ისევ ისე ვართ. ყველა თანამშრომელს ვუხდი განსაზღვრულ ხელფასს.

— ხელფასს თუ უხდიდი, ის ბიჭები რატომლა გაგექცნენ?

— მათ უფრო მეტი უნდოდათ, ტელევიზიას კი ამის საშუალება არ ჰქონდა, ამიტომ ვერ შევთანხმდით და წავიდნენ. არ გვიჩხუბია, მშვიდობიანი მოლაპარაკებით დავშორდით ერთმანეთს.

P.S. ინტერვიუს შემდეგ, ტელევიზიიდან რომ მოვდიოდი, შალვამ თავაზიანობა გამოიჩინა და კარამდე მიმაცილა. იქ კი გულმა არ მოუთმინა და მკითხა, მაინც რომელმა გითხრა — შალვას ტელევიზია მდარე ხარისხისაა? კონკრეტულად არ მითქვამს, მაგრამ ვუპასუხე, რომ ცოტა ხნის წინ ჩვენს ჟურნალში შონზოს და ნიკა ქავთარაძის ინტერვიუ დაიბეჭდა, სადაც ეს სიტყვები ითქვა. ,,ყოჩაღ! ამის მთქმელი ვინც არ უნდა ყოფილიყო, მაინც გველი გამიზრდია უბეში“ — თავისთვის ჩაილაპარაკა...

■



მარი ხაფარიძე

„გზის“ წინა ნომრის „სასიძო“, პატრული ილია კორინთელი გახლდათ. გოგონები მისთვის მესიჯებსა და თბილ სიტყვებს არ იშურებენ და სანაცვლოდ, სიყვარულსა და ერთგულებას სთავაზობენ. მესიჯი კი იმდენი მოვიდა, რომ 4-5 „სასიძოსაც“ ეყოფოდა. ასე რომ, ილიას საკმაოდ ფართო არჩევანი აქვს და შეგვპირდა, რომ ქორწილში აუცილებლად დაგვპატიჟებს...

„შენი მორიგეობისას აუცილებლად ჩავიდენ დანაშაულს...“

„გამარჯობა, ილია, მე სოფო ვარ, 17 წლის. „სასიძოს“ პირველად ვეხმაურები. ლამაზიც ვარ, დამჯერიც და მშვიდიც“.

„ძალიან მომწონა თქვენი „სასიძო“, მაგრამ ცუდია, რომ ჯიუტ გოგონებს არ წყალობს. მუხლდავად ამისა, დიდი სიამოვნებით გავიცნობდი“.

„ილია, ძალიან კარგი ბიჭი ხარ. გესურვებ დიდ ბედნიერებას. საუკეთესო სურვილებით, ნონა“.

„მართლა კარგი ადამიანი ხარ და ყველაფერს საუკეთესოს გისურვებ. გოგოებო, იაქტიურეთ! ინტერვიუს ვკითხულობ და მეკინება: ილია ამ ამბლუაში?.. რა სჭირს სამაისო?.. ნატო“.

„რატომ მომბრუნე გზიდან? ჩემთვის მეფიდი მარტო“... როგორ მგავხარ, ტრადიციულ თანამედროვეობასთან შერწყმული აზროვნებით. ვისურვებდი, ჩემს სტომატოლოგიურ სავარძელში ერთხელ მაინც მენახე. თა-თა“.

„ჩემს მამიდაშვილს „პატრულელი“ შეყვარებული ჰყავს. რა მაგარი იქნება, მეც თუ გამიმართლა და ილიას მოვეწონე! თუ დამრეკავს, მის კოლეგებსაც გავიცნობ. ირმა“.

„თვალს ვერ ვწყვეტ ილიას სურათს, ის ნამდვილი ქართველი მამაკაცია. გთხოვ, ჩამოდი ქუთაისში და გპირდები, შენი მორიგეობისას აუცილებლად ჩავიდენ დანაშაულს. ნინი“.

„როგორც კი ინტერვიუ წავიკითხე, უდიდესი სურვილი გამიჩნდა, ილიასთვის მესურვებინა, ზუსტად ისეთი სითბო და სიყვარული ეპოვოს, როგორი სითბოც მის თვალებში მოჩანს. არ დავიწყებ თავის დახასიათებას. უბრალოდ, მინდა აღვნიშნო, რომ ყოველთვის ვკითხულობ ამ რუბრიკას და მხოლოდ ახლა გამიჩნდა სურვილი, მესიჯი გამომეგზავნა. ეკა, 21 წლის“.

„ილუშ, გილოცავ შობა-ახალ წელს! ვარ თეა, 165/52, მაქვს მწვანე თვალები, წაბლისფერი თმა და ხორბლისფერი სახე. ვარ ეკონომიკური ფაკულტეტის ასპირანტი, ძალზე ერთგული“.

„ხასიათით ძალზე ჰგავხარ მამაჩემს. განსაკუთრებით მაშინ მიყვარს, როცა მთვრალია. ისე, ინგა გრიგოლიასთან გადაღებულ სურათში არ გამოსულხარ კარგად. მეორე სურათი ჯობს. ძალიან მიყვარს რისკი და მინდოდა, სამხედრო პირი გავმხდარიყავი, მაგრამ მამამ უარი მითხრა. ისიც პოლიციელია. ჩემი აუხდენელი ოცნებაა, ვიმღერო პატრისია კაასთან ერთად. ამაზე ყველას ეცინება. იმედია, შენ მაინც არ გაიცინებ“.

„ჯარ 18 წლის, საკმაოდ მაღალი და ლამაზიც. ვსწავლობ იურიდიულზე, მაგრამ პატრულში მუშაობას არ ვაპირებ. სოფო“.

„ჯართულება“ მაქვს პოლიციელ ბიჭებზე. ძალიან მომწონს მათი პროფესია. ილია, ძალიან საყვარელი ტიპი ხარ. შესანიშნავი აზროვნებისა და გარეგნობის. სიამოვნებით გაგიცნობდი და დავიმეგობრდებოდი. ფიქრია“.

„სიკვდილი მინდა, მაგრამ დარდი მაწვალებს – რომ მოკვდები; ველარ ვნახავ შენს ლაშაზ თვალებს. სიყვარულს არ გთხოვ, ვიმეგობროთ და არ წაგებ. ანი“.

„ილია, დიდი სიამოვნებით გაგიცნობდი. ორგანოში არ ვმუშაობ. ექიმი ვარ, 23 წლის. ვცხოვრობ ნახალოვკაში. თუ გამომხმაურები, არ ინანებ. თაკო“.

„ძალზე მომწონს ილია. არაჩვეულებრივი ხასიათის ბიჭი უნდა იყოს, როგორც ეს „გზის“ ფურცლებიდან ჩანს. მაგრამ კუკარაჩასგან განსხვავებით, საყვარელ ქალს სურვილებს არ უსრულებს. საინტერესოა, მე თუ ამისრულებს სურვილს და გამომხმაურება... ნონა“.

„ძალიან მომწონა „სასიძო“. მინდა, გავიცნო არა როგორც საქმრო, არამედ როგორც მეგობარი. გორელი მეგობარი დავკარგე და მინდა, ახალი შევიძინო. ვარ 24 წლის. ილია, დამრეკე. მარი“.

„სიამოვნებით გაგიცნობდი, ილია, თუნდაც სამეგობროდ. თიკო.“

„ილია, შენმა პიროვნებამ ძალზე დამაინტერესა. მეტს არაფერს მოგწერ. არ მინდა, ყველაფერი მესიჯით შეიტყო. ეს პირველი შემთხვევა, როცა უცხოსთან ვმესიჯობ. თათია“.

„ილია, ჩემი კარგო, ერთ კარგ რჩევას მოგცემ: იყავი ამაყი, ისეთი ამაყი, რომ საკუთარ თავს არასოდეს მისცე უფლება, გიყვარდეს ის, ვისაც შენ არასდროს ეყვარები. ქეთი“.

„ილია, რა საყვარელი ბიჭი ხარ! გავიცნოთ ერთმანეთი, გთხოვ! ერთმანეთს მაგრად შევეფერებით. აბა, შენ იცი, გელი!“

„ვიცოდი, რომ ლამაზი პატრული გვყავდა, მაგრამ ასეთს არ ველოდი. ილო, შენ ხინკალი გააკეთე, მე კი – ზოლიან შარვალს გაგიუთოებ. არც ალერსსა და სიყვარულს მოგაკლებ, სალამოს შინ რომ დაბრუნდები, თბილ საჭმელს და ცხელ... მარიკა“.

„ეს წუთია, წავიკითხე „სასიძოს“ ინტერვიუ და მოსვენება დავკარგე. მეც ილიას მშობლიური ქალაქიდან ვარ და მის ყველა მოთხოვნას ვაკმაყოფილებ. ვარ 21 წლის, განათლებული და უზომოდ ერთგული. არც ფეხი ფეხზე გადადებული ჯდომა მიყვარს და ვაფასებ ნამდვილ, ქართულ ოჯახს. იმედია, ილია ჩემით დაინტერესდება და ერთ კარგ მეგობარს შეიძენს. ნატო“.

„ილია, მაგ „დაბინტულ“ ხელზე იცი, რა გეამება?.. ჩემი კოცნა... მარი.“

„მინდა, მქონდეს ნაზი ფრთები, წამში შენთან მოვფრინდები, განა დიდხანს გაჭერდები? გაკოცებ და გავფრინდები. ვაი-ი, რაღა ვქნა?.. მგონი, ილია შემიყვარდა. ლიკა“.

„თქვენი „სასიძო“ ძალზე თავდაჯერებული ვინმეა. რომ ამბობს – ჩემზე მაღალი გოგო მაინც არ იქნება და სიმაღლეს მნიშვნელობა არ აქვსო, – აბა, ჯერ დამეტოლოს და მერე ვნახოთ. ისე, ხინკლის მოხვევას არ მასწავლის?.. ელისო“.

„ჩავიდენ დანაშაულს შენი გულისთვის, რომ დამიჭირო და აღარ გამიშვა, შენი გულიდან, ჩემო ილია, დამიჭირე, რა!.. ჩავიდენ დანაშაულს, რა!.. ნატო“.

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან
დაკავშირება შესაძლებელია
ტელეძიმა-ბარათებითაც

ნუნუ გაბუნიასთან ერთად

ჰოლივუდში ხელოვნების საერთაშორისო ჩემპიონატზე გამარჯვებული ქართველი ძმების შესახებ ბევრი დაიწერა და ითქვა. შეგახსენებთ — მასში 30 ქვეყნის 300-მდე კონკურსანტი მონაწილეობდა. 16 წლამდე ასაკის ბავშვებს შორის, უდიდეს წარმატებას მიაღწიეს ირაკლი და თორნიკე გულაშვილებმა: თბილისელმა მოზარდებმა 2 ოქროს და 2 ვერცხლის მედალი მოიპოვეს. ამ ჩემპიონატში მონაწილეობდნენ ამერიკაში მცხოვრები ქართველი დებიც. მათმა დუეტმა („თეონა და ნათია") გრან-ფინალში I ადგილი დაიკავა.

თორნიკე და ირაკლი რედაქციაში მშობლებთან — ბატონ დავითთან და ქალბატონ ცისანასთან ერთად გვესტუმრნენ.

ძმები გულაშვილები

ამერიკელ ჰოლიუდელებმა ლაფინანსებას ელიან

ლელა ჭანკოტაძე

— როდის შენიშნეთ, რომ თქვენს შვილებს განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემები ჰქონდათ?

ბ-ნი დავითი:

— თორნიკე ისეთი პატარა იყო, რომ ბალიშს მაგიდაზე ვდებდით და ზედ ვაწვენდით. მაშინვე ღიღინს იწყებდა. მამიდამ ყური მიუგდო და თქვა: ეს ბავშვი მღერისო. ირაკლიმაც ჯერ ლაპარაკი არ იცოდა, სხვადასხვა მელოდიას ღიღინს რომ აყოლებდა. მე მელომანი გახლავართ. სახლში ფირსაკრავი მქონდა. თორნიკე მიიდგამდა ხოლმე სკამს, თან ფირფიტის ტრიალს უყურებდა, თან უსმენდა... ბიჭებმა ასე გამომჟღავნეს მუსიკის სიყვარული. შემდეგ ორივე საბავშვო სტუდიაში მივიყვანეთ, იქ სამსახიობო ოსტატობას, სიმღერას და ცეკვას ასწავლიდნენ. ბიჭების პირველი პედაგოგი ნანა გველესიანი იყო. სწორედ მან გვითხრა, რომ ბავშვებს სერიოზული ვოკალისტი სჭირდებათო და გვირჩია, დახმარება „ჯაზქორალის" ხელმძღვანელის ლალი ბერაძისთვის გვეთხოვა. ქალბატონი ლალი დღემდე თორნიკესა და ირაკლის პედაგოგია.

— მშობლებს თუ გაქვთ მიღებული მუსიკალური განათლება?

— მუსიკოსი არ ვარ, მაგრამ რაც თავი მახსოვს, სულ მუსიკას ვუსმენ. როცა აბიტურიენტი გახლდით და გამოცდებისთვის ვემზადებოდი, მუსიკის ფონზე ვმეცადინეობდი მათემატიკას. ახლაც სამსახურში ვარ თუ საჭესთან ვზივარ, მუსიკის ხმა უნდა მესმოდეს. ეს სტიმულს მაძლევს. ცისანაც მღერის. ტელეპროგრამაში — „ღამის მატარებელი" იმღერა ბიჭებთან ერთად, რადგან სამი ხმა იყო საჭირო. ასე რომ, ცისანას დებიუტი „ღამის მატარებელში" შედგა, ოღონდ ეკრანზე არ გამოჩენილა, მხოლოდ მისი ხმა ისმოდა.

ქ-ნი ცისანა:

— ჩვენ თვითონ პროფესიონალ მუსიკოსებად ვერ ჩამოვყალიბდით და ბავშვებს ყველანაირად შევუწყვეთ ხელი, მუსიკას გაჰყოლოდნენ: ყველა საბავშვო კონცერტში მონაწილეობდნენ, ყოველთვის მოწონებას იმსახურებდნენ.

„რობერტინო ლორეგის მსგავსი მაინც უნდა იყოს ბავშვი, გამუდმებით რომ ჩანდეს. მათ ჯერ სერიოზული სკოლა უნდა გაიარონ..."

— კონკურსებში თუ მონაწილეობდნენ?

ბ-ნი დავითი:

— მე კონკურსების წინააღმდეგი ვარ: როცა კონკურსი ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში ტარდება, მგონია, რომ ჟიური არაობიექტურია. ამიტომ სურვილი არ მქონია, რომ ბიჭებს რომელიმე კონკურსში მიეღოთ მონაწილეობა. თან მიმაჩნია, რომ კონკურსები ბავშვებს ფსიქოლოგიურად თრგუნავს. ბიჭებს ვუფრთხილდები, სტრესებს და დაძაბულობას ვარიდებ.

— მიუხედავად ამისა, ირაკლიმ და თორნიკემ ხელოვნების საერთაშორისო ჩემპიონატში მაინც მიიღეს მონაწილეობა. როგორ მოხვდით ჰოლივუდში?

— ბიჭები მღერიან მაია ბარათაშვილთან ერთად. კლიპიც აქვთ გადაღებული. ჩემპიონატის წარმომადგენლებმა საქართველოში ყოფნისას ნახეს ეს კლიპი. მათ შემოგვთავაზეს ჩემპიონატში მონაწილეობა.

ქ-ნი ცისანა:

— ეს ჩემპიონატი ძალზე წარმომადგენლობითია. მის საორგანიზაციო კომიტეტს ბევრ ქვეყანში აქვს წარმომადგენლობა. შარშან საქართველოში ხელოვნების საერთაშორისო ჩემპიონატის წარმომადგენლად კომპოზიტორი ნუნუ გაბუნია დაინიშნა.

ბ-ნი დავითი:

— მე ისეთი სამსახური მაქვს, რომ ჩემთვის ამერიკაში წასვლა პრობლემას არ წარმოადგენს — ამერიკის საელჩოში მენეჯერად ვმუშაობ. 2 წლის წინ, ოჯახთან ერთად ვიყავი ამერიკაში წასული. ბიჭებმა მონაწილეობა მიიღეს „ტალანტშოუში". იქ ქულები არ იწერებოდა, უბრალოდ, ახალგაზრდა შემსრულებლების მოსმენა-დათვალიერება მოეწყო. ბიჭებს დიდი მოწონება ხვდა წილად. ამან გაგვაბედვინა, 2 წლის შემდეგ, ჰოლივუდში გამართულ ხელოვნების ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება.

ირაკლი:

— ჩემპიონატის წესების თანახმად, სიმღერა წუთ-ნახევარზე მეტხანს არ უნდა გაგრძელებულიყო, რათა 300-ვე კონკურსანტისთვის ერთ დღეში მოესმინათ. ძალიან ძნელი ყოფილა სამწუთიანი სიმღერის წუთ-ნახევარში ჩატევა. მომზადებული გვქონდა 3 ჟანრის სიმღერა. ამიტომაც მივიღეთ 3 მედალი: 2 ოქრო, 1 ვერცხლი; ორიც — „გრან-ჩემპიონის" ტიტული.

პედაგოგთან — ლალი ბერაძესთან

ბ-ნი დავითი:

— ჩვენ ვიცოდით, რომ ჩემპიონატის პირველ დღეს, მხოლოდ ერთი ჟანრის სიმღერა უნდა ემღერათ, უცებ კი აღმოჩნდა, რომ სამივე ჟანრის სიმღერა პირველსავე დღეს უნდა შეესრულებინათ. პირობები ძალზე მოულოდნელად შეიცვალა, რაც ამერიკაში იშვიათი სულაც არ გახლავთ. ჩემპიონატი ორ ტურად ჩატარდა. ორივე ტურში ერთი და იგივე სიმღერები შეასრულეს. განსხვავება ის იყო, რომ მეორე ტურში ჟიური შეიცვალა. დაჯილდოება მეორე ტურის დამთავრებისთანავე მოეწყო. ირაკლიმ და თორნიკემ ოქროს მედლები მიიღეს „ჰოპში" და „ბროდვეიჯაზში" (ასე განსაზღვრეს იქ ეს ჟანრი). ხოლო მუსიკის თანამედროვე ინტერპრეტაციაში ვერცხლის მედალი მიენიჭათ.

ქ-ნი ცისანა:

— პირველი ტური რომ დასრულდა, ვერც გავიგეთ, რამდენი ქულა მიიღეს ბიჭებმა. შემდეგ ვნახეთ სია, სადაც ეწერა, რომ მეორე ტურში გადავიდნენ. ერთი სიტყვით, ხელოვნების საერთაშორისო ჩემპიონატი სრულიად განსხვავებულია ყველა კონკურსისგან, თუნდაც იმით, რომ ჩემპიონატი ჰქვია და არა კონკურსი ან ფესტივალი.

— რატომ ჰქვია ჩემპიონატი?

— გამარჯვებულებს მედლებს აძლევენ, როგორც სპორტულ შეჯიბრებაზე. კვარცხლბეკზეც აჰყავთ და ეროვნულ დროშებსაც აღმართავენ. ორგანიზატორები ამბობდნენ: თუ სპორტში ტარდება ჩემპიონატები, რატომ არ შეიძლება, ხელოვნებაშიც ჩატარდესო?.. სიმღერის პარალელურად, იმართებოდა შეჯიბრი მოდელირებაში, ცეკვასა და სამსახიობო ოსტატობაში.

— რამდენად პრესტიჟულია ხელოვნების საერთაშორისო ჩემპიონატი?

ბ-ნი დავითი:

— რომ გითხრათ, სან-რემოს დონის კონკურსია-მეთქი, არ იქნება მართალი. მხოლოდ ის, რომ შეჯიბრი ჰოლივუდში ჩატარდა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მსოფლიოში უფრო მაღალი დონის კონკურსები არ ტარდება. ეს არის ჩემპიონატი, სადაც ყველას შეუძლია მონაწილეობის მიღება. იქ მოვუსმინე, როგორც ძალიან დაბალი, ასევე ძალიან მაღალი დონის შემსრულებლებს. უძლიერესები იყვნენ შავკანიანი მომღერლები.

— ამ გამარჯვებამ ბიჭებს რა მოუტანა?

— ჩემპიონატში გამარჯვებულისთვის არ არის დაწესებული ფულადი პრიზი. სამაგიეროდ, ჩემპიონატს ასამდე მენეჯერი, სპონსორი და შოუბიზნესის წარმომადგენელი ესწრება. ისინი ტალანტების სელექციას ეწევიან. შესაბამისად, ჩემპიონატი თითოეულ მონაწილეს აძლევს შანსს, რომ იმ 100 დამსწრეს შორის ერთი მაინც დაინტერესდება მისით. ირაკლიმ და თორნიკემ 3 მოწვევა მიიღეს — ჩიკაგოს, ნიუ-იორკის და ლოს-ანჯელესის საპროდიუსერო კომპანიებისგან. ისინი თვითონ შეარჩევენ სიმღერას და თავადვე გააკეთებენ არანჟირებას. ჯერჯერობით არ დავასახელებ იმ კომპანიას, რომელთანაც ვთანამშრომლობთ. ის გვთავაზობს კონტრაქტს, რომლის თანახმადაც, ბიჭები 4 სიმღერას ჩაწერენ. ამ სიმღერების პრომოუშენი გარდა ამერიკისა, მსოფლიოს 40 ქვეყანაში მოხდება. მინდა, კონტრაქტში ცალკე პუნქტად შევიტანოთ განსაკუთრებული პირობები საქართველოსთვის: ეს 4 სიმღერა შეუფერხებლად უნდა გადიოდეს ჩვენი ტელევიზიით და ფასიც აქ გაცილებით დაბალი უნდა იყოს. უდიდესი პროექტი ხორციელდება. ამერიკული მხარე 80%-ს აფინანსებს. ეს მათი მხრიდან დიდი გულუხვობაა — ვინც ამერიკელებს კარგად იცნობს, დამეთანხმება. არავინ თქვას, რომ ახალგაზრდა შემსრულებლებს, როგორი ტალანტებიც არ უნდა იყვნენ, ამერიკელები, 50%-ზე მეტით დააფინანსებენ. ამ ჩემპიონატმა დაგვანახვა, რომ სწორ გზაზე ვდგავართ.

— გრან-პრი რომელი ქვეყნის წარმომადგენელმა აიღო?

ქ-ნი ცისანა:

— გრან-ჩემპიონი გახდა სამხრეთაფრიკელი ბიჭი. ის მსახიობი, ძალზე ნიჭიერი ყმაწვილია. ჩემპიონატში მონაწილეობდნენ ამერიკაში მცხოვრები ქართველი დებიც. „მათ „ჰოპსა" და „ბროდვეი-ჯაზში" ვერცხლის მედლები აიღეს. ფინალში კი, განსაკუთრებული ჯილდო მიანიჭეს. საოცარია, ქართველმა ბავშვებმა ასეთ წარმატებას რომ მიაღწიეს — ოქროსა და ვერცხლის მედლები გაინაწილეს. ეს ხომ გრანდიოზული შედეგია!.. საწუხაროა, რომ ვოგონები საქართველოს სახელით არ გამოდიოდნენ...

ბ-ნი დავითი:

— იქ გადაღების უფლება არ მოგვცეს. საამისოდ ლიცენზია უნდა გვეყიდა, რომელიც საკმაოდ ძვირი ღირდა. თუმცა, გამომიგზავნეს კადრები, სადაც ასახულია, თუ როგორ ავიდნენ ბიჭები კვარცხლბეკზე, როგორ ავაფრიალეთ საქართველოს პატარა დროშები.

— ახლა რას საქმიანობენ ბიჭები?

ირაკლი:

— სიმღერის გარდა, ჩვენ ვეუფლებით ცეკვას. სულ ახლახან დისკოში საქართველოს ჩემპიონატზე ოქროს მედალი ავიღეთ. ახლა თეა გობეჯიშვილთან, სტუდია „ვერნისაჟში" ვცეკვავთ. ვეუფლებით ხალხურ სიმღერებს გიორგი უშიკიშვილთან. დავდივართ სკოლაშიც. ცუდი ნიშნები ნამდვილად არ გვაქვს. განსაკუთრებით მათემატიკა გვიყვარს.

— მიუხედავად ასეთი წარმატებისა, დიდი პოპულარობით არ სარგებლობთ. რატომ?

ბ-ნი დავითი:

— ბიჭები ტელეეკრანზე ჩნდებიან, ამ ეტაპზე კი მეტი საჭირო ნამდვილად არ არის. რობერტინო ლორეტის მსგავსი მაინც უნდა იყოს ბავშვი, გამუდმებით რომ ჩანდეს. მათ ჯერ სერიოზული სკოლა უნდა გაიარონ, ბევრი ისწავლონ, იშრომონ და მერე იფიქრონ პოპულარობაზე. ბავშვი მაყურებლისთვის საყვარელი უნდა იყოს, მან აუდიტორია არ უნდა გააღიზიანოს... ■

«15 ათასი ლარის გამო გენერალი კაცი ციხეში გამოკეტეს», – ჩივის კენჭაძის ადვოკატი

უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი უფროსის, ამჟამად პატიმრის – 56 წლის ლევან კენჭაძის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს უზენაესი სასამართლო განიხილავს. პროკურატურა კენჭაძეს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და სახელმწიფო ბიუჯეტისთვის 15 ათასი ლარის ოდენობის ზიანის მიყენებაში სდებს ბრალს. კენჭაძე და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატები ამ ბრალდებას აპროტესტებენ; ამასთანავე აღნიშნავენ, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფის ამდენი ხნის მანძილზე პატიმრობაში დატოვება ყოვლად გაუმართლებელია. ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე მათ, პატიმრობიდან განსასჯელის გამოსახსნელად, გირაოს გადახდის შესახებ შუამდგომლობითაც მიმართეს კოლეგიას, მაგრამ სასამართლომ მასზე ადვოკატებს უარით უპასუხა, მათი მოთხოვნა უსაფუძვლოდ ჩათვალა და არ დააკმაყოფილა.

პროკურატურა, რა თქმა უნდა, ადვოკატების საწინააღმდეგო პოზიციას აფიქსირებს. სახელმწიფო ბრალმდებლის თქმით, გამოძიებას საკმარისი მტკიცებულება აქვს მოპოვებული, კენჭაძის ბრალის დასადასტურებლად. ამჟამად პროცესზე სწორედ ბრალდების მოწმეები იკითხებიან. მათი დაკითხვის შემდეგ, მხარეები საკამათოდ მოემზადებიან.

პროკურატურა კენჭაძეს სამი მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში სდებს ბრალს. საქმე ეხება 2000-01 წლებში სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ბალანსზე რიცხული ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის განზრახ განიავებასა და განადგურებას, რითაც ბრალდების თანახმად, სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა. პროკურატურის ინფორმაციით, ლევან კენჭაძე, რომელიც ანტიტერორისტული ცენტრის უფროსის თანამდებობაზე 1999 წლის 10 თებერვლიდან მუშაობდა, ბოროტად და პირადი ინტერესებისთვის იყენებდა სამსახურებრივად მინიჭებულ უფლებებს. კერძოდ, მას შეეძლო, დადგენილი წესების მიხედვით განეკარგა როგორც ფულადი სახსრები, ასევე მატერიალური ფასეულობები. ამასთანავე, ევალებოდა, გაჰფრთხილებოდა სამინისტროს ბალანსზე რიცხულ და მასზე მინდობილ ცეცხლსასროლ იარაღს, საბრძოლო ტექნიკას, სამხედრო და სახელმწიფო ქონებას. პროკურატურის ინფორმაციით, ყოველივე ამის ნაცვლად, კენჭაძემ ბოროტად ისარგებლა უფლებებით და იარაღი და საბრძოლო ტექნიკა ერთ-ერთ კომერციულ სტრუქტურას, სრულიად უსასყიდლოდ და უპირობოდ, განუსაზღვრელი ვადით გადასცა. საამისოდ კი, პერიოდულად ყალბ დოკუმენტებს ადგენდა.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ეს კომერციული სტრუქტურა, შპს „კავკასიონი-1“ გახლდათ. ბრალდების თანახმად, ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირები კენჭაძის ახლობლები იყვნენ და ისიც, ამ ახლო ნაცნობობის საფუძველზე, უკანონოდ გადასცემდა მათ იარაღს. საბრალდებო დასკვნის თანახმად, შპს „კავკასიონი-1“-ის ხელმძღვანელობას იარაღი საწარმოო ექსპერიმენტებისთვის სჭირდებოდა. ამ მიზნით, 2000 წლის აპრილში, ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა ვალერიან კონჯარიამ წერილობით მიმართა ლევან კენჭაძეს და 2 „აკ-74“ სისტემის ავტომატი სთხოვა საექსპლუატაციოდ. კენჭაძემ მას თხოვნა შეუსრულა. იგივე გამეორდა 2000 წლის ნოემბერში. ამჯერად შპს „კავკასიონი-1“-ს მან 10 სნაიპერის შაშხანა (ოპტიკური სამიზნით), 8 ყუმბარმტყორცნი „ტიშინა“, 10 ტყვიამფრქვევი, 30 დანა, 5 „აკმ“ სისტემის ავტომატი, 6 სპეცპისტოლეტი, 200 ვაზნით, 30 ჩაფხუტი „სფერა“, 30 ჯავშანჟილეტი და 5 „აკსუ“ სისტემის ავტომატი გადასცა. ამასთანავე, შეადგინა ტექნიკური დათვალიერების ყალბი აქტი, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული იარაღი, საბრძოლო მასალა და აღჭურვილობა გაუმართავი და უვარგისი იყო.

2001 წლის მარტში, ბრალდების თანახმად, კენჭაძემ ზემოთ აღნიშნულ ორგანიზაციას კიდევ 2 მაყუჩიანი პისტოლეტი, 8 „აკმ“ სისტემის ავტომატი, 6 მჭიდი და 120 ვაზნა გადასცა.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, „კავკასიონი-1“-მა ექსპერიმენტების შედეგად სასურველი შედეგები რომ ვერ მიიღო, კენჭაძეს იარაღი დაუბრუნა. მან კი, თავის მხრივ, იარაღი და საბრძოლო ტექნიკა 2 ყუთში მოათავსებინა და გასანადგურებლად, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში წააღებინა, ისე, რომ ამის უფლება არ ჰქონდა. იარაღი ქარხნის საჩამომსხმელო საამქროს ელექტროღუმელში გადაადნეს. ამ ფაქტს ქარხნის თანამშრომლები ადასტურებენ.

არჩილ კბილაშვილი, განსასჯელის ადვოკატი:

„პროკურატურას რეალური მტკიცებულება არ გააჩნია, თუმცა ჩვენ სამართალდამცავ, ასევე სასამართლო სისტემაში არსებულ დღევანდელ რეალობას სავსებით ვაცნობიერებთ და აქედან გამომდინარე, იმედი გვაქვს, რომ აღნიშნულ ბრალდებებზე კენჭაძის მიმართ მსუბუქ სასჯელს მაინც მივაღწევთ. უნდა აღინიშნოს, რომ კენჭაძის მიმართ ძალზე უსამართლოდ იქცევიან. მილიონების ოდენობით ზარალში ბრალდებული, ყოფილი ჩინოვნიკები თანხის გადახდის შემდეგ, პატიმრობიდან გაათავისუფლეს, 15 ათასი ლარის გამო კი, გენერალი კაცი 8 თვეა, ციხეში გამოკეტეს“.

ადვოკატის თქმით, თანხის გადახდის თაობაზე, ოფიციალურ დონეზე რაიმე მოლაპარაკება ჯერჯერობით არ წარმოებს. *„ამის შესახებ ჯერ მხოლოდ ხმები დადის“, – აცხადებს კბილაშვილი.*

შეგახსენებთ, რომ კენჭაძეს ქონების უმეტესი ნაწილი – სოფელ დიღომში მდებარე აგარაკი, თბილისში, მარი ბროსეს ქუჩაზე არსებული სასტუმრო და სხვა დაუსაბუთებლობის მოტივით ჩამოერთვა.

■

"უკან დაბრუნებულს ხელი სისხლიანი ჰქონდა"... – აცხადებს დანაშაულის ერთ-ერთი თვითმხილველი

რატომ ტიროდა მკვლელობის მთავარი მოწმე პროცესზე?

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ თბილისში ერთი წლის წინ მომხდარი მკვლელობის საქმის განხილვა დაიწყო. დანაშაულს, რომელიც მეტროს სადგურ „ავლაბრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა, 20 წლის ირაკლი კოპალიანის სიცოცხლე შეეწირა. ახალგაცნობილმა, თითქმის თანატოლმა თბილისელმა ახალგაზრდამ, როგორც პროკურატურა აცხადებს, მას ჯიბის დასაკეცი დანით მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა. მკვლელობის მოტივი, ბრალდების თანახმად, ნასვამ ახალგაზრდებს შორის მომხდარი ურთიერთშელაპარაკება და ხულიგნური ქვენაგრძნობა იყო. საქმის მასალების მიხედვით, ირაკლი კოპალიანის მკვლელობა, განსასჯელის მიერ რამდენიმე წუთით ადრე ჩადენილ სხვა მძიმე დანაშაულს მოჰყვა...

განსასჯელი – 24 წლის გარეგინ გიმოსიანი, ოფიციალური მონაცემებით, წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა. ახლა კი პროკურატურა მას ორ მძიმე მუხლში – მკვლელობის მცდელობასა და განზრახ მკვლელობაში (დამამძიმებელი გარემოებებით) სდებს ბრალს. გარეგინ გიმოსიანი ბრალდების არც ერთ ნაწილში არ ცნობს თავს დამნაშავედ და ჩვენების მიცემაზე ჯერ-ჯერობით უარს აცხადებს. ჩვენება მას არც წინასწარი გამოძიებისთვის მიუცია, რადგან დუმილის უფლება გამოიყენა.

გამოძიების მასალებით, 2004 წლის 4 თებერვალს, საღამოს, დაახლოებით 10 საათისთვის, გიმოსიანი თავის ბიძაშვილთან – არკადი სართიანთან და ნაცნობებთან – ალექსანდრე ვარტუროსოვსა და შალვა ვარდიაშვილთან ერთად თბილისში, ქეთავან წამებულის მოედანზე, კერძოდ, მეტროს სადგურ „ავლაბრის“ გვერდით მდებარე სავაჭრო ჯიხურებთან იმყოფებოდა და არაყსა და ლუდს სვამდა. დაახლოებით 1 საათში, მოქეიფეებს კიდევ 3 ახალგაზრდა შეუერთდა – კახა აზალაძე, ირაკლი კოპალიანი და ედუარდ ოგანესიანი. გიმოსიანმა სამივე მათგანი სწორედ სუფრასთან გაიცნო და როგორც საბრალდებო დასკვნაში წერია, იმავე დღეს სამივესთან იჩხუბა კიდეც. ბრალდების თანახმად, გიმოსიანმა ახალგაცნობილებს დალევა შესთავაზა. ვინაიდან ისინი უკვე ნასვამები იყვნენ, ალკოჰოლის მიღება აღარ უნდოდათ და გიმოსიანის შეთავაზებაზე უარი თქვეს. ამით განაწყენებულმა გიმოსიანმა ჯერ ოგანესიანი გაიყვანა საქმის გასარკვევად მეტროს სადგურის უკან მდებარე ცხრასართულიან საცხოვრებელ კორპუსთან, სახლის თაღქვეშ დაიმარტოხელა და მომარჯვებული დასაკეცი დანა გულმკერდის არეში ჩაარტყა. ამ მოულოდნელი და მძიმე ჭრილობის მიუხედავად, ოგანესიანი არ დაიბნა და შემთხვევის ადგილიდან გაქცევა მოახერხა. როგორც პროკურატურის მასალებში წერია, მიყენებული ჭრილობა სიცოცხლისთვის საშიში აღმოჩნდა, მაგრამ ოგანესიანი, ახლობლების დახმარებით, თბილისის №1 კლინიკურ საავადმყოფოში დროულად იქნა მოთავსებული და ექიმებმა ის სიკვდილს გადაარჩინეს.

ამ დანაშაულის ჩადენის შემდეგ, გიმოსიანი კვლავ სუფრასთან დაბრუნდა. როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, მეგობრებს მან არაფერი უთხრა მომხდარის შესახებ. სუფრის წევრებმა კი ჩათვალეს, რომ ოგანესიანი შინ წავიდა. გიმოსიანმა სმა განაგრძო. რამდენიმე წუთში მან კახა აზალაძეს დაუწყო ჩხუბი და მაგიდიდან აღებული ბოთლი მოუღერა დასარტყმელად, მაგრამ განზრახვის განხორციელების საშუალება მას იქ მყოფმა დანარჩენმა პირებმა არ მისცეს. ამ ინციდენტის შემდეგ ოდნავ მოშორებით გასულ გიმოსიანს კოპალიანი მიუახლოვდა, რათა გაერკვია მისი განაწყენების მიზეზი. ბრალდების თანახმად, გიმოსიანმა არც ის დაინდო, ამოიღო დანა და მუცელში ჩაარტყა მას, თავად კი შემთხვევის ადგილიდან გაიქცა და მიიმალა. მიყენებული ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა. მძიმედ დაჭრილი კოპალიანი №1 კლინიკურ საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ თეძოს არტერიის დაზიანების შედეგად გამოწვეული მწვავე სისხლდენის გამო, ის გზაში გარდაიცვალა. რაც შეეხება გიმოსიანს, მისი ადვოკატის თქმით, სამართალდამცავებმა ის მეორე დღეს საკუთარ ბინაში დააკავეს.

აღნიშნული საქმის პირველივე სასამართლო სხდომა ძალზე დაძაბული და ხმაურიანი გახლდათ. აღელვებული დაზარალებული და მისი მხარის სხვა წარმომადგენლები განსასჯელისადმი აგრესიას ვერ ფარავდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ სხდომის დასრულებისთანავე, მოკლულის მამა ჯერ კიდევ დარბაზში მყოფ განსასჯელს საცემრად მივარდა, მაგრამ მისი შეჩერება ბადრაგმა დროულად მოახერხა. არანაკლები დაძაბულობა მოჰყვა მკვლელობის ერთ-ერთი ძირითადი მოწმის – კახა აზალაძის დაკითხვას. სასამართლოში, მთელი პროცესის მანძილზე ის შეუჩერებლივ ხმამაღლა ტიროდა და ჩვენებასაც კოლეგიას ამგვარად აძლევდა. აზალაძემ აღნიშნა, რომ მომხდარის გახსენება მასზე ძლიერ მოქმედებს და ყოველთვის, როცა ამაზე უხდება საუბარი, ცუდად ხდება. თუმცა, მოწმის ცრემლები პროცესის მონაწილეებმა სხვადასხვანაირად ახსნეს. განსასჯელის ადვოკატის თქმით, აზალაძე სიმართლის თქმას არიდებს თავს, დაზარალებული კი ეჭვობს, რომ ის პირიქით, სწორედ განსასჯელის მხარემ დააშინა. აღნიშნული ეჭვები აზალაძის მიერ მიცემულმა განსხვავებულმა ჩვენებებმა გამოიწვია.

კახა აზალაძე:

– მე და ირაკლი კოპალიანი უახლოესი მეგობრები ვიყავით. იმ საღამოსაც ერთად ვქეიფობდით ჩემი ძმის ოჯახში, ძმისშვილის დაბადების დღის წვეულებაზე. იქიდან რომ წამოვედით, ორივენი ნასვამები ვიყავით. ირაკლის შევთავაზე, ბაღში გავიდეთ, რაღაც ცუდად ვგრძნობ თავს, პირზე წყალს შევისხამ და შინ წავიდეთ-მეთქი. ისიც დამთანხმდა, მაგრამ ბაღიდან რომ გამოვედით, ჯერ ედო ოგანესიანი შეგხვდა, შემდეგ კი ქუჩაში მოულოდნელად ჩემმა ძველმა მეზობელმა – ალიკა (ალექსანდრე) ვარტუროსოვმა დამიძახა. ედო მას უკვე იცნობდა, ამიტომ ალიკას ირაკლი გავაცანი, მან კი, თავის მხრივ, მისი მეგობრები გამაცნო, მათ შორის – გიმოსიანიც. ჩვენ დალევაზე უარი ვთქვით, მაგრამ ამას სუფრასთან რაიმე დაძაბულობა არ გამოუწვევია, ყოველ შემთხვევაში, მე არ შემიმჩნევია. გიმოსიანმა, როგორც მითხრეს, ქართული არ იცოდა. ის ოგანესიანს რაღაცას სომხურად

ელაპარაკებოდა. რაზე საუბრობდნენ, არ მესმოდა, მაგრამ არც აგრესიული ტონი შემინიშნავს მათთვის. ამიტომაც ვერაფრით ვიფიქრებდი, თუ ერთმანეთთან ჩხუბი ან თუნდაც კამათი მოუხდებოდათ. ცოტა ხანში, ორივენი გაერიდნენ სუფრას და ლაპარაკ-ლაპარაკით მოშორებით გავიდნენ, ჯიხურებს გასცილდნენ და ამიტომაც მათ ვეღარ ვხედავდი. რამდენიმე წუთში გიმოსიანი მარტო დაბრუნდა. არ მახსოვს, ზუსტად ვინ, მაგრამ ვიღაცამ თქვა, ედო ოგანესიანი სახლში წასულაო. სწორედ მაშინ გიმოსიანის შუბლზე სისხლი შევნიშნე, თითიც სისხლიანი ჰქონდა, მარჯვენა ხელში რაღაც მოშავო საგანი ეჭირა, მაგრამ ზუსტად რა იყო, ვერ გავარჩიე. რადგანაც ქართული არ იცოდა, ჟესტით ვანიშნე – სისხლი რატომ გაქვსმეთქი? მან კი რუსულად მიპასუხა – შენ რა გინდაო, – და უცებ ხელი დამარტყა. წავიქეცი. გიმოსიანმა მაშინვე ბოთლს სტაცა ხელი და დასარტყმელად მოემზადა, მაგრამ ბიჭებმა შეაჩერეს. მე ხელები ავწიე, იმის ნიშნად, რომ მასთან ჩხუბს არ ვაპირებდი. ირაკლი ძალიან აღელდა ჩემ გამო. დამაწყნარა, შემდეგ კი მითხრა – ვნახავ, ერთი, გიმოსიანი რას შვრებაო. გიმოსიანი იმ დროს ალიკასთან ერთად გვერდით იყო გასული და ირაკლის აინტერესებდა, კიდევ ხომ არ აპირებდა ჩხუბის გაგრძელებას. ცოტა ხანში მეც გავყევი უკან, მაგრამ ირაკლის გარდა, იქ ვერავინ ვნახე. მოხრილი იყო და ხელი ჯემპრის ქვეშ ჰქონდა შეყოფილი. რა გჭირს, მუცელი ხომ არ გტკივამეთქი? – ვკითხე. – კახა, მიშველე, ვკვდებიო, – მიპასუხა და დავარდა. ვერ მივხვდი, რაში იყო საქმე. ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ დაჭრილი იქნებოდა. როცა ჯემპრი აიწია და დავინახე, რომ მუცლიდან სისხლი სდიოდა, მაშინ მივხვდი ყველაფერს. ავნერვიულდი, თან დავიბენი და აღარ ვიცოდი, რას ვაკეთებდი. უმისამართოდ გავიქეცი, მერე მეტროში შევვარდი და შუშების მსხვრევა დავიწყე... დღემდე ვერ მიპატიებია საკუთარი თავისთვის, რომ დაბნეულობის გამო, ძმაკაცს დროულად ყურადღება ვერ მივაქციე და საავადმყოფომდე ვერ მივიყვანე“...

სწორედ ის ფაქტი, რომ მეგობრის საავადმყოფოში მიყვანის ან პოლიციისთვის დარეკვის ნაცვლად, აზალაძე შემთხვევის ადგილიდან გაიქცა, სამართალდამცავებში ეჭვის საბაბი გახდა. პოლიციამ ეჭვი პირველად აზალაძეზე აიღო და როგორც ეჭვმიტანილს, დასაკავებლად შინ მიადგა. აზალაძე, როგორც თავად ამბობს, 2 დღის განმავლობაში ჰყავდათ პოლიციის განყოფილებაში. „*ავუხსენი მათ, რომ არაფერ შუაში ვიყავი. მალე თავადაც გაარკვიეს ნამდვილი დამნაშავის ვინაობა. პოლიციელებმა მითხრეს, გიმოსიანმა ყველაფერი აღიარაო და მეც ახსნა-განმარტება დამაწერინეს. მაიძულეს, დამეწერა, რომ გიმოსიანის ხელში დანა აშკარად დავინახე. მოგვიანებით, პროკურატურაში გამომძიებელს ავუხსენი, რომ ბრალდებულის შუბლზე, მართალია, სისხლი შევნიშნე, ხელში მართლაც ეჭირა რაღაც საეჭვო საგანი, მაგრამ დანა იყო თუ არა, ზუსტად არ დამფიქსირებია*“, – აღნიშნა პროცესზე აზალაძემ. მისივე თქმით, ალეკო ვარტუროსოვმა მას უთხრა, რომ კოპალიანმა გიმოსიანს ჰკითხა – რა ხდებაო? მან კი პასუხად, მოულოდნელად დანა ჩაარტყა მას და გაიქცა... აზალაძის ამ სიტყვების დადასტურება ან უარყოფა ვარტუროსოვს შეუძლია, თუმცა ის, ისევე, როგორც დანარჩენი მოწმეები, სასამართლო სხდომებზე არ ცხადდება. პროცესზე რატომღაც არ ცხადდება, არც დაზარალებული – ედუარდ ოგანესიანი. იმ შემთხვევაში, თუ ისინი მომდევნო სხდომაზეც არ გამოცხადდებიან, სახელმწიფო ბრალმდებელი იძულების წესით მათი მოყვანის შესახებ შუამდგომლობის დაყენებას აპირებს.

■

მეზობელმა მეზობელი არ დაინდო

ხარაგაულის რაიონის სოფელ უჩამეთში ასეთი შემთხვევა მოხდა: ორ მეზობელს შორის დავა და კონფლიქტი იქამდე მივიდა, რომ ერთ-ერთმა მათგანმა საშინელი განზრახვა ჩაიდო გულში, რაც რამდენიმე წუთში წარბშეუხრელად განახორციელა კიდეც. ამ დანაშაულისთვის ის 10 წლით აღმოჩნდა გისოსებს მიღმა...

ა. ხარატიშვილსა და ღ. მესირიძეს შორის კონფლიქტი იქიდან დაიწყო, რომ იანვრის ერთ დღეს, ხარატიშვილს სასიმინდიდან 2 ტომარა ქატო და ერთი ტომარა თხილი მოჰპარეს. დანაშაულს თვითმხილველი არ ჰყავდა, მაგრამ სახლის პატრონმა ეჭვი ერთ-ერთ მეზობელზე – მესირიძეზე აიღო. გაცხარებულმა, ამის შესახებ მეზობლებთანაც დაუფარავად თქვა. მეზობლებმა მესირიძეს ენა მიუტანეს. როგორც ამბობენ, ამ ამბავმა ძალიან იმოქმედა მასზე, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და მაშინვე, გაბრაზებული, სახლში მიუვარდა ხარატიშვილს. თან, განაჩენის მიხედვით, ემუქრებოდა – მოგკლავო!..

მსგავსი ფაქტი რამდენჯერმე განმეორდა. ხარატიშვილი, ბოლოს და ბოლოს, იძულებული შეიქნა, საჯაროდ, მთელი სოფლის წინაშე ბოდიში მოეხადა მესირიძისთვის. მაგრამ კონფლიქტი ამით მაინც არ დასრულდა და მათ შორის უთანხმოება თვეების მანძილზე გაგრძელდა.

5 თვის შემდეგ – ივლისში, დილით, დაახლოებით 11-ის ნახევრისთვის, ხარატიშვილი მეზობელთან ერთად სოფელ ლაშის სარკინიგზო ბაქანზე იმყოფებოდა. შორიახლოს მესირიძეც აღმოჩნდა და როგორც კი ხარატიშვილი შენიშნა, მაშინვე მისკენ გაემართა, აიღო ქვა და დასარტყმელად მოემზადა. ხარატიშვილმა ეს დაინახა და გაქცევა მოახერხა. მესირიძემ მას ლანძღვა-გინება დაადევნა და ისევ დაემუქრა მოკვლით. ხარატიშვილმა კი, თავის მხრივ, მისი მოკვლა განიზრახა.

შინ დაბრუნებულმა, სახლიდან მალულად გაიტანა სანადირო თოფი 2 ვაზნით. შემდეგ, ავიდა სახლთან ახლოს მდებარე საყანე ნაკვეთში, რომლის განაპირასაც სასოფლო გზა გადიოდა და იქ ჩაუსაფრდა მესირიძეს. დაახლოებით დღის 3-ის 15 წუთი იქნებოდა, როცა მესირიძე გზაზე გამოჩნდა. 10 მეტრით რომ მიუახლოვდა ჩასაფრებულ ხარატიშვილს, იარაღიდან გასროლის ხმაც გაისმა. ხარატიშვილმა ორჯერ გამოჰკრა თოფის სასხლეტს ხელი და ორივე ტყვია მოახვედრა მესირიძეს. ამ უკანასკნელმა გულმკერდისა და მუცლის არეში შემავალი მძიმე ჭრილობები მიიღო და ადგილზევე გარდაიცვალა...

ხარატიშვილმა სამართალდამცავებთან მკვლელობის ჩადენის ფაქტი არ უარყო, მაგრამ აღნიშნა, რომ დანაშაული ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში მყოფმა ჩაიდინა. „*ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნამ ეს არ დაადასტურა და არც სხვა ფაქტობრივი მონაცემი არსებობს ხარატიშვილის ვერსიის საფუძვლიანობის დასამტკიცებლად*“, – აღნიშნულია საკასაციო პალატის განჩინებაში. მოსამართლეებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მსჯავრდებულისთვის განსაზღვრული სასჯელი უცვლელად დატოვეს.

■

სასჯელი შეჩერებულია ციხეში

პატიმრები დამსმენ მსჯავრდებულს სექსუალური ძალადობით გაუსწორდნენ

უზენაესმა სასამართლომ ამ დანაშაულისთვის ერთდროულად ექვსი განსასჯელი გაასამართლა. ექვსივე მათგანი წარსულში არაერთხელ ნასამართლევი და იმ დროისთვისაც სხვა დანაშაულებისთვის მსჯავრდებული გახლდათ. როსტომაშვილი, ქეშელაშვილი, ალიევი, სირბილაძე, გურასპიშვილი, მიქაელიანი და დოლიძე სასჯელს ქსნის №7 მკაცრი რეჟიმის კოლონიაში იხდიდნენ. მათთან ერთად ამავე კოლონიაში იხდიდა სასჯელს მსჯავრდებული ნ. ა-ც.

როსტომაშვილი ციხეში მსჯავრდებულთა ბრიგადირი იყო, სხვა პატიმრებთან შედარებით, ციხეში პრივილეგიებით სარგებლობდა და მსჯავრდებულთა სამეურნეო საქმიანობას ხელმძღვანელობდა. დროთა განმავლობაში, როსტომაშვილს ეჭვი გაუჩნდა, რომ ნ. ა. მისი თანამდებობის დაკავებას ლამობდა. როსტომაშვილის აზრით, სწორედ ამ მიზნით ნ. ა. დაწესებულების ადმინისტრაციას დაუახლოვდა და თუკი როსტომაშვილი ან რომელიმე მასთან დაახლოებული პატიმარი სარეჟიმო წესს დაარღვევდა, უმალვე მიჰქონდა ინფორმაცია. ყოველივე ამის შესახებ როსტომაშვილმა მეგობარ პატიმრებს – ქეშელაშვილს, ალიევს, სირბილაძეს, გურასპიშვილს, მიქაელიანსა და დოლიძეს უთხრა. მათაც დაუდასტურეს ეჭვი და მოილაპარაკეს, ბოლო მოეღოთ ნ. ა-ს თავგასულობისთვის.

2000 წლის 3 ივლისს, საღამოს, დაახლოებით 11 საათზე, შეთანხმდნენ, სასტიკად გასწორებოდნენ ნ. ა-ს. ამ განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნითა და როსტომაშვილის უშუალო მითითებით, ნ. ა. ძალით შეიყვანეს თავიანთ საცხოვრებელ კორპუსში და იატაკზე დააგდეს. როსტომაშვილმა არ დააყოვნა და ძირს დავარდნილს, 12-კილოგრამიანი სამშენებლო ბლოკი ჩაარტყა კეფაში. ამის შემდეგ, იქვე მდგარ პატარა მაგიდას დასწვდა და ძლიერად მოუქნია გონდაკარგულ ნ. ა-ს. როსტომაშვილმა და მისმა თანამზრახველებმა არც მაგიდის თავში ჩარტყმა აკმარეს მას და ხელებით, ფეხებით, სპეციალურად მომარჯვებული ხელკეტებითა და ნიჩბებით დაუწყეს ცემა მსხვერპლს. ცემის დროს ნ. ა. დროდადრო გონებას კარგავდა. მოსულიერების მიზნით, მას წყლით სავსე ავზში აგდებდნენ, გონს რომ მოვიდოდა, ამოიყვანდნენ და კვლავ განაგრძობდნენ მის ცემას.

ამდენმა ცემამ და სადისტურმა მოპყრობამ ძალა გამოაცალა და წინააღმდეგობის გაწევის უნარი სრულიად დააკარგვინა ნ. ა-ს. მაგრამ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილს, მორიგი, უფრო სასტიკი და საშინელი განსაცდელი ელოდა. როსტომაშვილმა თანამზრახველებს იქვე მიაწოდა ახალი იდეა – შესთავაზა მათ, რიგრიგობით გაეუპატიურებინათ იგი.

სწორედ მისი წაქეზებით, როგორც საგამოძიებო მასალებშია აღნიშნული, ნ. ა-სთან ჯერ გურასპიშვილმა, შემდეგ დოლიძემ, მიქაელიანმა და როსტომაშვილმაც დაამყარეს გაუკუღმართებული სექსუალური კავშირი. ცემისა და წამების შედეგად მიღებული, მძიმე, სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებების გამო, ნ. ა. მეორე დღეს, დილის 4 საათზე გარდაიცვალა.

ზემოთ აღნიშნული ბრალდება და პროკურატურის მიერ საბრალდებო დასკვნაში აღწერილი ფაქტები განსასჯელებმა სასამართლო პროცესზე უარყვეს. მათი თქმით, ბევრი დეტალი იქ არაზუსტადაა აღწერილი და აუცილებელია, დამატებითი ძიების მიერ მათი გარკვევა.

მიუხედავად ამისა, სასამართლომ განსასჯელთა მოთხოვნები არ დაკმაყოფილა. როსტომაშვილს – 15, ქეშელაშვილს – 12, სირბილაძეს – 10, გურასპიშვილს – 12, მიქაელიანს – 8, დოლიძეს კი – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით.

■

მკვლელობა ახალი წლის ღამეს

ეს ამბავი 2002 წლის პირველ იანვარს ოზურგეთში მოხდა. ადგილობრივი მცხოვრები – რ. ხუგასიანი დილის 5 საათზე მიადგა ნაცნობის – გოგელიას ოჯახს, ახალი წლის მისალოცად. გოგელია შვილიშვილთან ს. დოლმაზაშვილთან ერთად ცხოვრობდა, მაგრამ მათ გარდა, ხუგასიანს იმ ოჯახში, მეზობლად მცხოვრები ი. ჩიხლაძე და ამ უკანასკნელის ბიძაშვილის მეუღლე – პ. კვერღელიძეც დახვდნენ. ყველანი ნასვამები იყვნენ. ჩიხლაძემ ხუგასიანს სთხოვა – წადი, ს. დოლმაზაშვილთან მარტო დარჩენა მინდა და ამის საშუალება მომეციო. კვერღელიძემაც იგივე გაუმეორა მას. თავიდან კი დათანხმდა ხუგასიანი, მაგრამ შემდეგ, რატომღაც არ შეასრულა დანაპირები და ოჯახში დარჩენა მოისურვა. ამის გამო ზემოთ ხსენებულ პირებს შორის ჯერ სიტყვიერი შელაპარაკება, მოგვიანებით კი – ხელჩართული ჩხუბი გაიმართა.

მოჩხუბრები ყვირილით გავიდნენ ბინიდან, რომელიც კორპუსის მე-5 სართულზე მდებარეობდა. კიბეზე ისე ჩავიდნენ, რომ ჩხუბი და ერთმანეთის ცემა არ შეუწყვეტიათ. ეზოში რომ გავიდნენ, უკვე დილის 7 საათი იყო დაწყებული. განაწყენებულმა ხუგასიანმა კვერღელიძის მოკვლა განიზრახა. ამ მიზნით, შარვლის ჯიბიდან დასაკეცი დანა ამოიღო და მთელი ძალით ორჯერ ჩაარტყა მას სხეულში. პირველი, შემავალი ჭრილობა კვერღელიძემ კისრის არეში მიიღო, მეორე კი – მარცხენა დუნდულზე. საძილე არტერიისა და კისრის ღრმა კუნთების სრული გადაჭრის გამო, ის ადგილზევე გარდაიცვალა.

ხუგასიანი დააკავეს, მაგრამ მან ჩადენილში თავი დამნაშავედ არ ცნო. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მას 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. მოგვიანებით, გასაჩივრების შედეგად, მას სასჯელი შეუმცირდა და საბოლოოდ, 9-წლიანი პატიმრობა განესაზღვრა.

■

„ღამის შოუს“ მენეჯერი დავით გოგიჩაიშვილი ერთი შეხედვით, უდარდელი წამყვანია, რომლის ფუნქცია იმდენად იოლი ჩანს, რომ ბევრს აფიქრებინებს — იქ ჯდომას და მხიარული გადაცემის გაძღოლას რა უნდაო! სინამდვილეში დათოს მრავალმხრივი დატვირთვა აქვს: ის არა მარტო გადაცემას, არამედ მისი მომზადების მთელ პროცესს ხელმძღვანელობს. მენეჯერის ამოცანას წარმოადგენს ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ტელეშოუს ხარისხსაც და მისი მზადების საორგანიზაციო ნაწილის სრულყოფას უზრუნველყოფს. მაშ, რა ხდება „ღამის შოუს“ კულისებს მიღმა? როგორ აჯარიმებენ და ახალისებენ მის შემქმნელებს და რა არის საჭირო საიმისოდ, რომ გერმანელებივით პუნქტუალურები გახდნენ?..

რაში უხდიან ფულს დათო გოგიჩაიშვილს ანუ ამერიკული მენეჯმენტი ქართული ხასიათის გათვალისწინებით

ლიკა ქაჯაია

— სპეციალობით მასმედიის მენეჯერი ვარ. ამ განხრით ამერიკაში მაგისტრის ხარისხი მომანიჭეს, ჩემთვის, მენეჯმენტის რამდენიმე განსაზღვრება არსებობს. მათ შორის, ერთ-ერთი, რომელიც ძალიან მომწონს, არის — გქონდეს უნარი, ჩვეულებრივ ადამიანებში აღმოაჩინო არაჩვეულებრივი შესაძლებლობები. არსებობს ასეთი განსაზღვრებაც — ადამიანებს გააკეთებინო ის, როცა გინდა, როგორც გინდა, იმიტომ რომ მათ უნდათ, რომ ეს გააკეთონ. ჩემს საქმიანობაში, ჩემთვის ამოსავალი წერტილი, მოტივაციური მენეჯმენტია.

— რას ნიშნავს მოტივაციური მენეჯმენტი?

— ავიღოთ პროდუქტი. ყველასთვის მნიშვნელოვანია, რომ ის იყოს ხარისხიანი, მაგრამ პირადად ჩემთვის, არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ ადამიანთა მოტივაციები, რომლებიც ამ პროდუქტს ქმნიან — სცენარისტები, მემონტაჟეები და ა.შ. შენ უნდა შექმნა ისეთი სისტემა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მათი სამსახურში მოსვლის სტიმულირება.

— შენს, როგორც მენეჯერის დაქვემდებარებაში მხოლოდ „ღამის შოუ“ შედის?

— „ღამის შოუ“ და ახალი პროექტი — „შაბათის შოუ“, რომელიც პირველ იანვარს გავიდა ეთერში. ესეც ამერიკული ფორმატითაა მომზადებული — „ღამის შოუსგან“ განსხვავებით, იქ უფრო მეტი სკეტჩი — ანუ გათამაშებული ნომერია. „ფარული კამერაც“ წესით, ჩემს დაქვემდებარებაში შედის, მაგრამ მართალი გითხრა, მოუცლელობის გამო, მათთან მენეჯმენტს ჯერჯერობით ვერ ვახორციელებ.

— ხშირად ხუმრობ იმ მომღერლებზე, რომლებმაც ესა თუ ის სიმღერა გადმოაქართულეს. „ღამის შოუც“ ხომ გადმოქართულებული ამერიკული პროგრამაა!..

— ფორმატი, რომელიც ჩვენ გადმოვაქართულეთ, სხვებმა შეიძლება ყოველგვარი შრომის გარეშე მიითვისონ, ადაპტაცია გაუკეთონ და ეთერში გაუშვან. მე კი ამისათვის ბევრი ეტაპი გავიარე და ბოლოს, ამერიკელებმა მომცეს უფლება, რომ პროექტი საქართველოში განმეხორციელებინა. ამისათვის, ოჰაიოს უნივერსიტეტში დავწერე კვლევა იმის შესახებ, თუ როგორი იქნებოდა ეს ფორმატი ჩვენს ქვეყანაში. ჩემმა მეგობარმა, პროფესორმა ჯენიფერ ლოსონმა მირჩია, ეს პროექტი წამეღო ვაშინგტონის მაუწყებლობის ნაციონალურ ასოციაციაში NAB-ში. ასოციაციამ პროექტი მოიწონა და გამიშვა ტელეკომპანია NBC-ში, რომელიც ამ ფორმატის ორიგინატორად ითვლება. მან კი მომცა უფლება, ეს გადაცემა, ადაპტირებული სახით გამეკეთებინა საქართველოში.

— ფორმატის ადაპტირების დროს, პირველ რიგში, რა გაითვალისწინე?

— ქართული ხასიათი — არაპუნქტუალობა, სიზარმაცე... შევცვალეთ მთელი რიგი ნიუანსები, ქართულ ბაზარზე მოსარგებად.

— ანუ ებრძვი ქართული ხასიათის უარყოფით მხარეებს... რა მეთოდით?

— შევქმენი გარკვეული სისტემა, რომლითაც შევებრძოლე ქართულ არაპუნქტუალობას. ჩვენთან არსებობს უმარტივესი ცხრილი: თუ თანამშრომელი დაიგვიანებს, მას ქულები აკლდება.

— რას ნიშნავს ქულების დაკლება?

— ქულების დაკლება ნიშნავს იმას, რომ მათემატიკურად დგინდება თანამშრომელთა კოეფიციენტები, რომლებიც თვის ბოლოს ჯამდება. ამ კოეფიციენტის საფუძველია: დაგვიანება, გაცდენა (არასაპატიო მიზეზით) და ა.შ. გვაქვს წახალისების სისტემაც. არსებობს ასეთი სიდიდე — „დღის ხუმრობა“ ანუ მთელი დღის განმავლობაში მოფიქრებულ ხუმრობებს შორის საუკეთესოს ვარჩევთ და დაფაზე წითელი ასოებით ვწერთ იმ ადამიანის სახელს, ვისაც ის ეკუთვნის. პლუსად ითვლება ისიც, რომ ადამიანი სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ, თავისი სურვილით რჩება სამსახურში და ცდილობს, მაგალითად, მოამზადოს ბითი.

ოჰაიოს უნივერსიტეტში დავწერე კვლევა იმის შესახებ, თუ როგორი იქნებოდა ეს ფორმატი ჩვენს ქვეყანაში

— ეს ქულები ანუ ჯარიმისა და წახალისების სისტემა ხელფასზე აისახება?

– ხელფასზეც, მაგრამ ჩემი აზრით და ამაში ბიჭებიც მეთანხმებიან, ხელფასი არ არის მთავარი – მთავარია, თავს დაფასებულად გრძნობდე იმის გამო, რასაც აკეთებ და ცდილობდე, რომ შენი სახელი ეწეროს წარმატებულთა დაფაზე და არა – პირიქით.

— არაპუნქტუალობის გამო შენ თუ დაუჯარიმებიხარ?

– პუნქტუალური ადამიანი ვარ. თუმცა, გაცდენა-დაგვიანებები, როგორც უფროსს, მე არ მეხება.

— ჩემი აზრით, პირველ რიგში, შენ უნდა გეხებოდეს...

– რა თქმა უნდა, მაგალითი მე უნდა მივცე სხვებს, მაგრამ ხშირად მაგვიანდება, რადგან ხან გადაცემის სტუმარს უნდა შევხვდე, ხან რაღაც სხვა საქმეები მაქვს.

— ეი. საპატიო მიზეზით აგვიანებ ხოლმე... „კავეენის“ კონცერტზეც მენეჯერის ფუნქცია გეკისრებოდა?

– დიახ, მევალებოდა ფუნქციების გადანაწილება, დაგეგმარება, სწორი მიმართულების მიცემა და ა.შ. – ანუ ის, რაც მენეჯერს ეხება.

— ამბობენ, რომ „რუსთავი 2“-ის რეიტინგი მას შემდეგ უფრო გაიზარდა, რაც თქვენი გასართობი პროგრამები გამოჩნდა ეთერში...

– შეიძლება. ეს ჩემთვის კომპლიმენტია. თუ ჩვენი გასართობი პროგრამების გამო უყურებენ „რუსთავი 2“-ს, ძალიან კარგია.

— მაგრამ ტელეკომპანიას სხვა გასართობი პროგრამებიც აქვს...

– კი, ბატონო, ვთქვათ, თამაში – „ვის უნდა 50.000“, ახლა გავაკეთეთ გადაცემა – „სუსტი რგოლი“. ამგვარად, „რუსთავი 2“-ის სტერეოტიპი, რომელიც ადრე არსებობდა – რომ ეს იყო მხოლოდ „კურიერი“, – ნელ-ნელა ინგრევა და ეს სასიხარულოა.

— რატომ მოიტანე შენი პროექტი მაინცდამაინც ამ არხზე?

– როცა ამერიკიდან ჩამოვედი, ამის თაობაზე მოლაპარაკება მქონდა „I არხთან“, „იმედთან“, „რუსთავი 2“-თან. მათ შორის, ყველაზე ადრე, „რუსთავი 2“-მა მოინდომა ამ პროექტის განხორციელება. მეორეც – აქ არსებობს დასავლური, ამერიკული ფასეულობები – მაგალითად, უნდა იმუშაო იმისათვის, რომ ფული იშოვო. მე მხოლოდ ასეთ პირობებში ვგრძნობ თავს კარგად. არის გარკვეული თავისუფლებაც – არავინ მირეკავს და მეუბნება, რომ ვიღაცაზე არ ვიხუმრო ან – პირიქით...

— ვის დაასახელებ ყველაზე საღი იუმორის მქონე პიროვნებად, იმ ადამიანთა შორის, ვინც მოწვეული გყავდა გადაცემაში?

– ვერც ერთს ვერ გამოვყოფ, რადგან ყველა ადამიანს აქვს თავისებური იუმორი.

— მაგრამ „ღამის შოუს“ განმეორებით ჩვენებებში, მაინც გამოარჩიე რამდენიმე პიროვნება...

– ეს მართლაც ასეა, მაგრამ ამ შემთხვევაში, მე არ ვეყრდნობოდი ჩემს გემოვნებას. გავითვალისწინე მაყურებლის მოსაზრება, ის, თუ რა მოსწონს მას. ესეც მენეჯმენტის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია.

— გაითვალისწინე მაყურებლის გემოვნება. ეს როგორ ხდება?

– ამისათვის შერჩეული გვყავს მაყურებელთა ფოკუსჯგუფი, რომელსაც პერიოდულად ვხვდებით ხოლმე. ვსაუბრობთ იმაზე, თუ რა უნდა შეიცვალოს, რა – დარჩეს და ა.შ. ჩვენთვის ამოსავალი წერტილი, მაყურებელია. არ მიმაჩნია

შევქმენი გარკვეული სისტემა, რომლითაც შევებრძოლე ქართულ არაპუნქტუალობას

სწორად, როცა ამბობენ: ხალხი აზრზე არ არის, ის ჩვენ უნდა აღვზარდოთო... ამას წინათ, ჯემალ ბაღაშვილის ინტერვიუ წავიკითხე, სხვათა შორის თქვენს ჟურნალში. მან ძალიან კარგად თქვა: როცა არჩევნებია, ყველა ამბობს – ხალხი ბრძენიაო, – ხოლო როცა სატელევიზიო პროექტებზე მიდგება საქმე, ყვირიან: ხალხმა არაფერი იცისო... სინამდვილეში, ყველაფერი ხალხისთვის უნდა გააკეთო, მასზეა დამოკიდებული, შენი რეიტინგი გაიზრდება თუ დაეცემა.

— ენდობი თუ არა სოციოლოგიურ კვლევებს, რომლებიც ბოლო დროს მოდურიც კი გახდა?

– ჯერ კიდევ ამერიკაში ვიყავი, როცა ქართულ სოციოლოგიურ ჯგუფთან ერთად ვცდილობდი, გამერკვია, მიიღებდა თუ არა ხალხი ჩემს პროექტს. კვლევებმა მიჩვენა, რომ „ღამის შოუ“ წარმატებას მიაღწევდა, რადგან იუმორი ქართველთა ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. სოციოლოგიური კვლევა მოდური კი არა, საჭირო და სასარგებლო საქმიანობაა.

— რა კრიტერიუმის მიხედვით შეარჩიე სცენარისტები?

– კრიტერიუმი ერთია – მათ უნდა წერონ ხუმრობები. მაგრამ მე საუბრის დასაწყისშიც აღვნიშნე: ჩემთვის მთავარია, საქმის ერთგულება. მიღებისას, ისეთი კითხვები დავუსვი, რომლითაც ვცდილობდი, გამომეცნო რამდენად შრომისმოყვარენი არიან.

— მაგრამ, ამ კითხვებით თავს ვერ დაიზღვევ მოულოდნელობისგან: ვგულისხმობ შენს ერთ-ერთ სცენარისტს, რომელიც თქვენგან ტელეკომპანია „იმედში“ მიდის...

– მას ჯერ გადაწყვეტილი არა აქვს, წავა თუ დარჩება. ყოველ შემთხვევაში, ყველას თავისი გზა აქვს... ჩვენ სცენარისტებთან ვდებთ 3-თვიან კონტრაქტს – ე.ი. მე უფლება მაქვს, 3 თვის შემდეგ გავათავისუფლო ნებისმიერი თანამშრომელი.

— ასეთი შემთხვევაც გქონია?

– ყოფილა შემთხვევა, როცა ერთ-ერთი პიროვნება გავათავისუფლეთ. ისიც ტელევიზია „იმედში“ წავიდა და მგონი, დღესაც იქ არის.

— გათავისუფლების მიზეზი რა იყო?

– მან საქმისადმი „ქართული“ მიდგომა გამოავლინა: გაინაღდა თუ არა სამსახური, იმ დღიდანვე, მისი პროდუქტიულობის კოეფიციენტი დაეცა... ორივემ ერთად ვცადეთ, სიტუაცია გამოგვესწორებინა, ბოლოს კი მითხრა: მე ვერ შევასრულე ის ამოცანები, რომლებიც ერთად დავსახეთო, – და წავიდა.

— გინდათ თქვათ, რომ „იმედზე“ მუშაობა უფრო ადვილია?

– ალბათ. მართალი რომ გითხრათ, მე არ ვიცნობ ამ ტელევიზიის შინაგან სტრუქტურას, მაგრამ გარედან, „იმედის“ სტერეოტიპი ასეთია – ბევრი ფული ნაკლებ შრომაში...

— ეკრანიდან საოცრად მხიარული, ეკრანს მიღმა — სერიოზული ყოფილხარ...

– გეთანხმები – სერიოზული ტიპი ვარ. ეკრანზე ჩანს, რომ ვკაიფობ, ვერთობი და ფულს ამაში მიხდიან. სინამდვილეში კი, ეს ყველაფერი შრომატევადი პროცესის შედეგია... პარალელურად ვასწავლი „GIPA“-ში, მედიამენეჯმენტს. ჩვენ გავაკეთეთ ქართულენოვანი კურსი (საერთოდ, ინგლისურენოვანი იყო), სადაც ჩემი სტუდენტები იყვნენ ტელევიზიების მენეჯერები ან პროდიუსერები, რომელთაც რაღაც ჯგუფები აბარიათ. ამით მეც ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე.

— ერთ-ერთი ჟურნალისთვის მიცემულ ინტერვიუში დათო ილურიძემ თქვა, რომ დაგალურჯებდა და ხალხმა ეს დაიჯერა...

– არ გამიგია, დამალურჯა?.. თუმცა, ეს არის თემა, რომელზეც ჩვენ ვხუმრობთ. ილურიძე ჩემი მეგობარია, „ღამის შოუს“ ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილი, ბენდის ხელმძღვანელი და საერთოდ, ჩემი გადაცემა ამ ბენდის გარეშე წარმოუდგენელია. თუ ეს ხუმრობა მაყურებელმა ვერ გაიგო და დაიჯერა, მისი პრობლემაა.

— იმასაც ამბობენ, მუშაობაში ისე გაერთობა ხოლმე, რომ ღამის პირველი საათი დილა ჰგონიაო...

– კარგი ერთი!.. როგორც წესი, ღამის პირველი საათი ზუსტად ის დრო მგონია, რომელიც არის...

— ახალი წელი როგორ გაატარე?

– ახალ წელს, ტრადიციულად, ოჯახში ვხვდები ხოლმე. მერე მეგობრებთან წავედი...

— ანუ ტრადიციების მიმდევარი ხარ?

– ჩვენი ტრადიციებიდან ბევრი რაღაც მომწონს, ბევრი – არა. მაგრამ ახალი წლის ოჯახში შეხვედრა მარტო ქართული ტრადიცია არ არის.

— დაბოლოს — თუ შეგიძლია, გაიხსენო ყველაზე უიღბლო და იღბლიანი პერიოდი შენს ცხოვრებაში?

– კარგი კითხვაა, მაგრამ პასუხი არ მაქვს – არ მახსენდება დრო, როცა თავს უიღბლოდ ვთვლიდი... მოდი, მენეჯმენტის კიდევ ერთ საიდუმლოს გაგიმხელ: წარმატება მოდის მაშინ, როცა შენი მომზადებულობისა და იღბლის სხივები ერთმანეთს კვეთენ. რაც შეეხება მომზადებას, მე ეს პროცესი მიყვარს. ნებისმიერ თემას შემიძლია, ბეჯითად ჩავუჯდე და მოვამზადო. ეს ჩემი ერთ-ერთი საამაყო თვისებაა. ასე რომ, არ მქონია პერიოდი, როცა არ მოვმზადებულვარ – ანუ რაღაცის მისაღწევად ყოველთვის გამიწევია შრომა...

— ე.ი. იღბლიანი ხარ?

– იღბლიანი ტიპი ნამდვილად არ ვარ. ხომ არსებობენ ისეთები, რომელთაც ლატარიაში ხშირად უმართლებთ. ჩემთვის ასეთი რამ არ არსებობს. მე ყველაფერი ჩემით უნდა მოვიპოვო, მაგრამ ამის გამო ვერ ვიტყვი, რომ უიღბლო ვარ. ■

ეკრანზე ჩანს, რომ ვკაიფობ, ვერთობი... სინამდვილეში კი ეს ყველაფერი შრომატევადი პროცესია...

...ეჯთ ქალიშვილს ეხატვჩოვა, ეეოჩეს - ჯინოჩექისოჩოვა დანათლა

**დანო და ძმანო.
ქალბატონებო და ბატონებო.
თქვენს მონა-მორჩილს —
მორის ფოცხიშვილს
წამლად სჭირდება
ერთი ჭიქა
იმედი
თქვენგან, —
რწმენა იმისა,
კვლავაც ერთად
რომ ივლით ხვალ-ზეგ
წმინდა ტაძრისკენ
მიმავალ გზაზე.**

შემოქმედებითი მემკვიდრეობის გარდა, დიდმა პოეტმა ამქვეყნად ღირსეული შთამომავლობა დატოვა. სახლში, რომლის კედლები მორის ფოცხიშვილის პორტრეტებითა და მისი დახატული სურათებითაა მოფენილი, ხოლო თაროებზე მისი უსაყვარლესი წიგნები დევს, პოეტის მეუღლე ქალბატონი როზიტა, შვილები — ცნობილი რეჟისორი ბასა და ცნობილი მხატვარი თამრიკო და შვილიშვილი დათო ცხოვრობენ. ბასას და თამრიკოს ვთხოვეთ, მამაზე ესაუბრათ და მათი ურთიერთობის შესახებ მოეთხროთ.



მორისი,
ბასა და თამრიკო

ემა ტუხიაშვილი

თამრიკო:

— ძალიან მნიშვნელოვანია, თუ ვინ არის შენი წინაპარი და ვის გვარს აგრძელებ. აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობაც იზრდება. არსებობს ადამიანების კატეგორია, ვინც მხოლოდ საკუთარ თავზეა პასუხისმგებელი. მაგრამ როცა შენს ზურგს უკან ცნობილი პოეტის სახელი და გვარია, უარს ამბობ გარკვეულ ქმედებებზე.

— მაგალითად, რას არ ჩაიდენდით იმის გამო, რომ მამათქვენი მორის ფოცხიშვილი იყო?

ბასა:

— არასდროს დავწერ ლექსს; არასოდეს ჩავერევი პოლიტიკურ საქმიანობაში; არ გავაკეთებ რამეს უნიჭოდ; არ დავწვრილმანდები და არ გავეხვევი ინტრიგებში... სწორედ მამის დამსახურებაა, რომ ყოველთვის, როდესაც ჩემგან დახმარებას ითხოვენ, თავს ვალდებულად ვთვლი, რომ დავეხმარო.

— როგორი იყო მორის ფოცხიშვილი შვილებთან ურთიერთობისას? რაიმე მოფერებით სახელებს თუ გეძახდათ?

თამრიკო:

— ბასას მოფერებით „ბასოს“ ეძახდა, მაგრამ ყველაზე დიდი მოფერება ის იყო, „მამას“ თუ დაგვიძახებდა... ნამდვილი ქართველი მამა იყო, მოსიყვარულე და მზრუნველი, მაგრამ ქართველი მამაკაცებისგან განსხვავებით, აზიატი არასდროს ყოფილა. არ მახსოვს, რომ მინიკაბის ჩაცმა აეკრძალოს ჩვენთვის. თავისუფლების მოყვარული ადამიანი იყო და ჩვენც თავისუფლებას გვანიჭებდა. ამგვარი მიდგომა კი, თავისთავად გულისხმობდა, რომ ჩვენ არ ვისარგებლებდით ბოროტად მონიჭებული უფლებით და მორისისთვის მიუღებელს არაფერს ჩავიდენდით. ისე გაგვზარდეს, რომ იმთავითვე შთაგვაგონეს: ქვეყანაზე მთავარია სულიერება, ფიზიკურს კი არაფერს მნიშვნელობა არა აქვს. როდესაც თავისუფალი ხარ, ღია კარს აღარ ამტვრევ.

ბასა,
დათო და
თამრიკო

ბასა:

— ჩვენი და მამის დამოკიდებულება ურთიერთპატივისცემაზე იყო დამყარებული. პატარაობისას ამას იმით გამოვხატავდით, რომ როდესაც მორისი მუშაობდა, წყნარად ვიყავით და ხელს არ ვუშლიდით. უფრო მეტიც — როდესაც ცოტა წამოვიზარდე, ხელნაწერიდან მე ვუბეჭდავდი მორისს ლექსებს. ალბათ ამის გამოა, რომ თუმცა მისი ლექსები არასდროს დამიზეპირებია, სკოლაშიც კი, მაინც ყველა ვიცი. ჩვენს სულელურ ახირებებსაც კი პატივისცემით უყურებდა მორისი. ასეთი მიდგომით პიროვნებებად გვზრდიდა და გვაყალიბებდა, არ უნდოდა, რომ დავთრგუნვილიყავით და დავჩაგრულიყავით. ერთმანეთის მხარში დგომას ვგრძნობდით ყოველთვის. არ ყოფილა ჩემი ფილმის ერთი პრემიერაც კი ან თამრიკოს ნამუშევრების ჩვენება, რომ მამა არ წამოსულიყო. ჩვენც ასევე ვცდილობდით, რომ მნიშვნელოვან წუთებში მორისის გვერდით ვყოფილიყავით.

თამრიკო:

— როდესაც პირველი ქართული

კინოფესტივალი მოეწყო, მამა უკვე შეუძლოდ იყო. მაგრამ იცოდა, რომ საუკეთესო მხატვრის ნომინაციაზე ვიყავი წარდგენილი და ავადმყოფობის მიუხედავად, ფინალურ საღამოზე ჩემთან ერთად წამოვიდა. ჩემზე მეტად ნერვიულობდა. შემდეგ კი გამიმხილა: შინაგანად დარწმუნებული ვიყავი, რომ გაიმარჯვებდიო.

ბასა:

— მამასთან ურთიერთობა პირველ რიგში, განათლებას გვაძლევდა. ამისთვის მორისი არაფერს იშურებდა. ზოგჯერ, როდესაც არ ვიცოდით რაღაც, თავად მოგვიყვებოდა ან წაგვიკითხავდა ხოლმე. როდესაც მე და თამრიკო, მაგალითად, ტელევიზორს ვუყურებდით, ის წიგნით ხელში შემოვიდოდა და მხოლოდ ცალკეულ ფრაზებს ამოგვიკითხავდა, რომ ამ წიგნით დავინტერესებულიყავით... დღემდე, როდესაც მამის ბიბლიოთეკიდან წიგნებს ვფურცლავთ, ხან წითელი ფანქრით ხაზგასმულ სტრიქონებს, ხან კი, ფურცელზე გაკეთებულ მინაწერებს ვაწყდებით. როდესაც ძალიან პატარები ვიყავით, მორისის მიერ მოყოლილი „სამი გოჭის“ ვერსია გვიყვარდა. ვერ წარმოიდგენთ, როგორი არტისტიზმით მოგვითხრობდა ამ ამბავს!.. თუმცა, მისთვის ყველაზე საყვარელი ზღაპარი „წიქარა“ გახლდათ.

თამრიკო:

— პატარა ვიყავი, როდესაც მამა ოსკარ უაილდის შემოქმედებას თავად მიკითხავდა. ახლა მეც მის მსგავსად ვიქცევი და ჩემს შვილს ვაცნობ ამ მწერალს. მაგრამ მორისის მიერ მონიშნულ ადგილებს კი რამდენჯერმე ვუკითხავ დათოს.

ხელნაწერიდან მე ვუბეჭდავდი მორისს ლექსებს...

ბასა:

— მე კი ოსკარ უაილდს განსხვავებული ტიპის მწერლად მივიჩნევდი და არც ერთი მისი ნაწარმოები არ მქონდა წაკითხული. მხოლოდ მორისის გარდაცვალების შემდეგ დავინტერესდი მისით და გაგიკვირდებათ, მაგრამ ახლა ის ჩემი საყვარელი მწერალია.

— რადგან მამასთან ასეთი მეგობრული ურთიერთობა გქონდათ, თქვენს თაყვანისმცემლებზე თუ უყვებოდით მას?

— მიმაჩნია, რომ ასეთ სისულელეებზე საერთოდ არ უნდა შეაწუხო მამაკაცი. ასეთი წვრილმანები თვითონაც არასდროს უკითხავს ჩვენთვის. გვიან რომ დავბრუნებულვარ სახლში, ისიც კი არ უკითხავს — სად იყავიო? მორისი მართლა პატივს გვცემდა და ჩვენგანაც იმავეს იღებდა.

— არასდროს გაგწყრომიათ, გაბრაზებული არ გინახავთ?

თამრიკო:

— მხოლოდ იმაზე ბრაზდებოდა, თუ ისეთი რამ არ ვიცოდით, ან არ გვქონდა წაკითხული, რაც მას აუცილებლად მიაჩნდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სხვისი მხრიდან დიდ უგუნურებას წააწყდებოდა, მხოლოდ ხელებს გაშლიდა და გაკვირვების ნიშნად, ხელის მტევნებს შეათამაშებდა ან იტყოდა: ეს კაცი შეპყრობილიაო...

— ლიტერატურის გარდა, რის სიყვარულს აღვიძებდა მამა თქვენში?



მორისი ეკლესიამია დაკრძალული... ამიგომ მის დაბადების დღეს საფლავზე და ამავე დროს, ეკლესიაში ვატარებთ...

ბასა:

— ხშირად დავდიოდით მასთან ერთად კინოში. მაშინ კინოს სახლში არაჩვეულებრივი ფილმების ჩვენება ეწყობოდა ხოლმე. ხოლო ერთხელ, მე და მორისი მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე ვიყავით ერთად წასული. მამა გერმანიიდან მოსკოვში ჩაფრინდა და როდესაც ფესტივალზე მიწვევა მიიღო, თბილისში დამირეკა: შენც ჩამოდიო. ჩავედი. მამას ერთხელ უკვე ნანახი ჰქონდა კოპოლას ფილმი — „მთელი გულით“, კინოფესტივალის დირექტორს კი უთხრა — მთავარი, ვისაც ეს ფილმი უნდა ენახა, ეს არისო, — და ჩემზე მიანიშნა. ამიტომ ჩემთან ერთად კიდევ ერთხელ დაესწრო ამ ფილმის ჩვენებას... აბსოლუტურად ყველა მოგზაურობიდან ჩამოჰქონდა ჩემთვის მხატვრული ფილმების ჩანაწერები. მისი დამსახურებაა, რომ პროფესიით კინორეჟისორი ვარ.

— თამრიკო, თქვენი პროფესიის არჩევა მამის გავლენით მოხდა?

თამრიკო:

— მოგეხსენებათ, რომ მორისი კარგად ხატავდა და სახლში ყოველთვის გვქონდა საღებავები, ფერადი ფანქრები. ამიტომ, თუ ჩემი თანატოლები სამყაროსთან ურთიერთობას სათამაშოებით იწყებდნენ, მე ეს ურთიერთობა ფანქრებითა და ფუნჯებით ჩამომიყალიბდა. ზოგჯერ მორისთან ერთად ვხატავდი და ჩემი პირველი მასწავლებელი სწორედ ის იყო. შემდეგ, თავისი მეგობარი მხატვრების სახელოსნოში დავყავდი, რათა მათი სამუშაო პროცესისთვის მედევნებინა თვალყური. არასოდეს დაუმალავს ჩემთვის, რომ ეს საკმაოდ მძიმე პროფესიაა. შემახედებდა სალონის კედელზე მიყუდებულ რომელიმე ტილოს და მეტყოდა: ხშირად ხდება, რომ ნახატი იხატება, მაგრამ წლების მანძილზე ელის აღიარებასო... თვითონ კი, ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ გაჭირვებაში მყოფ მეგობარ მხატვრებს დახმარებოდა.

— საჩუქრებით თუ განებივრებდათ და უმეტესად, რით?

ბასა:

— უცხოეთიდან ლამაზი სამოსი ჩამოჰქონდა ჩვენთვის. დღეს თუ გემოვნებით მაცვია და სახელობითი სა-

მოსისკენ მაქვს ლტოლვა, მორისის დამსახურებაა. თავადაც ესთეტი იყო და ამბობდა: რაც არ უნდა მოხდეს, ადამიანი ლამაზად უნდა იყოს ჩაცმულიო. ექსტრავაგანტური და განსხვავებული ნივთების ყიდვა უყვარდა. მაგალითად, მისი მიერ ჩამოტანილი კაბა ძალიან ლამაზი იყო, მაგრამ არაპრაქტიკული. ძველ ხატებს გვჩუქნიდა ხოლმე, წიგნებს, თამრიკოს კი — საღებავებსა და ფუნჯებს.

თამრიკო:

— ერთხელ, ოპერაცია გავიკეთე და საავადმყოფოში ვიწექი. მორისმა პალატაში წერილი შემომიგზავნა, რომელშიც დაღესტნური ვერცხლის დიადემა იყო გახვეული. წერილს კი, თან პატარა ლექსიც ახლდა.

— სამოგზაუროდ თუ ყოფილხართ მამასთან ერთად?

— თითქმის ყოველთვის ვახლდით მორისს ან მე, ან ბასა. ყველაზე შთამბეჭდავი იყო ჩემი და მამის ვოიაჟი ფრანკფურტში წიგნების გამოფენაზე, სადაც მორისის ლექსების კრებულიც იყო წარმოდგენილი. იქიდან კი, პირდაპირ საფრანგეთში გავემგზავრეთ და ლევილი მოვინახულეთ. სწორედ იქ გავიგეთ მერაბ კოსტავას გარდაცვალების შესახებ. პარიზის პატარა ქართულ ეკლესიაში წირვა ჩატარდა და ქართველ ემიგრანტებთან ერთად ჩვენც დავესწარით. არასდროს დამავიწყდება, თუ როგორი სევდიანი იყო მორისი მაშინ. სწორედ იმ პერიოდში დაწერა მან მერაბ კოსტავასადმი მიძღვნილი რამდენიმე ლექსი.

— სუფრასთან როგორი იყო ბატონი მორისი?

— მართლაც, ბევრი ლამაზი სუფრა გვინახავს ჩვენს ოჯახში, როგორც მორისის, ასევე მისი მეგობრების თამადობით. სხვათა შორის, მორისსა და როზიტას ქორწილში გოგლა ლეონიძე ყოფილა თამადა... ეს არ იყო ბევრი სმა-ჭამით გამორჩეული სუფრები — იქ ნამდვილი ურთიერთობები ყალიბდებოდა.

ბასა:

— ისეთი სტუმრიანი ოჯახი გვქონდა და დღემდე ასეა, — რომ დილით ამდგარს, არ ვიცოდი, ვინ დამხვდებოდა მისაღებში... მორისის ის მეგობრები, ვინც დღესაც ცოცხალია, კვლავ აგრძელებენ ჩვენთან სტუმრობას, უცხოელი კოლეგები კი, ტელეფონით გვიკავშირდებიან ხოლმე. ახალ წელს მთელი ოჯახი აუცილებლად სახლში ვხვდებოდით. მორისს ნაძვის ხის სათამაშოები უცხოეთიდან ჩამოჰქონდა, ამიტომ ყოველთვის გამორჩეულად ლამაზი ნაძვის ხე გვქონდა. უსაჩუქროდ არც ერთ ახალ წელს არ დაგვტოვებდა. ბოლო დროს, როდესაც სახლიდან ვეღარ გადიოდა, ფულს გვჩუქნიდა, თანაც ბევრს.

— მის დაბადების დღეს როგორ აღნიშნავთ?

— მორისი ეკლესიაშია დაკრძალული, სამთავროში, მცხეთაში, რაც დიდი პატივი და, ამასთანავე, სასიხარულოა ჩვენთვის. ამიტომ მის დაბადების დღეს საფლავზე და ამავე დროს, ეკლესიაში ვატარებთ. მოგეხსენებათ, იქ დედათა მონასტერია. დედები დიდი სიყვარულით გვეგებებიან ხოლმე. ისინი ჩვენთვის და მამაჩვენის სულისთვის ლოცულობენ... ■

მორისის ის მეგობრები, ვინც დღესაც ცოცხალია, კვლავ აგრძელებენ ჩვენთან სტუმრობას, უცხოელი კოლეგები კი, ტელეფონით გვიკავშირდებიან ხოლმე...

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რა დაარქვეს XX საუკუნის დასაწყისში ფირმა „ბრიტიშ ვაკუუმ კომპანიის“ მიერ გამოშვებულ პირველ მტვერსასრუტს?

ა) „მქშინავი ბილი“;
ბ) „მტვერიყლაპია მანქანა“;
გ) „ქალბატონი სისუფთავე“.

2. თემურ წიკლაურმა „ღამის შოუს“ ეთერში განაცხადა — „იმისათვის, რომ იმღერო, საჭიროა ცოტა ხმა, ცოტა სმენა და ბევრი...

ა) ღვინო“;
ბ) აპლოდისმენტი“;
გ) სინდის-ნამუსი“.

3. რა ეწოდება ნახნავში, კვალსა და კვალს შუა მოუხნავად დარჩენილ ადგილს?

ა) ხარვეზი;
ბ) კვალი;
გ) პლანი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

1. ქოცო პატარა ქვევრია.
2. რუსეთში 800000 სოფელია.
3. მეტყველების მოშლას აფაზია ჰქვია.
4. ეშმაკი და ქასქანჯიელი სინონიმებია.
5. გრამფირფიტებს ყინულისა და შოკოლადისგანაც ამზადებენ.
6. ღვეზლის ცომს პეპი გრძელიწინდა იატაკზე აბრტყელებდა.
7. მარგარეტ ტეტჩერს ბარონესას ტიტული აქვს მინიჭებული.
8. ილია ჭავჭავაძემ და ოლღა გურამიშვილმა 45 წელი იცხოვრეს ერთად.
9. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II ვლადიკავკაზშია დაბადებული.
10. ზურაბ ჟვანია პროფესიით ბიოლოგია. იგი ცხოველთა ქცევის სპეციალისტია.
11. ვინც იბრძვის, შესაძლოა, დამარცხდეს, ვინც არ იბრძვის, უკვე დამარცხებულია.
12. „რომა“ ბოშათა საკუთარი სახელწოდებაა. ბოშები აწინკნურ ენაზე ლაპარაკობენ.
13. იურგის ბალტრუშაიტისი ლიტველი პოეტია, იოსებ ბოქშაი – უკრაინელი ფერმწერი.
14. „არაფერი ისე არ აერთიანებს ადამიანებს, როგორც კარგი, უწყინარი სიცილი“, – ამბობდა ლევ ტოლსტოი.
15. მიტინგზე გამოსვლის დროს, იოზეფ გებელსი, მისივე მტკიცებით, წონაში კილოგრამ-ნახევარს იკლებდა.
16. „თქვენ იცით, რა არის მარტოობა?.. როცა გაქვს ტელეფონი და მის ნაცვლად კი, მაღვიძარა რეკავს“, – ამბობს რუსი მსახიობი კლარა ნოვიკოვა.
17. თბილისში პირველი აფთიაქი („წამალთ-ხანა“) კათოლიკე მისიონერებმა 1740 წელს დააარსეს. მოგვიანებით, ირანიდან მოწვეულმა ექიმმა სეინეგსმა ერეკლე მეორის სასახლის კარზე გახსნა აფთიაქი და სამკურნალო სკოლა.
18. ფიდელ კასტრომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, პირველ რიგში, უნივერსიტეტის ავტონომია გააუქმა და პრესის თავისუფლება შეზღუდა.
19. ამერიკელ მენაღმეებს აფეთქების ადგილზევე შეუძლიათ, დაზარალებულისთვის ქირურგიული ოპერაციის ჩატარება.

„ქალი გამოვიდა ქმრის სალოლიყიდ“...

ინგა ჯაყელი

ბევრჯერ დაემუქრა ქმარს ლია – კიდევ ერთხელ მოადგები კარს მთვრალი და თუ შემოგიშვა, ქალი არ ვიყოო! – მაგრამ ყოველთვის დაარღვია პირობა, ერიდებოდა მოყურადებული მეზობლების ყბაში ჩავარდნას: მომჭრიან თავს, ქვეყანას გააგებინებენ ჩემს უბედურებას; არადა, ხომ მაფრთხილებდნენ, რა „ვაჟკაციც“ იყო ეს ჩემი ბედოვლათი ქმარი თუ რა – ლოთი, მოლაყბე და ქალების მუსუსიო?!

7 წელი ითმენდა მის „უნამუსობას“ იმ იმედით – იქნებ, ბავშვი გამაჩენინოს ერთი და თუ ამის შემდეგაც არ მოვა ჭკუაზე, ჯანდაბამდე გზა ჰქონია, მე წავალ და გავეცლები, უმადური კაცის მომსახურებას მირჩევნია, ისევ ჩემს რძლებს ვემსახურეო!..

ბავშვიც არა და არ გაუჩნდა. ექიმებშიც იარა, ერთს რომ არ ენდო, მეორეს და მესამეს ეხვეწა: არ დამიმალოთ, მითხარით, რა მჭირსო? – და ყველა ერთხმად მიუგო: ქმარი მოგვიყვანეთ, თქვენ უშვილობის არაფერი გჭირთო!..

– საექიმო რა მჭირს, ორი ქალი ზრდის ჩემს ბავშვებს და აბორტი რამდენმა გაიკეთა, მაგი არც დამითვლია! – წამოაყრანტალა ერთხელ, ღვინისგან ტვინგახურებულმა თენგოიამ. იბურტყუნა, იბურტყუნა და მალე ისეთი მყრალი ოხშივარი ამოუშვა ხვრინვასთან ერთად, რომ საკუთარი თავი შეზიზღდა ლიას: ამას როგორ ვწირავ სიცოცხლეს და წუთისოფელსო?!. ის ღამე თეთრად გაათენა ქალმა და დილისთვის საბოლოოდ მიიღო ქმრის ღალატის გადაწყვეტილება: ამასავით ლოთობას ვერ დავიწყებ და რაც დაიმსახურა, იმას მივართმევ, თუ ბავშვის გაკეთება უმაგისოდაც შემიძლია, რაღას ველოდოო?!.

სტუდენტობის დროინდელი მოკლე კაბა ჩაიცვა და მაღალ ქუსლებზე რომ შედგა, ცოტა კი ეხამუშა, მაგრამ თავს მოერია: ტრაფარეტს ვერ გავიკეთებ გულზე, რომ ბოზობა გადავწყვიტე და სხვანაირად როგორ მივახვედრო კაცს განზრახულიო?! ჰოდა, ისეთი გულამოღებული „კოფთა“ ჩაიცვა, რომ მონდომებული კაცი მარტო მკერდს კი არა, ჭიპსაც შეუთვალიერებდა... თმა გაიშალა, შავი სათვალე დაიკოსა და ეზოში ჩასული, ჭორიკანა მართა დეიდამაც ვერ იცნო, სალამზე ზურგი აქცია და აგრძნობინა: შენნაირებს გამარჯვებას როგორ ვუსურვებო?!. მერე კარგა ხანს გრძნობდა ზურგში ქალის გამჭოლ და ცნობისმოყვარეობით ანთებულ მზერას: ნეტავ, ვისი სახლიდან გამოვიდა ამ დილაადრიან ეს ნამუსგარეცხილიო?..

200 მეტრიც არ ჰქონდა გავლილი ლიას, ძველი „ჟიგული“ რომ გაუჩერდა ფეხებთან:

– დაჯექი, ოღონდ, 5 ლარზე მეტს ვერ მოგცემ, სამაგიეროდ, არც დროს დაგაკარგვინებ ბევრს, სამსახურში მაგვიანდება – ურცხვად მიაშტერდა პირდაუბანელი კაცი.

რატომღაც შეეშინდა და უცხო ეზოში შევარდა. მანქანა კი წავიდა, მაგრამ ზურგს უკან მოესმა ვნებამორეული ხმა:

– ვა-ა, ეს რა ჩიტი მოფრენილა!.. – და უეცრად, უკანალზე წამოარტყა ხელი ღიპიანმა წითურმა კაცმა, ხაშის სუნად რომ ყარდა.

– რას კადრულობ, თუ იცი!.. – აუმაღლა ხმას ლიამ.

– ვკადრულობ თუ არა, გიკვირს! – მკლავზე წაეპოტინა გაქონილი კოტიტა თითებით და სადარბაზოსკენ წათრევა დაუპირა კაცმა.

– მიშველეთ! – იკივლა ლიამ განწირული ხმით და მართლა შეაშინა კაცი:

– ნაგიჟარი ხარ, შენი დედა!.. – შეუკურთხა „მამაპაპურად“ და ისე გაცუხცუხდა, მისი ღიპის „თუხთუხის“ ხმა კარგა ხანს ისმოდა.

პირველი სართულის აივანზე თავწაკრული ქალი გადმოდგა:

– დაიკარგე აქედან, სანამ პოლიციაში არ დამირეკავს!

...სუპერმარკეტის წინ შედგა, ხალხმრავალი ადგილი იყო და გაიფიქრა: აქ მაინც ვერ გამიბედავს ვინმე, ასე იოლად აკიდებასო! – და სწორედ ამ დროს

გადაუდგა წინ 17-18 წლის ლაწირაკი გოგო:

— დეიდა-ბებია, სანამ ლამაზი ხარ, აქედან მოუსვი, სამუშაო ჩვენც ძლივს გვყოფნის!..

— ეს რამ გაფიქრებინა?! — შეუღრინა ლიამ.

— რა ვიცი, დენიკინის დროინდელი ბოზივით კი გამოიყურები და მე გამიფრთხილებიხარ!..

წელმოწყვეტილმა გააგრძელა გზა და ვიღაც კაციც აედევნა. ერთი შეხედვით ინტელიგენტს ჰგავდა. ჩურჩულით ჰკითხა:

— საათში რამდენს ითხოვ?

ამას რომ დაემსგავსოს ჩემი შვილი, ხომ ჩამოსახრჩობი მექნება თავიო, — გაიფიქრა და უპასუხოდ, ცენტრალურ ქუჩაზე გადაუხვია. იქვე დაუსვა შეკითხვა საკუთარ თავს: რისთვისაც გამოვედი ქუჩაში, იმას კი მივაღწიე და რაღაზე ვბრაზობო?..

ამის შემდეგ, როგორც კი გაუჩერა მანქანამ, მაშინვე გამოაღო კარი და ჩაუჯდა, თან — მართალია, კაცი, ბევრად უფროსი იყო მასზე, მაგრამ სიმპათიური და რაც მთავარია, აშკარად სუფთა ჩანდა...

— რამდენი გინდა? — ჰკითხა მან პირდაპირ.

— არც არაფერი, ფული არ მჭირდება! — უპასუხა ლიამ გულახდილად.

— ისე არ შემიძლია — გადადი! — უთხრა კაცმა.

— ფულია მთავარი?.. — გაოცდა ქალი.

— რაც არ იყიდება, ის ვალად გედება, შენ შარს ეძებ, რომელიც არაფერში მჭირდება! — ცივად უთხრა კაცმა. მერე, როცა ლიამ კარი გამოაღო და გადასვლა დააპირა, დასძინა:

— ბოზი არა ხარ და მართლაც, შარს არ გადაეყარო. თუ გინდა, სახლში მივიყვან. აღარ მიბრუნებულა და ფეხით დაუყვა გზას. არა შეჯდა მწყერი ხესაო... — ამის გაფიქრება მოასწრო, რომ ლუდის ბართან მდგომი კაცი წამოვიდა მისკენ ბარბაცით:

— ბევრი არა მაქვს, „პივაზე“ დაგპატიჟებ, თუ გინდა...

— წადი, შენი ტოლი ნახე! — შეუღრინა ლიამ.

— აბა, შიშველი რას დაეთრევი ქუჩაში?! — შეიცხადა მთვრალმა და გინებაც დაადევნა.

მიხვდა — ქუჩაში ვერ იპოვიდა „სიმშვიდეს“ და თავისი ძველი შეყვარებული გაახსენდა, რომელიც ცოლს გაეყარა 2 წლის წინ და მარტო ცხოვრობდა. ტაქსაფონი მოძებნა და მისი ნომერი აკრიბა... ქალმა უპასუხა და იქვე „მისი“ ხმაც მოესმა:

— რამდენჯერ გაგაფრთხილე, რომ ტელეფონს არ უპასუხო, შენი დედა!..

ლია ტაქსის გადაუდგა წინ. პირველმა არ გაუჩერა, არც მეორემ. მესამეს ლამის ბორბლებში შეუვარდა. გინებით გადმოუხტა მძღოლი:

— მღუპავ, შე გათახსირებულო?! ფეხებს რომ გაფშიკავ, მერე კი გამოგიჩნდება პატრონი!..

— გეხვეწები, სახლში მიმიყვანე! — ისეთი საწყალი ხმით შეეხვეწა, რომ მძღოლს უცებ მოულბა გული.

— რა იყო, ვინ გაწყენინა?

— არაფერი არ მკითხოთ! — და თავისი მისამართი უთხრა...

— კარგ ქალს ჰგავხარ და თავს რად იღუპავ? — უსაყვედურა, როცა მანქანიდან გადადიოდა.

ქალმა არც უპასუხა და არც ხურდა გამოართვა.

...ნეტავ, ეზოში არავინ იყოსო! — შეევედრა უფალს.

კიდევ კარგი, რომ არც ქმარი დახვდა შინ...

სარკეში რომ დაინახა საკუთარი „ორეული“, გაუკვირდა — რამ გადამარჩინაო?!

სასწრაფოდ გაიხადა ტანსაცმელი, ცელოფანის პარკში გაახვია და ნაგვის ბუნკერში გადაუძახა.

...გვიან საღამოს ისევ მთვრალი მოვიდა თენგო. ლიას საყვედური არც კი დასცდენია. ვახშამიც უხმოდ გაუწყო და როცა ისიც შესთავაზა — შხაპს ხომ არ გადაივლებო? — შეშფოთებისგან უცებ გამოფხიზლდა კაცი — ხომ მშვიდობაა? რაიმე ხომ არ მოხდაო?

ლიამ ნაზად გაუღიმა:

— სიგიჟემდე მიყვარხარ! — უთხრა და მკლავზე თავი დაადო. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

20. „რასიუ ვ „ნატო“ ნე ვპუსტიატ, პატამუ ჩტო ესლი რასია ვაიდიოტ ვ ნატო, ტო — პა სამიე ნიდერლანდი“, — ამბობს მიხაილ ზადორნოვი.

21. ინდოელი მწერალი აშვაგჰოშა, გადმოცემის თანახმად, I-II საუკუნეებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. იგი სანსკრიტულ ლიტერატურაში ერთ-ერთი პირველი დრამატურგია: მისი „შარიპუტრაკარანა“ ინდური დრამის უძველესი ნიმუშია.

22. სპარსეთის ისტორიაში აქემენიდთა დინასტიის 12 მეფეა ცნობილი. დინასტიის ფაქტობრივი დამაარსებელი იყო კიროს II დიდი (ძვ.წ. 558–530 წლები). მისი ძის, კამბისეს შემდეგ, დინასტიის ახალი ხაზი აქემენიდების გვერდითი შტოს წარმომადგენელმა დარიოს პირველმა (522-486) გააგრძელა. დარიოს პირველის წარწერის მიხედვით, ძველი აქემენიდების გენეალოგია ასეთია: „მამაჩემი — ვიშტასპა, ვიშტასპას მამა — არშამა, არშამას მამა — არიარამნა, არიარამნას მამა — ჩიშპიში, ჩიშპიშის მამა — აქემენი. იმიტომ ვიწოდებით „აქემენიდებად“. P.S. ამ დინასტიას ალექსანდრე მაკედონელმა მოუღო ბოლო.

23. მეთანი უფერო, უსუნო და მომწამვლელი აირია. ჰაერში მისი შემცველობის დასადასტურებლად, მეშახტეები იადონებს იყენებდნენ. ეს ფრინველი ადამიანზე ასჯერ უფრო სწრაფად სუნთქავს და მეთანის ჩასუნთქვისას მალე იღუპება.

24. „საგნებს შეუძლია, გაცილებით მეტი მოგვითხრონ ადამიანთა შესახებ, ვიდრე ადამიანებს — საგანთა შესახებ“, — ამბობდა შერლოკ ჰოლმსი.

25. 1254 წელს მონღოლებმა საქართველოში აღწერა ჩაატარეს. აღიწერა საქართველოს მამრობითი სქესის მოსახლეობა, 15-60 წლის ასაკისა.

აღწერის შედეგად, მონღოლებმა 90 ათასი მეომარი შეაწერეს საქართველოს, იმ ანგარიშით, რომ 9 სრული ფუძის მქონე გლეხს ერთი მოლაშქრე უნდა გამოეყვანა. ამ ცნობის მიხედვით ირკვევა, რომ იმ დროს საქართველოს სამეფოში 5 მილიონამდე მცხოვრები უნდა ყოფილიყო.

ეჭვიანობა

სენი, რომელიც ტუსაღად გაძცევთ

ეჭვიან ადამიანებთან ურთიერთობა იოლი როდია. თანაც, როგორც ფსიქოლოგები ამტკიცებენ, ეჭვიანობა თურმე გადამდები დაავადებაა. შესაძლოა, ცოლმა ეს სენი ქმარს გადასდოს და — პირიქით.

როგორ ახერხებენ ეჭვებთან გამკლავებას? როგორი კატეგორიის ადამიანები ექცევიან ამ სენის კლანჭებში? რა უნდა ვიცოდეთ, თუ ჩვენ გვერდით ეჭვიანი ადამიანი აღმოჩნდება, რათა მაქსიმალურად ავარიდოთ თავი უსიამოვნებებს?..

ლელა ჭანკოტაძე

მაია გალდავაძე, ფსიქოლოგი:

— ეჭვიანობა უდავოდ, სიყვარულის ერთ-ერთი გამოვლინებაა. მაგრამ ის მხოლოდ მცირე დოზით არის მისაღები და სასიამოვნოც კი. ამიტომ თუ ურთიერთობის დასაწყისშივე, თაყვანისმცემელი დაკითხვას გიწყობთ, როცა პაემანზე წუთით დააგვიანებთ; კბილებს აკრაჭუნებს, თუ სხვა მამაკაცი ყურადღებას გაქცევთ და ბრაზს ვერ ფარავს, უნებურად საუბარში რომელიმე ნაცნობი მამაკაცი რომ ახსენოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი მეგობარი ნამდვილი ოტელოა. ასეთ შემთხვევაში, ჯობს, სწრაფად მიიღოთ ზომები და ურთიერთობა გაწყვიტოთ.

— რატომ? განა ოტელოებს მონანიება და გამოსწორება არ შეუძლიათ?

— ჯობს, პარტნიორი იყოს უხეში, ძუნწი, ამბიციური, ძველმოდური, ალკოჰოლიკიც კი, ვიდრე ეჭვიანი: ეჭვიანზე ქორწინებით, ტუსაღი ხდებით. ეჭვიანი მამაკაცი გამოგონილ სამყაროში ცხოვრობს, რომელიც სავსეა წარმოსახვითი ღალატით. მას ეჩვენება, რომ ყოველ წუთას ღალატობთ, ატყუებთ, ამცირებთ, აბუჩად იგდებთ. მას რომ დაშორდეთ, მთელი თქვენი მოხერხებულობის გამოყენება დაგჭირდებათ... თბილისში საკმაოდ გახმაურდა ნატო მანჯავიძის საშინელი ტრაგედიის ამბავი. ნატო ჩემი თანაკლასელი გახლდათ. მშვიდი ბუნებით, დამყოლი ხასიათით და საოცრად კეთილი გულით გამოირჩეოდა. ერთხელ ჩვენი კლასის დამრიგებელმა, ცხონებულმა ვახტანგ პატარიძემ ჰკითხა: ნატო, რამდენს იწონიო? — 60 კილოგრამსო, — უპასუხა შეკითხვით გაოცებულმა ნატომ. — ე.ი. იმ კაცს, ვისაც შენ მისთხოვდები, სახლში 60 კგ ბაჯაღლო ოქრო ექნებაო, — უთხრა მასწავლებელმა. ამის შემდეგ, ხშირად ვხუმრობდით და თანაკლასელ ვაჟებს ვეკითხებოდით: არ გინდათ, ბაჯაღლო ოქრო? არ გინდათ გამდიდრება-თქო?.. ერთ დღესაც, ნატო ორთაჭალაში მცხოვრებ, მაღალ, აყლაყუდა ბიჭს (მის ვინაობას არ დავასახელებ) გაჰყვა ცოლად. მეგობრები მისალოცად რომ მივედით, ბედნიერი და ერთმანეთზე შეყვარებული ქალ-ვაჟი დაგვხვდა... მაგრამ მალე ნატოს თვალებში სხივი გაუქრა. ჩვენ ერთსა და იმავე რეპეტიტორთან ვმეცადინეობდით და შესაბამისად ერთმანეთს კვირაში რამდენჯერმე ვხვდებოდით. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მკითხა — სირცხვილი ხომ არ იქნება, მასწავლებელს რომ ვთხოვო, სხვა ჯგუფში გადამიყვანოს? ჩემს ქმარს არ სიამოვნებს, ბიჭებთან ერთად რომ ვმეცადინეობო. ჯგუფში 3 ბიჭი და 2 გოგო ვიყავით. ჩვენი ლექტორი მაშინვე მიხვდა, ნატოს რა პრობლემაც ჰქონდა და თხოვნა შეუსრულა: ჩვენი ჯგუფიდან ვაჟები გადაიყვანა. მერე ნატომ რამდენჯერმე დარეკა და მითხრა — დღეს ვერ მოვალ, ჩემი ქმარი შინ არ არის, რომ წამომიყვანოსო... მაშინ ვერ ვხვდებოდით, რომ ნატო ნამდვილი ოტელოს მსხვერპლად იქცა. ერთ დღეს კი, საოცარი ამბავი მოხდა. მეცადინეობა დაგვიმთავრდა. ნატოს ქმარმა არ მოაკითხა. ძალიან შეშფოთდა, არ იცოდა, რა ექნა — სახლში მარტო წასულიყო თუ ქმარს დალოდებოდა. ბოლოს შევთავაზე — გაგაცილებ-მეთქი, — და ორივენი მეტრო „წერეთლამდე“ ფეხით წავედით. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგით თუ არა, ჩვენი ყოფილი თანაკლასელი შეგვხვდა. გადაგვკოცნა, მოგვიკითხა და ორივეს ხელი გადაგვხვია. თურმე, ნატოს ქმარი უკან ჩუმად მოგვყვებოდა. ვეფხვივით ეცა ჩვენს მეგობარს და თავ-პირი დაუსისხლიანა. ნატოს კი სულ „გარყვნილი“ უძახა... ამის შემდეგ, ნატო რეპეტიტორთან აღარ გამოჩენილა — ქმარმა აუკრძალა. როცა რომელიმე მეგობარს დაგვირეკავდა, ვხვდებოდით, რომ ამ დროს, მისი ქმარი შინ არ იყო. გვეუბნებოდა, რომ ქმარს ისე ძლიერ უყვარდა, რომ სულ ეჭვიანობდა. რაც დრო გადიოდა, უფრო მეტად ვრწმუნდებოდით, რომ ჩვენი საუკეთესო მეგობარი საშინელ პირობებში, კატორღელივით ცხოვრობდა. მაგრამ იმას, რაც შემდეგ მოხდა, ყველაზე საშინელ სიზმარშიც კი ვერ წარმოვიდგენდით.

— რა მოხდა? ნუთუ ნატო ქმრის ეჭვიანობის მსხვერპლი გახდა?

— ყველაზე შეხმატკბილებულ ოჯახშიც კი ხდება აზრთა სხვადასხვაობის გამო წარმოშობილი უთანხმოება. ზოგჯერ უბრალო შეკამათება კარის მიჯახუნებით მთავრდება. ზოგჯერ კი საქმე ლანძღვა-გინებასა და ცემა-ტყეპამდეც მიდის. მაგრამ ის, რაც ნატოს ოჯახში მოხდა, თავზარდამცემია. ერთ ღამეს, მისი განწირული კივილი გაისმა. შემდეგ მულმა ატეხა ყვირილი: მიშველეთო! რამდენიმე წუთში სახლში შეცვენილ მეზობლებს საზარელი სურათი დახვდათ: ოთახის ერთ-ერთ კუთხეში სისხლის ტბორი იდგა, ნატო კი შეშის საჭრელი ნაჯახით თავგაჩეხილი ეგდო... ეს მოხდა 1976 წელს. ყველანი შოკირებულები ვიყავით. განსაკუთრებით დამთრგუნველი, სასამართლო პროცესი აღმოჩნდა. მკვლელი ჰყვებოდა, როგორ ღალატობდა ცოლი და როგორ ითმენდა შეურაცხყოფასა და დამცირებას წლების განმავლობაში. მკვლელობის მოტივადაც ეჭვიანობა დასახ-

ელდა. რამდენჯერმე ვცადე, ეს ამბავი ჟურნალისტებისთვის მომეთხრო, მაგრამ ვერ შევძელი. ახლა კი გავიგე, რომ ის კაცი დაქორწინებულა. მინდა, თქვენი ჟურნალის საშუალებით მის ცოლს ხმა მივაწვდინო და მთელი სიმართლე გავაგებინო. თან დახმარების ხელიც გავუწოდო. დახმარება კი მას აუცილებლად დასჭირდება. ოტელოსთან ცხოვრება თვითმკვლელობის ტოლფასია. ასეთ დროს ქალი თავის თავში პიროვნებას კლავს. მძიმეა ეჭვიანი კაცის ცოლის ხვედრი. თუ ამბიციურ კაცს ცოლი „სჭირდება", როგორც თვითდამკვიდრების კიდევ ერთი საშუალება, თუ ის თვლის, რომ სახლში ქალი მონა უნდა იყოს, ხოლო საზოგადოებაში – ბრწყინვალე მზეთუნახავი, ეჭვიანი კაცი ცოლს სთხოვს, იყოს თავდახრილი, შეუმჩნეველი, ყველგან და ყოველთვის დამცირებული და სამზარეულოს განუყრელი ბინადარი. ასეთი მამაკაცის ცოლობა, ალბათ ხვდებით, როგორი სასჯელია?!

ლია ჭილაშვილი, ფსიქოლოგი:

– ეჭვიანობა ეს უსიამოვნო, ზოგჯერ ავადმყოფური გრძნობა ხშირად ახლობელი, საყვარელი ადამიანის დაკარგვის შიშით არის გამოწვეული. ის შეიძლება იყოს რეალური ან გამოგონილი. ეჭვიანობის ფესვები უფრო ხშირად ბავშვობიდან მოდის. ამ დროს გამოვლენილი ეჭვიანობა უფრო მეტად დებსა და ძმებს შორის მეტოქეობასთანაა დაკავშირებული. მნიშვნელოვანია, მშობლის თანაბრად განაწილებული მზრუნველობა და ყურადღება ყველა ბავშვის მიმართ. თუმცა ცნობილია, რომ როგორც მშობლის მზრუნველობის უკმარისობას, ისე გადამეტებულ განებივრებას ბავშვის დამახინჯებამდე მივყავართ.

— როგორი ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი ეჭვიანობა?

– როგორც წესი, ძლიერ ეჭვიანობას განიცდიან ადამიანები, რომლებიც არ არიან თავდაჯერებულები ან პირიქით, იმდენად არიან დარწმუნებულები საკუთარ თავში, რომ მეორე ადამიანს თავიანთ საკუთრებად თვლიან. ეჭვიანობა ავადმყოფურ ელფერს მაშინ იძენს, როცა ის არარეალური მიზეზებით არის გამოწვეული. ასეთ დროს ადამიანს ეჭვითი ბოდვები ეწყება. მას აღარ შეუძლია, ობიექტურად შეაფასოს თავისი მდგომარეობა და ქცევები. ეჭვიანობისთვის მიზეზებს თვითონვე იგონებს. ამ დროს გამომუშავდება ე.წ. „დაცვითი მექანიზმი", რომელიც შეიძლება პარანოიდულ და ეჭვით ბოდვებს დაედოს საფუძვლად. ამის მაგალითია ამბავი, რომელიც ჩემს ერთ პაციენტს გადახდა. ის ცოლზე ეჭვიანობდა, მაგრამ მისმა ეჭვითმა ბოდვებმა განვითარება ვერ პოვა, რადგან თვითონაც მშვენივრად ესმოდა, რომ მიზეზებს საეჭვიანოდ თვითონვე იგონებდა. მან დამოუკიდებლად ვერ შეძლო გათავისუფლებულიყო ღალატთან დაკავშირებული აკვიატებული აზრებისგან. პაციენტთან მუშაობის პროცესში გაირკვა, რომ თვითონ არაერთხელ უღალატია ცოლისთვის და ამის გამჟღავნების ეშინოდა. მას სირცხვილის გრძნობა აწვალებდა. „დამცავ მექანიზმად", ანუ თავის გასამართლებლად ეჭვიანობა გამოიყენა. ის ადანაშაულებდა ცოლს იმ ცოდვებისთვის, რასაც თვითონ სჩადიოდა.

— რთულია ეჭვით დაავადებულ პაციენტებთან მუშაობა?



– მყავდა პაციენტი, რომელიც ცოლს ძალიან უყვარდა, მაგრამ ქალი არ ენდობოდა, აკონტროლებდა, სამსახურში ურეკავდა, ამოწმებდა, უთვალთვალებდა, დროში ზღუდავდა. საბრალო კაცი სამსახურიდან წუთით ვერ დაიგვიანებდა. თუ მსგავსი რამ მაინც მოხდებოდა, ცოლი ყველა მის თანამშრომელსა და ნაცნობ-მეგობარს ურეკავდა. მერე კი ეჭვიანობის სცენებს უწყობდა, ეჩხუბებოდა, უამრავ კითხვას უსვამდა. ასეთი დევნით და კონტროლით თავმობეზრებული კაცი ცოლს ხშირად ღალატობდა. ასე რომ, უნდა გახსოვდეთ, რომ თუ პარტნიორს თავს მოაბეზრებთ ეჭვიანობით და ეცდებით, რომ აკონტროლოთ ყველა მისი ქცევა, დროთა განმავლობაში ურთიერთობას აუცილებლად გააფუჭებთ. ის რეაქციები, რასაც მისგან მიიღებთ, თქვენივე ქცევის შედეგი იქნება. თუ გნებავთ ეს რეაქცია შეცვალოთ, შეცვალეთ თქვენი მრწამსი და უფრო დამყოლი გახადეთ თქვენი ქცევები.

ნანა ძაჯაია, ფსიქოლოგი:

– ეჭვიანობას უკურნებელ სენსაც უწოდებენ. მხოლოდ ძლიერ, დიდი ნებისყოფის მქონე ადამიანებს შეუძლიათ ამ სენისგან გათავისუფლება. ამ სენით ადამიანი ადრეულ ასაკში ავადდება. ბავშვთა ფსიქოლოგებისთვის ნაცნობი თემაა, როცა დედმამიშვილები ერთმანეთზე ეჭვიანობენ. განსაკუთრებით მაშინ იჩენს ხოლმე ეს პრობლემა თავს, როცა ოჯახს ახალი წევრი შეემატება. ახალშობილს დედა ცხადია, დიდ ყურადღებას აქცევს. ამ დროს მისი უფროსი და-ძმები თავს გარიყულებად გრძნობენ და ეჭვიანობენ. ყოფილა შემთხვევა, როცა განაწყენებულ და-ძმებს ახალშობილის თავიდან მოცილება გადაუწყვეტიათ. ცნობილი ფაქტია, შვიდი წლის ბავშვმა ორი კვირის პატარა როგორ გამოიყვანა სახლიდან და სხვა სადარბაზოში კიბის ქვეშ დამალა. ზოგჯერ წლები გადის და მშობლები თვლიან, რომ პრობლემა მოგვარდა, მაგრამ ცდებიან. ტკივილი მცირე ხნით გაყუჩდება და არავინ იცის, როდის იჩენს თავს. ორმოცს მიღწეული პაციენტი მიამბობდა, რომ მთელი ცხოვრება თავის დაზე ეჭვიანობდა. სულ ეგონა, რომ მშობლებს მისი და უფრო მეტად უყვარდათ. შემდეგ, ცოლი რომ შეირთო, ეჭვი გაუჩნდა, რომ მის ცოლს დედა უფრო უყვარდა, ვიდრე ქმარი. ბავშვები რომ გაჩნდნენ, საკუთარ შვილებზე დაიწყო ეჭვიანობა და ცოლს რამდენჯერმე უსაყვედურა: შვილები ჩემზე მეტად გიყვარსო. შვილიშვილი შეეძინა და ისევ ეჭვი შეუჩნდა, პატარას ბებია უფრო უყვარს, ვიდრე მეო. ასეთი ადამიანები გულწრფელად იმსახურებენ ჩემს სიბრალულს. როცა ცოლ-ქმარს შორის ერთ-ერთი ეჭვებითაა დაავადებული, მეორისთვის ცხოვრება ნამდვილი ჯოჯოხეთი ხდება.

— გყოლიათ ასეთი პაციენტები?

– ბევრი ასეთი პაციენტი მყოლია. ერთი ჩემი ქუთაისელი პაციენტი მიყვებოდა, როგორ ამწარებდა ცოლს. ამბობდა: მის პატიოსნებაში ეჭვი არ მეპარებოდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ არ მღალატობდა, მაგრამ როცა სამსახურიდან შინ ვბრუნდებოდი, ყოველთვის მეგონა, რომ სახლს კარგად თუ დავათვალიერებდი, სადმე დამალულ სხვა მამაკაცს აღმოვაჩენდიო. ასეთი რამ ეჭვი-

ანი კაცებისთვის უცხო არ არის. იყო შემთხვევა, როცა ეჭვიანმა ქმარმა გულდასმით დაათვალიერა სახლის ყველა კუთხე-კუნჭული, მერე შემთხვევით ფანჯრიდან გადაიხედა და ნაფეხურები დაინახა. მაშინვე ქუჩაში გავარდა. რაც უფრო მეტად ვაკვირდებოდი მიწას, მით უფრო მეტად ვრწმუნდებოდი, რომ იქ ვიღაცამ გაიარა, ის ვიღაც ან ჩემი ბინიდან გადმოხტა, ან პირიქით, ფანჯრიდან ჩემს ბინაში გადავიდაო – თქვა სასამართლო პროცესზე. წარმოიდგინა რა უცხო კაცი თავის საძინებელში, ეჭვიანობით დაბრმავებულმა, არა მარტო ცოლი, 7 თვის ბავშვიც მოსაკლავად გაიმეტა. მან დანა დაარტყა ცოლს. დაჭრილმა ქალმა დრო იხელთა და ფანჯარას სკამი ესროლა. მსხვრევის ხმაზე მეზობლები შემოცვივდნენ. მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დასისხლიანებული ჩვილი დაინახეს. დაუცველ ბავშვს მამამ დანა მხარში ჩაარტყა. არ იფიქროთ, რომ ის მანიაკი იყო, ეჭვიანი ადამიანის ტიპური მაგალითია. რაც უფრო ინტელექტუალურია ეჭვიანი, მით უფრო მეტად აკონტროლებს თავის თავს და თრგუნავს ეჭვებს, რომელიც არცთუ იშვიათად უჩნდება. ზოგისთვის კი თვითკონტროლი შეუძლებელია.

— ეჭვიანი ქალების შესახებ რას იტყვით?

– ამ ორი წლის წინ ჩვენმა კვლევითმა ცენტრმა ჩაატარა სოციოლოგიური გამოკითხვა. ათასი გამოკითხული ქალიდან 92%, ხოლო მამაკაცებიდან 45% აღმოჩნდა ეჭვიანი. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენი ქალები უფრო ეჭვიანები არიან. ზოგჯერ მათთვის ეჭვიანობა იმ უკურნებელ სენად იქცევა ხოლმე, რომლითაც თავადაც ავადდებიან და პარტნიორსაც აავადებენ. ეჭვიანი ქალი ხშირად ქმარსაც ეჭვიანს ხდის. ნევროზებით განსაკუთრებით იოლად ავადდებიან ეჭვებით შეპყრობილი ქალები, ისინი არა მარტო ქმრებზე, არამედ შვილებზეც ეჭვიანობენ...

თამუნა ვერასდროს იფიქრებდა, თუ თვითონვე გახდებოდა ოჯახის დანგრევის მიზეზი. ქმარი ძალიან უყვარდა. ეგონა, ქვეყანაზე მამუკას ბადალი ადამიანი არ დაიარებოდა და ღმერთს მადლობასაც სწირავდა ასეთი ძლიერი სიყვარულისთვის. მაგრამ წყვილის ცხოვრებაში ყველაფერი თავდაყირა დადგა ერთი გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო. მამუკამ ცოლს უთხრა: თუ დამხმარე გჭირდება, ძიძა აიყვანე, შრომა შეგიმსუბუქდება და უფრო მეტი თავისუფალი დრო დაგრჩებაო. სწორედ აქედან დაიწყო ეჭვიანობა...

თამუნა:

– ძიძა მშვენიერი პირისახის გოგო აღმოჩნდა. წყნარი, ჭკვიანი, თავმდაბალი გოგონა ჩემს პატარას ისეთი სიყვარულით უვლიდა, რომ გული სიამოვნებით მევსებოდა. სამი თვის მანძილზე ტკბილად და შეხმატკბილებულად ვცხოვრობდით. როცა ლექციებზე მივდიოდი, ლალი სახლში რჩებოდა. შემეძლო, გვიანობამდე შინ არ დავბრუნებულიყავი. ერთ დღეს ჩემმა ჯგუფელმა მითხრა: ფრთხილად იყავი, ქმარი არ დაკარგო, ბევრ ძიძას დაუნგრევია ტკბილი ოჯახი და სხვისთვის ქმარი წაურთმევიაო. ეს ფრაზა გულზე მომხვდა. მაშინვე სახლში დავბრუნდი. მამუკა მაგიდასთან იჯდა და ყავას მიირთმევდა. ბავშვს ეძინა. ერთი შეხედვით ყველაფერი წესრიგში იყო, რომ არა გამოწეული სკამი და ცარიელი ყავის ჭიქა. ე.ი. მამუკა და ლალი ყავას ერთად სვამდნენ. სხვა დროს ამისთვის შეიძლება ყურადღებაც არ მიმექცია, მაგრამ მაშინ საშინლად ავღელდი, ლალის ვუთხარი: როცა სახლში არ ვარ, ბავშვის ოთახიდან გამოსული არ დაგინახო-მეთქი. მამუკა აღშფოთდა, როგორ კადრულობ ამის თქმას, არ გეცოდება, 20 წლის გოგო გაჭირვების გამო სხვის ბავშვს პამპერსებს უცვლის, ღამეებს უთენებს, მუხლჩაუხრელად შრომობს, ნუთუ მისთვის ერთი ჭიქა ყავა გენანებაო?!..

— არ ინანე, ლალის რომ აწყენინე?

– პირიქით, რადგან მამუკამ დაიცვა, ჩავთვალე, რომ მათ შორის რაღაც ხდებოდა. იმ დღიდან მოყოლებული გამუდმებით ვუთვალთვალებდი ორივეს. მეჩვენებოდა, რომ რაღაც საიდუმლო ჰქონდათ. ლექციებზეც ვეღარ ვჩერდებოდი. საკუთარ თავს ვეუბნებოდი: მე აქ ვზივარ, ისინი კი ერთობიან-მეთქი. ბოლოს ჩემი ეჭვები მამუკას გავანდვე. მანამდე რომ ჩემთვის ხმამაღალი სიტყვაც არ უთქვამს, საშინლად გამლანძღა. რატომ არ მენდობი, საეჭვიანოდ საბაბი არ მომიცია, რამ გადაგრიაო?! – მიყვირა. გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ისინი ფაქტზე დამეჭირა. ბავშვის დაბადების დღე იყო. ლალიმ მთხოვა: რადგან არ ვარ საჭირო, დღეს დავისვენებო. მეც დავთანხმდი და წავიდა. მე და ბავშვი გამოვეწყვეთ და მამუკას მოსვლას დაველოდეთ, სამივენი ცირკში უნდა წავსულიყავით, შემდეგ – რესტორანში. მამუკა რომ მოვიდა, მაშინვე ლალი იკითხა. მერე კი მისაყვედურა: ხომ იცი, ბავშვი როგორ უყვარს, ჩვენ გამო ცეცხლში შევარდება, შენ კი სოფლელ გოგოს ცირკში წამოსვლა აუკრძალე, იქნებ, ცირკში საერთოდ არ არის ნამყოფიო? არ დავუთმე – როგორ ბედავ, რომ ლალის გამო მეჩხუბები-მეთქი!.. ვიკამათეთ. მამუკას პირში მივახალე: ის გოგო გეკეკლუცება, შენც მოგწონს, ალბათ, ერთი სული გაქვს, საწოლში როდის შეითრევმეთქი.

— იქნებ ჯობდა, ძიძა დაგეთხოვათ, ამით პრობლემა ხომ მოგვარდებოდა?

– მამუკას ვუთხარი ამის შესახებ. მან კი მიპასუხა: ლალის თუ გააგდებ, არ გაპატიებ. სანამ ეჭვიანობას თავს არ დაანებებ, მანამ ჩემგან ტკბილ სიტყვას ვერ ეღირსებიო... ექვსი თვის შემდეგ მამუკა გერმანიაში წავიდა. იქ მისი ძმა ცხოვრობდა. მე და ლალის არ გვიჩხუბია, მაგრამ ვერც დავმეგობრდით. ორი თვის შემდეგ, მამუკა თავს მოულოდნელად დაგვადგა. წინასწარ არ გამაფრთხილა, რომ ჩამოდიოდა. მერე ლალის საუბარში წამოსცდა, – ვიცოდი, მამუკა რომ მოფრინავდა, დამირეკა და მითხრა, თან მთხოვა, თამუნას არაფერი უთხრა, სიურპრიზი უნდა გავუკეთოო. ამის გაგონებაზე კინაღამ გადავირიე. მეორე დღეს კი ლალის ტანსაცმელი დავათვალიერე და ახალი ქურთუკი აღმოვაჩინე. ვინ მოგცა, ასეთი ძვირფასი რამ ვინ გიყიდა-მეთქი? – ვკითხე. სიმართლის თქმა არ უნდოდა. მაგრამ არ მოვეშვი. მამუკამ ჩამომიტანაო, – გამომიტყდა. ნამდვილი ომი გავაჩაღე. მამუკას თავს დავესხი და სიტყვის თქმაც არ ვაცალე. ლალიმ ტირილი დაიწყო და სახლიდან გაიქცა. მამუკა უკან გაეკიდა.

— რატომ?

– საღამოს ათი საათი იყო. ბნელოდა. მამუკას შეეცოდა, სიბნელეში მარტო როგორ ივლისო და მუხიანში წაიყვანა, სადაც ლალის მამიდა ცხოვრობდა. მეც, თითქოს ქმარი ღალატზე დამეჭიროს, ბარგი ჩავალაგე და მამას მივადექი. ალბათ, ჯობდა, მშობლებს ჩემთვის კარი არ გაეღოთ... მამუკამ არ მომაკითხა. რამდენიმე თვის მანძილზე ბავშვის სანახავადაც არ მოსულა. მარტო დავრჩი... ერთ საღამოს ქუჩაში ფეხით მივდიოდი. მოულოდნელად ნაცნობი ხმა შემომესმა. უკან მივიხედე და ლალი დავინახე. ხელში ყუთი ეჭირა და იძახდა: „გემრიელი ჩებურეკი, შეიძინეთ ჩებურეკი“... მისი სიბრალულით გული მომეწურა. შემრცხვა, რომ მასზე ვეჭვიანობდი. მეორე დღესვე ნაცნობ ფსიქოლოგს მივაკითხე და დახმარება ვთხოვე. იმედი მაქვს, საშინელი ეჭვებისგან გავთავისუფლდები და ოდესმე მამუკაც მაპატიებს.

■

დამნაშავე მე ვიყავი

დანაშაული შესაძლოა, ჩავიდინოთ უნებლიეთ, შეგნებულად, ცხელ გულზე და ა.შ. ხშირად, ჩადენილი საქციელის გამო სინდისის ქენჯნაც გვაწუხებს, მაგრამ რატომღაც დანაშაულის აღიარება ყველას უჭირს, მიუხედავად იმისა, რომ აღიარება სასჯელს ამსუბუქებს. ეს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, მაგრამ ჩვენი მკითხველები ირწმუნებიან, რომ როდესაც მესიჯს გვიგზავნიან და საკუთარ არასწორ ქმედებაზე გვიამბობენ, რაღაცნაირად, მძიმე ტვირთისგან თავისუფლდებიან და შვებით ამოისუნთქავენ ხოლმე.

„ჩემი დანაშაული ის არის, რომ სასმელი და ქალები მიყვარს“ — გვწერს ერთ-ერთი მკითხველი, რომელიც ამ გატაცებას სავალალო სიტუაციამდე მიუყვანია. ქალების სიყვარულს პლუს ალკოჰოლის მცირე დოზამ, მარტო ვენერიულ დაავადებამდე კი არა, შეიძლება მმაჩის ბიურომდეც მიგიყვანოთ...

„...მივხვდი, რომ ჩემი ქმრის უსაქციელობა ჩემი ბრალი ყოფილა“

მარი ხაფარიძე

„...ის მაინც არ მახსოვდა, შევძელი თუ არა მისი მოფერება“

„ახალგაზრდა კაცი ვარ, 28 წლის. როგორც ყველა ჩვეულებრივი მოკვდავი, პატარ-პატარა დანაშაულებს მეც ყოველდღიურად ჩავდივარ. ზოგს შეგნებულად და ზოგსაც — უნებლიეთ. ჩემი ყველაზე დიდი დანაშაული კი ის არის, რომ ძალიან მიყვარს ღვინო და ქალები. ხშირად ვსვამ, მერე, სანამ ქალებში არ „გავივეჯილებ“, შინ არ მივდივარ ხოლმე. უამრავი თავგადასავალი გადამხდენია თავს ასეთ დროს. ერთ გათხოვილ ქალს ვყვარობდი. როცა მისი ქმარი შინ არ იყო, მაშინ მივდიოდი მასთან. თვითონ დამირეკავდა და მეტყოდა — დღეს მარტო ვარ, მინახულეო. მეც საჭმელ-სასმლით ხელდამშვენებული მივაღგებოდი ხოლმე. ერთხელ მაგრად დავთვერი და ჩემი ვნებების დასაოკებლად დავიწყე ჩალიჩი. გადავწყვიტე, ნანულის ვსტუმრებოდი. როგორც კი ეს მოვიფიქრე, აღარც შევყოყმანებულვარ — ტაქსი დავიჭირე და მისი სახლისკენ გავეშურე. არც მიფიქრია, რომ შესაძლოა, მისი ქმარი შინ ყოფილიყო. კარზე მივაკაკუნე. შიგნიდან ლაპარაკის ხმა ისმოდა, მაგრამ კარს არავინ აღებდა. ავტეხე ბრახაბრუხი. თან ვყვიროდი — გამიღეთ, ბოზებო-მეთქი! კარი კაცმა გააღო. დაუპატიჟებლად შევედი და თვალები დავაბრიალე — ეს კაცი ვინ არის-მეთქი? — თქვენ ვინ ხართო? — შემომიბრუნა კითხვა. — მე ნანულის ქმარი ვარ-მეთქი. — ნანულის ქმარი მე ვარო! — მერე, რა უფლება გაქვს, აქ რომ მოდიხარ? რას აკეთებ ასე გვიან ნანულისთან-მეთქი? — ვიყვირე და მისკენ საცემრად გავიწიე. არც მან დაიხია უკან და ერთმანეთს ვეჯერეთ. ნანულიმ გაგვაშველა... იქიდან წამოვედი, ნანულის ქმარს მეორე დღეს „სტრელი“ დავუნიშნე და დარდების გასაქარვებლად, სხვა ქალებთან დავიწყე რეკვა. ზოგს მობილური ჰქონდა გამორთული, ზოგმა შეხვედრაზე უარი მითხრა და დავიბოღმე. ტაქსი გავაჩერე და სახლის მისამართი ვუთხარი. ძალზე მაგრად წვიმდა. გაჩერებასთან ახალგაზრდა გოგო შევნიშნე. ერთიანად გალუმპული იდგა. მძღოლს მანქანა გავაჩერებინე და გოგონას შევთავაზე, სახლამდე მიგიყვან-მეთქი. არც შეყოვნებულა, უცებ ჩამიხტა მანქანაში. გამოველაპარაკე და შინ დავპატიჟე — ტანისამოსს გაგიშრობ, ცხელ ჩაის დაგალევინებ და მერე სახლამდეც მიგაცილებ-მეთქი. გამომყვა. მაღაზიაში კონიაკი და ნამცხვარი ვიყიდე. ამის შემდეგ, მხოლოდ პირველი 3 სადღეგრძელო მახსოვს, მეტი არაფერი. დილით თვალი რომ გავახილე და ჩემს საწოლში ქალი დავინახე, ვერ გამიკვირდა, მერე აღვიდგინე ყველაფერი, მაგრამ ის მაინც არ მახსოვდა, შევძელი თუ არა მისი მოფერება. ნინომაც გაიღვიძა და ძალზე ბედნიერი სახით ჩამეხუტა. მერე ადგა და სახლის მოწესრიგება დაიწყო. ჩემს მიყრილ-მოყრილ, ჭუჭყიან ტანისამოსს აგროვებდა და თან ბუზღუნებდა... იმ დღიდან ნინო ჩემთან გადმობარგდა. თურმე პირველ ღამეს მითხოვია, ცოლად გამომყევი-მეთქი და ისიც დათანხმებულა ჩემს წინადადებას. რამდენიმე დღის შემდეგ, ჩემი მშობლები ჩამოვიდნენ რაიონიდან, ახლობლები და მეგობრებიც მოვიწვიეთ და ქორწილიც გადავიხადეთ. კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ კი, რაღაც დისკომფორტი ვიგრძენი და ექიმს მივაშურე. აღმოჩნდა, რომ ვენერიული დაავადება მჭირდა. ნინო მიმტკიცებდა, მე არაფერ შუაში ვარ, შენი ბრალიაო, მაგრამ მაგას „ვჭამდი“?.. შინიდან გავაგდე და მკურნალობის სრული კურსი ჩავიტარე. მეგობრები ახლაც დამცინიან ამ ამბის გამო, მაგრამ ვერაფერს ვეუბნები. ჩემი ბრალია და მეტი რა გზა მაქვს?! ჩუმად ვისმენ მათ „ნამიოკებს“.

რუსულის სტავლას რა უნდა, ბიჭო?! მთელი რუსეთი რუსულად ლაპარაკობს! ბაბუაშენმა ისეთი რუსული იცოდა, ლაპარაკის დროს ისე ხმარობდა ხელ-ფეხს, რომ ჩვენი ფოშტის ნაჩალნიკი გაკვირვებული იმსჯდა — ამფერი რუსული ჯერ არ გამგონიაო... — ასე მოძღვრავდა ოლღა ბებია ზურიკელას და ურიგო არ იქნებოდა, მისთვის ჩვენს მომდევნო რესპონდენტსაც დაუჯერებინა.

„ბლანდინკა“ დედაშენია!..“

„მთიან სოფელში გავიზარდე. რუსულის მასწავლებელი სულ არ გვყოლია სკოლაში. ჩვენს სოფელში ერთ მეწაღეს რუსი ცოლი ჰყავდა — ევგენია და ის გვიტარებდა ხოლმე რუსული ენის გაკვეთილებს. ჰოდა, „ზდრასტისა“ და „დასვიდანიას“ მეტი არაფერი გამეგებოდა. ორი ძმა მყავს, ორივე მოჭიდავე გახლავთ. უფროსს ცოლ-შვილი ჰყავს და დიდი ხანია, თბილისში ცხოვრობს. საშუალო ძმაც თბილისში ვარჯიშობს და უფროს ძმასთან ცხოვრობს. მე ნაბოლარა ვარ, წელს დავამთავრე სკოლა და სამედიცინო სასწავლებელში ჩავაბარე. ნელ-ნელა ქალაქური იერიც მივიღე და მშვენიერი გოგო დავდექი. როცა ქუჩაში გავივლი, უცხო მამაკაცებიც კი თვალს მაყოლებენ ხოლმე. საუცხოო ფერის თმა მაქვს, თანაც, ძალზე გრძელი და ამის გამოც ხშირად ვიღებ კომპლიმენტს. ერთ დღეს, სასწავლებლიდან შინ ვბრუნდებოდი (მეც უფროს ძმასთან ვცხოვრობ). კორპუსის კუთხესთან რამდენიმე ბიჭს თავი მოეყარა. შორიდანვე შევნიშნე, რომ ჩემკენ იყურებოდნენ. გვერდით რომ ჩავუარე, ერთმა თქვა — აუ, ნახე, რა მაგარი „ბლანდინკაააო“! ამის გაგონებაზე მივუ-

ტრიალდი და ერთი მაგრად გამოვლანძღე: – ვინ არის შენი „ბლანდინკა“, შე მაიმუნო? „ბლანდინკა“ დედაშენია და კიდევ სხვა „ბლანდინკებიც“ სახლში გეყოლება-მეთქი!.. ეს ვუთხარი და სადარბაზოში სირბილით შევედი. ვიდრე მესამე სართულზე ავიდოდი, გემრიელად ვიტირე. ორივე ძმა შინ დამხვდა. ატირებული რომ მნახეს, გადაირივნენ. ვუთხარი, ბიჭებმა შეურაცხყოფა მომაყენეს-მეთქი. რა თქმა უნდა, სიტყვა „ბლანდინკა“ უკვე აღარ მახსოვდა, მაგრამ ძმებს ვუმტკიცებდი, ძალზე ცუდი სიტყვა მითხრეს-მეთქი. ეზოში ჩამიყვანეს, იმ ბიჭებთან მიმიყვანეს და მკითხეს – აბა, რომელმა თქვა შენზე ცუდიო? ვანიშნე. იქ ისეთი ამბავი ატყდა, მტრისას... დაერივნენ ჩემი ძმები და ოთხივე ბიჭი მაგრად დაალილავეს. არც ერთს ფეხზე დგომის თავი აღარ ჰქონდა. ცოტა რომ მოსულიერდნენ, იკითხეს – რისთვის გვცემეთო? მიზეზი რომ გაირკვა, ახლა ჩემი ძმები მე გამომეკიდნენ მოსაკლავად. გავიქეცი, მაგრამ მერე მაინც წამითაქეს, რუსული ენის შესასწავლად წიგნი მომცეს და მეც ვსწავლობ, აბა, რა ვქნა? ჩემი ბრალი იყო, უდანაშაულო ბიჭები რომ სცემეს, მე კი მათ ბოდიშიც ვერ მოვუხადე“.

სახლი, მანქანა, ყავის მადუღარა, წავის ქურქი, ვილა, ლურსმნის ამოსაძრობი, ფერადი ტელევიზორი... ქალაქანა სავსეა ისეთი ნივთებით, რომლებზეც შეგვიძლია ვთქვათ – მაქვს ან – არ მაქვს... მაგრამ თუ საკრედიტო ბარათზე სოლიდური თანხა გაქვთ და ახლომახლო ბანკომატი არსადაა ან საკმაოდ სოლიდური ხელფასი გაქვთ, რომელსაც მხოლოდ ორი დღის შემდეგ აიღებთ, თქვენ კი ფული სასწრაფოდ გჭირდებათ, როგორ მოიქცევით? აი, საკმაოდ „კომპეტენტური“ რჩევა დამწყები არამზადებისთვის, ჩვენი მკითხველისგან მოტყუებული „სასიმამრო“ და რესტორნიდან გაპარული „სასიძო“.

მოტყუებული „სასიმამრო“ და რესტორნიდან გაპარული „სასიძო“

„საკმაოდ შეძლებული ოჯახის შვილი ვარ. არასდროს მქონია დარდი – ვაიმე, რა მეშველება, ბენზინი რით ჩავასხა, დასასვენებლად როგორ წავიდე, კაზინოში სათამაშო ფული საიდან ვიშოვო-მეთქი?.. კარგი სამსახურიც მაქვს, კერძო საქმეც და უკვე მშობლებზე დამოკიდებულიც აღარ ვარ. მამამ მასწავლა, რომ ფული არც შინ და არც ჯიბეში არ უნდა შევინახო. ჩემს დანაზოგს ბანკში ვინახავ, ხელფასი კი საკრედიტო ბარათზე მერიცხება. ამიტომ, მხოლოდ ჯიბის ფული მაქვს ხოლმე შინიდან გამოსვლისას. ქალები მწყალობენ, რადგან გარეგნულადაც სიმპათიურად გამოვიყურები და არც ძუნწი ვარ. ჰო, იმის თქმა დამავიწყდა, რომ – ცოლშვილიანი ვარ, მაგრამ ეს სულაც არ მიშლის ხელს გართობაში. ერთ „სასტავში“ საკმაოდ ახალგაზრდა, 18 წლის გოგონა გავიცანი. მიუხედავად იმისა, რომ მასზე 12 წლით უფროსი ვიყავი და თანაც გასათხოვარი იყო, მისი სილამაზით მოხიბლულმა, გადავწყვიტე, შემება. თავბრუ დავახვიე საჩუქრებითა და სიურპრიზებით, სიყვარულს ვეფიცებოდი, თბილ სიტყვებსა და მესიჯებსაც არ ვიშურებდი. ნატუკამ არ იცოდა, რომ ცოლიანი ვიყავი. იოლად შევაყვარე თავი და მეც ბედნიერი ვიყავი. ნატუკა უკვე ჩემად მეგულებოდა და იმასღა ვფიქრობდი, როგორ შემეპარებინა, რომ ერთ ღამეს ერთად დავრჩენილიყავით. მოვიკრიბე მთელი ძალა და გამბედაობა და რესტორანში დავპატიჟე. ვიფიქრე, ცოტას დავლევთ, მერე ვაკოცებ და უარს აღარ მეტყვის-მეთქი. რესტორანში, სუფრასთან რომ დავსხედით, მერე გამახსენდა, რომ ჯიბეში სულ რაღაც 40 ლარი მქონდა, მაგრამ ვიფიქრე, რამენაირად ამ თანხაში ჩავეტევი, მერე ბანკომატში ავიღებ თანხას-მეთქი. ცოტა ხნის შემდეგ, ჩვენს სუფრას ორმოციოდე წლის კაცი მოუახლოვდა. ნატუკა დამფრთხალი წამოხტა: მამამისი ყოფილა. სუფრასთან მოვიპატიჟე და თავი სასიძოდ გავაცანი. მას 3 მეგობარი ახლდა. ბუნებრივია, ისინიც ჩვენთან მოვიპატიჟე და ისეთი პურმარილი შევუკვეთე, თქვენი მოწონებული. ჯერ იმის გამო ვიწყევლიდი გაჩენის დღეს, რომ ნატოს მამა დაგვადგა თავზე და ამხელა კაცისთვის ტყუილის თქმა მომიხდა – თქვენი მომავალი სიძე ვარ-მეთქი; მერე იმის გამო, რომ ჯიბეში ფული არ მქონდა და დანახარჯი როგორ უნდა გადამეხადა, აზრზე არ ვიყავი. ღვინოს მივეძალე. ვიფიქრე, სიმთვრალეში გონება გამეხსნება და გამოსავალს მოვძებნი-მეთქი. რომ დავთვერი, მოვიმიზეზე, საპირფარეშოში გავალ-მეთქი და რესტორნიდან გამოვიპარე. მობილური ტელეფონი გამოვრთე, მეორე დღეს კი, ნომერი საერთოდ გამოვცვალე. ამის შემდეგ, აღარც ნატუკას დავკავშირებივარ... ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე ასე მოვიქცეოდი. ჩემი დანაშაული აბსოლუტურად შეგნებული მაქვს, მაგრამ რაღა დროს?!. თუ ნატომ ეს წერილი წაიკითხა, მიხვდება, რომ ეს მე ვარ. მაპატიე, ნატ!“

„გზავნილებში“ ხშირად გვიგზავნიან მესიჯს ოჯახური თუ სასიყვარულო თავგადასავლის შესახებ. მათ შორის კი ისეთი ამბები ჭარბობს, სადაც ერთი მხარე ბრალს სდებს მეორეს. ჩემი ქმარი ასეთია, ჩემი შეყვარებული ისეთი, ქმარი მღალატობს, საცოლემ მიმატოვაო, – გვწერენ. მაგრამ ამჯერად მივიღეთ გზავნილი, რომლის ავტორმა ქალბატონმა ქმართან ურთიერთობისას დაშვებული შეცდომები აღიარა და სწორედ ამის შემდეგ, მისი ცხოვრება უკეთ წარიმართა...

„აბა, ვინმე გაეკაროს!..“

„უკვე 7 წელია, გათხოვილი ვარ. არასოდეს მიმუშავია. სულ სახლში ვარ, შვილებსა და ქმარს თან ვყვები. როგორც ყველა დიასახლისი, მეც მთელი დღე საქმით ვარ დაკავებული. სადილი, ვახშმი, რეცხვა, უთოობა, სახლის დალაგება – აი, მთელი დღის გეგმა. საკმაოდ კარგი დედამთილი მყავს. ჩემს ქმარს სულ საყვედურობდა ხოლმე – ეს ქალი შინ ნუ გამოკეტე, გასართობად რომ დადიხარ, თან წაიყვანე, სამსახური უშოვე, თვალი გაახილოს და დაინახოს, ქვეყანაზე რაც ხდებაო. ჩემი მეუღლე შინ გვიან ბრუნდებოდა ხოლმე. ყოველთვის ვგრძნობდი, როდის მღალატობდა. თავიდან ვეჭვიანობდი და ვეჩხუბებოდი ხოლმე ამის გამო. მერე თავი დავანებე. ისიც ისე „ჯანაგლდა“, რომ საღამოს შინ მოვიდოდა, იბანავებდა, გამოეწყობოდა, ოდეკოლონს მიისხურებდა და ასე, 8-9 საათზე სადღაც მიდიოდა. ბევრი მიხვედრილობა არ სჭირდებოდა, ნათელი იყო, რომ პაემანზე მიდიოდა. მე ვდუმდი. სამაგიეროდ, ჩემი დედამთილი ეჩხუბებოდა. ხშირად უთქვამს ავთოს – ქალო, თავი დამანებე, ცოლი არაფერს მეუბნება და შენ ვინ გკითხავსო?!. ბოლო 2 წლის განმავლობაში ხომ სულ ცალ-ცალკე გვეძინა. მაგრამ პრეტენზიის გამოთქმის სურვილიც არასდროს გამჩენია. შვილები რომ წამოიზარდნენ, დედამთილი შემიჩნდა – სამსახური იშოვე, სახლში ჯდომით სულ გამოშტერდებიო. მეც დახმარება ნათესავს ვთხოვე და სულ მალე, მუშაობაც დავიწყე. ისეთი გადაბრანგული თანამშრომლები მყავდა, სადაც ჩაცმულს მათთან გამოჩენა მეუხერხულებოდა კიდეც, მაგრამ გულდახურული და გრძელი კაბები მომწონდა და მათ გამო, სტილს ვერ შევიცვლიდი. შარშან, ახალი წლის დღესასწაულისთვის საგანგებოდ მოვემზადეთ, ფულიც შევაგროვეთ და გადავწყვიტეთ, რესტორანში აღვენიშნა. ვისაც ოჯახი ჰყავდა, მეუღლესთან ერთად უნდა მოსულიყო, ვისაც არა – მარტო. ჩემი ქმარიც საგანგებოდ გამოვაწყე და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. ერთმა თანამშრომელმა ქალმა განსაკუთრებით მიიპყრო მისი ყურადღება. ისიც გაბადრული სახით კისკისებდა ავთოს ხუმრობებზე და არც ხელის მოთათუნებას უკრძალავდა. ეჭვიანობით მოვკვდი, მაგრამ არაფერი შევიმჩნიე. რამდენიმე დღის შემდეგ, ეს ქალბატონი გადამეკიდა, შინ უნდა გესტუმროო. უარი არ მითქვამს. დღისით დავპატიჟე. მაგრამ როგორც ჩანს, ჩემმა ქმარმა წინასწარ იცოდა, სტუმარი რომ უნდა გვწვეოდა, ამიტომ მთელი დღე შინიდან არ გასულა. მარინა დეკოლტირებული კაბით გამოგვეცხადა. ყავა მოვადუღე. ავთო ენად გაიკრიფა და მის მკერდს თვალს არ აშორებდა. მე ჩუმად ვიჯექი, მარინა კი წამწამების ფახულით „აბამდა“ ჩემს ქმარს... როგორც იქნა, სტუმარი წავიდა. საღამოს 7 საათი იყო, ავთოს ვუთხარი – მოდი, ქალაქ-

ში გავისეირნოთ-მეთქი. ძლივს დავითანხმე. სახინებელში შევედი და კარგა ხნის წინ ნაყიდი, ჯერ კიდევ ჩაუცმელი, გულამოლებული და ტანზე მომდგარი ზედატანი ჩავიცვი. ოთახიდან რომ გამოვედი, ჩემს ქმარს თვალები ბუდიდან ამოუცვივდა... ცოტა გავისეირნეთ, მერე ბარში დავსხედით და შამპანური დავლიეთ. ავთომ ისეთი კომპლიმენტი მითხრა, რომ ბედნიერებისგან ლამის გავგიჟდი: — ამდენი წელია, ჩემი ცოლი ხარ და ასეთი კარგი მკერდი თუ გქონდა, არც კი ვიცოდიო... მერე აიჩემა, შინ წავიდეთო და ლამის სირბილ-სირბილით წამომიყვანა. იმ ღამით ისე მომეფერა, როგორც არასდროს... მერე თვითონ დაიძინა, მე კი მთელი ღამე ვფიქრობდი და მივხვდი, რომ ჩემი ქმრის საქციელი, უფრო სწორად — უსაქციელობა ჩემი ბრალი ყოფილა. იმ დღიდან, რასაც ჰქვია, ქალად ვიქეცი. სულ შევიცვალე. თავსაც მეტი დრო დავუთმე, ტანისამოსიც უფრო მოტკეცილი, მოკლე და შეხსნილი შევარჩიე და ჩემი და ჩემი ქმრის ურთიერთობაც შეიცვალა. ძალზე ბედნიერად ვგრძნობ თავს და ახლა ჩემს ქმარს არავის დავუთმობ. აბა, ვინმე გაეკაროს!"

ახლა კი, ტრადიციისამებრ, მოკლე მესიჯებს გავეცნოთ

„მამა, მაპატიე და დაბრუნდი..."

„22 წლის ვიყავი, როდესაც ცოლი მოვიყვანე. 3 წელი მიყვარდა გოგო, მაგრამ ვერ ვუშველდი. ბოლოს მოტყუებით წამოვიყვანე. მასაც ვუყვარდი, მაგრამ ცოლობაზე უარს მეუბნებოდა, რადგან რაიონში ვცხოვრობდი და არ მომყვებოდა — იქ ვერ ვიცხოვრებო. ყველაფრის მიუხედავად, მაინც ჩემი გავიტანე (ჩემი მშობლებიც წინააღმდეგი იყვნენ ჩვენი შეუღლების)... ვცხოვრობდით ძირითადად თბილისში, სიდედრ-სიმამრთან ერთად. სოფელშიც ხშირად ჩავდიოდით. თითქოს ყველაფერი კარგად იყო. შეგვეძინა ქალიშვილი... მაგრამ მე და ჩემი ცოლი ერთმანეთს დავცილდით. ვაღიარებ, რომ მე ვერ დავდექი სათანადო სიმაღლეზე: ბევრ ადამიანს მივეცი ჩემს საოჯახო საქმეში ჩარევის უფლება. რატომღაც მეგონა, რომ ჩემი ძმა ძალზე სწორ რჩევებს მაძლევდა: ბიჭო, სიდედრ-სიმამრმა ყურებით არ დაგიჭირონ, ყოჩაღად იყავიო! — მეუბნებოდა და მეც ვუჯერებდი... ახლა ჩემს საქციელს ძალიან ვნანობ. ჩემი შვილი უკვე დიდია, გავიგე, გათხოვილა და ბავშვსაც ელოდება... ჩემი ძმა და ოჯახის წევრები დღემდე ვერ ხვდებიან, რომ ოჯახი მათ დამინგრიეს. არც მე ვსაყვედურობ ვინმეს, რადგან ვიცი — დამნაშავე მხოლოდ მე ვარ".

„2 დღის წინ ჩამოვედი გუდაურიდან, სადაც ერთობ საინტერესო და უჩვეულო ამბავი შემემთხვა. იქ ჩემს 2 მეგობარ ბიჭთან ერთად ვიყავი. გავიცანით ერთი გოგონა. ვიფიქრე, გავეარშიყები-მეთქი, მაგრამ საუბარში არ ამყვა, პაემანზე მეჩქარებაო, — მითხრა. გულის გადასაყოლებლად მეგობრებთან წავედი. ერთი მათგანი შინ არ იყო, დამხვდურმა კი მითხრა — საყიდლებზეა წასულიო. ცოტა ვილაპარაკეთ და მე უკან გამოვბრუნდი. მეორე დღეს, მეორე ძმაკაცი არ იყო სახლში, მესამე დღეს — მე. თურმე, იმ გოგომ ყველა მოგვხიბლა, ჩვენ კი ერთმანეთს ვუმალავდით, რომ მასზე შეყვარებულები ვიყავით... დიმკა".

„15 წლის ვიყავი, როცა შემიყვარდა. ამის შემდეგ 10 წელი გავიდა. ჩემზე 7 წლით უფროსია, თანაც, ჩემი მეზობელია. ერთმანეთს ისე ვხვდებოდით, რომ მამაჩემმა არ იცოდა. ჩემი ოჯახი წინააღმდეგი იყო, რომ მას ცოლად გავყოლოდი. არადა, სიგიჟემდე გვიყვარდა ერთმანეთი. წლები გავიდა. ის ვერ რისკავდა, ჩვენს ცხოვრებას კი უერთმანეთოდ აზრი არ ჰქონდა. მოხდა ისე, რომ ის ცოტა ხნით შორს წავიდა. მეუბნებოდნენ, თუ უყვარდი, თან წაგიყვანდაო. სიმართლე რომ ვთქვა, ენებს ავყევი და სხვას შევხვდი. მეგონა, დავივიწყებდი, მაგრამ ვერ შევძელი. რომ დაბრუნდა, მასთან ყოფნა მინდოდა, მაგრამ არ მაპატია. ზურგი მაქცია და მითხრა — სიგიჟემდე მიყვარხარ, მაგრამ ამ საქციელს არასოდეს გაპატიებო. ვიცი, რომ ამის ღირსი ვიყავი. მინდა იცოდეს, რომ სიცოცხლის ბოლომდე მეყვარება. ვერასოდეს შევძლებ სხვის შეყვარებას. მინდა, პატიება ვთხოვო. ნინო".

„ჩემი შეყვარებული მთვრალი იყო და შინ ეძინა. მეგობრები მივადექით. სახე სულ პომადით მოვუთხუპნე. რომ გაიღვიძა, ვინ სად გარბოდა, ვერ ვიგებდით. მაგრამ მეგობრებმა არ გამთქვეს, რომ ეს მე გავაკეთე. მერე მე თვითონ გამოვუტყდი და ისეთი სამაგიერო გადამიხადა, რომ კარგა ხანს გარეთ თავს ვერ ვყოფდი. მარი".

„სწორედ მე ვიყავი დამნაშავე, ჩემს საყვარელ ადამიანს უარს რომ ვეუბნებოდი შეხვედრაზე. ახლა დავკარგე... მაკო".

„დათო, დამნაშავე ვარ, რომ 2 კვირა ვერ დაგიმესიჯე. მიზეზი ხომ აგიხსენი!.. ახლა მინდა ბოდიში მოგიხადო. ალბათ მიცნობ. ეკა. 21-97..."

„ჩემს დარდს, ცრემლიან თვალებს, სევდიან ღიმილს მხოლოდ ერთი სიტყვა — „უშენობა" ჰქვია. დამნაშავე კი მხოლოდ მე ვარ. მაპატიე, ბესო, ძალიან მიყვარხარ. პატარა გიჟი".

„ვენდე ადამიანს, რომელიც მეგობრად მიმაჩნდა. მან კი სიყვარული ამიხსნა და გული მატკინა. აღარ მჯერა ქალის და მამაკაცის მეგობრობის. დამნაშავე ვარ, მეგობრად რომ მივიღე. მ. ა."

„ნ. მ. ძალიან მიყვარხარ, მაგრამ ვერ გიმხელ და ჩემი თუ არ გახდები, დამნაშავე მე ვიქნები".

„ეკა, ჩემი ბრალია, რომ დაგკარგე. სხვა სახელითა და გვარით გაგეცანი და ეს არ მაპატე. მიყვარხარ და მენატრები. მალხაზი".

„წინა ზაფხულს ძალზე ბევრი ახალი ნაცნობი შევიძინე. სად?.. ადგილს შეგნებულად არ დავასახელებ. ერთი ბიჭი უზომოდ მომეწონა. მასაც მოვწონდი, მაგრამ წამოსვლისას ვიჩხუბეთ და ახლა ვგრძნობ, რომ ვეზიზღები. რატომ?.. დამნაშავე მე ვიყავი, მაგრამ ზიზღის ღირსი არ ვარ. ანი".

„მთლად დამნაშავე არ ვარ, მაგრამ პატარა ხუმრობა ძვირად დამიჯდა. მინდოდა, ჩემს შეყვარებულს გავხუმრებოდი და ცოტა ვაეჭვიანე. მან სამაგიერო გადამიხადა და ჩემს ჯიბრზე ცოლი მოიყვანა. მარიტა, 19 წლის."

„ვზის" საშუალებით მინდა, მამას მოვუხადო ბოდიში და ვუთხრა, რომ ძალზე განვიცდი, ასე რომ ვაწყენინე. მამა, დამნაშავე ვარ. გთხოვ, მაპატიე და დაბრუნდი. გელი. თამუნა".

„ერთ დღეს, ჩემი უსაყვარლესი ადამიანი სიყვარულში გამომიტყდა. თანაც ისეთ სიტუაციაში, რომ მეგონა, ხუმრობდა და მხოლოდ იქ მყოფი გოგონების გასაგონად ამბობდა, რომ ვუყვარდი. შინ წამოსვლა რომ დავაპირე, მთხოვა, გავისეირნოთ, ხომ ხარ ჩემი შეყვარებულიო. გავბრაზდი — ამ გოგოებთან ერთად რატომ უნდა მეკაიფოს-მეთქი?! — და ბოთლი ვესროლე. ახლაც ვერ ვხვდები, რატომ მოვიქეცი ასე. ახლა არ მელაპარაკება და, რა თქმა უნდა, ჩემი ბრალია. ბოდიში სამჯერ მოვუხადე, მაგრამ მაინც გაბუტულია. ერთ ანსამბლში ვცეკვავდით. მე მის გამო სხვაგან გადავედი. მალე ისიც იქ გადმოვიდა. 8 წელია, ერთმანეთს ვიცნობთ, ახლა კი გამარჯობასაც აღარ ვეუბნებით ერთმანეთს. მართლა ვერ გავიგე, მართლა ვუყვარვარ თუ მეკაიფებოდა. ახლა ეს მესიჯი წაიკითხოს და მერე მის პასუხს დაველოდები. ნ. ნ."

„დამნაშავე ვარ, აბა, რა ვარ!.. შემთხვევით, ტელეფონით ერთი ბიჭი გავიცანი. ჩვენი ურთიერთობა ტელეფონით საკმაოდ უცენზურო „სთაილების" გზავნით დაიწყო. ახლა კი ერთმანეთს გავუგეთ. მაგრამ მას ცოლი და შვილი ჰყავს!.. მთხოვს, რომ შევხვდე, მაგრამ მე არ მსურს. ცოლიანი კაცი რად მინდა?!"

„ჩემი დანაშაული ის არის, რომ 15 წლის ვარ და 26 წლის საყვარელი მყავს. თავიდან მე შემიყვარდა, მესიჯებს ვწერდი, მერე კი მასაც შევუყვარდი და..."

„დამნაშავე მე ვიყავი იმაში, რომ ჩემს სიძეს (დის ქმარს) ოფიციალური საყვარელი ჰყავდა და მე ჩემს დას ვუმალავდი. რომ გამემხილა, ის ქალი შვილს აღარ გაუჩენდა და ოჯახი არ დაინგრეოდა".

დღეს „გზავნილებს" ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — სამაგიერო გადავუხადე. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. მოგვწერეთ, როგორ და რისთვის იძიეთ შური. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

ფსორიაზი — როგორ გავიხანგრძლივოთ რემისია

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ფსორიაზი კანის ერთ-ერთი ძნელად განკურნებადი დაავადებაა. ეს სენი უამრავ ადამიანს აწუხებს და ძალზე სერიოზულ პრობლემებსაც უქმნის მათ ყოველდღიურ ურთიერთობებში.

ფსორიაზი კანის ზედაპირზე განვითარებული, მკვრივი ქერცლისებური გამონაყარია. საბედნიეროდ, კანის ქვედა შრეებამდე იგი არ აღწევს. დაავადება ხშირად აზიანებს თავის თმიან ნაწილს, ზოგჯერ პატარა ფოლაქებივით გამონაყარი მიმოფანტულია მთელ ტანზე, ზოგჯერ კი, სხეულის საკმაოდ დიდ ზედაპირს მოიცავს. სენისაგან თავის დაცვა შეუძლებელია, რადგან მისი გამომწვევი მიზეზები დღემდე უცნობია. უდავოა მხოლოდ ის, რომ ფსორიაზის განვითარებაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, რომელთაგან უმთავრესი — გენეტიკური წინასწარგანწყობაა. თუ თქვენს გვარში იყვნენ ადამიანები, რომელთაც ეს დაავადება ჰქონდათ, მოსალოდნელია, რომ იგივე პროცესი სიცოცხლის რომელიღაც პერიოდში თქვენს კანზეც განვითარდეს.



დაავადების განვითარებას ხელს უწყობს ძლიერი სტრესი — საუბარია არა დუნედ მიმდინარე დეპრესიაზე, არამედ მძლავრ ფსიქოლოგიურ სტრესზე (მაგალითად, მძიმე ოპერაცია, ახლობელი ადამიანის დაკარგვა, წარუმატებლობა სიყვარულში). თუმცა ზოგჯერ ფსორიაზი განსაკუთრებული მიზეზის გარეშეც ვითარდება. დიდი მნიშვნელობა აქვს იმუნური სისტემის მდგომარეობას — რაც უფრო მეტადაა იმუნიტეტი დაქვეითებული, სხეულის მით მეტ ფართობს დაიკავებს ფსორიაზი, განსაკუთრებული საფრთხე ემუქრება მათ, ვინც ბევრს სვამს.

სიმპტომები. ფსორიაზს ქავილი ნაკლებად ახასიათებს, განსხვავებით სებორეული დერმატიტისაგან (თავის კანის ცხიმოვანი ჯირკვლების ფუნქციის დარღვევა), რომელიც გარეგნული ნიშნებით საკმაოდ ჰგავს მას. უმრავლეს შემთხვევაში, დაავადება უმტკივნეულოდ მიმდინარეობს. მაგრამ არსებობს ფსორიაზის პუსტულოზური ფორმა, რომლის დროსაც კანზე ჩნდება ნახეთქები და ჩირქგროვები. დაავადებას აქვს ე.წ. პროგრესირებადი სტადია, როცა ნებისმიერი განაკაწრისა თუ ნანემსარის გარშემო ჩნდება დაავადების ახალი კერა. ამ დროს ავადმყოფს არ ენიშნება ინიექციებიც კი.

განასხვავებენ ფსორიაზის ზაფხულისა და ზამთრის ფორმებს. ზამთარში დაავადება, როგორც წესი, აქტიურდება, ზაფხულში კი, შედარებით მსუბუქად მიმდინარეობს. ზოგჯერ მზეზე გარუჯვისას პაციენტები გამონაყარის მთლიანად გაქრობასაც კი აღნიშნავენ.

მკურნალობა. ძალიან იშვიათად, ფსორიაზმა შეიძლება თავისით გაიაროს. უმრავლეს შემთხვევაში კი, ექიმსაც და პაციენტსაც დიდი ძალისხმევა სჭირდებათ კლინიკური რემისიის (პერიოდი გამოჯანმრთელებასა და მორიგ გამწვავებას შორის) მისაღწევად. ის რამდენიმე კვირიდან 10 წლამდე პერიოდითაც კი შეიძლება გაგრძელდეს. ამას წინასწარ ვერც ერთი ექიმი ვერ განსაზღვრავს.

დაავადების მკურნალობა კომპლექსურია და მხოლოდ ექიმის მეთვალყურეობით უნდა მიმდინარეობდეს. პაციენტს დამოუკიდებლად შეუძლია სცადოს გარეგანი საშუალებები. არაჰორმონული პრეპარატებიდან ერთ-ერთი ყველაზე ეფექტურია დაივონექსის (იგივე კალციპოტრიოლის) საცხი, რომელიც ამცირებს ეპითელიუმის ავადმყოფური უჯრედების დაყოფის ინტენსივობას და ქერქები თანდათანობით ქრება. იმავე პრინციპით მოქმედებს აგრეთვე ნებისმიერი ჰორმონული პრეპარატი. ერთადერთი განსხვავება, წამლის მოქმედების ხანგრძლივობაშია: არაჰორმონულის გამოყენება უფრო ხანგრძლივად (ერთი თვის განმავლობაში მაინც) მოგიწევთ. თუმცა, ამ პრეპარატების უპირატესობა ის არის, რომ მათ მიმართ ადაპტაცია (შეჩვევა) არ ვითარდება და არც რაიმე გვერდითი ეფექტი ახასიათებს. კარგ შედეგებს იძლევა აგრეთვე სკინ-კაპი, რომელიც საცხის, ლოსიონის და შამპუნის სახით არსებობს. კომპლექსური მკურნალობისას გამოიყენება ფოტოქიმიოთერაპია — მეთოდი, რომელიც ზრდის ულტრაიისფერი სხივებისადმი კანის მგრძნობელობას. ადამიანი თავსდება სოლარიუმის მსგავს სპეციალურ ოთახში და იქ ირუჯება საჭირო დროის განმავლობაში. თუ ამ მეთოდთან ერთად გამოიყენება პლაზმაფერეზი, მაშინ საკმაოდ ხშირ შემთხვევაში, ხანგრძლივი რემისია მიიღწევა.

საერთოდ კი, ნაჩვენებია მზის აბაზანები, ფიზიო და ბალნეოთერაპია: ტალახი, მინერალური წყლები (მაგრამ მხოლოდ რემისიის ფაზაში, როცა გამონაყარი არ გაქვთ).

■

| სამხ. ამერიკაში გავრცელებული ცხოველი, იკვებება მწერებით | | |

როცა კლიმაქსი ახლოვდება

თუ გაგიუარესდათ გუნება-განწყობილება, დაღლილობასა და სახეზე სისხლის მოწოლას გრძნობთ, შესაძლოა, ეს სიმპტომები კლიმაქსისწინა პერიოდთანაა დაკავშირებული. იგი კლიმაქსის დადგომამდე რამდენიმე წლის განმავლობაში გრძელდება ხოლმე. ამ დროს, ქალის ორგანიზმში მკვეთრი ჰორმონული ცვლილებები ხდება და საჭიროა, ყურადღებით მოვეკიდოთ გულის მუშაობას, წნევის მაჩვენებლებს, შევინარჩუნოთ სხეულის ნორმალური წონა. კლიმაქსისწინა პერიოდის დადგომისთანავე, პროგესტერონის დეფიციტმა და ესტროგენების (ქალური ჰორმონები) სიჭარბემ, ქალის ორგანიზმში შეიძლება გამოიწვიოს ქვედა კიდურების სიმძიმის შეგრძნება, წყლის შეკავება ქსოვილებში და შეშუპების განვითარება, თავის ტკივილი, სიმსუქნე, კუჭ-ნაწლავის მუშაობის დარღვევა, ნევროზული მოვლენები, ემოციური აშლილობა.

რამდენიმე რჩევა მათთვის, ვინც ცხოვრების ამ ეტაპს მიუახლოვდა.

40 წელზე უფროსი ასაკის ქალმა წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მიმართოს გინეკოლოგს საკონსულტაციოდ. მენსტრუაციის დროს ჭარბი სისხლდენა, შესაძლოა, ფიბრომის ნიშანი იყოს. ქალების ერთ მეოთხედს აქვს ფიბრომა ისე, რომ არც კი იცის ამის შესახებ. თუმცა, ფიბრომის დიაგნოსტირებისას მაშინვე ნუ გაიქცევით ქირურგთან, რადგან ზოგ შემთხვევაში ის, კლიმაქსის პერიოდში, თავისთავად ქრება.

მუცლის ქვედა ნაწილში ტკივილი და სიმძიმის შეგრძნება შეიძლება, საკვერცხის კისტის მაჩვენებელი იყოს. ამიტომ ამ სიმპტომის გაჩენისთანავე, დაუყოვნებლივ მიმართეთ გინეკოლოგს.

შეშუპების თავიდან ასაცილებლად შეზღუდეთ მარილი რაციონში. ჰორმონული მკურნალობა სასურველი არ არის იმ ქალბატონებისათვის, რომელთა ორგანიზმში დაფიქსირდა კიბოსწინა მდგომარეობა, ანდა რომელთა მემკვიდრეობა „დატვირთულია“ ამ დიაგნოზით (ე.ი. ავთვისებიანი სიმსივნე ჰქონდათ მათ წინაპრებს ან ახლო ნათესავებს).

კლიმაქსისწინა პერიოდში ხშირად აღინიშნება წონაში მატება, ამის გამო ქალი ითრგუნება. არადა, ელემენტარული წესების დაცვაც კი საკმარისია, უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად: საჭიროა ფიზიკური ვარჯიში, ალკოჰოლურ სასმელებზე უარის თქმა, კუჭ-ნაწლავის მოქმედების მოწესრიგება (რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს).

კლიმაქსური პერიოდის შემაწუხებელ სინდრომებთან საბრძოლველად, ეფექტურად იყენებენ მცენარეებს: ფარსმანდუკს, თავშავას, მაყვალს, რომელიც ნებისმიერი სახით შეგიძლიათ მიირთვათ. გთავაზობთ რამდენიმე რეცეპტს:

- 1 ჭიქა ადუღებულ (თბილ) წყალში გახსენით თაფლი და მაყვლის წვენი გემოვნებით.
- აიღეთ თითო ს/კ მაყვლის გამხმარი ფოთოლი, კუნელის ნაყოფი და ბაბუაწვერა, დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, დადგით მდუღარე წყლის ორთქლზე 10 წთ. მერე გადაწურეთ და მიიღეთ 1/2 ჭიქა ორჯერ დღეში, 10 დღის განმავლობაში.
- სვით მაყვლის წვენი (1 ს/კ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 15 წთ-ით ადრე). ■

სილიკონის მკერდი შეიძლება „აფეთქდეს“

აშშ-ის კვებითი პროდუქტებისა და სამკურნალო საშუალებების ხარისხის კონტროლის სამმართველომ გააფრთხილა მკერდის სილიკონის იმპლანტანტის მქონე ქალები, რომ შესაძლოა, მათ პრობლემები შეექმნათ მამოგრაფიის დროს. სამმართველოს მონაცემთა ბაზაში დაგროვდა 66-მდე ცნობა, ამ ფართოდ გავრცელებული პროცედურის ჩატარებისას ან მის შემდეგ განვითარებული გართულებების შესახებ. ულელეს სახის შემავსებლის და ასევე ფიზიოლოგიური ხსნარის სახის შემავსებლის მქონე იმპლანტანტები უმრავლეს შემთხვევაში სკდებოდა სარძევე ჯირკვლის რენტგენოლოგიური გამოკვლევის დროს. არსებობს სხვა პრობლემებიც: ტკივილი პროცედურის დროს, ჰემატომის წარმოქმნა და უფრო მოგვიანებით – სარძევე ჯირკვლის კიბოს განვითარება.

ახალი ყბა ზურგზე გაიზარდა

გერმანელმა ექიმებმა ავადმყოფს ახალი ყბა ზურგის კუნთების შიგნით გაუზარდეს. ოპერაცია კილის უნივერსიტეტის ყბა-სახის ქირურგმა პატრიკ ვარნკემ ჩაატარა. ექიმმა შეიმუშავა პაციენტის ყბის კომპიუტერული მოდელი, რომლის საფუძველზეც შექმნა ტიტანის კარკასი. მის შიგნით ჩაამაგრა შაქრის ნატეხის ზომის ძვლის ბლოკები, დაამატა ღეროვანი უჯრედები და ადამიანის ზრდის ფაქტორი. მიღებული კონსტრუქცია მოთავსდა პაციენტის კუნთში მარჯვენა მხრის ქვეშ. 7 კვირის შემდეგ, ახალი ყბა მზად იყო. იგი ამოიღეს და ჩაუნერგეს პაციენტს პირის ღრუში. ექიმმა განაცხადა, რომ ერთი თვის შემდეგ, პაციენტმა მიირთვა ძეხვიანი ბუტერბროდი, ახლა კი სიამოვნებით ჭამს ბიფშტექსსაც. ■

...ვეპ-...ების ...ერ-...თი	ღამის ფრინველი	~~ჯაჭვი, ნაღვლი~~	უფრთო ფრინველი	მაიმუნი ...-კონგი	ესკიმოსების ყინულის ქოხი	~~აქედან~~ ~~ამის შემდეგ~~	საპორტო ქალაქი თურქეთში	კინოფილმის ლენტი
...ნაგორია ხოჭო		დირიჟორის საკონცერტო სამოსი	სკანდინავიელი მეომარი მეზღვაური		ყურძნის მაქარი		სამშენებლო მასალა	ქელატინითა და ბეზეთი დამზადებული ტკბილეული

როგორ შევარჩიოთ ნათლია და რა არის მიმრქმელის უმთავრესი მოვალეობა

როდესაც ადამიანი ნათლისღებას გადაწყვეტს, ირჩევს მიმრქმელს ანუ ნათლიას, რომელსაც გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრება ნათლულის წინაშე. თუმცა ბევრ ადამიანს არა აქვს გაცნობიერებული მიმრქმელის მოვალეობა და ნათლიის მოვალეობად მხოლოდ ის მიაჩნია, რომ უნდა მიართვას ნათლულს ჯვარი, შესაწირი შესწიროს ღვთისმსახურს, შეიძინოს სანთლები ნათლობის დროს. არადა, მართლმადიდებლური სარწმუნოება, მიმრქმელისგან უფრო მეტს მოითხოვს.

მორენა მერკვილაძე

როგორ შევარჩიოთ ნათლია?

ნათლია უნდა შევარჩიოთ მისი სულიერი თვისებების და სარწმუნოების მიხედვით. ადამიანი, რომელსაც ნათლიად ვირჩევთ, მონათლული უნდა იყოს აუცილებლად მართლმადიდებლური წესით და ცხოვრობდეს ეკლესიურად (თუ ადამიანი ზრდასრულ ასაკში ინათლება. ამ საკითხს თვითონ გადაწყვეტს, ჩვილის ნათლობისას კი, ნათლია უნდა შეარჩიონ მშობლებმა).

ადამიანს შეიძლება ჰყავდეს ორი ან სამი ნათლია. თუმცა ნათლობის საიდუმლოს აღსასრულებლად ერთი ნათლიაც საკმარისია. სასურველია, რომ მამაკაცის ნათლიად შევარჩიოთ მამაკაცი, ქალისთვის კი, თავისივე სქესის წარმომადგენელი (ძველად სწორედ ასეთი წესი იყო დამკვიდრებული, თუმცა ეს აუცილებლობას არ წარმოადგენს).

რა ვალდებულება ეკისრება ნათლიას ნათლულის მიმართ?

ნათლობის საიდუმლოს აღსრულებისას, მიმრქმელი ანუ ნათლია მოსანათლის ნაცვლად სამგზის უარყოფს სატანას და მის მზაკვრობას შემდეგი სიტყვების წარმოთქმით: „განვეშორები ეშმაკისგან“, „შევუდგები ქრისტეს“, „განვეშორები სატანას“ — ე.ი. მიმრქმელი უფლის წინაშე დებს პირობას, რომ მის მიერ მონათლული პიროვნება განეშორება ეშმაკს და მის ბოროტ საქმეებს და შეუდგება ქრისტეს — ანუ ნათლია ხდება სულიერი მშობელი, რომელმაც უნდა იზრუნოს ნათლულის სულიერ აღზრდაზე — ასწავლოს ლოცვა, მარხვების დაცვა, ატაროს წირვა-ლოცვაზე, დაეხმაროს სულიერი მოძღვრის არჩევაში და შეასწავლოს სხვა საეკლესიო წესები. განუმარტოს მათი მნიშვნელობა და შეაგონოს, რომ აღასრულოს ქრისტეს მცნებანი. მოკლედ, ნათლიამ, როგორც სულიერმა მშობელმა, თვალყური უნდა ადევნოს ნათლულის სარწმუნოებრივ სვლას, რათა მისი ნათლული, უფლის ნაცვლად, ეშმაკს არ ემსახუროს. თუკი საჭიროება მოითხოვს, ნათლია ნათლულის გვერდით უნდა დადგეს ფიზიკურადაც — ჭირსა და ლხინში.

რა შეიძლება გააკეთოს ნათლიამ იმ შემთხვევაში, თუკი ნათლული არ ცხოვრობს ქრისტეს მცნებების დაცვით ან ჭეშმარიტ სჯულს უღალატა?

თუკი მოხდა ისე, რომ ნათლული არ იცავს ქრისტიანულ მცნებებს ან ჭეშმარიტ სჯულს უღალატა, ნათლია ვალდებულია, გაძლიერებულად ილოცოს უფლის მიმართ და ევედროს ჭეშმარიტებაში მის განმტკიცებას. ასევე ყველანაირად ეცადოს, რომ ნათლული როგორმე მიიყვანოს ეკლესიამდე, სადაც ღვთისმსახურის რჩევა-მითითებებით და უფლის შეწევნით ყოველგვარი განსაცდელი დაიძლევა.

რა დანიშნულება აქვს ნათლიის მიერ ნაჩუქარ ჯვარს?

საერთოდ ჯვარი არის ნიშანი ქრისტეს მიმდევრობისა და ეშმაკის ძლევისა. რადგან ადამიანი ქრისტეს მიმდევარი ნათლისღების შემდეგ ხდება, მას გულზე ჯვარს ჰკიდებენ იმის ნიშნად, რომ გახდა ქრისტიანი და აიღო თავისი ჯვარი ანუ შეუდგა ქრისტიანულ ცხოვრებას, რომლის უშეცდომოდ გავლაშიც მიმრქმელი უნდა დაეხმაროს.

რომელი ჯვარი უნდა უსახსოვროს ნათლიამ ნათლულს — ჯვარცმით თუ ჯვარცმის გარეშე?

არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ როგორ ჯვარს აჩუქებს ნათლია ნათლულს — ჯვარცმით თუ ჯვარცმის გარეშე, ძვირფასი ლითონისგან დამზადებულს თუ ხისგან. მთავარია, რომ ჯვარი, რომელსაც ნათლია ნათლულს უსახსოვრებს, შესრულებული იყოს მართლმადიდებლური კანონიკის ზუსტი დაცვით.

ითვლება თუ არა ნათლიად ადამიანი, რომელმაც რაიმე მიზეზის გამო ვერ მოახერხა, დასწრებოდა ნათლობის საიდუმლოს აღსრულე-

ბას, მაგრამ მოხსენიებული იყო ლოცვებში?

თუკი ნათლია, გამოუვალი მდგომარეობის გამო, ვერ ახერხებს, რომ ფიზიკურად დაესწროს ნათლობის საიდუმლოს, მაგრამ მანამდე მოინახულებს ღვთისმსახურს და დადებს პირობას, რომ აღასრულებს ნათლიის მოვალეობას, ღვთისმსახური მის სახელს მოიხსენიებს ნათლობის საიდუმლოს აღსრულების დროს. ამის შემდეგ, ეს პიროვნება ითვლება ნათლიად.

რამდენად მართებულია გამოთქმა — „ნათლიამ დაანათლა", — რომელსაც ხშირად იყენებენ იმ შემთხვევაში, როდესაც ნათლული ცუდ ან კარგ თვისებებს გამოამჟღავნებს?

ეს გამოთქმა საეკლესიო ტრადიციისთვის მიუღებელია, რადგან, როგორც ვიცით, ნათლობის საიდუმლოს აღასრულებს ღვთისმსახური, ნათლია კი პირობას დებს, რომ იზრუნებს ნათლულის სულიერ აღზრდაზე, ამდენად ნათლიას არაფრის „დანათლება-არდანათლება" არ შეუძლია.

არსებობს აზრი, რომ არ შეიძლება ნათლიობაზე უარის თქმა. რამდენად გამართლებულია ეს აზრი ეკლესიური სწავლებით?

თუკი მომავალი მიმრქმელი აცნობიერებს, რომ ვერ იტვირთავს ნათლობის მოვალეობას — მანძილის სიშორის ან საკუთარი არაეკლესიურობის გამო და ამ ქმედებით დაარღვევს ღვთის წინაშე დადებულ აღთქმას, რომლის თანახმადაც ვალდებულია, უწინამძღვროს ნათლულს ჭეშმარიტების გზაზე, — არათუ შესაძლებელი, უმჯობესიც კი არის, რომ ზრდილობიანად განაცხადოს უარი ნათლიობაზე, რადგან ნათლიას ნათლულზე აღებული პასუხისმგებლობის უგულებელყოფა დიდ ცოდვად ეთვლება.

შეიძლება თუ არა, რომელიმე შემთხვევაში ნათლიის გადარჩევა (გამოცვლა)?

როგორც უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, ნათლობის საიდუმლოს აღსრულების შემდეგ, ნათლია ხდება სულიერი მშობელი და როგორც ვერ გამოვიცვლით ხორციელ მშობლებს, მიუხედავად იმისა, მოგვწონს თუ არა ისინი, ასევე არ შეიძლება სულიერი მშობლის — მიმრქმელის გამოცვლა, როგორი უთანხმოებაც არ უნდა მოხდეს ნათლიასა და ნათლულს შორის.

■

გურულების დაწუნებული ვეფხვები, 40 ცალი გორკის ბიუსტი და... ჭკუანასწავლი მოლები

ჭეშმარიტი ხელოვნის ტალანტი მის ერთ ნაწარმოებშიც კი შეიძლება, ნათლად გამოჩნდეს. დასანანია ის, როცა ჟამთა სვლა ერთზე მეტს არ შემოგვინახავს. არადა, ასეთი ბედისწერის შემოქმედნი ცოტანი არ არიან. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კაბინეტთან ნიკო მარის მარმარილოში ნაკვეთი ბიუსტი დგას. ბიუსტის მარცხენა კუთხეში მიწერილია: „მოქანდაკე ლოჩოშვილი, 1936". მოქანდაკის ხელით ამეტყველებული ქვა ცოცხლად გადმოსცემს დიდი მეცნიერის ნაკვთებს. მოქანდაკე ლოჩოშვილი სამწუხაროდ, ნაკლებადაა ცნობილი. არადა, თავის დროზე, თურმე, არაერთი სანიმუშო სკულპტურა გამოუძერწავს. თუ ამ პიროვნების სხვა ქმნილებები არ გამოჩნდა, მისი კუთვნილი ადგილის დასაკავებლად საკმარისია ეს ბიუსტიც, რომელიც რამდენიმე წლის წინ, უნივერსიტეტის სარდაფიდან ამოუტანიათ და ცოდნის ტაძარში შესაფერის ადგილას დაუდგამთ. მოქანდაკეს, შემოქმედებასთან ერთად, ცხოვრებაც საინტერესო ჰქონია. ამის შესახებ მისი ქალიშვილი, ქალბატონი დოდო ლოჩოშვილი მოგვითხრობს.

ლევან ებრალიძე

— ალექსანდრე ლოჩოშვილი 1905 წელს ძველ სენაკში დაიბადა. ბავშვობა თეკლათში გაატარა, სკოლაც იქვე დაამთავრა. შემდეგ თბილისში წამოვიდა, მისი ნამუშევრები დიდ მოქანდაკეს იაკობ ნიკოლაძეს შემთხვევით შეუნიშნავს. ძალზე მოსწონებია და ახალბედა კოლეგა თავისთან შეუფარებია. ხოლო სამხატვრო სასწავლებელში სწავლისას, სტიპენდიის სახით, ფულსაც აძლევდა საკუთარი ჯიბიდან. შემდეგ ალე (ასე ეძახდნენ ახლობლები) ლენინგრადში წასულა და ასპირანტურა დაუმთავრებია. გარკვეულ ხანს შემოქმედებით მოღვაწეობას იქაც ეწეოდა. სამშობლოში დაბრუნებული, დასავლეთ საქართველოში საქმიანობდა. თურმე, ლანჩხუთის ბაღში აკეთებდა რუსთაველის ქანდაკებას ვეფხვებთან ერთად. მისულა ერთი გურული გლეხი და უკითხავს — ბაბუა, აგენი ძაღლებიაო? უპასუხეს — ძაღლები კი არა, ვეფხვებიაო. გურულმა ურჩია — მაშინ მიაწერეთ, ძაღლები კი არა ვეფხვებიაო. ალექსანდრეს ვეფხვები საერთოდ მოუცილებია. თუ საჭიროდ ჩათვლიდა, ასე ითვალისწინებდა ხოლმე შენიშვნებს, პატივს სცემდა სხვის აზრს. რუსთაველის ქანდაკება დიდხანს ამშვენებდა ლანჩხუთის ბაღს, მაგრამ დღემდე არც ბაღმა და არც ძეგლმა არ მოაღწია...

სამშობლოში დაბრუნებული, დასავლეთ საქართველოში საქმიანობდა

თბილისში დაბრუნებულს ცოლად მარიამ (მანი) გულბათაშვილი შეურთავს. ქალბატონი მარიამი შემდგომში, ათწლეულების მანძილზე, მარჯანიშვილის თეატრში მოლარედ მუშაობდა. ყველასთვის — როგორც ბუმბერაზი, ისე ახალგამოჩეკილი მსახიობებისთვის, საყვარელი და პატივსაცემი

ცოლ-ქმარს ერთადერთი ქალიშვილი შეეძინა...

ქალბატონი იყო მანი. ცოლ-ქმარს ერთადერთი ქალიშვილი შეეძინა. ოჯახი წლების მანძილზე, სამხატვრო აკადემიის დღევანდელ რექტორატში ცხოვრობდა. მათ ქვემოთ კი – ლადო გუდიაშვილის ბინა იყო. დიდი მხატვარიც განსაკუთრებულ პატივს სცემდა ალეს. ალექსანდრე საზრიანობითა და სწრაფი მოქმედებით გამოირჩეოდა. სამხატვრო აკადემიის მესამე კურსზე ყოფნისას შეიტყო, რომ თბილისში მაქსიმ გორკი ჩამოდიოდა. შეაგროვა მწერლის სურათები და სასწრაფოდ დაამზადა ბიუსტი. საჩუქრით ხელში რკინიგზის სადგურზე დახვდა. აღტაცებული გორკი გვერდიდან აღარ იცილებდა. ალემ უამბო – პატარაობაში სახლიდან გამოვიპარე და სიდუხჭირეში ღამეს მაზუთიან ვაგონებში ვათევდი, ლუკმაპურს ძლივს ვშოულობდი, რომ შიმშილით არ მოვმკვდარიყავიო. გულაჩუყებულმა გორკიმ აცრემლებულმა უპასუხა – მეც ასეთი ბავშვობა მქონდა და თანაგრძნობით გამსჭვალული, დაუმეგობრდა. ალეს გორკის ბიუსტი 40 ცალად გაუმრავლებია და სხვადასხვა დაწესებულებაში ხელშეკრულებით ყიდდა. ერთ-ერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელს თანხის გადახდა გაუჯანჯლებია. ალემ კიდევ ერთხელ რომ მიაკითხა და კუთვნილი ფული ვერ მიიღო, ბიუსტი მაგიდის ნაპირზე განზრახ ისე დაუდგამს, რომ მეორე დილას დამლაგებელს გადმოუგდია და გასტეხია. ამის შემდეგ, მახვილგონიერმა მოქანდაკემ თავისი ნამუშევრის უკან დაბრუნება მოითხოვა. ფული მაშინვე გადასცეს.

საქართველოს დამსახურებული მხატვარი დავით ურუშაძე და ალე ახალგაზრდობაში მეგობრობდნენ. ერთხელ ქეიფი მოუსურვებიათ, მაგრამ ფული არც ერთს არ ჰქონია. ალექსანდრეს უპოვია გამოსავალი: ბატონ იაკობს ჩემი ვალი აქვს, 300 მანეთი; თავს მოვიავადმყოფებ, ეს ამბავი შევატყობინოთ და ფულსაც მოგვიტანსო. იაკობ ნიკოლაძემ სასწრაფოდ მოინახულა ოფლში გაწურული მოსწავლე. ძალზე შეწუხებულმა, ფული ამოიღო, ბალიშის ქვეშ შეაცურა და უთხრა: ეს გეყოფა წამლებისთვის, ახლა ღვინის დამლევი მაინც არა ხარო... იაკობის წასვლის შემდეგ, ქეიფს მოწყურებულმა ორმა მეგობარმა ბალიშის ქვეშ 3 მანეთი აღმოაჩინა. ღვინოზე მაინც ეყოთ და თავიანთი პედაგოგიც უდღეგრძელებიათ.

გაკვირვებულ-შეშინებული მეგობრები შეეცადნენ, გაეჩერებინათ, მაგრამ ალემ სტალინის ძეგლს მაინც ბოლო მოუღო. შემდეგ იარაღი ამოიღო და რამდენ-ჯერმე გაისროლა...

სტალინის დაბადების 60 წლისთავზე, რუსეთიდან ბელადის ძეგლებზე შეკვეთები საქართველოში მოდიოდა. ამ საქმეზე ყველა ცნობილი მოქანდაკე – იაკობ ნიკოლაძე, სილოვან კაკაბაძე და სხვები მუშაობდნენ. ქანდაკებები ძირითადად, ბათუმში მზადდებოდა, ხოლო შემდეგ, შუა აზიის ქვეყნებში იგზავნებოდა. საჭიროდ მიიჩნიეს, რომ ჩვენს მოქანდაკეებს სამუშაოები პირდაპირ უზბეკეთში შეესრულებინათ, ამიტომ შემოქმედთა ჯგუფი ტაშკენტში გაემგზავრა. ჯგუფში შედიოდნენ: დავით ურუშაძე, კოკი შანიძე, თამარ ავალიშვილი, გოგი კიკვიძე და ალექსანდრე ლოჩოშვილი. უზბეკეთში იმ დროს, „კაგებეს“ ხელმძღვანელი, მეგრელი კაცი, გვარად საჯაია იყო. ალე მას დაუახლოვდა და მისი დახმარებით ცეკას მდივანს შეხვდა, რომელსაც სამუშაო ფართი სთხოვა. იმანაც ორი მეჩეთი გამოუყო. ქართველთა ჯგუფის სახელოსნო სწორედ იქ მოეწყო. მაგრამ თურმე, მოლებს ძალიან შეუწუხებიათ – ღამღამობით კარს ტეხდნენ, შედიოდნენ, ლოცულობდნენ და თავიანთ რიტუალებს ატარებდნენ. ალე გარკვეულ ხანს თავს იკავებდა, მაგრამ ერთხელაც კარი ისევ გატეხილი რომ დახვდა, მოთმინების ფიალა ევსო. აიღო ჩაქუჩი და სტალინის მეტრნახევრიანი ბიუსტის მტვრევას მიჰყო ხელი. გაკვირვებულ-შეშინებული მეგობრები შეეცადნენ, გაეჩერებინათ, მაგრამ ალემ სტალინის ძეგლს მაინც ბოლო მოუღო. შემდეგ იარაღი ამოიღო და რამდენჯერმე გაისროლა. მაშინვე მილიცია მივარდა, მაგრამ ალემ „კაგებეს“ თანამშრომელთა მოსვლის შემდეგ, შეიყვანა მეჩეთში ყველანი და უთხრა – ნახეთ, რა დღეში გვაგდებენ მოლებიო!.. ერთი ამბავი ამტყდარა. 20 მოლა სასწრაფოდ დაუპატიმრებიათ. ერთი თვის შემდეგ, საჯაიას თავად ალემ გამოაშვებინა ოცივე. ჭკუანასწავლები, მეჩეთის კარს აღარ გაჰკარებიან...

უზბეკეთის მთავრობამ სამხატვრო კომბინატს გარკვეული სამუშაოებისთვის 2 მილიონი მანეთი გამოუყო. ეს ფული ალეს პოლონელმა თანამშრომლებმა გაიტაცეს და გაქრნენ. უდანაშაულო მოქანდაკე კი, თავის ბუღალტერთან ერთად დაატუსაღეს და 20 წლით ციმბირში გადაასახლეს. იქაც თავისი ხელმარჯვეობა და გონება შველოდა. სულ რაღაც ნახევარ საათში, ბანაკის უფროსი გამოუქანდაკებია, შემდეგ კი, კლდეში სტალინის ბარელიეფი ამოუკვეთავს. ამით მძიმე ფიზიკურ შრომას გადაურჩა. თავისი პროფესიით ამუშავებდნენ. ისიც სარგებლობდა და ერთი საათის საქმეს 2 დღე წელავდა. ერთხელ, რომელიღაც ჩინოსნის ქანდაკებაზე მუშაობისას, დასასვენებლად წამოწოლილს შეუსწრეს. ამისთვის სასჯელი ელოდა, მაგრამ უმალვე გაუმართლებია თავი: ნამდვილი ხელოვანი თავის ქმნილებას ხან წამოწოლილი უყურებს, ხან მჯდომარე, რომ უზუსტობა არ გამოეპაროსო.

ოჯახი წლების მანძილზე, სამხატვრო აკადემიის დღევანდელ რექტორატში ცხოვრობდა. მათ ქვემოთ კი – ლადო გუდიაშვილის ბინა იყო

მართალია, 20-ის მაგივრად 12 წელი მოიხადა, მაგრამ ჯანმრთელობის შესარყევად ესეც სავსებით საკმარისი აღმოჩნდა. საქართველოში დაბრუნებულს, მეგობრები ამოუდგნენ მხარში, მხატვართა კავშირის წევრადაც აღადგინეს; სამხატვრო აკადემიის ხელმძღვანელობის შუამდგომლობით, წყნეთში ბინა მისცეს და პენსიაც დაუნიშნეს. მაგრამ თავმოყვარეობაშელახული ალე სამეგობრო წრეს თავს არიდებდა. სოხუმში ბინა შეიძინა და იქ გადავიდა საცხოვრებლად. 1987 წელს კი, იქვე აღესრულა. დღეს მისი სახლი და საფლავიც მისი უგზო-უკვლოდ გამქრალი შემოქმედებასავით მიუწვდომელია... ■

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კარატეს შავი ქამრის მფლობელია, თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი — მეორე დანის მფლობელი, ხოლო გიგი თევზაძე, რომელიც განათლების რეფორმის პროექტს — „ილია ჭავჭავაძე“ — ხელმძღვანელობს, აიკიდოს მეოთხე კიუს ფლობს და, მისი თქმით, სოციალურ თეორიასა და ფილოსოფიაში — „მეორე დანს“. ბატონი გიგი ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორია. პროექტმა, რომლის დირექტორიც ის გახლავთ, ძალზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია... რა მსხვერპლის გაღება მოუხდა ამ პროექტის გამო, მოერევა თუ არა ორთაბრძოლაში პრეზიდენტსა და მერს და რით გამოირჩევა აიკიდო — ყოველივე ამის შესახებ ბატონი გიგი თევზაძე და მისი მწვრთნელი, აიკიდოს ივამა რიუს ფედერაციის პრეზიდენტი ზურაბ გავარდაშვილი გვიამბობენ.



აიკიდოს ჩვენს მიმართულებაში ყველაზე მაღალი, მეშვიდე დანი აქვს შვედ ულფ ევენაასს (მარჯვნივ)

აიკიდო — გზა, რომელიც არ ცნობს აკრძალვებს

მარი ხაფარიძე

— ბატონო ზურაბ, აიკიდო არის სპორტის სახეობა, რომელიც...

— მოდით, ერთ რამეზე შევთანხმდეთ: აიკიდო არ გახლავთ სპორტის სახეობა — ეს არის თავდაცვის სისტემა, რომელიც წარმოიშვა XX საუკუნეში. მისი ფუძემდებელი გახლავთ იაპონელი მორიხეი უეშიბა. სპორტის სახეობა არ არის იმიტომ, რომ აქ არ მოქმედებს შეჯიბრის პრინციპი, არ ვლინდება ჩემპიონი... ეს გახლავთ ბუდოს (მეომრის) გზა, რომელიც არ ცნობს აკრძალვებს. ნებისმიერ სპორტის სახეობას აქვს თავისი წესები, კანონები, რომლებიც რაღაცის აკრძალვას ნიშნავს. აიკიდოსთვის ასეთი შეზღუდვები არ არსებობს. მას ხშირად აიგივებენ კარატესთან, უშუსთან და სხვა აღმოსავლურ ორთაბრძოლებთან, მაგრამ ისინი შინაარსით ერთმანეთისგან ძალზე განსხვავდება. აიკიდოს პრინციპი ასეთია — მოწინააღმდეგეს აღიქვამ, როგორც ერთიან ენერგიის წყაროს, მართავ ამ ენერგიას და მისივე ძალით ამარცხებ. როდესაც მოსწავლეები ტატამზე ვარჯიშობენ, მათ არ ჰყავთ მოწინააღმდეგე, რადგან მოწინააღმდეგე ყოველთვის მარცხდება და ის ტატამიდან ველარ დგება.

— აიკიდოშიც არსებობს „შავი ქამარი“, პირველი, მეორე და ა.შ. დანი?

— აიკიდოში დამწყები მოვარჯიშე იწყებს მეცხრე კიუდან და თანდათან გადადის უფრო სრულყოფილ — მერვე, მეშვიდე და ა.შ. საფეხურზე. პირველი კიუს შემდეგ მოდის შავი ქამარი, პირველი დანი, მეორე და ყველაზე მაღალი — მეცხრე დანი. დღესდღეობით მსოფლიოში აიკიდოს ჩვენს მიმართულებაში ყველაზე მაღალი, მეშვიდე დანი აქვს შვედ ულფ ევენაასს. ის გახლავთ შიხანი, რაც იმას ნიშნავს, რომ არის უმაღლესი დონის მასწავლებელი. მეოთხე დანი აქვს რუს ოლეგ იაკიმოვს. მე მეორე დანის მფლობელი ვარ და უფლება მაქვს, მოსწავლეები აღვზარდო და მივაკუთვნო პირველი კიუ. უფრო მაღალი თანრიგისთვის კანდიდატურა უნდა წარვადგინო ულფ ევენაასთან. აიკიდოში ადამიანის განვითარება ხდება სემინარის საშუალებით. იკრიბებიან ამ საქმის სპეციალისტები და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. სწორედ ამ სემინარის დროს ხდება ამა თუ იმ ადამიანისთვის დანის მინიჭება. მე გახლდით სანქტ-პეტერბურგში გამართულ სემინარზე, სადაც მეორე დანზე ულფ ევენაასს ჩავბარე გამოცდა. 2004 წელს ვაწარმოებდი მასთან მოლაპარაკებებს და დავგეგმეთ, რომ 2005 წლის ნოემბერში, შიხანი თბილისს ეწვევა. გასული წლის შემოდგომაზე მინდოდა, ჩამებარებინა მესამე დანზე გამოცდა, მაგრამ სემინარის დროს მივხვდი, რომ მზად არ ვიყავი და გადავწყვიტე, ერთი წელი მომეცადა. ნოემბერში, თბილისში ჩამოსულ ულფთან ჩავბარებ გამოცდას და რამდენიმე ჩემს მოსწავლესაც წარვადგენ „შავ ქამარზე“. თუმცა აიკიდოში ეს არცთუ ისე დიდი მიღწევაა. არსებობს გამოთქმა, რომ „შავი ქამრის“ მიღებით აიკიდოს სამყაროს კარზე ჯერ მხოლოდ დააკაკუნებ, მაგრამ მისი გაღება შენთვის ნაადრევია. ვინაიდან მეორე დანის მფლობელი ვარ, აიკიდოს სამყაროში ღია კარიდან ვიყურები...

— თქვენი ფიზიკური მომზადება ალბათ გშველით კონფლიქტურ სიტუაციებში მოხვედრისას...

— ერთი რამ იცოდეთ: კარგი სპორტსმენი არასოდეს ჩხუბობს. ყოველთვის შეიძლება, რომ საქმე კონფლიქტურ სიტუაციამდე არ მივიყვანოთ. ადამიანს უნდა შეეძლოს დათმობა. ეს სიმხდალეს სულაც არ ნიშნავს. თუ

ნებისმიერ სპორტის სახეობას აქვს თავისი წესები, კანონები, რომლებიც რაღაცის აკრძალვას ნიშნავს. აიკიდოსთვის ასეთი შეზღუდვები არ არსებობს...

დიდი ვალდებულება გვეკისრება და სწორედ ამის გამო, დაუმსახურებლად ვერავის მივანიჭებთ თანრიგს

ადამიანი შინაგანად ძლიერია, ის არასოდეს იჩხუბებს. ხომ წარმოუდგენელია, რომ მოზრდილმა ადამიანმა ბავშვზე საცემრად გაიწიოს!.. როგორც წესი, ჩხუბი ორ მხარეს შორის ძალის წარმოსაჩენად ხდება, რათა ერთმა მეორეს თავისი უპირატესობა დაუმტკიცოს. ბავშვთან კი ძალის დემონსტრირება არავის სჭირდება. ასეა ცხოვრებაშიც. როცა იცი, რომ კაცს მოერევი, მას არ უნდა ეჩხუბო.

— კარატისტებმა პრეზიდენტს „შავი ქამარი“ მიანიჭეს, დედაქალაქის მერს — მეოთხე დანი. თქვენს რიგებშიც ხომ არ არიან ასეთი ცნობილი ადამიანები?

— სპორტის ზოგიერთ აღმოსავლურ სახეობებში მიღებულია, რომ ამა თუ იმ ადამიანს საპატიო თანრიგი მიანიჭონ. მე ასე არ ვფიქრობ. ჩვენ ვართ აიკიდოს მსოფლიო ორგანიზაციის ნაწილი. ამიტომ დიდი ვალდებულება გვეკისრება და სწორედ ამის გამო, დაუმსახურებლად ვერავის მივანიჭებთ თანრიგს. თუმცა, მე თუ

„შავი ქამრის“ მიღებით აიკიდოს სამყაროს კარზე ჯერ მხოლოდ დააკაკუნებ, მაგრამ მისი გაღება შენთვის ნაადრევია

მკითხავთ, კარატეში მიღებული მეოთხე დანი უფრო დიდი ქრთამია, ვიდრე ის საათი, რომელიც ჭიაბერაშვილმა უკან დააბრუნა... უკვე 3 წელია, ჩვენს კლუბში ვარჯიშობს გიგი თევზაძე. ეს გახლავთ კაცი, რომელმაც საქართველოს განათლების კორუმპირებული სისტემა თავდაყირა დააყენა. მას აქვს მეოთხე კიუ და აპირებს, „შავ ქამარზე“ ჩააბაროს გამოცდა. 4 წელია, აიკიდოში ვარჯიშობს აგრეთვე, დიდი ივანე ჯავახიშვილის შვილთაშვილი პაატა ჯავახიშვილი. გიგიც და პაატაც, საქართველოში წამყვანი აიკიდოისტები არიან.

ამასობაში ჩვენს საუბარს ***გიგი თევზაძე*** *შეუერთდა. ბუნებრივია, მის ძირითად პროფესიაზე და „სახელგანთქმულ“ განათლების რეფორმაზე საუბარს გვერდს ვერ ავუვლიდით.*

— მე გახლავართ განათლების რეფორმის პროექტის — „ილია ჭავჭავაძის“ დირექტორი. მართალია, ამ პროექტის დანერგვამ ძალზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და ბევრი წინააღმდეგობაც შეხვდა, მაგრამ უახლოესი 5-6 წელი დაგვანახვებს მის დადებით შედეგებს. ამ პროექტის მეშვეობით განათლების სფეროში მოიშლება კორუფციული სისტემა. მის ერთ-ერთ ღირსებად მიმაჩნია ის, რომ ამ პროექტის წყალობით, ჩვენი უმაღლესი განათლების სისტემა გახდება თავსებადი, როგორც ევროპულ, ასევე ამერიკულ სისტემასთან. დანარჩენი, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებზეა დამოკიდებული.

— რეფორმის მიმდინარეობას კონტროლი თქვენ უნდა გაუწიოთ?

— განათლების სამინისტროში შეიქმნება აკრედიტაციის სამსახური, რომელიც გააკონტროლებს სწავლების ხარისხს. კონტროლი ჩემს კომპეტენციაში არ შევა.

— თქვენეული რეფორმა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები კონტინგენტის შემცირებას ითვალისწინებს?

— ეს პროექტი არა შემცირებას, არამედ მხოლოდ იმ რაოდენობის დადგენას ითვალისწინებს, რომელიც სჭირდება ქვეყანას და რომლის მიღებასაც შეძლებს ესა თუ ის უმაღლესი სასწავლებელი. ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა, ეს იყოს შემცირება, ზოგიერთ შემთხვევაში — გაზრდა, თუმცა, წელს ალბათ, რაოდენობის მომატება არ მოხდება, რადგან შარშან ძალზე ბევრი სტუდენტი მიიღეს: როგორც ჩანს, წლევანდელმა მისაღებმა გამოცდებმა ხალხი დააფრთხო... სახელმწიფო ყველა უმაღლეს სასწავლებელს დაუდგენს ზღვრულ ნორმას, რომელზე მეტსაც ის ვერ მიიღებს. პროექტი „ილია ჭავჭავაძე“ ზოგადი განათლების სისტემის რეფორმირებას ისახავს მიზნად. მას უმაღლესი განათლების რეფორმამ და მის გარშემო ატეხილმა ხმაურმა მოუტანა პოპულარობა... ამჟამად ვმუშაობ კანონზე ზოგადი განათლების შესახებ, პარლამენტთან ერთად. უნდა დაიხვეწოს გამოცდების სისტემა. წელს, მისაღებ გამოცდებზე მხოლოდ 4 საგანი ჩაბარდება. გაისად დაემატება საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და ისტორია. ასევე უნდა შემუშავდეს ადეკვატური სისტემა, მაგისტრატურის დონეზე სტუდენტების განაწილებისა.

— ვიცი, რომ ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ხართ. აიკიდოში კი მეოთხე კიუს ფლობთ... რომელი უფრო მაღალი საფეხურია?

— აიკიდოში ვარჯიში იმიტომ დავიწყე, რომ ძალზე დატვირთული ვიყავი სამეცნიერო საქმიანობით, არ მქონდა განტვირთვის საშუალება. ერთხელ მოვედი და მგონი, სამუდამოდ დავრჩი ამ სამყაროში. მეოთხე კიუს ვფლობ და მინდოდა, ერთი საფეხურით მაღლა ავსულიყავი, მაგრამ ჩემი ერთი კიუ განათლების რეფორმას შეეწირა. როდესაც პროექტზე ვმუშაობდი, ვერ ვპოულობდი დროს ვარჯიშისთვის. ამიტომ აიკიდოში გამოცდების ცოტა ხნით გადადება მომიხდა. მიმაჩნია, რომ როგორც მეცნიერს, გაცილებით მეტი მიღწევა მაქვს. შეიძლება ვთქვა, რომ სოციალურ თეორიასა და ფილოსოფიაში „მეორე დანი“ მაინც მაქვს. ამ შედეგს 12-13 წლის მუშაობის შედეგად მივაღწიე. აიკიდოში კი, ჯერ სულ 3 წელია, ვვარჯიშობ.

— „კარატისტ“ პრეზიდენტსა და ქალაქის მერს მოერევით?

— თუ საქმე საქმეზე მიდგა, ალბათ მოვერევი. მაგრამ მათთან არ ვიჩხუბებ, რადგან ისინი „კარატისტები“ არიან, მე კი — აიკიდოს მიმდევარი. ეს სრულიად სხვადასხვა რამ გახლავთ. კარატეში მიღებულია საპატიო დანების მინიჭება, ჩვენთან კი, ეს მხოლოდ დამსახურების მიხედვით ხდება. ამიტომ მიმაჩნია, რომ მე მორალური უფლებაც არ მაქვს, საპატიო თანრიგების მფლობელებს ვეჩხუბო... ■

იკერ კასილასი – სუპერკლუბის გოლკიპერი, რომელიც ვარჯიშზე მეტროთი დადიოდა...

სრული სახელი: იკერ კასილას ფერნანდესი

დაბადების თარიღი: 1981 წლის 20 მაისი

დაბადების ადგილი: ესპანეთი

სიმაღლე: 185 სმ

წონა: 83 კგ

ტიტულები: ესპანეთის ჩემპიონი (2001, 2003), ესპანეთის თასის მფლობელი (2003), ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული (2000, 2002), საკონტინენტთაშორისო თასისა (2002) და ევროპის სუპერთასის (2002) მფლობელი, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი 15 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ტურნირებზე (1995), მსოფლიო ჩემპიონი 16 წლამდე ასაკის მოთამაშეთა შორის (1997), მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკთა შორის (1999), 23 წლამდე ასაკის მეკარეთათვის დაწესებული მსოფლიოს საუკეთესო გოლკიპერის პრიზის (Bravo) მფლობელი, ესპანური პრემიის — „ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები სპორტში“ — ლაურეატი.

ბოლო წლებში მადრიდის „რეალის“ სუპერვარსკვლავთა შორის მყარად დაიმკვიდრა ადგილი ესპანური გრანდის ახალგაზრდა მეკარემ, იკერ კასილასმა, რომელიც გუნდის ძირითად შემადგენლობაში პირველად 1999 წელს გამოჩნდა, რაოდენ გასაკვირადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, მაშინ ის მხოლოდ 18 წლისა იყო. მას შემდეგ, იკერმა თამაშის თვალსაზრისით დიდი პროგრესი განიცადა და პლანეტის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ იქცა, რაშიც მას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი „სამეფო კლუბის“ ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა, ვისენტე დელ ბოსკემ. დღეს კასილასი „რეალში“ ფაქტობრივად შეუცვლელი ფიგურაა, რომლის გარეშეც ქომაგებს ალბათ ვეღარც წარმოუდგენიათ მადრიდული გუნდი. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ფეხბურთის არაერთი დიდოსტატისთვის „რეალის“ მაისურის მორგება აუხდენელ ოცნებად დარჩა, ახალგაზრდა ესპანელი გოლკიპერის მიღწევა კიდევ უფრო თვალში საცემი გახდება.



ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი მატჩი, რომელიც იკერ კასილასმა „რეალის“ მეკარის ფორმით ჩაატარა, არცთუ ისე დიდი ხნის წინ შედგა. ამ შეხვედრაში „სამეფო კლუბელთა“ მეტოქე მადრიდის „ატლეტიკო“ გახლდათ. როგორც ცნობილია, ვანდერლეი ლუქსემბურგის გუნდმა ანგარიშით 3:0 გაიმარჯვა, რაშიც ლომის წილი სწორედ კასილასს მიუძღოდა. ვინც ეს დაპირისპირება იხილა, კარგად ემახსოვრება, რომ „ატლეტიკო“ თითქმის მთელი ორი ტაიმის განმავლობაში შეუსვენებლად უტევდა. მაგრამ გოლის გატანა ვერ მოახერხა, უფრო სწორედ კი, ტორესსა და კომპანიას ამაში ყველაზე მეტად ხელს „რეალის“ მეკარე უშლიდა, რომლის თამაშითაც ყველა აღფრთოვანებული დარჩა. – „სიმართლე გითხრათ, ამ თამაშის მსვლელობისას ვფიქრობდი – მოვლენები საფინალო სასტვენამდე ასე რომ განვითარდეს, აუცილებლად წავაგებთ-მეთქი. მაგრამ ჩვენ გაგვიმართლა და საგოლე მომენტები გამოვიყენეთ, მათ კი ეს ვერ შეძლეს“, – ამბობს იკერი, რომელმაც „რეალისა“ და ესპანეთის ეროვნული ნაკრების №1 მეკარის სტატუსი ჯერ კიდევ იმ ასაკში მოიპოვა, რომელშიც სხვა გოლკიპერებს ძირითად შემადგენლობაზე მხოლოდ ოცნება თუ შეუძლიათ. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ სამშობლოში მას დიდი ზამორასა და არკონადას გვერდით აყენებენ. მიუხედავად ამისა, ფეხბურთის გამოცდილი სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ „სამეფო კლუბის“ კარის დარაჯს თავისი კარიერის პიკისთვის ჯერ არ მიუღწევია. „ის ახალგაზრდაა და ყველაფერი წინ აქვს, – აცხადებს კასილასის პირადი მწვრთნელი „რეალში“, მანუელ ამიერო, – იკერს ჯერ კიდევ დიდი დრო აქვს იმისთვის, რათა მაღალ დონეზე ითამაშოს და პროგრესირებაც განიცადოს. თუ კასილასი ტრავმებს თავიდან აიცილებს, მაშინ მისი თამაშით ტკბობის შესაძლებლობა კიდევ არა ერთი სეზონის განმავლობაში მოგვეცემა“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იკერ კასილასს წინსვლაში დიდი დახმარება გაუწია ცნობილმა მწვრთნელმა, ვისენტე დელ ბოსკემ, რომელიც მადრიდელთა მეკარეს ბავშვობიდან იცნობდა. საფეხბურთო სკოლაში ესპანეთის ნაკრების მომავალი გოლკიპერი მამამისმა მიიყვანა. კასილას-უფროსს პროფესიონალურ დონეზე თავად არასოდეს უთამაშია, მაგრამ იგი თავიდანვე დარწმუნებული იყო, რომ მისი ვაჟიშვილი დიდ წარმატებებს მიაღწევდა. დელ ბოსკეს ხელში იკერი 6 წლის ასაკში მოხვედრილა. მაშინ სენიორ ვისენტე „რეალის“ ბავშვთა და ახალგაზრდულ გუნდებთან მუშაობდა. სხვათა შორის, პატარა კასილასს ჯერ კიდევ იმ პერიოდში გაუკეთებია არჩევანი: „ჩემს ოჯახში ხშირად საუბრობდნენ იმაზე, რომ მე დიდი ფეხბურთელი უნდა გამოვსულიყავი. მამაჩემი დღე და ღამე ერთ რამეზე ოცნებობდა – თუ როდის მოვირგებდი მადრიდის „რეალის“ მაისურს. მისი იმედი ნამდვილად გავამართლე, თუმცა მაისურის ნაცვლად მეკარის სვიტერზე გავაკეთე არჩევანი. შეიძლება ეს უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ კარგად მახსოვს, რომ ლამაზი ნახტომის შესრულება ბავშვობიდანვე აღმაფრთოვანებდა. ხოლო როდესაც ნახტომთან ერთად ბურთის მოგერიებაც შევძელი,

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა“.

„რეალის“ ძირითად შემადგენლობაში იკერი გარკვეული გარემოების შედეგად აღმოჩნდა. 1999 წელს, საფეხბურთო სეზონის საშემოდგომო ეტაპზე, მაშინ როდესაც მადრიდელთა პირველი მეკარე, ბოდო ილგნერი კლუბის ხელმძღვანელობასთან კონტრაქტის პირობების გაუმჯობესებაზე დაობდა, ხოლო მისი შემცვლელი არცთუ ისე დამაჯერებლად თამაშობდა, „რეალის“ მესვეურებმა ახალგაზრდა კასილასის გამოცდა გადაწყვიტეს. ეს უკანასკნელი „სანტიაგო ბერნაბეუს“ ათეულობითათასიან პუბლიკას არ შეუშინდა და საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინა. „თავიდან ცხადია, ცოტათი შებოჭილი ვიყავი. ეს განსაკუთრებით მაშინ მემჩნეოდა, როდესაც „რეალის“ მატჩების ვიდეოჩანაწერებს ვადევნებდი თვალს და საკუთარ თამაშს ვაკვირდებოდი. თუმცა, ადაპტაცია მალევე მოვახერხე და აღარც დაცვის ხაზისთვის შენიშვნების მიცემასა და გუნდის ვეტერანი ფეხბურთელების დარიგებას ვერიდებოდი. ხოლო როდესაც პირველად აღმოვჩნდი „ბარსელონას“ პირისპირ „ნოუ კამპზე“, მივხვდი, რომ ყველაზე დიდი ბარიერი უკვე გადალახული მქონდა და აღარაფრის არ უნდა შემშინებოდა. ამჟამად ჩემთვის სულერთია, თუ რომელი გუნდის წინააღმდეგ უწევს თამაში „რეალს“, თუმცა ტრიბუნებზე მსხდომთაგან მომდინარე ფსიქოლოგიური ზეწოლა შეუმჩნეველი მაინც „არ მრჩება“.



...ჩინებული რეაქციით გამოირჩევა და საიმედოდ თამაშობს, როგორც კარის ხაზზე ასევე სადარაჯოდან წინ გასვლისას

2000 წელს, მას შემდეგ, რაც „რეალმა“ „ბარსელონასაგან“ ლუიშ ფიგუ ასტრონომიულ თანხად შეიძინა, ხმაურიანი ტრანსფერის განხორციელების სურვილი თავად კატალონიელებსაც გაუჩნდათ, და „სამეფო კლუბელთაგან“ კასილასის ყიდვა გადაწყვიტეს. თუმცა ნურას უკაცრავად, თხემით ტერფამდე „მადრიდისტ“ გოლკიპერს სხვა გუნდში გადასვლაზე ფიქრიც არ სურდა: „ბუნებრივია, ჩემთვის სასიამოვნო იყო ის, რომ ისეთი დიდებული კლუბი, როგორიც „ბარსაა“, კასილასის პერსონით დაინტერესდა. მაგრამ ყველაფერ იმას, რაც გამაჩნია, ხომ „რეალს“ უნდა ვუმადლოდე. ამიტომ მსურს, ჩემს გუნდს „ვალი“ კარგი თამაშით დავუბრუნო. მთელი ამ ხნის მანძილზე მადრიდული კლუბი დიდი ენერგიით მავსებდა. თავისი ტრადიციის საფუძველზე მზრდიდა და რა გასაკვირია, რომ სხვა გუნდის მაისურის მორგების სურვილი აღარ მქონდეს?!“

იკერ კასილასი ნახტომისა და პოზიციის სწორად შერჩევის დიდი უნარითაა დაჯილდოებული, ჩინებული რეაქციით გამოირჩევა და საიმედოდ თამაშობს, როგორც კარის ხაზზე ასევე სადარაჯოდან წინ გასვლისას. ამასთან, ის საკუთარ თავს 11-მეტრიანი დარტყმების მოგერიების ოსტატადაც არ მიიჩნევს და თვლის, რომ ამ ამპლუაში გოლკიპერი მხოლოდ ფორტუნის იმედადღა რჩება. გარდა ამისა, იკერს თავისი კოლორიტული კოლეგების, ჩილავერტისა და იგიტას მსგავსად პენალტებისა და საჯარიმო დარტყმების შესრულებაც არ იზიდავს. „ეს ჩემი საქმე ნამდვილად არ არის. ვარჯიშებზე კარში დარტყმებს მართლაც ვასრულებ, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ ჩემი თანაგუნდელი გოლკიპერები გავახურო. ხოლო მატჩის მსვლელობისას ამისი გამეორების სურვილი არ მიჩნდება. რა თქმა უნდა, ჩილავერტის ბომბარდირული თვისებები აღმაფრთოვანებს, მაგრამ მის მიბაძვას არ ვაპირებ, რადგან სამოქმედო არეალს ყოველი ფეხბურთელი თავად ირჩევს“.

დღეს იკერი მთელ ესპანეთში და განსაკუთრებით კი, მადრიდში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. „რეალის“ სუპერგოლკიპერს ავტოგრაფის მსურველი ფანები ხშირად მთელი საათნახევრის განმავლობაში არ აძლევენ წასვლის საშუალებას, მაშინ როდესაც ამ საქმეს გუნდის სხვა ვარსკვლავები მხოლოდ 10-15 წუთს ანდომებენ. „ხშირად ჩემ გარშემო შეკრებილი ხალხის რაოდენობა მაკრთობს კიდეც, რადგან მახსენდება, რომ სულ ცოტა ხნის წინ, ვერავინ მცნობდა. თანაც ჩემი თაყვანისმცემლებისთვის იმედგაცრუება ნამდვილად არ მსურს“, – ამბობს იკერი, რომლის წლიური ანაზღაურებაც 2,8 მილიონი დოლარია. რა თქმა უნდა, ეს თანხა რამდენჯერმე მცირეა იმაზე, რასაც ზიდანი, ბექჰემი, რაული, რონალდო, ფიგუ და რობერტო კარლოსი გამოიმუშავებენ, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ კასილასის თაობის ფეხბურთელთაგან, „რეალში“ 2.8 მილიონს სხვა არავინ იღებს.

აი, კიდევ რამდენიმე საინტერესო ფაქტი „სამეფო კლუბის“ კარის დარაჯის ცხოვრებიდან:

ამბობენ, რომ კასილასის დიდი სპორტული მომავალი დედამისს უნებურად მაშინ უწინასწარმეტყველია, როდესაც ვაჟიშვილზე ფეხმძიმედ მყოფი, ბილბაოდან მადრიდში მიფრინავდა. 6 წლის ასაკიდან კი, იკერს მამამისი დილის ექვს საათზე აღვიძებდა, რათა მომავალი ვარსკვლავი მადრიდის საფეხბურთო სკოლა „მოსტოლესში“ წაეყვანა.

კასილასს სულ რამდენიმე წლის წინ დაუნებებია ტოტალიზატორში თამაშისთვის თავი. მაშინ „რეალის“ გოლკიპერმა მატჩების შედეგები ზუსტად გამოიცნო, მაგრამ ბილეთის შევსებისას მექანიკური შეცდომა დაუშვა. არადა, ასე რომ არ მომხდარიყო, იგი 1.1 მილიონ დოლარს მოიგებდა...

20 წლის ასაკამდე, იკერ კასილასს საკუთარი ავტომობილი არ ჰყავდა და „რეალის“ ვარჯიშებზე მეტროთი მიდიოდა. მოგვიანებით, იგი მამის „რენოს“ საჭეს მიუჯდა. მართვის მოწმობის აღება, კი, „სამეფო კლუბის“ გოლკიპერმა მხოლოდ მეორე ცდაზე შეძლო. ■

მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

Toyota Prius – წლის ავტომობილი

ეს მოდელი ევროპაში „წლის ავტომობილად“ დაასახელეს. პირველი ადგილი იაპონურ მანქანას, 2003 წლის შედეგებით, მიანიჭა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც 22 ქვეყნის წარმომადგენელი 58 ჟურნალისტი შედიოდა. „ტოიოტა პრიუსმა“ 406 ქულა დააგროვა და ფრანგულ მანქანას – Citroen C4-ს საკმაოდ დიდი ანგარიშით (მას მხოლოდ 267 ქულა მიანიჭეს) გაუსწრო. მესამე ადგილი ახალ Ford Focus-ს ერგო, რომლის შედეგი, 228 ქულა გახლდათ. მას მოჰყვებიან: Opel Astra (180), Renault Modus (151), Peugeot 407 (135) და 1-ლი სერიის BMW (83).

2003 წლის დამლევს ჩატარებული კონკურსი იმით იყო საინტერესო, რომ ჟიურიმ არცთუ ისე მასობრივ მანქანაზე შეაჩერა არჩევანი. როგორც ცნობილია, ამ მოდელში უხვადაა გამოყენებული უახლესი ტექნოლოგია – კერძოდ, ე.წ. ჰიბრიდული ამძრავი, რომელიც ბენზინის და ელექტრო ძრავებს აერთიანებს. „პრიუსის“ ამოძრავება და სასტარტო სიჩქარის აკრება ელექტროწევის მეშვეობით ხორციელდება და მხოლოდ ამის შემდეგ ერთვება საქმეში ბენზინის აგრეგატი. ამ პრინციპის გამოყენება საწვავის ეკონომიისა და გამონაბოლქვის ტოქსიკურობის შემცირების შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული კონკურსის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, როგორც ჩანს, ევროპელი ექსპერტები სწორედ ასეთ ავტომანქანებს ანიჭებენ უპირატესობას. როგორც იაპონური ავტოგიგანტის მესვეურები ვარაუდობენ, წლეულს კომპანია 180 ათასი „პრიუსის“ გაყიდვას მოახერხებს. ■

Renault-ის ახალი იმედი

ფრანგული კომპანიის იმედად, კომპაქტური მოდელი – Logan ქცეულა. თავდაპირველად, ეს უპრეტენზიო და იაფფასიანი მანქანა უმეტესად განვითარებადი ქვეყნების, მათ შორის, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ბაზრებისთვის იყო განკუთვნილი. მაგრამ ამ რამდენიმე ხნის წინ, ფრანგულმა ავტოგიგანტმა გამოაცხადა, რომ „ლოგანს“ დასავლეთევროპელ მომხმარებელსაც შესთავაზებს. ეს წლევანდელი წლის მაისივნისისთვისაა დაგეგმილი. გერმანიაში ამ მოდელის დებიუტი გაცილებით ადრე შედგება. იქაურ ექსპერტთა ვარაუდით, გერმანიაში ეს მანქანა 7.500 ევრო ეღირება. ამის წყალობით, „ლოგანმა“ შესაძლოა, სერიოზული კონკურენცია გაუწიოს კორეელ ავტომწარმოებლებს.

ამ მოდელის ძირითად საწარმოო ბაზად ჯერჯერობით რუმინეთში მდებარე ქარხანა Dacia რჩება, რომელიც „რენოს“ საკუთრებას წარმოადგენს. ზოგიერთი დილერიც, რომელსაც არა აქვს ხელშეკრულება ფრანგულ ავტოგიგანტთან, პირდაპირ რუმინეთში აპირებს „ლოგანის“ შეძენას. თუმცა, ჯერ გაურკვეველია, თუ როგორ განხორციელდება ასეთ შემთხვევაში მწარმოებლის გარანტია. ბოლოს დავძენთ, რომ „ლოგანის“ გამოსაშვებად, მოსკოვის საწარმო „ავტოფრამოსიც“ ემზადება. ■

Ford Focus „მგლის ტყავს“ იხდის

მიუხედავად იმისა, რომ ამ მოდელის რეალიზაცია სხვადასხვა ქვეყანაში არცთუ ისე დიდი ხნის წინ დაიწყო, სატიუნინგო ფირმამ – Wolf („მგელი“) უკვე ბევრი იშრომა მის დასახვეწად. ჩვეულებრივი „ფოკუსი“ ამის შედეგად, საკმაოდ სახეშეცვლილი გვევლინება: წინ და უკან სპოილერები გაჩნდა, მოხვევის მაჩვენებელი მაშუქები კი, გამჭვირვალე გახდა; სტანდარტული აირგამწოვი მილი ორმა მონიკელებულმა მილმა შეცვალა. ინჟინრებმა საფუძვლიანად იშრომეს აგრეთვე, ავტომობილის საკიდარზე. ამის წყალობით, 35 მმ-ით შემცირდა მანქანის კლირინგი, გაუმჯობესდა აეროდინამიკა, ხოლო სტანდარტული ვერსიით მშვიდი მოძრაობისთვის განკუთვნილი ავტომობილი, რამდენადმე უფრო მოუხეშავი გახდა. „ვოლფის“ მოდიფიკაციის „ფოკუსის“ ინტერიერს ალუმინისგან დამზადებული დეტალები და სპორტული პედლები შეემატა. მანქანის ძრავას სიმძლავრე 252 ცხ.ძ-მდე გაიზარდა. ■

ლუბა ელიამვილი

ძვირფასი მკვლელი და ჩიპოლინო

(დასაწყისი იხ. „გზა“ 52-2)

ჟურნალ „რეიტინგის“ ჟურნალისტი მარიანა ნიორაძე, მეტსახელად ნიორა, სარედაქციო დავალების შესრულებისას, „დინამოს“ სტადიონზე, ცნობილი ბიზნესმენისა და მეცენატის მოსე კრიხელის მკვლელობის ერთადერთი მოწმე და მისი უკანასკნელი სიტყვების გამგონე ხდება. ამ დღიდან იწყება მისი ფათერაკებიანი თავგადასავალი: ჟურნალისტს ვიღაც ტელეფონით ურეკავს, რაღაც კასეტების დაბრუნებას სთხოვს და ემუქრება; თავად ნიორა სტადიონზე ბრუნდება და დანაშაულის ადგილას, ტუალეტის წყლის ავზში საიდუმლო კონვერტს პოულობს; მისი პერსონით კოლეგა — გაზეთ „დილის ცნობარის“ ჟურნალისტი სანდრო დაინტერესდება; ნიორასთვის სრულიად მოულოდნელად, ის აეროპორტში მაშინ გადაეყრება, როცა მარიანა, დაღუპული კრიხელის ნეშტის თბილისიდან გადასასვენებლად ჩამოსულ მის ნათესავებს ხვდება... იქვე მარიანას, ახალგაზრდა ქერათმიანი ქალი დაეკონტაქტება და ეტყვის — ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია უნდა გაგანდოო. ის უკრაინელი ვიკა მარტინიუკი აღმოჩნდება. ვიკა ნიორას საკუთარი ცხოვრების შესახებ უამბობს: ბიზნესმენის ქალიშვილი, ფუფუნებაში ცხოვრობდა; მონტე-კარლოში ყოფნისას, ქართველი კაცი — ტატო გაიცნო, რომელთან ერთადაც პარიზში რამდენიმე დაუვიწყარი დღე გაატარა; იქიდან ტატოს წასვლის შემდეგ, მალე კიევში გამოიძახეს, რადგან მამამისი მოუკლავთ... თბილისში ტატოს საპოვნელად ჩამოსულმა ვიკამ შეიტყო, რომ მის რჩეულს ცოლ-შვილი ჰყავს... ტატომ მას მასპინძლად თავისი მეგობარი ანდრო მიუჩინა, რომლის მეშვეობითაც ვიკამ დაადგინა, რომ ტატოს სიმამრი საუნის — „ნიმფა კალიფსო“ — მფლობელია, სადაც პროსტიტუცია ყვავის... ნიორას მომაკვდავი კრიხელის სიტყვები — „მანოლი აუზიდან“ გაახსენდება და ვიკას ჰკითხავს — მანოლის ხომ არ იცნობ ვინმესო? ვიკა უპასუხებს — მანოლი მასაჟისტად მუშაობს „კალიფსოშიო“. გოგონები გადაწყვეტენ, დაუყოვნებლივ ინახულონ ეს კაცი, რომლისგანაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღონ. მაგრამ მანოლი სამსახურში არ დახვდებათ; თანამშრომელი ქალი ეტყვის — წუხელ ღამის ცვლაში მუშაობდა და ისვენებსო.

ტაქსიში ჩავხტით თუ არა, მობილი ისევ აწკრიალდა. ამჯერად მაგულია. მას იოლად ვერ დავუძვრები კლანჭებიდან.

— კრიხელები ცოტა ხნის წინ გაფრინდნენ. მე ახლახან წამოვედი აეროპორტიდან. ერთ საათში მოვალ, — სიტყვა არ ჩავაკვეხებინე მაგულის.

— ნიორ, ჩემო კარგო, სწრაფად წამოდი რედაქციაში, ირაკლი გკითხულობს.

მეზიზღება საქმიანი ქალების ეს დამხეცებული ალერსი. არც მაგისი ნიორა ვარ და არც „ჩემო კარგო“. ასეთი დამტკბარი იმიტომაა, რომ, როგორც ჩანს, ირაკლისთან „ჩამრეცხა“: „დილიდან დავეძებ, ერთი საათის საქმე ჰქონდა და ჯერაც არ გამოჩენილა“, — თვალწინ დამიდგა მისი დაელმებული თვალები და ორი თითით ტუჩის კუთხეების ჩამოწმენდის მანერა.

— რედაქციაში ვარ მისასვლელი. გავუაროთ მანოლის და მერე, უცებ გავიქცევი, — დავგეგმე მე და მანქანაც გაჩერდა.

ვიკა რატომღაც დასერიოზულდა. მთელი გზა საჩვენებელ თითზე იხვევს კულულს. თმის წვალება, როგორც ჩანს, მაშინ იცის, როდესაც რაღაც ლოგიკურ ამოცანას წყვეტს ან მისთვის არასასიამოვნო რამეს იხსენებს. ეს ჟესტი მაშინ შევნიშნე, როცა საკუთარ თავგადასავალს მიყვებოდა.

უხმოდ შევძვერით სადარბაზოში. ნაგვისბუნკერიან სახლებში სულ იმის განცდა მეუფლება, რომ ვირთხა ამოხტება და ტერფებზე გადამირბენს. სადარბაზოში სუნიც, ბუნკერის შესაფერისი დგას. დანჯღრეული ლიფტით ავდივართ მეექვსე სართულზე. შუა კარზე, ერთოთახიანის ზარის ღილაკს ვაჭერ. წკრიალის ნაცვლად, ჩიტების ჟღურტული ისმის... სულ მაინტერესებს, რა ტიპის ადამიანები იყენებენ ასეთ ზარს, ალბათ, მეტისმეტად რომანტიკულები. „რომანტიკოსი მასაჟისტი“ — გავიფიქრე და მასთან სასაუბროდ, ტონიც შევარჩიე — საგონებელში ჩავარდნილი, უმწეო და შეწუხებული ქალის... ამაოდ დავშვრი — კართან არავინ მოდის.

— მგონი, ვიცი, გასაღები სადაც აქვს, — რატომღაც ჩურჩულით მაცნობებს ვიკა. კარის თავზე, პატარა ნიშაში ხელს ყოფს და გასაღებს მაწვდის.

გასაღები კარს მოვარგე და ისიც სულ იოლად გაიღო. ჰოლში შევიძურწეთ. ბინაში იდეალური სისუფთავეა, რომანტიკოსისთვის მეტისმეტად მინიმალისტური დიზაინია. თეთრად შეღებილ კედლებზე რამდენიმე შავ-თეთრი ფოტოა გაკრული. ეტყობა, სახლის პატრონს ფოტოხელოვნებაზე აქვს პრეტენზია. რაღაც საერთოც გვქონია... თან, თითქოს ნორმალური სურათებია, თუმცა — ცოტათი ერთფეროვანი. ფოტოებზე ვიღაც პატარა ბიჭებია გამოსახული. ერთი, ბაღის სკამზე მარტო ზის; მეორე სურათზე, ასევე განმარტოებული, ათიოდე წლის მოზარდი, ძველი სახლის ხის კიბეზე ჩამომჯდარა; მესამეზე, პატარა ბიჭი ფანჯარაში იყურება, აშკარად ვიღაცას ელის...

ოთახის კუთხეში დიდი დივანი დგას; კიდევ — საწერი მაგიდა და ორი სკამი. მაღალი ხარისხის ფოტოკამერა და იაპონური, ციფრული ვიდეოკამერა, რომელიც ტელევიზორზეა შეერთებული...

— ეს ვიდეოკამერა ჩემია, მანოლის ვათხოვე.

— ვინ არის სახლში? — ვიძახი და ჩემს ხმას ვერ ვცნობ. წინ წასული ვიკა უეცრად კედელს აეკრა და თითით სამზარეულოსკენ მანიშნებს. მეც ცხადად ვხედავ მამაკაცის ფეხსაცმლის ლანჩს, ფეხს და ხელს იქ, სადაც წესით არ უნდა იყოს — სამზარეულოს იატაკზე. ერთი ნახტომით გავჩნდი სამზარეულოში და შევკივლე: იატაკზე გულაღმა წევს ჩემი ნაცნობი, „შრამიანი“ კაცი. თავი ფანჯრის ქვეშ, რადიატორთან აქვს მიდებული, ერთი ფეხი არაბუნებრივად აქვს მოკეცილი, შუბლზე კი, ზუსტად ცენტრში, აკურატული ნატყვიარი აჩნია. გაზქურის გვერდით, ხელოვნური მარმარილოსზედაპირიან, სამზარეულოს დაფაზე ორი ყავის ჭიქა დევს, გაზქურაზე კი — პატარა ჯეზვე. როგორც ჩანს, მოკლული ვიღაცას ყავას უდუღებ-

და.

— ეს ვინ არის? — ვეკითხები ცარცივით გათეთრებულ ვიკას, რომელიც კედელს აჰკვრია და ნაბიჯს არ დგამს. მისი შიში ჩემზე პარადოქსულად მოქმედებს: უცებ გავმამაცდი. მიცვალებულს ვუახლოვდები და ხელს ვკიდებ.

,,უკვე გაცივებულია, — ვფიქრობ. — თუ მედიცინაში რაიმე გამეგება, წუხელ ღამით უნდა იყოს მოკლული".

— ვინ არის? — ამჯერად უკვე ხმამაღლა ვუმეორებ შეკითხვას ვიკას.

— მანოლი, — მხოლოდ ტუჩების მოძრაობით ვხვდები მის ნათქვამს.

— რა ვქნათ? — მეკითხება ვიკა, თითქოს ლაშქრობისას ტყეში გზააბნეული ბავშვების პიონერხელმძღვანელი ვიყო.

— პოლიციაში უნდა დავრეკოთ, — ვუჭრი მოკლედ და ტახტის გვერდით იატაკზე დაგდებულ ტელეფონთან მივდივარ.

— პოლიციას რა ვუთხრათ — აქ რატომ ვართ-თქო? — მეკითხება ვიკა.

— შენს ნაცნობთან მოვედით მასაჟზე.

— გემუდარები, გავიდეთ და ქუჩიდან დავრეკოთ!.. — თვალები მოუწყლიანდა ვიკას. — მე აქ უცხო ვარ, არ მინდა, პოლიციასთან მქონდეს საქმე.

უცებ რატომღაც ვუჯერებ. ფრთხილად გამოვდივართ სახლიდან, ქაღალდის ხელსახოცით ვწმენდ კარის სახელურებს.

— გასაღები თავის ადგილზე დადე.

ვიკა უსიტყვოდ მისრულებს თხოვნას. კიბეზე ვეშვებით. სადარბაზოდან გამოვედით თუ არა, ისევ შავი ,,ბეემვე" მომხვდა თვალში. ამჯერად მძღოლი მანქანასთან დგას, ჩვენკენ ზურგშექცევით. მერე კარს აღებს და ჯდება.

ის არის, აეროპორტში რომ ვნახეთ — მხარბეჭიანი ტიპი,კრიხელის სიძის,ტატოს მეგობარი, რომელსაც ვიკას თქმით, ანდრო ჰქვია.

ვიკას გავხედე. მანაც შეთქმულის მზერა მესროლა და ოდნავ შესამჩნევად დამიქნია თავი.

— ანდროა, — ჩურჩულით მეუბნება ჩემი თანამგზავრი.

სამარშრუტო ტაქსიში ჩავჯექით.

— მე რედაქციაში უნდა წავიდე. აი, ჩემი ,,ვიზიტკა". თუ დაგჭირდი, დამირეკე, — ვაჩერებ ვიკას თეთრი მუყაოს ნაგლეჯს. — მობილურის ნომერი წერია.

— მე სასტუმროში წავალ. ეს იქაური ტელეფონის ნომერია, — მაწვდის სასტუმროს სარეკლამო ბუკლეტს. — ჩემი მობილური ,,უკრაინულია", — მიწერს ციფრების გრძელ მწკრივს ვიკა. — გეხვეწები, დამირეკე საღამოს, ძალიან მეშინია.

— ორ საათში დაგირეკავ, — ვპირდები მე.

სამარშრუტო ტაქსიდან ბუკიას ბაღთან ჩამოვხტი. ქუჩის ტელეფონიდან ავკრიბე 02. არავინ მპასუხობს. მობილურით ვურეკავ 09-ს, რომ პოლიციის რომელიმე ნომერი გავიგო.

— საინფორმაციო სამსახური 09 გისმენთ, დაელოდეთ ოპერატორს... — მეუბნება გულგრილი ხმა.

— იცით, 02-ზე ვერ ვრეკავ; იქნებ, საბურთალოს განყოფილების ნომერი მომცეთ... — ვეუბნები ოპერატორს.

რაღაც ნომერს მაძლევს. კვლავ არავინ პასუხობს.

— უკაცრავად, ქალბატონო, — არ ვეშვები, — იქნებ, რომელიმე სხვა ნომერი მომცეთ, არ პასუხობენ.

— ამ შემთხვევაში მომსახურება ფასიანია, 15 თეთრი, — განმიმარტავს გულგრილი მოსაუბრე.

— დიახ, მითხარით, თუ შეიძლება.

არც ფასიანი მომსახურებით მოპოვებულ ტელეფონზე პასუხობს ვინმე. მობილური ისევ წკრიალებს. ეკრანზე რედაქციის ნომერი იწერება. ამჯერად მე არ ვპასუხობ და სწრაფად ვხტები სამარშრუტო ტაქსიში. რედაქციაში ისეთი სახით შევდივარ, თითქოს მთელი ნომრის მასალა მარტო მე მოვიტანე.

— ირაკლისთან შედი, — გადმომიგდო მაგულიმ და თავი ფურცლებში ჩარგო.

ფრთხილად ვაკაკუნებ მთავარი რედაქტორის კარზე.

,,თუ ცხოვრება მხოლოდ ლიმონებს გთავაზობს, დაამატე შაქარი და გააკეთე ლიმონათი..." — მახსენდება შეფის საყვარელი შეგონება და ვცდილობ, ცუდზე არ ვიფიქრო. ,,ისე, თუ ცხოვრება მხოლოდ ლიმონებს გთავაზობს, სად უნდა იშოვო შაქარი მათ დასატკბობად?" — ვეკითხები საკუთარ თავს და ირაკლის ხმაც მესმის:

— მობრძანდით.

შეფი მარტოა. გამომცდელად მომჩერებია.

— სად დადიხარ? დავალებაზე გაგვიანდება. რამე თუ გაარკვიე? — არღვევს ჟურნალისტიკის მთავარ პრინციპს შეფი და ერთბაშად სამ შეკითხვას მისვამს.

— აეროპორტში ვიყავი, იქ ერთი ქალი გავიცანი... — ვლუღლუღებ მე.

— ქალის გაცნობის გამო დაგვიანება ვასიკოსთვისაც კი არასაპატიო მიზეზია. დაჯექი და დალაგებულად მომიყევი, — მოლბა მაღრაძე.

მეც დავჯექი და მოვუყევი — როგორ არაფერი მითხრეს კრიხელის ნათესავებმა, როგორ გადავეყარე ვიკას და ბოლოს, როგორ ვიპოვე მანოლის ცხედარი. შეფი ყურადღებით მისმენს, კბილებით კალმისტრის ბოლოს ჩაჰფრენია და ხრავს, რაც იმას ნიშნავს, რომ შეწუხებულია და საგონებელში ჩავარდნილი.

— ზუსტი მისამართი მითხარი.

— ვისი, ჩემი?

— შენი კი არა, იმ მანოლის, — მეუბნება შეფი და რაღაც ნომერს კრებს. სხაპასხუპით მივაყარე. აკურატულად ჩაწერა და ყურმილში ჩასძახა:

— ალო, პოლიციის განყოფილებაა?.. გამარჯობა, ჟურნალ ,,რეიტინგის" მთავარი რედაქტორი გაწუხებთ. ახლახან დარეკეს რედაქციაში და გვითხრეს, რომ ამ მისამართზე კაცია მოკლული; იქნებ, შეამოწმოთ... რამდენად სანდოა, ვერ გეტყვით, ზარი ანონიმური იყო. ჩემი ვალია, შეგატყობინოთ. — მერე ყურმილს დებს და მიყურებს.

— მოდი, ერთად მოვიფიქროთ, რა შეიძლება დამართვოდა შენს სახენაიარევ ნაცნობს, — დაღლილი ხმით მითხრა შეფმა და ხელი თმაში შეიცურა. ამ სულელურ ჟურნალში რომ არ მუშაობდეს, ტიპური სუპერაგენტი იქნებოდა: გრძელი, თლილი თითები, ოდნავ გაჩეჩილი თმა, სანდომიანი ღიმილი და თბილი თვალები, რომელიც ნდობას აღგიძრავს.

,,იქნებ, ვუთხრა გასაღების ამბავი?.." — გავიფიქრე. როგორც ჩანს, მზერა გამიშტერდა, ირაკლი უცებ შეწუხდა.

— არ მომწონს შენი ზედმეტი აქტიურობა ამ საქმეში, რაიმე შარს არ გადაეყარო. ძალიან დაღლილი ჩანხარ. თუ გინდა, წადი შინ და ხვალ მოვიფიქროთ.

— კარგი, ხვალ იყოს, — ვთქვი და

მაშინვე ვინანე, რადგან შეფმა ღილაკს ხელი დააჭირა და მძღოლი გამოიძახა. რაღაც უნდა გადავწყვიტო, გასაღებთან დაკავშირებით. ვის შეიძლება, ვენდო, ირაკლის გარდა?.. ჩემი დუმილი უკვე სისულელეს ემსგავსება. მარტო, ალბათ, ვერასოდეს მივხვდები, თუ რა საიდუმლო კარს აღებს ეს უცნაურნომრიანი გასაღები.

— რედაქცია ზრუნავს თავის გმირებზე, — კომენტარს უკეთებს თავის გადაწყვეტილებას შეფი, როდესაც შოთას, ჩემს წაყვანას ავალებს.

— ყურადღებით და ფრთხილად იყავი, — მეუბნება უეცრად, სერიოზულად. — ხვალ დილას დავალებაზე გაგიშვებ. პარტია „დამოუკიდებელი არჩევანის“ ლიდერთან, მალხაზ აბაზაძესთან ვრცელი ინტერვიუს ჩასაწერად უნდა წახვიდე. შენსავით კარგად მის ალაპარაკებას ვერავინ შეძლებს. ასე რომ, არ დაგვაღალატო, ხომ ხედავ, როგორ გიფრთხილდებით!.. — ხალისიანი ტონით ცდილობს ჩემს გამხნევებას. უცებ მივხვდი: ასეთი მჭევრმეტყველი იმიტომ გახდა, რომ რედაქციის ქალებს უჩვენოს, რომ ჩემზე ზრუნვა რაიმე განსაკუთრებულ დამოკიდებულებას არ ნიშნავს...

„ნეტავ, რამ შეაფუცხუნა ასე?“ — ვფიქრობ ჩემთვის და მოულოდნელად ვეკითხები:

— თუ იცით, არასრულწლოვანთა პორნობიზნესი მართლა მთელი მსოფლიოს პრობლემაა?

შეფს ენა ჩაუვარდა, ისე გამომხედა, თითქოს მარსიდან ჩამოფრენილი, უცხოპლანეტელი ვარ.

— ნამდვილად არის. სულ ახლახან, ავსტრალიელებმა აღმოაჩინეს თავიანთ დალხინებულ ქვეყანაში ამ საზარელი ბიზნესის სინდიკატი... რამ გადაგრია? რამ გაგახსენა პორნობიზნესი? — არ დაიბნა შეფი.

— რაღაც სტატიას ვამზადებ, — ბუნდოვნად ვუპასუხე. მესიამოვნა, რომ საფიქრალი გავუჩინე...

შოთას მანქანაში ჩავჯექი თუ არა, მობილური ისევ აწკრიალდა. ვიდრე ღილაკს ხელს ვაჭერ, ვხედავ — 13 გამოტოვებული ზარი მაქვს დაფიქსირებული.

— მომენატრე, ჩიპოლინო, — მესმის სანდრო თოფურიძის ხავერდოვანი ბარიტონი. — ამ საღამოს „სარდაფში“ პრემიერაა, ბილეთები უკვე ავიღე. უარი არ მითხრა.

— სარდაფი სახლში მეყოფა, ძალიან დაღლილი ვარ.

— მაშინ ქალაქგარეთ გეპატიჟები, სუფთა ჰაერზე. ჩემი ძმაკაცის დაბადების დღეა, „ძველ სახლში“ იხდის. ბედნიერი ვიქნები, მხარს თუ დამიმშვენებ.

— იმ ასაკიდან გამოვედი, „ჩანგალზე“ ასვლა კარგ ტონად რომ ითვლებოდა... — ვიპრანჭები.

— მაშინ, პერსონალური მოპატიჟება: დღეს, პეროვსკაიაზე, იაპონურ რესტორანში გეპატიჟები და თუ უარს მეტყვი, თავს მსოფლიოში ყველაზე უბედურ კაცად ჩავთვლი.

— ახლა ვერაფერს გეტყვი. თუ არ დავისვენე, გადაწყვეტილებას ვერ მივიღებ. ორ საათში დამირეკე, — თავიდან ვიშორებ აბეზარ „პაკლონიკს“. „რას უხდიან ნეტავ, ამდენს ამ „დილის ცნობარში“?.. ჟურნალი უნდა ვიყიდო და ჩემი ინტერვიუ ვნახო, თუ დაიბეჭდა... და საერთოდ, ვინ არის მაგის ჩიპოლინო?..“ — რაჭველივით გვიან ვბრაზდები.

„თუ ცხოვრებამ შენ წინ დაბრკოლების კედელი აღმართა, მიაჭედე ლურსმანი კედელზე, ჩამოკიდე ზედ ქუდი და თავი ისე იგრძენი, როგორც საკუთარ სახლში... — ერთი კედელი ხომ უკვე გაქვს!“ — გამახსენდა დედაჩემის საყვარელი აფორიზმი, როგორც კი სახლში შევდგი ფეხი და სამზარეულოს მაგიდასთან ჩამომჯდარი, მრისხანე ირა დავინახე. ის ახლა თავად იქცა დაბრკოლების კედლად, ჩემსა და ძილს შორის.

— თუ არასდროს მიპასუხებ, მობილური რად გინდა? — მეკითხება დედა, თან, მუხლებზე დასკუპებულ ჩემს კატას ფხანს თავს.

— როგორ შემოხვედი? — კითხვა შევუბრუნე მე.

— გასაღები გურის გამოვართვი. რა გჭირს, რატომ არ მელაპარაკები? რა შარში გაეხვიე? სად დადიხარ?

— რომელ შეკითხვაზე გიპასუხოთ, ქალბატონო ფსიქოთერაპევტო? — ვცდილობ თავის დაძვრენას.

— ყველაზე — თანამიმდევრულად.

„აბა, თუ მაგარი ხარ, მიაჭედე ამ კედელს ლურსმანი!..“

— დილაუთენია, საჭეზე ვიყავი, აეროპორტში. ტელეფონს ზარი მოეშალა, ხმადაბლა რეკავს და არ მესმის. რა შარშიც გავეხვიე, ამას ჟურნალ-გაზეთებიდან გაიგებდი, — ჩამოვარაკრაკე სასწრაფოდ. — ახლა დაღლილი ვარ და ძალიან მეძინება.

— კარგი, კარგი, დაიძინე, — მოლბა უცებ დედაჩემი. — ოღონდ, ვერ ჭამე. ალუბლის კომპოტი მოგიტანე, თეთრი ბლის მურაბა და ვაზის ფოთოლში გახვეული ტოლმა. საშინლად გამხდარი ხარ, 40 კილო იქნები.

— 47, — ვამშვიდებ მშობელს.

— ფულიც მოგიტანე, 500 დოლარი. მე ლონდონში მივდივარ, კონფერენციაზე მიმიწვიეს. ხანდახან სახლში შეიარე და ყვავილები მორწყე, ორ-სამ დღეში ერთხელ, თორემ, თორნიკეს არ გაახსენდება.

თორნიკე დედაჩემის მესამე ქმარია, მხატვარი, თავისუფალი პროფესიის, შემოქმედი ადამიანი. სად სცალია ოლიმპის მწვერვალიდან დასაშვებად და ყვავილების მოსარწყავად?!.

— ჰო, კიდევ — აჰა, შენ გასაღები, — მითხრა დედაჩემმა და ტუალეტში ნაპოვნი კრიხელის გასაღები გამომიწოდა, აკურატული ბირკით.

— ეს სად იპოვე? — მომენტალურად გამოვფხიზლდი.

— კი არ ვიპოვე, „ბეტა ბანკში“ მომცეს. სეიფის გასაღებია, ნომერი ბირკაზე აწერია. ამის გარდა, არსებობს კოდი, რომელსაც აკრებ და სეიფი გაიღება. ერთი გასაღები შენ გექნება, მეორე — მე. ჩემს გვარსა და სახელს ეტყვი და სეიფთან მიგიშვებენ. მთელი სამკაულები იქ შევინახე, თუ რამე დაგჭირდეს, მიდი და აიღე.

— როგორ შემიშვებენ?

— ჩემს სახელს ეტყვი, შენს პასპორტსა და გასაღებს აჩვენებ. პაროლი ციფრების ეს კომბინაციაა; მეორე რიგში რომ წერია, ეს სეიფის კოდია; ბირკაზე ყუთის ნომერია.

— გავიგე, — ვუდასტურებ და თვალწინ თეთრი კონვერტი მიდგება — ზუსტად ასე, ორ მწკრივად დაწერილი ციფრებით.

ღმერთო ჩემო, მივხვდი, როგორც უნდა მოვიქცე, ოღონდ, ახლა უნდა დავიძინო და ხვალ ყველაფერს გავარკვევ.

— ახლავე დავლევ ერთ ჭიქა ალუბლის კომპოტს და დავიძინებ, — ვპირდები დედას. კონვერტში ჩადებული გასაღების დანახვისას, ჩემი პირველი აზრი, სწორედ ბანკი და სეიფის ყუთი იყო. დედაჩემის აფორიზმი, როგორც ყოველთვის, ახლაც ამართლებს. „პირველი შთაბეჭდილება ყოველთვის უფრო ზუსტია, რადგან ინტუიციის უძველეს და უტყუარ განცდაზეა დამყარებული. შემდეგ კი, როცა რაციო ერევა, იოლად ვიტყუებთ თავს და არ ვენდობით გულის კარნახს“, — ეუბნება ხოლმე ირა თავის პაციენტებს.

— გასაღები კარგად შეინახე. ცალცალკე ჩადე კოდების ფურცელი და გასაღები, — მაფრთხილებს დედა და ჩემდა გასაოცრად, მალევე მიდის. როგორც ჩანს, ლონდონში გამგზავრების სამზადისითაა დაკავებული და ჩემს აღსაზრდელად აღარ სცალია...

ირა გავიგულე თუ არა, ერთი ჭიქა ჩაი მოვიდულე, თეფშზე, მზრუნველი დედის მოტანილი თეთრი ბლის მურაბა მოვათავსე და ტელევიზორთან მოვკალათდი. შერლოკ ჰოლმსი დედუქციის პროცესში ჩიბუხის მოწევას ამჯობინებდა, ერკულ პუარო ლუდის ბარში ადგენდა დანაშაულის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, მის მარპლს მყუდრო სავარძელში მოკალათება ერჩივნა, მე, მარიანა ნიორაძეს კი, ჩაიზე მურაბის მიყოლება და ჩართული და ხმადაწეული ტელევიზორის წინ ვჯდომა მომწონს — ასე უკეთ ვფიქრობ.

თუ ემოციებს გვერდზე გადავდებთ და მხოლოდ შიშველ ფაქტებს დავეყრდნობით, ჩემი მრავალუცნობიანი განტოლების

პირობებში მოცემულია ორი გვამი, ერთი სატელეფონო მანიაკი და ერთიც შავ „ბეემვეში“ ჩასაფრებული მეთვალყურე. არ ვიცი, რა ფუნქცია აქვს ამ განტოლებაში ვიკას, შეიძლება თუ არა მისი ნდობა, მაგრამ ათვლის სისტემაში მეტი სიცხადის შესატანად, ჯობს დავუშვა, რომ ვიკას მონათხრობი სრული სიმართლეა. მაშინ გამოდის, კრიხელის კრიმინალური ბიზნესის საქმის კურსში იყვნენ: მისი სიძის მეგობარი ანდრო, რომელიც კრიხელის დის დაცვის წევრია და შესაძლოა, თავად ტატოც. ანდრო მე და ვიკას შავი მანქანით დაგვყვება უკან, ტატო კი, ჩემ თვალწინ ამერიკაში გაემგზავრა. რაც შეეხება მასაჟისტს — დასკვნა, რომ ჩემთან მან დარეკა მუქარით, მას შემდეგ გავაკეთე, რაც ქუჩაში მის მსგავს, ლაბადიანი კაცის სილუეტს მოკარი თვალი. თუ მართლაც მან დარეკა, გამოდის, რომ კრიხელს რაღაც კასეტები ჰქონდა, რომლებიც, უცნობის აზრით, სიკვდილის წინ მე გადმომცა. თუ საქმეში კასეტებია ჩართული, საფიქრელია, რომ ეს ამბავი პორნოინდუსტრიას უკავშირდება და ამ საქმეში კრიხელი იყო გარეული. ყოველ შემთხვევაში, ამას ამტკიცებს ვიკა. კასეტები ვინმეს შეიძლება, შანტაჟისთვის გამოეყენებინა და ამ შემთხვევაშიც, შანტაჟისტი, კრიხელი გამოდის, რადგან კასეტები მასთან ინახებოდა. სხვა შემთხვევაში, რატომ უნდა ყოფილიყო დარწმუნებული სატელეფონო ხულიგანი, რომ ისინი მე მაქვს?.. ვის და რატომ აშანტაჟებდა წარმატებული ბიზნესმენი?.. ვის დასჭირდა მისი გაჩუმება?.. ამის დასადგენად, ალბათ, კასეტებს უნდა მივაკვლიო. არის მეორე ვარიანტიც: თვითონ კრიხელს ერჩოდა ვინმე და მას ამის შესახებ ინფორმაცია კასეტაზე აქვს ჩაწერილი. მოკლედ, არსებობს კასეტა (ან კასეტები), რომელიც ყველაფერს ნათელს მოჰფენს.

კიდევ ერთი ვერსია ბეჭედსა და ბრილიანტს უკავშირდება. გამომძიებელს ჩემთან წამოსცდა, რომ ბეჭედში მოპარული ბრილიანტია ჩასმული. რატომ აღმოაჩნდა წარმატებულ ბიზნესმენს თითზე ნაპარავი ბრილიანტი? იქნებ, კრიხელის კრიმინალური ბიზნესი სცილდება საუნების სივრცეს?..

ტელეეკრანზე ღამის საინფორმაციო გამოშვების ქუდი გამოჩნდა, ხმას ავუწიე. პოლიტიკური ამბების შემდეგ ეკრანზე, ჩემთვის კარგად ნაცნობი, სტადიონის ტუალეტის კადრები გამოჩნდა. ჟურნალისტი იუწყებოდა, რომ მოსე კრიხელის ადვოკატმა მისი ანდერძის პირობები გამოამზეურა. სამი კვირის წინ შედგენილი ანდერძის მიხედვით, კრიხელის მრავალმილიონიანი ქონების 50%-ის მემკვიდრე მისი ქალიშვილი მაგდაა, დანარჩენი 20%-ის — და მედეა, ხოლო 30% მოსე კრიხელმა, ყველასათვის მოულოდნელად, მასაჟისტ მანოლის უანდერძა, რომელიც თავის ბინაში მოკლული იპოვეს. ადვოკატი ამ, ყველასათვის მოულოდნელი გადაწყვეტილების მოტივის განმარტებისგან თავს იკავებდა. საინფორმაციო გამოშვება უცხოეთის ქრონიკით გაგრძელდა და ის იყო, კვლავ ხმის გათიშვას ვაპირებდი, რომ აღელვებულმა წამყვანმა გამოაცხადა: „ეს წუთია, აფეთქების ხმამ შეაზანზარა სასტუმრო „ტიფლის ქალაქი“, სასტუმროს წინ მდგარ „ბეემვეს“ მარკის შავი ფერის ავტომანქანას მოულოდნელად ცეცხლი გაუჩნდა“. ეკრანზე ცეცხლმოკიდებული მანქანის ამსახველი კადრები გამოჩნდა. კარგად ჩანდა სანომრე ნიშანიც. ჩემი მდევრის შავი „ბეემვე“, ვიკას სასტუმროს წინ ოლიმპიური ჩირაღდანივით გიზგიზებდა.

— ...საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა. აფეთქების მომენტში, მძღოლი მანქანაში არ იჯდა. მისი ვინაობა და აფეთქების გამომწვევი მიზეზი დგინდება, — წერტილი დასვა წამყვანმა და კულტურის სფეროში მომხდარ მოვლენებზე გადავიდა.

ესეც კიდევ ერთი ახალი გამოცანა და მკვლელობის კიდევ ერთი მოტივი, რომელიც თანაბრად შეიძლება ჰქონოდა ანდერძში დასახელებულ სამივე პერსონას: მაგდას, მედეას და მანოლის. „MMM“ გამახსენდა — რუსული ფინანსური პირამიდის სახელწოდება. თავის რეკლამებში ეს ფირმა უბრალო ადამიანებს იოლი გამდიდრებისა და კეთილდღეობის მარტივ გზას სთავაზობდა, რომელიც საბოლოო ჯამში, ხაფანგი აღმოჩნდა. მაგდა, მედეა, მანოლი — ამ სამი „ემ“-იდან რომელმა დაუგო მოსე კრიხელს სასიკვდილო ხაფანგი?.. ამ საიდუმლოს, ალბათ, მას შემდეგ აეხდება ჩემთვის ფარდა, რაც ბანკის ყუთში ჩავიხედავ, მანამდე კი, არცთუ ისე დიდი დროა დარჩენილი. ჩემი დედუქციური წიაღსვლები ტელეფონის ზარმა შეწყვიტა:

— გისმენთ.

— მარიანა, ვიკა ვარ, — გავიგონე ჩემი ახალი დაქალის შეშფოთებული ხმა. — ჩემი სასტუმროს წინ ანდროს მანქანა აფეთქდა.

— რა იცი, რომ ანდროს მანქანა იყო?

— ანდრო ჩემთან იყო ნომერში, ტატომ გამოაგზავნა, ფულით და წერილით.

— ახლა სად არის?

— მანქანა აფეთქდა თუ არა, მაშინვე გავისტუმრე. არ მინდა, ჩემით პოლიცია დაინტერესდეს. შეიძლება, ხვალიდან შენთან გადმოვიდე საცხოვრებლად? ძალიან მეშინია.

— დილას შევხვდეთ და მოგიყვან, — ცივად გამოვუცხადე ვიკას. რატომ არ ჰკითხა ანდროს, ვინ ემტერება მის მანქანას?..

ჩემი გულცივობა რა გასაკვირია?.. ვიკას პანიკა გაზვიადებული მგონია. ვიღაც უცნობი ჩამოხრჩობით დამემუქრა და მაინც არ გავქცეულვარ სახლიდან. თუმცა, როგორც დედაჩემი ამბობს, გულადობას ადამიანის ფსიქოტიპი განაპირობებს. მე, მისი თქმით, სანგვინიკი ვარ: აქტიური, ოპტიმისტი პიროვნება. სახლშიც, სტუმრადაც, სამსახურსა და კაფეშიც ჩემთვის კომფორტული ადგილის შერჩევისას, ისეთ მდებარეობაზე ვჩერდები, საიდანაც კარი და ფანჯრები კარგად ჩანს და მირჩევნია, ზურგს უკან ყრუ კედელი მქონდეს. როგორც ირა ამბობს, ასე იმიტომ ვიქცევი, რომ საფრთხეს ან მოულოდნელობას, რომელიც შესაძლოა, ფანჯრიდან ან კარიდან მეწვიოს, მირჩევნია, პირისპირ შევხვდე და არა ზურგი შევაქციო. ადამიანები, რომლებიც პრობლემას სირაქლემასავით ქვიშაში თავჩარგული ემალებიან, ძალიან მაღიზიანებენ. ახლაც, ვიკას სურვილმა — სასწრაფოდ დაიმალოს ისე, რომ არაფრის გარკვევა არ სცადოს, — გამაბრაზა.

— ჰკითხე ანდროს, ეჭვი ვისზე აქვს?

— კი, ვკითხე. ვერ ხვდება, ვის დასჭირდა მისი მანქანის აფეთქება. როგორც ამიხსნა, ტატომ დაავალა, მომხედოს და ამიტომ დამყვება მანქანით. გამომძიებლებს, ალბათ, დღეს თვითონ დაელაპარაკება. მე ხვალ დამიძახებენ და არ მინდა, ნომერში დავხვდე. დამეხმარე, ერთი დღით მინდა, სადმე გავერიდო.

— კარგი, დილას შევხვდეთ და ჩემთან წამოგიყვან, — დავაწყნარე შეშინებული ვიკა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მამაკაცების რევერანსები, ნავთქურაზე მომზადებული კერძები და „ბავშვობის გემოს“ მქონე ჩაი

ყველა თაობას საკუთარი ნიშა აქვს. თითოეული მათგანი მეორეზეა გადაჯაჭვული და ამავე დროს, ყველა, ერთიმეორისგან განსხვავებულად ყალიბდება. განსხვავებულია თითოეული ადამიანის შეხედულება იმაზე, თუ საკუთრივ რით გამოირჩევა მისი თაობა წინამორბედისა ან მომდევნო თაობისაგან. თუმცა, არსებობს საერთო ნიშნები, რომლებსაც თაობის ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ აუვლის გვერდს. როგორია მსახიობ თათული დოლიძისეული ვერსია?..

ემა ტუხიაშვილი

— ბევრჯერ შევსწრებივარ, თუ როგორი თავგამოდებით ბჭობენ თაობებზე, ზოგჯერ ამ საკითხზე საუბრები უთანხმოებითაც კი დასრულებულა. ერთიანად მოსაწონი არც ერთი თაობა არ ყოფილა, მისი წინამორბედი თაობისთვის... სამყაროში იმდენი სიახლე შემოდის, რომ თაობათა ცვლას საღი თვალით უნდა შეხედო. ჩემი თაობის ადამიანებს შორის, ბევრი იყო ნიჭიერი. ჩემს კლასში საკმაოდ ჭკვიანი ბავშვები სწავლობდნენ და სკოლის გარდა, ახერხებდნენ, რომ ევლოთ სპორტზე, მუსიკაზე, კინოსა და თეატრში. რა თქმა უნდა, ჩვენი თაობა უფრო წიგნიერი იყო, ვიდრე მომდევნო ან ამის შემდგომი. მაგრამ ესენი სხვა მხრივ არიან განვითარებულები. ჩემი შვილიშვილის ასაკის ბავშვები საოცრად ფლობენ ტექნიკას. არაფრის წაკითხვა არ სჭირდებათ, ისე ხვდებიან, თუ სად რა ღილაკს უნდა დააჭირონ...

— ამბობენ, რომ ბოლო წლებში, ღირებულებების მკვეთრი გადაფასება მოხდა. თუ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

— ახლა ადამიანები მასობრივად ეკლესიურები გახდნენ. არავის ვაყენებ შეურაცხყოფას, მაგრამ მგონია, რომ უბრალოდ, იმ ადამიანებს სურთ, ღრმად მორწმუნენი იყვნენ და გარკვეულწილად თამაშობენ კიდეც, რომ ნამდვილად ასეთები არიან. ეს საძრახისი სულაც არ არის, რადგან მათი შემდგომი თაობა ნამდვილად იქნება ღრმა რწმენით განმსჭვალული... ჩვენს თაობაში კი, თითქმის ყველა ათეისტი იყო. მხოლოდ იშვიათად თუ გამოერეოდა ისეთი, ვისაც რელიგიურობა ოჯახიდან მოსდევდა. დედაჩემი მორწმუნე ადამიანია, ამიტომ ყოველდღე ვხედავდი, თუ როგორ ლოცულობდა. თუმცა დედა ხშირად არ დადიოდა ეკლესიაში, მე კი მარიგებდა: შეეცადე, უფლის ათ ცნებას „მოერიოო“... აქვე ერთ მტკივნეულ თემას შევეხები. ჩემი თაობის ქალებისთვის აბორტი აბსოლუტურად მისაღები იყო. ალბათ არც ერთი ჩვენგანი არ დაფიქრებულა იმაზე, თუ რას სჩადიოდა იმ მომენტში. გულწრფელად გეუბნებით: ახლა ამას ველარ ჩავიდენდი... თუმცა, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ მოხდა თაობებს შორის ურთიერთობების გაუფასურება. მე თითქმის ყველა თაობის მეგობარი მყავდა და მყავს კიდეც. მაგალითად, ჩემი მეგობარი გახლდათ ბატონი გია ბადრიძე, რომელიც დედაჩემის მეგობარიც იყო და შემდეგ, ჩემი შვილის მეგობარიც გახდა. მეგობრული ურთიერთობა მქონდა და მაქვს ყველა თაობის ჩემს კოლეგასთან. სად არ გვიმოგზაურია ერთად, მაგრამ „ბატონოს“ გარეშე არასდროს მიმიმართავს ამ ადამიანებისთვის. ქალსაც სხვანაირად სცემდნენ პატივს მაშინ. ის, რომ მამაკაცი ქალს ფეხზე უნდა წამოუდგეს, წამოიწიოს მაინც, ახლანდელი თაობისთვის აბსოლუტურად მიუღებელია. ვერაფრით გამიგია, რატომ უკადრისობენ ამას. მე რომ მამაკაცი ვიყო, ასეთი ჟესტის გაკეთებას ვერავინ დამასწრებდა.

— როგორ ერთობოდა თქვენი თაობა?

— მართალია, ჩვენი ახალგაზრდობის პერიოდში გართობის ამდენი საშუალება არ არსებობდა, თუმცა არც ის იყო ცოტა, რაც ჩვენ გვქონდა. ძირითადად, ეს იყო კინო, თეატრი, ვსწავლობდით უცხო ენებს, დავდიოდით მუსიკაზე. ახლა სრულ თავისუფლებას ქადაგებენ და მოზარდს თავად ანიჭებენ არჩევანის საშუალებას, მაგრამ ძალიან იშვიათია, რომ ბავშვს, გართობისა და თამაშის გარდა, სხვა რამ აინტერესებდეს. ჩვენი თაობისთვის კი, აუცილებელი იყო, რომ მინიმალური მუსიკალური განათლება მაინც მიგვეღო. მართალია, მუსიკალური შვიდწლედი დავამთავრე, მაგრამ ვნანობ, რომ ვიზარმაცე და უფრო კარგად არ შევისწავლე მუსიკა... რა თქმა უნდა, ვიკრიბებოდით მეგობრებთან. საკმაოდ დიდი სამეგობრო მყავდა და თითქმის ყოველთვის ერთად ვიყავით. მაშინ დასასვენებელი ადგილებიც ერთი და იგივე გვქონდა: ზამთარში ბაკურიანში დავდიოდით, ზაფხულში კი — გაგრას, ბიჭვინთასა და ბათუმს ვსტუმრობდით.

— მაშინ „დიდი რუსეთის“ კარიც ღია იყო ქართველებისთვის...

— ვიდრე თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარებდი, გადაწყვეტილი მქონდა, რომ უმაღლესი განათლება რუსეთში მიმეღო და დასავლეთევროპული ენები შემესწავლა. მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, ეს არ მოხდა. ვფიქრობ, რომ ვინც რუსეთში ისწავლა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არაფერი წაუგია. მაგალითად, ჟანრი *(ლოლაშვილი, მეუღლე. — ავტ.)* სწავლობდა მოსკოვში სარეჟისორო ფაკულტეტზე. ძალიან მიყვარს მოსკოვი, მაგრამ იმის მიუხედავად, რომ მრავალჯერ ვარ ნამყოფი, იმ ქალაქში მაინც ვერაფერს ვაგნებ. პეტერბურგში გაცილებით უკეთ გავიკვლევ გზას. ჩვენი თაობა, რუსულ ენას ქართულის პარალელურად სწავლობდა. ამ ენაზე მიმართავდნენ ერთმანეთს, როგორც ხელოვნების, ასევე სხვა სფეროების წარმომადგენლები. ოჯახებშიც კი ქართველები ერთმანეთს რუსულად ელაპარაკებოდნენ ხოლმე. ჩვენი თაობის ბევრ ექიმს ვიცნობ, ვინც პაციენტის ავადმყოფობის ისტორიას ქართულად დიდი გაჭირვებით ადგენდა. ჩემი ქალიშვილი 5 წელი რუსულ სკოლაში სწავლობდა, ჩემს შვილიშვილს კი რუსულენოვანი ძიძა ჰყავს.

ჩემი ქალიშვილი 5 წელი რუსულ სკოლაში სწავლობდა...
(შვილებთან – სალომესა და გიორგისთან ერთად)

— ალბათ თქვენი თაობისთვისაც იყო დამახასიათებელი საუბარში ჟარგონების გამოყენება, არა?

— ეს ყველა თაობის სენია. ჩემი პროფესიის ადამიანებს ჟარგონებით საუბარი სცენარსა და გადასაღებ მოედანზეც გვიხდება. მაგრამ მე არ მიყვარს საუბარში ასეთი სიტყვების გამოყენება, ამიტომაც ახლა არც ერთი მათგანი არ მახსენდება, რომ მაგალითისთვის მოგიყვანოთ.

— როგორი იყო თქვენი თაობის ქართული ოჯახი?

— ჩვენ ერთ დიდ ოჯახად ვცხოვრობდით — ბაბუებთან და ბებიებთან ერთად. ცოტა ხნის წინ ტელევიზიით ვნახე ქართული ფილმი „ქალაქი ანარა“, სადაც ისე ნათლად არის ნაჩვენები იმ პერიოდის ქართული ოჯახი, რომ მაშინდელი ბინებისთვის დამახასიათებელი სუნიც კი ვიგრძენი. სხვათა შორის, იმავე დღეს ჩემმა დამ დამირეკა და მითხრა, რომ მასაც იგივე შეგრძნება დაეუფლა ამ ფილმის ყურებისას. მაშინ ქალები განსაკუთრებით უვლიდნენ მამაკაცებს. სხვათა შორის, ძალიან პატარა ასაკიდან მახსოვს ბევრი რამ, რაც ჩემს ახლობლებს ნაკლებად სარწმუნოდ მიაჩნიათ. ქალები დღეში რამდენჯერმე შლიდნენ სტუმრებისთვის სუფრას, სადაც კაცები გაუთავებლად სვამდნენ. ქალები მთელი დღის განმავლობაში ამზადებდნენ კერძებს, თანაც — რა პირობებში?.. სად იყო მაშინ გაზი და გამდინარე წყალი?! ყველაფერს ნავთქურაზე ამზადებდნენ, მაგრამ — ხალისიანად!.. კარგი ქართული სუფრა მეც ძალიან მიყვარს, მაგრამ არ მესმის, რატომ სვამენ კაცები ასე ჭარბად, სხვადასხვა ზომის ყანწებითა და განსხვავებული სასმისებით. მახსოვს, ერთხელ რამაზ ჩხიკვაძე ჰყვებოდა: აირწინაღით მაქვს ღვინო დალეულიო!.. ყოველივე ამის მიუხედავად, ჩემი თაობის ადამიანებმა საოცარი მოლხენა იცოდნენ. გამორიცხული იყო, ვინმეს ცეკვა და სიმღერა არ სცოდნოდა. ახლა კი, სხვა უკიდურესობაში ჩავვარდით: ქართული სუფრა უფერულ თავყრილობად გადაიქცა...

— როგორია თაობათა ცვლა თეატრისა და კინოს სამყაროში?

— კონფლიქტური არა ვარ, ამიტომ კარგი ურთიერთობა მაქვს ყველა თაობის მსახიობთან. მინდა გითხრათ, რომ ბატონმა რობერტ სტურუამ სცადა, რამდენიმე სპექტაკლში მხოლოდ ერთი თაობა — მაგალითად, ახალგაზრდები — წარმოეჩინა. მაგრამ მე ამის მომხრე არა ვარ. ასეთი რამ ალბათ ერთეულ სპექტაკლებშია დასაშვები. ჩემთვის ბევრად უფრო საინტერესოა, როდესაც სცენაზე ბევრი თაობის წარმომადგენელი დგას ერთად. ახლა იმაზე საუბარს აღარ მოვყვები, თუ რა ვისწავლე ბატონი რობერტისგან, მაგრამ სულ სხვაა, როდესაც შენი პარტნიორი უფროსი თაობის წარმომადგენელია. როდესაც უყურებ და უსმენ შენზე გაცილებით დიდი გამოცდილების მქონე ადამიანს, უფრო სწრაფად მიიწევ წინ, იზრდები...

— წელან თქვენი თაობისთვის დამახასიათებელ, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე საუბრობდით. საინტერესოა, როგორ გამოხატავდნენ თაყვანისმცემლები თქვენდამი გრძნობებს?

ორი თაობა — ქანრი ლოლაშვილი შვილიშვილთან ერთად

— შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენზე უფროსებისგან განსხვავებით, ჩვენს თაობაში ქალისა და მამაკაცის ურთიერთობებში ცოტა მეტი თავისუფლება შეინიშნებოდა. ჩემს ყოფილ თაყვანისმცემლებთან ახლაც კარგი ურთიერთობა მაქვს და ყოველი მათგანი ჩემთვის სასიამოვნო მოგონებად დარჩა. სიყვარულის ახსნის 2 არაორდინარული შემთხვევა მახსოვს. ერთხელ, ასაკით ჩემზე უფროსი ყმაწვილი, რომელთანაც არანაირი ურთიერთობა არ მქონდა, მომიახლოვდა და პირდაპირ მომახალა: ახლა იმ ასაკში არა ვარ, რევერანსები დაგიწყო და პირდაპირ გეტყვი — ცოლად გამომყევიო... სამწუხაროდ, დღეს ეს ადამიანი ცოცხალი აღარ არის. ასევე მოულოდნელი იყო ჩემთვის, როდესაც საუკეთესო მეგობარმა, დღისით-მზისით, თეატრალური ინსტიტუტის წინ მოტაცება დამიპირა. მეორე დღეს კი მომიბოდიშა და მთხოვა: „Хорошо, забудь об этом!“

— ყველაზე მეტად რა გენატრებათ წარსულიდან?

— ყველაზე მეტად ჩემი წინაპრები მენატრებიან და მაკლია. მაგრამ ცხოვრება წინ მიდის და როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი თვალსაზრისით, ბევრი საინტერესო რამ ხდება. კიდევ, იცით, რა მენატრება იმ პერიოდიდან?.. ბაბუაჩემი იტყოდა ხოლმე: ჩაის ის გემო აღარ აქვს, რაც ადრე ჰქონდაო... ახლა კი ამ სიტყვებს მე ვამბობ. ნამდვილად არ ვიცი, რა ჩაი გვქონდა ხოლმე ოჯახში, მაგრამ იმ ჩაის გემო მენატრება, ბავშვობას რომ მახსენებს...

■

ჯულია სტაილზი

დიდი ეკრანისაკენ მიმავალ გზას თავად იკვალავს

ამერიკული კინოს ამომავალი ვარსკვლავი ჯულია სტაილზი მათ რიცხვს მიეკუთვნება, ვისზედაც ამბობენ ხოლმე, საკუთარი თავი თავადვე შექმნაო. სხვის დახმარებას არასდროს დალოდებია და ცხოვრების გზაზე მწვანე შუქს ყოველთვის თავად ინთებდა.

ჯულია, 1981 წლის 28 მარტს ნიუიორკში დაიბადა. სამსახიობო ხელოვნებამ ბავშვობიდანვე გაიტაცა. მის ოჯახს არტისტულ სამყაროსთან საერთო არაფერი ჰქონდა. მშობლებს სოხოში საკუთარი მაღაზია ჰქონდათ და სამეთუნეო ბიზნესით იყვნენ დაკავებულნი. შვილის ოცნებებს არ იზიარებდნენ და მის გატაცებას ასაკისათვის დამახასიათებელ ჭირვეულობას მიაწერდნენ. პატარა ჯულია ბედნიერი ვარსკვლავის გამოჩენას არ დაელოდა და კინოს სამყაროში გზის გაკვალვა თავად სცადა. 11 წლისამ მანჰეტენის ერთ-ერთი თეატრის დირექტორს წერილი მისწერა და სთხოვა, მისთვის როლი მიეცა. თეატრის დირექტორი მიზანდასახული ბავშვის წერილმა იმდენად მოხიბლა, რომ მალე გოგონა თეატრების – „ლა მამა“ და „სამზარეულოს თეატრი“ – სცენებზე ავანგარდულ დადგმებში მონაწილეობდა და სპექტაკლებს – „ცხოვრების სკოლა“ და „სანდალოზის ხის ზარდახშა“, რომლებშიც პატარა ჯულიაც მონაწილეობდა, განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად.

4 წლის შემდეგ, 1996 წელს ახალგაზრდა მსახიობის კინოდებიუტი შედგა. მან ფილმში „მიყვარხარ – არ მიყვარხარ“ ეპიზოდური როლი ითამაშა. მომდევნო წელს სერიალში „დამსხვრეული გულები“ მისი სატელევიზიო დებიუტი შედგა.

1997 წელს ჯულია სტაილზმა ფილმში „ეშმაკის საკუთრება“ პატარა როლი მიიღო. ამ სურათში მან ჰარისონ ფორდის გმირის ქალიშვილი განასახიერა. დამწყები მსახიობისთვის ჰარისონ ფორდის დონის ვარსკვლავთან ერთად თამაში უდიდესი წარმატების საწინდარია. ჯულიამ უამრავი შეთავაზება მიიღო და ერთი წლის შემდეგ ეკრანებზე მისი მონაწილეობით ორი ფილმი – „ცოდვა“ და „დიადი გამოღვიძება“ გამოვიდა.

1999 წელს ჯულიამ განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია. სატელევიზიო მინისერიალში „სამოციანი წლები“ საკმაოდ მნიშვნელოვანი და საინტერესო როლი მიიღო და ამასთან ერთად, ახალგაზრდულ ფილმში „ჩემი სიძულვილის 10 მიზეზი“ მთავარი როლი განასახიერა. ეს სურათი ეკრანებზე გამოსვლისთანავე ჰიტად იქცა, ჯულიამ კი ჰოლივუდის იმედისმომცემ მსახიობთა შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი დაიკავა და ჟურნალმა – Teen People იგი „21 წელზე ნაკლები ასაკის 21 საუკეთესო მსახიობის“ სიაში შეიყვანა. ამის შემდეგ ჯულია ბევრს თამაშობს ახალგაზრდულ ფილმებში – „მხოლოდ მე და შენ“ (2002), „უკანასკნელი ცეკვა ჩემია“ (2001), „O“ (2001), „ცხოვრება კადრს მიღმა“ (2000) და სხვა. მსახიობი მხოლოდ ახალგაზრდული ჟანრით არ კმაყოფილდება. 2000 წელს გადაღებულ ფილმში „ჰამლეტი“ მის მიერ ნათამაშებმა ოფელიამ მაყურებლისა და კრიტიკის მოწონება დაიმსახურა. რობერტ ლადლემის რომანის მიხედვით გადაღებული ტრილერი



„ბორნის იდენტიფიკაცია“, რომელშიც ჯულია სტაილზიც თამაშობდა, 2000 წლის ნამდვილ ჰიტად იქცა.

თავბრუდამხვევი კარიერის პარალელურად, ჯულიამ ნიუ-იორკის საბავშვო პროფესიული სკოლა დაამთავრა, სადაც სტუდენტებს ხელოვნების სფეროში შემდგომი მოღვაწეობისათვის ამზადებენ. 2000 წლის აგვისტოდან კი კოლუმბიის უნივერსიტეტში ინგლისურ ენასა და ლიტერატურას ეუფლება. მსახიობობას და სწავლას ის შესანიშნავად ათავსებს და ორივე ასპარეზზე თვალსაჩინო წარმატებას აღწევს.

2003 წელს მაყურებელმა ჯულია სტაილზი ფილმში – „კაროლინა“ მთავარ როლში იხილა. ითამაშა სურათში „მონა ლიზას ღიმილი“, რომლის გადაღებების შემდეგ, მისმა სახელმოხვეჭილმა პარტნიორმა ჯულია რობერტსმა აღიარა, რომ ახალგაზრდა, ნიჭიერ მსახიობთა მზარდ კონკურენციასთან გამკლავება უფრო და უფრო უჭირს.

2004 წელს ეკრანებზე ორი ფილმი გამოვიდა, რომელშიც ჯულია სტაილზმა კიდევ ერთი ხმამაღალი განაცხადი გააკეთა, როგორც ნიჭიერმა და იმედისმომცემმა მსახიობმა. ესენია მსოფლიოში უკვე კარგად ცნობილი ფილმის „ბორნის იდენტიფიკაციის“ სიქველი „ბორნის უპირატესობა“, სადაც

ჯულია მეტ დეიმონს უწევს პარტნიორობას. ფილმის შემოსავალმა დიდი ხანია, რაც 100 მლნ დოლარს გადააჭარბა და სავარაუდოა, რომ სპეცაგენტ ბორნის თავგადასავალი მალე ტრილოგიად გადაიქცევა.

მეორე სურათი, რომანტიკული კომედია – „უფლისწული და მე“ დღეისათვის ჯულიას ბოლო ნამუშევარია. ცნობილია, რომ ჯულია მალე კიდევ ორ პროექტში მიიღებს მონაწილეობას. პირველი პროექტი – ბალთაზარ კორმაკურის ტრილერი „მცირე მოგზაურობა ზეცაში“ მთავარი გმირების ნათესავის მკვლელობის გამოძიების შესახებ მოგვითხრობს, რომლის სიცოცხლე რამდენიმე მილიონადაა დაზღვეული. ამ ფილმში ჯულია სტაილზთან ერთად ჯერემი რენერი და ფორესტ უიტაკერი ითამაშებენ.

მეორე პროექტთან დაკავშირებით ჭორები მას შემდეგ გაჩნდა, რაც ჟურნალ Cosmopolitan-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ჯულიამ პირდაპირ მიანიშნა, რომ კომიქსების „ფანტასტიკური ოთხეული“ ეკრანიზაციაში უჩინარი ქალის ფსევდონიმით ცნობილი სიუ შტორმის როლი შესთავაზეს. პრესა იუწყება, რომ ამ როლზე კრისტინა მილიანიც აცხადებს პრეტენზიას. რეჟისორი ტიმ სტორი ფილმის გადაღებას სულ მოკლე ხანში დაიწყებს.

ჯულია სტაილზის პირად ცხოვრებაზე ცნობილია, რომ ის ჯერჯერობით, გათხოვილი არ არის. ფილმის – „ჩემი სიძულვილის 10 მიზეზი“ გადაღებების დროს ჯულია თავის პარტნიორს ჯოზეფ გორდონ-ევიტს ხვდებოდა, მაგრამ შემდეგ ერთმანეთს დაშორდნენ. ამის შემდეგ მრავალი ხანმოკლე რომანი ჰქონდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი გული ჯერაც თავისუფალია. ასე რომ, მთავარი წარმატებები პირად ცხოვრებასა და კარიერაში ჯერ კიდევ წინაა. ■

„ჩემი სრული სახელია ჯენიფერ ლოპესი“

მომღერალმა და მსახიობმა თაყვანისმცემლებს მოუწოდა, დაივიწყონ მისი ფსევდონიმი „ჯეი ლო“ და გაიხსენონ, რომ მათ რჩეულს ჯენიფერი ჰქვია.

„მე ჯეი ლო არ ვარ, ის გამოგონილი პერსონაჟი იყო და მისით მხოლოდ ვერთობოდი. სინამდვილეში კი ჯენიფერი ვიყავი და ახლაც ჯენიფერად ვრჩები“, – განმარტა მომღერალმა, რომელსაც

მისი შუალედური სახელი ჯენიც კი აღარ მოსწონს (იხილეთ სიმღერა Jenny From The Block). ახლა ალბათ მის რეპერტუარში ავტობიოგრაფიული სიმღერები ცოტათი მაინც შემცირდება, რადგან მისი ნამდვილი სახელი – ჯენიფერი საკმაოდ გრძელია და ძნელადაც ირითმება. სხვათა შორის, ქალბატონ ლოპესს სურდა, რომ ახალი ალბომისათვის, რომელიც წლის დასაწყისში გამოდის, Call Me Jennifer დაერქმია, რათა მსმენელში თავისი სახელი დაემკვიდრებინა, მაგრამ საბოლოოდ მაინც Redirth-ზე შეჩერდა. ■

შერონ ოსბორნი ფილმს საკუთარი თავის შესახებ, თავადვე გადაიღებს

პრესისთვის ცნობილი გახდა, რომ ტელევიზია სულ მალე ახალ შედევრს მიიღებს და ეს შედევრი ოზი ოსბორნის ცოლისა და მენეჯერის, შერონ ოსბორნის შესახებ გადაღებული ფილმია, რომლის გადაღებაც გაზაფხულზე დაიწყება.

ერთ-ერთი ანონიმი რესპონდენტის ინფორმაციის თანახმად, ამ პროექტს თავად შერონ ოსბორნი კურირებს. შერონი იმედოვნებს, რომ ფილმში მის როლს მისივე ქალიშვილი კელი ითამაშებს. ამ ინფორმაციის უცნობი ავტორის თქმით, შერონმა განაცხადა: „ამ ფილმისგან ბევრს მოველი, ერთადერთი სირთულე ოზის როლის შემსრულებელი მსახიობის პოვნა იქნება. ოზი ოსბორნი იმდენად უნიკალური ადამიანია, რომ მის განსახიერებას ვერავინ შეძლებს“. ■

გერმა, ანა ნიკოლ სმიტი სულცარიელი დადგა

ამერიკის სააპელაციო სასამართლომ ტეხასელი მილიარდერის ქვრივს, სტრიპტიზის ყოფილ მოცეკვავეს ანა ნიკოლ სმიტს გარდაცვლილი მეუღლის მემკვიდრეობის მიღების უფლებაზე უარი უთხრა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით 88,6 მლნ დოლარი მილიარდერის ვაჟიშვილს პირს მარშალს დარჩება. მემკვიდრეებს შორის სასამართლო პროცესი 9 წელიწადზე მეტია, რაც გრძელდება. 1994 წელს სტრიპტიზის მოცეკვავე და ჟურნალ Playboy-ის მოდელი, 26 წლის ანა ნიკოლ სმიტი 89 წლის ტეხასელ მილიარდერ ჰოვარდ მარშალზე დაქორწინდა. 1 წლის შემდეგ მარშალი გარდაიცვალა. კანონის თანახმად, ახალგაზრდა ქვრივს მემკვიდრეობიდან 88,6 მლნ დოლარი უნდა მიეღო, მაგრამ მილიარდერის ვაჟმა სასამართლოში სარჩელი აღძრა. მისი მტკიცებით, მოდელი ჰოვარდ მარშალს ცოლად მხოლოდ მემკვიდრეობის მიღების მიზნით გაჰყვა. 2002 წელს ლოს-ანჯელესის ფედერალურმა სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა და დაადგინა, რომ ცოლ-ქმარს ერთმანეთი ნამდვილად უყვარდა. სასამართლომ მილიარდერის შვილი ანა ნიკოლ სმიტის საწინააღმდეგო დოკუმენტების ფალსიფიცირებაშიც ამხილა და მას დედინაცვლისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება დააკისრა. პირს მარშალმა სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა. აპელაცია 2004 წლის დეკემბრის ბოლოს დაკმაყოფილდა. სასამართლო გადაწყვეტილების კომენტირებისას პირს მარშალმა განაცხადა: – სასამართლო გარჩევების 9 წლის თავზე, როგორც იქნა, ჭეშმარიტებამ გაიმარჯვა, მაგრამ ანა ნიკოლის ადვოკატები სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გასაჩივრებას აპირებენ და თუ საჭირო გახდება, აშშ-ის უმაღლეს სასამართლომდე მიღწევასაც გეგმავენ. ■

მერაია ქერი მამაკაცს ეძებს

მერაიასათვის შობის ღამე ორი მოულოდნელობით დასრულდა. მას გული და ხელი შესთავაზეს, მაგრამ მერაიამ პოტენციური საქმროს ვინაობა დღემდე ვერ გაარკვია. უცნობი სასიძო ძალზე მდიდარი უნდა იყოს, რადგან საშობაოდ მომღერალმა უძვირფასესი საჩუქარი მიიღო. ბრილიანტებით მოოჭვილი პეპლის ფორმის ყელსაბამის ფასი 500.000 დოლარია. საჩუქარს ბარათიც ახლდა: – „მინდა, დარჩენილი ცხოვრება შენ გვერდით გავატარო“.

მერიას მეგობრები ირწმუნებიან, რომ მომღერალი შეთავაზებით ძალზე დაინტერესდა. მამაკაცი, რომელიც ქალის გულის მონადირებას ამგვარად ცდილობს, მართლაც რომ ყურადღების ღირსია. ■

სტინგი იოგას ასწავლის

პოპულარული მომღერალი სტინგი, მოკლე ხნით კვალიფიკაციას იცვლის, ის იოგას მასწავლებელი გახდება. იგი დათანხმდა წინადადებას, თავის თაყვანისმცემლებს იოგას რამდენიმე გაკვეთილი ჩაუტაროს, რადგან ისინი ამაში დიდ ფულს იხდიან. სტინგი ამ გასამრჯელოს UNICEF-ის (United Nation`s Children`s Fund) ანგარიშზე ჩარიცხავს. ის იღბლიანები, რომლებიც სტინგის გაკვეთილებზე მოხვდნენ, სპეციალურ საქველმოქმედო აუქციონში მონაწილეობდნენ. სტინგისა და იოგას ერთმა თაყვანისმცემელმა ორ თითოსაათიან გაკვეთილში 150 ათასი დოლარი გადაიხადა. მეორეს კი ეს გაკვეთილები „მხოლოდ“ 15 ათასი დაუჯდა. ■

U2–ის თაყვანისმცემლებმა ნიჩბები მოიმარჯვეს

ჯგუფ U2-ის თაყვანისმცემლებმა მათი საყვარელი ჯგუფის ფრონტმენის, ბონოს დაბადების დღისათვის საჩუქრის შერჩევის პრობლემისადმი არასტანდარტული მიდგომის საუკეთესო მაგალითი უჩვენეს. რა შეიძლება აჩუქო ადამიანს, რომელსაც ყველაფერი აქვს?

ეს პრობლემა მოულოდნელად გადაიჭრა: ქველმოქმედებაში აქტიურად ჩაბმულ მუსიკოსს მისი თაყვანისმცემლების მიერ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმის კეთება ნამდვილად გაახარებს – ანუ, მას ისეთი საჩუქარი უნდა აჩუქო, რაც გაჭირვებულებსა და უპოვართ გამოადგებათ. 2002 წელს, როდესაც ბონოს დაბადების დღისათვის ემზადებოდნენ, მუსიკოსის ფანატთა ჯგუფმა ფონდ Afreicare-სთან ერთად საკუთარი ფონდი The African Well Fund დააარსა. ამ ორგანიზაციის მიერ შეგროვებული თანხა ჩრდილოეთ აფრიკის უდაბნოებში ჭებისა და სასმელი წყლის საცავების მშენებლობას მოხმარდა.

დღეისათვის ბონოს თაყვანისმცემელთა ძალისხმევით, 50.000 დოლარი შეგროვდა, ამ ფულით საჰარის მიმდებარე რაიონებში 14 ჭა გაითხარა, რამაც 20000 აფრიკელი სასმელი წყლით უზრუნველყო. „სუფთა სასმელი წყალის მოხმარება – ადამიანის ერთ-ერთი აუცილებელი სასიცოცხლო მოთხოვნილების გარდა, ადამიანთა უპირველესი უფლებაცაა. ჩვენი მიზანია შევაგროვოთ თანხა, რომელიც ყველა აფრიკელს სასმელი წყლით უზრუნველყოფს“, – ნათქვამია ორგანიზაციის მანიფესტში. კამპანია „ბონოს დაბადების დღისათვის ჭა აშენდეს“ – დღესაც გრძელდება. ყოველწლიურად U2-ის ვოკალისტის დაბადების დღეს, 10 მაისს ფონდის დამფუძნებლები მას ახალაშენებული ჭების შესახებ ანგარიშს აბარებენ, რაც ფანატთა დაუოკებელი ენერგიის საზოგადოებისათვის სასარგებლო კალაპოტში გადასროლის შესანიშნავი მაგალითია. ■

რიკი მარტინი ტაილანდელი ომლოების დასახმარებლად მიემგზავრება

პოპულარული პოპშემსრულებელი რიკი მარტინი უახლოეს დღეებში დამანგრეველი ცუნამისაგან დაზარალებული მოსახლეობის, ობლებისა და კატასტროფაში დაღუპულთა ნათესავების დასახმარებლად ტაილანდში გაემგზავრება. მისი ვიზიტის ძირითადი ამოცანაა, წინ აღუდგეს დაობლებულ ბავშვთა მოტაცებას და ამ ბავშვებით ვაჭრობას. როგორც ცნობილია, კატასტროფის ზონაში ამგვარი ფაქტები უკვე დაფიქსირდა.

„რიკი ჩვენთან პრობლემის გადაჭრაში საერთაშორისო თანამეგობრობის მონაწილეობის გაძლიერების მიზნით ჩამოდის. ის ჩვენს მდგომარეობას ძლიერ განიცდის,“ – განაცხადა ტაილანდის საგარეო საქმეთა მინისტრმა. ოფიციალური მონაცემებით, ცუნამმა ტაილანდის 5300 მცხოვრები შეიწირა. დაახლოებით 4000 ადამიანი კი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. ■

დევიდ დუხოვნი „საიდუმლო მასალებს“ უმრუნდება

2005 წლის ბოლოს, სერიალ „საიდუმლო მასალების“ გაგრძელების გადაღებები დაიწყება. ამის შესახებ შეთანხმებას მიაღწიეს ტელეფილმის პროდიუსერმა კრის კარტერმა და მთავარი როლის შემსრულებელმა დევიდ დუხოვნმ, რომელიც გადაღებებზე დაბრუნებას დათანხმდა. აგენტ მალდერის მეწყვილე ისევ ჯილიან ანდერსონი იქნება. როგორც დუხოვნმ განაცხადა, სერიალის გაგრძელება „თვალსაჩინო საშინელებათა ფილმი“ იქნება. მასში გამოძიებულ ზებუნებრივ მოვლენებს უცხოპლანეტელებთან არავითარი კავშირი არ ექნება. დევიდ დუხოვნი ჯილიან ანდერსონთან ერთად „საიდუმლო მასალებში“ 8 სეზონის მანძილზე თამაშობდა... ამ წლების მანძილზე სერიალი მსოფლიოში ყველაზე მაღალრეიტინგული ტელესერიალი იყო. შემდეგ აგენტი მალდერი აგენტმა დოგეტმა შეცვალა, რომელიც მსახიობმა რობერტ პატრიკმა განასახიერა, რომელსაც მაყურებელი „ტერმინატორი-2“-ით იცნობდა, მაგრამ მან დუხოვნის მსგავსი პოპულარობა ვერ მოიხვეჭა. აგენტ მალდერის წასვლის შემდეგ, „საიდუმლო მასალებმა“ მაყურებლის შენარჩუნება ვეღარ შეძლო და ფილმის რეიტინგიც დაეცა. ■

უკუჩვენების აფექტი

ჯითხვა – იწვევს თუ არა ბეხტხელერი წამლის მიღება ფსიქიკურ გადახრებს? – ჯერ პასუხგაუცემელია

15 წლის ყმაწვილი თვითმფრინავით ცათამბჯენს შეეჯახა და წყნარ, პატარა ქალაქ ტამპს „საკუთარი 11 სექტემბერი“ მოუწყო. ამერიკელი კონგრესმენის ბედნიერი და ცხოვრებით აბსოლუტურად კმაყოფილი ვაჟი სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებს. ყველასათვის მოულოდნელად, სრულიად მშვიდი და გაწონასწორებული სტუდენტი გამხეცებული შეშლილად გადაიქცა... აშშ-ში დაიწყო პროცესი, რომელზეც მსოფლიოს ერთ-ერთ უმსხვილეს ფარმაცევტულ კომპანიას ბრალს სდებენ იმაში, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ტრაგიკული მოვლენები, მის მიერ გამოშვებული ფერიმჭამელების სამკურნალო აბების მიღების გამო მოხდა.



ჩარლზ ბიშოფი მუწუკების მოსაშორებლად Accutane-ის აბებს იღებდა და შესაძლოა, სწორედ ამის შედეგად შეიჭრა თვითმფრინავით ქალაქ ტამპის ერთ-ერთ ცათამბჯენში



უკანასკნელი წამალი

ლორი სტუპაკი დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე ვეღარასოდეს დაივიწყებს 2000 წლის შემოდგომის დილას. დედის დღე თენდებოდა – სტუპაკთა ოჯახის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი დღესასწაული. წინა ღამე ლორიმ და მისმა ქმარმა ბარტმა სასტუმროში გაატარეს: მათი უმცროსი ვაჟი წვეულებას აწყობდა და მშობლებმა გადაწყვიტეს, მისთვის ხელი არ შეეშალათ. მათ წინასწარ გააფრთხილეს შვილები, რომ საკვირაო წირვაზე დასასწრებად დილას შინ შეუვლიდნენ. „თუ დაგჭირდით – დარეკეთ“, – უთხრა ლორიმ წასვლის წინ შვილებს. დილას, ჩაცმისას, ლორიმ ღიმილით უთხრა ქმარს: „არანაირი ზარი, ეი. ყველაფერი წესრიგშია, ყველანი ჯანმრთელად არიან.“ ის იყო, სასტუმროს ნომრის კარი უნდა გამოეხურათ, რომ ტელეფონმა დარეკა.

სახლი პოლიციის მანქანებით იყო გარშემორტყმული. იქვე იდგა „სასწრაფო დახმარების“ ავტომობილიც. მშობლები სასწრაფოდ შეიყვანეს სამზარეულოს გვერდით მდებარე ოთახში. იატაკზე, სისხლის გუბეში მათი უმცროსი ვაჟის ცხედარი ესვენა, რომელსაც მამისეული შაშხანა კვლავაც ხელში ჩაბღუჯული შერჩენოდა.

შემდეგ მოდიოდნენ ფსიქოლოგები, პოლიციელები. ათობით ადამიანი ერთსა და იმავეს ეკითხებოდა ლორის, მის მეუღლესა და მათ უფროს ვაჟს: ხომ არ მოიხმარდა მათი ბი ჯეი ნარკოტიკებს, კმაყოფილი იყო თუ არა ცხოვრებით, ხომ არ ლაპარაკობდა თვითმკვლელობაზე... მშობლებიც პასუხობდნენ, თავადაც ცდილობდნენ, ჩასწვდომოდნენ იმას, თუ რამ აიძულა მათი, სიცოცხლითა და ხალისით აღსავსე ვაჟი, დაეჩოქა, შაშხანის ლულა პირში ჩაედო და გაესროლა. სულ ცოტა ხნის წინ ხომ ის უამრავ რამეს გეგმავდა: როგორ აღენიშნა თავისი მე-18 დაბადების დღე? ფურცლავდა Abercrombie & Fitch-ის მოდების კატალოგს და ინიშნავდა იმ ნივთებს, რომელთა მიღებაც საკუთარ დაბადების დღეზე სურდა. უკანასკნელ წვეულებაზე გადაღებულ ფოტოებზეც ბი ჯეი საოცრად ბედნიერი გამომეტყველებით იყო აღბეჭდილი და გარს ასეთივე სახეგაბრწყინებული მეგობრები ერტყნენ.

მოსამართლემ სიკვდილის მიზეზად თვითმკვლელობა დაასახელა, რომელიც დაუდგენელი მიზეზების გამო, გონების დროებითი დაბინდვის დროს ჩაიდინა მსხვერპლმა. ბი ჯეის მშობლების გარდა, ვერდიქტი ყველასათვის მისაღები აღმოჩნდა – მათ სურდათ, სცოდნოდათ, რამ აიძულა მათი ვაჟი, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინა. მსგავსი ტრაგიკული ბედის მქონე ასობით სხვა ოჯახისგან განსხვავებით, დაღუპული ყმაწვილის მამა, ბარტ სტუპაკი, კონგრესმენი გახლდათ და კერძო გამოძიების ჩასატარებლად საჭირო ფინანსები და კავშირებიც ჰქონდა. რამდენიმე თვის შემდეგ, ის უკვე დარწმუნებული გახლდათ, რომ მისი შვილი წამლის აბმა იმსხვერპლა, რომელიც ბი ჯეის ექიმმა გამოუწერა და რომელსაც ის ყოველდღე სვამდა. მშობლები არასოდეს დაფიქრებულან ამაზე, რადგან შვეიცარიული ფირმის – Roche-ის ამერიკული ფილიალის მიერ გამოშვებული პრეპარატი, ფერიმჭამელებისგან განკურნების ყველაზე ეფექტიან საშუალებად სრულიად სამართლიანად იყო მიჩნეული.

პანაცეა მუწუკებისათვის

შვეიცარიული ფარმაცევტული კორპორაცია Roche-ს არსებობის 100 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს და ეჭვს არ იწვევს ის, რომ იქ ნამდვილი პროფესიონალები მუშაობენ. როცა 70-იანი წლების დასაწყისში კომპანიამ პრეპარატი იზოტრეტინოინი შექმნა, რომელიც სავაჭრო ქსელ-

ში Roaccutan-ის სახელწოდებით გამოვიდა, სპეციალისტებმა მაშინვე სათანადოდ შეაფასეს ამ აღმოჩენის მნიშვნელობა. Roaccutan ნამდვილი ფულის საბეჭდი მანქანა აღმოჩნდა.

თავად განსაჯეთ. ყოველდღიურად ხომ მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანისთვის ქუჩაში გამოსვლა მხოლოდ იმიტომაა დაკავშირებული ფსიქოლოგიურ ტრავმასთან, რომ მათ კანი დაფარული აქვთ ფერიმჭამელებითა და მუწუკებით. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ირგვლივმყოფთა ყურადღება, სწორედ კანის ამ გაღიზიანებულ, შეწითლებულ ადგილებზეა კონცენტრირებული. ამ სენისაგან თავის დასაღწევად მათი უმრავლესობა ხომ არანირ სახსარს არ იშურებს. ეს ადამიანები ყოველწლიურად მილიარდობით დოლარს ხარჯავენ ლოსიონებში, აბებსა და მალამოებში, რომლებსაც მხოლოდ ხანმოკლე შვება მოაქვს მათთვის – მკურნალობის შეწყვეტისთანავე ფერიმჭამელები და მუწუკები კვლავ უჩნდებათ. და აი, ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა იზოტრეტინოინი – A ვიტამინის ხელოვნური ანალოგი – რომლის მეშვეობითაც საბოლოოდ შეიძლებოდა გამონაყარისაგან თავის დაღწევა.

ექიმებმა დანამდვილებით დღემდე არ იციან, თუ კონკრეტულად როგორ მოქმედებს ეს პრეპარატი, მაგრამ იმაში, რომ ის საოცრად ეფექტიანია, არავის ეპარება ეჭვი. ის კურნავს ადამიანს იმ შემთხვევაშიც, როცა სხვა დანარჩენი პრეპარატები უძლურია. რაღა თქმა უნდა, ისევე, როგორც ყველა სხვა ძლიერმოქმედ წამალს, უკუჩვენებები იზოტრეტინოინსაც ახასიათებს, რომელთა წინასწარ განსაზღვრაც სრულიად შესაძლებელი გახლდათ. ზოგიერთი ექიმის აზრით, ვიტამინმა A-მ (შესაბამისად, იზოტრეტინოინმაც) შესაძლოა, ფსიქიკაზე ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს. ჯერ კიდევ XIX საუკუნის არქტიკის მკვლევართა დღიურებში დასტურდება ცნობები „პოლარული შეშლილობის“ შესახებ, რომელიც ზოგჯერ ექსპედიციის წევრებს ეუფლებოდა. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ამის მიზეზი ექსპედიციის წევრების მიერ პოლარული დათვის ღვიძლის საკვებად გამოყენება გახლდათ, რომელიც ძალზე დიდი რაოდენობით შეიცავდა A ვიტამინს. და კიდევ, 26 ადამიანი იმ 600 მოხალისიდან, რომელზედაც კომპანიამ პრეპარატი Roaccutan გამოსცადა, ადასტურებდა ფსიქიკასთან დაკავშირებული უკუჩვენების ეფექტის არსებობას. მიუხედავად ამისა, წამალი თავდაპირველად ევროპის ბაზარზე გამოვიდა, 1982 წელს კი Accutane-ის სახელწოდებით აშშ-ის ბაზარზეც გამოჩნდა. სარეკლამო ბუკლეტებში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ Accutane გამონაყართან დაკავშირებული ემოციური სტრესისა და ფსიქოსოციალური ტრავმებისაგან კურნავდა ადამიანებს.

Accutane აშშ-ში ბესტსელერად იქცა. თუმცა, წარმატებასთან ერთად პრობლემებმაც იჩინა თავი. პაციენტები, რომლებსაც ეს წამალი ჰქონდათ გამოწერილი, დეპრესიას, ხასიათის ცვლილებას, სიფიცხესა და უეცარი აგრესიის გამოვლინებას უჩიოდნენ. ოღონდაც, უმეტეს შემთხვევაში, ისინი ამას სულაც ვერ უკავშირებდნენ წამლის მიღებას.

მაგალითად, 1986 წელს, საკმაოდ გახმაურდა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთან დაკავშირებული შემთხვევა. მშვიდი და გაწონასწორებული ერნი ტალარიკო, ყველასათვის მოულოდნელად, ნამდვილ ურჩხულად გადაიქცა. ის უმიზეზოდ რამდენჯერმე თავს დაესხა მისთვის სრულიად უცხო ადამიანებს და სასტიკად სცემა ისინი. ერნი გაასამართლეს და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაამწესეს. ექიმებმა აღნიშნეს, რომ ტალარიკო რამდენიმე თვის მანძილზე სვამდა Accutane-ს. იმავე წელს შვეიცარიული კორპორაციის ამერიკულმა ფილიალმა წამლის შესაძლო უკუჩვენებების ნუსხას დეპრესიაც დაუმატა.

მიუხედავად ამისა, იმ დროს Accutane-ის მწარმოებელთა უმთავრეს პრობლემას, პაციენტთა ფსიქიკური აშლილობის საფრთხე სულაც არ წარმოადგენდა. ბევრად უფრო სერიოზულად იდგა ორსულობისას ნაყოფის განვითარებაზე წამლის უარყოფითი ზეგავლენის საკითხი. 1988 წელს, გოდფრი ოუკლიმ, რომელიც აშშ-ის ეპიდემიოლოგიური კონტროლის ცენტრისა და ახალშობილთა თანდაყოლილი პათოლოგიების კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გახლდათ, განაცხადა, რომ წამლის მიღებასა და ახალდაბადებულთა პათოლოგიებს შორის პირდაპირი კავშირი არსებობდა. მისი მონაცემებით, „ბევრი ახალშობილი იღუპებოდა იმ ცვლილებების გამო, რომელსაც პრეპარატი ნაყოფის განვითარებაზე ახდენდა“. ის ამბობდა, რომ ხელისუფლება „უბრალოდ ვალდებულია, Accutane ხმარებიდან ამოიღოს“.

მიუხედავად ასეთი მწვავე შეფასებებისა, მწარმოებელმა კომპანიამ პრეპარატის დაცვა მაინც შეძლო. მან იკისრა ვალდებულება, ყველაფერი გაეკეთებინა იმისთვის, რომ წამალი ორსულთა ხელში არ მოხვედრილიყო. Accutane-ის აბებით მკურნალობის დაწყებამდე, შვილოსნობის უნარის მქონე ნებისმიერი ქალი ხელწერილს წერდა, რომ სამკურნალო კურსის დამთავრებამდე, ის აუცილებლად გამოიყენებდა ორი სახის, ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებას.

დერმატოლოგის მოხსენება

1990 წელს, დღის წესრიგში კვლავ დადგა პრეპარატის აკრძალვის საკითხი. საკვები პროდუქტებისა და სამკურნალო



აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის წევრი ბარტ სტუპაკი დარწმუნებულია, რომ მისი შვილის თვითმკვლელობის ერთადერთი მიზეზი, კომპანია Roche-ის აბები იყო

პრეპარატების კონტროლის სამმართველოს (FDA) თანამშრომელი დევიდ გრეში საკუთარ მოხსენებაში წერდა, რომ „Accutane-ის სავაჭრო ქსელიდან სასწრაფოდ ამოღებას არანაირი ალტერნატივა არ გააჩნია. ამის დაყოვნება არ შეიძლება, რადგან ეს გამოიწვევს მსხვერპლის რაოდენობის გაზრდას“. მისი გამოთვლებით, Accutane-ის მოხმარებით გამოწვეული სერიოზული უკუჩვენებების რისკი, სხვა წამლებისას „ერთიორად აღემატებოდა“. უკუჩვენებებს შორის, ის ასახელებდა დეპრესიას, სუიციდურ განწყობას, თვითმკვლელობას მცდელობას.

ექიმი გრეშის აზრი გაითვალისწინეს, მაგრამ არა ამერიკაში, არამედ ევროპაში. 1997 წელს, საფრანგეთმა კომპანია Roche-ს მოსთხოვა, მომხმარებლის გაფრთხილება იმის თაობაზე, რომ წამლის უკუჩვენებით ეფექტებს შორის, სუიციდური მიდრეკილება დომინირებდა. თავის წერილობით მოხსენებაში იმავე საკითხებს ეხებოდა კომპანია Roche-ის თანამშრომელი, ექიმი პეტერ შიფერდეკერი, რომელიც აანალიზებდა მონაცემებს დეპრესიისა და სხვა ფსიქიკური მოშლილობების შესახებ, რასაც პაციენტები წამლის სმის პერიოდში უჩიოდნენ. ექიმ შიფერდეკერის რეკომენდაციით, აუცილებელი იყო ინფორმაციის გავრცელება წამლის უკუჩვენებების თაობაზე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა როგორც ექიმებისთვის, ასევე პაციენტებისთვის. ამან კომპანიის მარკეტოლოგთა უკმაყოფილება გამოიწვია. ექიმ შიფერდეკერის რეკომენდაციებიდან მათ ყველაზე მეტად არ მოეწონათ ის იდეა, რომლის მიხედვითაც აუცილებელი იყო, მიეთითებინათ ექიმებისთვის, რომ განსაკუთრებით მკაცრად გაეკონტროლებინათ დეპრესიის ნიშნების გამოვლინება და საჭიროების შემთხვევაში, პაციენტი სპეციალური დახმარების გასაწევად

სტუპაკის ოჯახი ბი ჯეისთან გამოთხოვებისას

შესაბამისი პროფილის ექიმთან გაეგზავნათ. კომპანიის მარკეტინგის განყოფილების ექსპერტებმა ულ ვიგანდმა და ჯონ მაკლეინმა შესწორებები შეიტანეს (ანუ შეარბილეს) ექიმ შიფერდეკერის მოხსენება და მხოლოდ ამის შემდეგ გაუგზავნეს FDA-ს. 2000 წელს კი, კონგრესმენ სტუპაკის ოჯახში ზემოთ ხსენებული ტრაგედია დატრიალდა.

ვაჟიშვილის სიკვდილის შემდეგ, ბარტ სტუპაკმა გადაწყვიტა, Accutane-ის პრობლემისათვის სერიოზულად მოეკიდა ხელი. მან დაადგინა, რომ ბი ჯეის შემთხვევა სულაც არ ყოფილა გამონაკლისი. ინფორმაცია ახალგაზრდებში გავრცელებული დეპრესიის, სუიციდური აზრებისა და თვითმკვლელობების შესახებ სხვადასხვა შტატიდანაც მოდიოდა.

კომპანიის წარმომადგენლები, რომელთათვისაც იმ დროისათვის უკვე ცნობილი იყო ექიმ შიფერდეკერის მოხსენების შინაარსი და რომლებსაც თავის მხრივ საფრანგეთი ავალდებულებდა მომხმარებლის გაფრთხილებას სუიციდის საშიშროების შესახებ, ხოლო აშშ სარეკლამო ბროშურებიდან ფსიქოსოციალური ტრავმისგან განკურნების ფრაზის ამოღებას ითხოვდა, ბრალდებებს უარყოფდნენ. მათი აზრით, არანაირი მეცნიერულად დასაბუთებული მტკიცებულება არ არსებობდა იმისა, რომ Accutane ფსიქიკაზე უარყოფითად მოქმედებდა. ასევე არაფრით დასტურდებოდა ისიც, რომ პაციენტები, რომლებიც Accutane-ს სვამდნენ და რომლებმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულეს, ეს სწორედ ამ პრეპარატის ზეგავლენით ჩაიდინეს.

ფარმაცევტების საქმე

მეცნიერებსა და კომპანიის წარმომადგენლებს სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებით ჰქონდათ გაჩაღებული კამათი, როცა ტამპში ტრაგედია დატრიალდა.

2002 წლის 6 იანვარს, მსუბუქი თვითმფრინავი, რომელსაც 15 წლის ჩარლზ ბიშოფი მართავდა, ქალაქის ყველაზე მაღალ ცათამბჯენს შეეჯახა. პილოტი დაიღუპა. შემთხვევის გარემოებები იმდენად ჰგავდა 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებს, რომ ბევრმა მაშინვე დაიჯერა ის, რომ ყმაწვილი ოსამა ბინ ლადენის ფარული თაყვანისმცემელი იყო. როცა ჩარლზის მშობლებმა განაცხადეს, რომ ყველაფრის თავიდათავი, გამონაყარის სამკურნალო აბები გახლდათ, მათ არავინ დაუჯერა. გამონაკლისი შესაძლოა, მხოლოდ კონგრესმენი სტუპაკი იყო.

კონგრესში Accutane-ის საკითხის მოსმენა მოეწყო, სულ მალე კი გაზეთებში გამოჩნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ ბიშოფების ოჯახი Roche-ს სასამართლოში უჩიოდა. მოსარჩელე მხარე კომპანიას ბრალს სდებდა იმაში, რომ პრეპარატმა Accutane-მა მათი შვილი თვითმკვლელობამდე მიიყვანა და მათგან 70 მლნ დოლარს მოითხოვდა.

როგორც მსგავს შემთხვევებში ხდება ხოლმე, ბიშოფების სარჩელი ერთადერთი როდი აღმოჩნდა – სხვადასხვა შტატში თვითმკვლელთა ნათესავები თუ თავად Accutane-ის მომხმარებლები სასამართლოში უჩიოდნენ კომპანიას. კორპორაციის წინააღმდეგ სარჩელები შეიტანეს ირლანდიაში, ბრიტანეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში. მაგრამ ამ საკ-

საახიფათო ბესტსელერი წამლები

უკანასკნელი წლების მანძილზე, ექვქვეშ დადგა ერთდროულად რამდენიმე პოპულარული წამლის უსაფრთხოება

Prozac (ფლუოქსეტინი), მწარმოებელი – Eli Lilly. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ანტიდეპრესანტია: ბაზარზე გამოჩენიდან (1989), 89 მლნ. პაციენტს გამოუწერეს.

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ზოგ შემთხვევაში Prozac არათუ ხსნის დეპრესიის სიმპტომებს, არამედ პირიქით, აძლიერებს მათ. 2004 წლის სექტემბერში, როცა ეს მოსაზრება FDA-ს წარმომადგენლებმაც გაიზიარეს, Prozac-ისა და სხვა მსგავსი ანტიდეპრესანტების – სერტალინის (Zoloft), პროკსეტინის (Paxil), ფლუვოქსამინის (Luvox) – მწარმოებლებისგან მოითხოვეს: წამლის ანოტაციაში აუცილებლად იყოს მითითებული, რომ პრეპარატმა თვითმკვლელობის რისკი შესაძლოა გაზარდოს.

Vioxx (როფეკოქსიბი), მწარმოებელი – Merck & Co., Inc. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატია. რეკომენდებულია ართრიტის სამკურნალოდ და ძლიერი ტკივლების გასაყუჩებლად (მოზრდილთათვის). ბაზარზე გამოჩენიდან (1999), 20 მლნ პაციენტს გამოუწერეს. მხოლოდ 2003 წელს პრეპარატმა მწარმოებელ კომპანიას 2,5 მლრდ დოლარი მოუტანა.

2004 წლის სექტემბრის ბოლოს, Merck-მა გამოაცხადა, რომ სასწრაფოდ და ნებაყოფლობით წყვეტდა წამლის წარმოებას და უკვე ბაზარზე გატანილი პარტიებიც უკან გაითხოვა. Merck-ის განცხადების თანახმად, 3-წლიანმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ პრეპარატის ხანგრძლივი მოხმარების შედეგად, იზრდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, მათ შორის, ინფარქტისა და ინსულტების რისკი.

Bextra (ვალდეკოქსიბი), მწარმოებელი – Pfizer. ბაზარზე 2001 წელს გამოჩნდა. ისევე, როგორც Vioxx, არასტეროიდულ ანთების საწინააღმდეგო პრეპარატთა ჯგუფს განეკუთვნება. ფირმა Pfizer-ის მიერ წარმოებულ პრეპარატებს შორის, ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ წამლად ითვლება.

ამერიკის კარდიოლოგიური ასოციაციის (AHA) მონაცემებით, ხანგრძლივი გამოყენების შედეგად, ისევე, როგორც მისი მსგავსი Vioxx, საგრძნობლად ზრდის ინსულტისა და ინფარქტის რისკს. მიუხედავად ამისა, Pfozer-ის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ საკუთარი პროდუქტის საიმედოობასა და უსაფრთხოებაში დარწმუნებულნი არიან.

Crestor (როსუვასტატინი), მწარმოებელი – AstraZeneca. ქოლესტერინის დონის მარეგულირებელი პრეპარატია. 2003 წელს გამოჩნდა ბაზარზე. პირველსავე წელს კომპანიას 207 მლნ დოლარი მოუტანა.

ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, ქოლესტერინის დონის მარეგულირებელი სხვა პრეპარატებისგან განსხვავებით, Crestor სიცოცხლისთვის სახიფათო უკუჩვენებების რისკს ზრდის, კერძოდ, იწვევს ღვიძლის უკმარისობას. მწარმოებლები ბრალდებებს უარყოფენ და წამალს ეფექტიანად და უსაფრთხოდ მიიჩნევენ.

Serzone (ნეფაზოდინი), მწარმოებელი – Bristol-Myers-Squibb. Prozac-ის მსგავსად, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ანტიდეპრესანტია მსოფლიოში. 1994 წელს გამოჩნდა ბაზარზე.

არ იწვევს მთელ რიგ უკუჩვენებებს, რომლებიც Prozac-სა და ანალოგიურ წამლებს ახასიათებს. მაგრამ როგორც პრაქტიკამ დაამტკიცა, შესაძლოა, ღვიძლის სერიოზული დაავადებები გამოიწვიოს, მთელ რიგ შემთხვევებში საჭირო გახდა ორგანოს გადანერგვა. 2001 წელს, მისი გაყიდვა შეიზღუდა აშშ-ში, 2002 წელს აიკრძალა კანადაში, 2003 წელს წარმოებიდან მოხსნეს.

■

ითხთან დაკავშირებული მთავარი პროცესი ფლორიდაში მიმდინარეობს. კომპანია Roche-ის წარმომადგენლებს, მათ შორის, მარტინ გუბერსა (Roche-ის გლობალურ იმპერიაში მას პასუხისმგებლობა წამლების უსაფრთხოებაზე ეკისრება) და დანიელ ზაბროვსკის (ის კი საერთაშორისო რეგულირების დეპარტამენტის ხელმძღვანელია) სწორედ იქ მოუხდათ ჩვენების მიცემა. სასამართლოზე ისინი მოჰყვნენ ექიმ შიფერდეკერის მოხსენების შესახებ იმასაც, თუ მარკეტოლოგების დაჟინებული მითხოვნით, როგორ ამოიღეს მოხსენებიდან მნიშვნელოვანი რეკომენდაციები. რაღა თქმა უნდა, ეს ჩვენებები არ ადასტურებს წამალსა და თვითმკვლელობებს შორის პირდაპირი კავშირის არსებობას, მაგრამ ნათელს ხდის იმას, რომ კორპორაცია Roche-სთვის ცნობილი იყო პრეპარატთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ და რომ ის, შესაძლოა, მისი მსშტაბების დაფარვას ცდილობდა.

კომპანია Roche-ის ხელმძღვანელობა ამჟამად ყოველგვარი კომენტარისგან თავს იკავებს. კეროლაინ გლინის (Roche-ის ამერიკული ფილიალის ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი) თქმით, კომპანიაში დაუმთავრებელ სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით, არასოდეს აკეთებენ კომენტარს. თუმცა, ამერიკელმა ჟურნალისტებმა მისი სხვა განცხადებაც გაავრცელეს; კეროლაინ გლინის სიტყვებით, Roche კვლავინდებურად მიიჩნევს, რომ Accutane-სა და დეპრესიასა თუ სხვა ფსიქიკურ დაავადებებს შორის არანაირი კავშირი არ არსებობს.

როგორც ჩანს, ამ მოსაზრებას თვით Accutane-ის აქტიური მომხრეებიც (ექიმებს შორის) კი არ ეთანხმებიან. „ორი თუ სამი პაციენტი მყავდა, რომლებსაც მსგავსი ფსიქიკური უკუჩვენებები გამოუვლინდათ", – ეს გახლავთ კანადელი დერმატოლოგის ელვინ დიუკის სიტყვები, რომლის ციტირებასაც ამერიკული გაზეთი The USA Today ახდენს.

Roche-ის მოწინააღმდეგენი არ დაობენ იმაზე, რომ ის 70 სარჩელი, რომელიც ამერიკის სასამართლოებშია შეტანილი, შესაძლოა, ჭეშმარიტების დადგენას კი არ ემსახურება, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მერკანტილური მოსაზრებებითაა ნაკარნახები. მაგრამ ისინი ამბობენ, რომ მიუხედავად ყველაფრისა, აუცილებელია ამ საქმის ბოლომდე გამოძიება. ხოლო Accutane-თან დაკავშირებული გაუგებრობების გარკვევა, ნამდვილად ღირს იმად, რომ ამ საქმით ვიღაცამ თუნდაც ფული იშოვოს.

მასალა მომზადებულია უცხოური პრესის მიხედვით.

P.S. შემოდის თუ არა აღნიშნული პრეპარატები საქართველოში და რას ფიქრობენ ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე ქართველი მედიკოსები, „გზის" შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ. ■

„მთელი ღამე ვფიქრობდი, რა უნდა მეთქვა...“

თუ თქვენი პირველი პაემანი მიწისძვრით დამთავრდა, გირჩევთ, ურთიერთობა აღარ გააგრძელოთ და ყველაფერი ლამაზ მოგონებად დატოვოთ, — მითხრა ქართული შოუბიზნესის ცნობილმა წარმომადგენელმა ნინა წკრიალაშვილმა. ამაში მომღერალს მართლაც, დაეჯერება: მისი და მამუკა დადიანის ექვსწლიანი ოჯახური ცხოვრება დაინგრა და ნინას თქმით, ამის მიზეზი, პირველი პაემნის დროს მომხდარი მიწისძვრაც იყო...

მერი კობიაშვილი

— ნინა, ბავშვობაში სასიყვარულო თავგადასავალი თუ გქონია?

— ალბათ ყველა ადამიანს პირველად, საბავშვო ბაღში უყვარდება ვინმე. ამ მხრივ გამონაკლისი არც მე ვყოფილვარ. ის ბიჭი შემიყვარდა, ვისთან ერთადაც „ქართულში" სოლოს ვცეკვავდი. ზეიმზე გამოსვლა მის გამო მიხაროდა ხოლმე. მოგვიანებით დედაჩემი მიყვებოდა — იმ ბიჭს ძალიან აწვალებდიო. ასეთი რამ არ მახასიათებს. ალბათ ეს ბავშვური სიყვარულის ბრალი იყო... სკოლაში ერთი პერიოდი, ბევრ ბიჭს ვუყვარდი. მე კი ყურადღებას არც ერთი მათგანის მიმართ არ ვიჩენდი და მეგონა, რომ მაგარი „როჟა" ვიყავი. მაგრამ 13 წლის რომ გავხდი, მეც შემიყვარდა. ბავშვობიდან ვმღეროდი. სხვადასხვა კონცერტზე მიწევდა გამოსვლა. ერთ სხვა სკოლელ ბიჭს მოვეწონე. ყველგან დამყვებოდა. ჩემ მიმართ ძალზე დიდ ყურადღებას იჩენდა და მეც დავიწყე მასზე ფიქრი. რამდენიმეთვიანი ფიქრისა და განსჯის შემდეგ, პაემანზე მისვლასაც დავთანხმდი. ვერ წარმოიდგენ, ამ დღისთვის როგორ ვემზადებოდი. მთელი ღამე ვფიქრობდი, პაემანზე მისულს, რა უნდა მეთქვა... ერთმანეთს სკოლის ჭიშკართან შევხვდით. მაგრამ რამდენიმე წუთში, მიწისძვრა მოხდა (სომხეთში ქალაქები რომ დაინგრა, ეს მაშინ ხდებოდა) და ჩვენი პაემანიც დამთავრდა. მოგვიანებით, იმ ბიჭს ცოლად გავყევი. ერთმანეთს ექვსწლიანი ერთად ცხოვრების შემდეგ დავშორდით. ახლა ვხუმრობთ ხოლმე — ეტყობა, პირველი პაემანი მიწისძვრით იმიტომ დამთავრდა, რომ ბოლომდე ერთად ყოფნა არ გვეწერა-თქო...

— მას შემდეგ აღარავინ შეგყვარებია?

— ჩემს ცხოვრებაში ბევრი სასიყვარულო ამბავი ნამდვილად არ ყოფილა. ალბათ იმიტომ, რომ უკვე 7 წლის შვილი მყავს და ყველაფერს ანგარიშს ვუწევ. საერთოდაც, ვფიქრობ, რომ ძალზე ძნელად თუ შემიყვარდება ვინმე: ნდობა ყველა ბიჭის მიმართ დამეკარგა.

— შენმა მეუღლემ თუ შექმნა ახალი ოჯახი?

— მამუკა მეუბნება — შენი შემცვლელი ვერ მოვნახეო. ახალი ოჯახის შექმნას არც ის ჩქარობს... მართლაც, ძალიან მტკივნეული ყოფილა ოჯახის დანგრევა. პირადად მე, ერთი წელი დამჭირდა, რომ აზრზე მოვსულიყავი...

— სიმღერა — „მატირე" ამ ყველაფრის გამო ხომ არ იმღერე?

— არა. ეს უბრალო დამთხვევა იყო. მე ცხოვრებაში მელანქოლიური ადამიანი ვარ და სიმღერაშიც ეს სტილი მოვირგე.

— სცენაზე შენმა აქტიურმა გამოჩენამ ალბათ თაყვანისმცემლებიც შეგმატა...

— შემაწუხებელი თაყვანისმცემლები ჯერჯერობით არ მყოლია, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდი. მათი ყურადღება იმით გამოიხატება, რომ ზოგი სასიყვარულო SMS-ებს მიგზავნის, ზოგიც — ჩემს



იმდენად მიყვარს ჩემი საქმე, რომ ვერავის გამო ვერ დავთმობ... (კაბუსთან ერთად)

ავტოფარეხთან ყვავილებს აწყობს. მაგრამ ინკოგნიტოდ დარჩენას ამჯობინებენ ხოლმე და მათი ვინაობა დღემდე არ ვიცი.

— შენი რჩეული როგორი უნდა იყოს?

— მამაკაცი არ უნდა იყოს მატყუარა. მე საერთოდ, ბევრი რამის პატიება შემიძლია. შეიძლება, ადამიანს ღალატიც ვაპატიო, თუ ამას თვითონვე აღიარებს — წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის, რომ მატყუარა მამაკაცის გვერდით ვცხოვრობ, ეს კი არ შემიძლია. მამაკაცი უსაქმური არ უნდა იყოს და რაც ყველაზე მთავარია, ჩემი დღის რეჟიმი უნდა აიტანოს: იმდენად მიყვარს ჩემი საქმე, რომ ვერავის გამო ვერ დავთმობ.

— შენი ყოფილი მეუღლე თუ გიშლიდა სცენაზე გამოსვლას?

— სხვათა შორის, ამას წინათ მკითხა — ახლა მაინც თუ ხარ ბედნიერიო?.. მე ველოდი, რომ უფრო სხვანაირად მეტყოდა ჩემს შემოქმედებაზე თავის აზრს... მას ჩემ მიმართ ერთადერთი მოთხოვნა აქვს: უნდა, რომ წინა პლანზე შვილი დავაყენო და ყველა სხვა საქმე ამის შემდეგ მოვაგვარო. თუმცა, ამის თხოვნა საჭირო არ არის: ნებისმიერი მოსიყვარულე დედა ხომ ასე იქცევა!..

— შეყვარებული რომ ხარ, ეს შენზე როგორ მოქმედებს?

— შეყვარებული, ძალიან აქტიური ვხდები და ვლამაზდები კიდეც. ამ დროს, ჩემს ყველა საქმეს უკანა პლანზე ვწევ და ყველაფერს ვაკეთებ, რომ ჩემთვის ძვირფასმა ადამიანმა ჩემ გვერდით თავი კარგად იგრძნოს. ახლა ვხდები, რომ ასე არ შეიძლება. შემდგომში, უფრო რეალურად შევხედავ ყველაფერს. მარტო გრძნობას აყოლილი აღარ ვიმოქმედებ. ყველაფერი გონებით უნდა გაანალიზო, ურთიერთობა უფრო ხანგრძლივი და ჯანსაღი რომ იყოს. ■

ერთი თვეა, რაც სააგენტო „ნატალის“ მოდელი თამუნა გაბრიელაშვილი, რადიოში — „უცნობი“ მუშაობს. ჯერჯერობით თამუნას იქ განსაზღვრული საქმე არა აქვს, მაგრამ შესაძლებელია, მალე, როგორც თვითონ გვითხრა, გადაცემის წამყვანად — დიჯეიდ მოევლინოს მსმენელს. ყველაზე მეტად თამუნა სამუშაო რეჟიმს უჩივის და უფროსობისგან ხშირად, დაგვიანების გამო იღებს შენიშვნას. ზოგჯერ ემუქრებიან კიდეც, ეუბნებიან — „მარტო ლამაზი ფეხები არ გიშველის“, — და აფრთხილებენ — ეს სამსახური, როგორ მოულოდნელადაც იშოვე, ასევე მოულოდნელად არ დაკარგოო...

„მარტო ლამაზი ფეხები არ გიშველის...“

რატომ ემუქრებიან თამუნა გაბრიელაშვილს

ირინა უტარაშვილი

— თამუნა, როგორ მოხვდი რადიოში?

— ერთი თვის წინ, ჩემი მეგობრისგან გავიგე, რომ გია გაჩეჩილაძე — „უცნობი“ — რადიოს ხსნიდა და გვეძლეოდა შანსი, რომ იქ დაგვეწყო მუშაობა. ამის შემდეგ დავუკავშირდით გიას და მანაც უარი არ გვითხრა, შემოგვთავაზა, გვეთანამშრომლა. ასე დავიწყე აქ მუშაობა.

— მიღება როგორ მოხდა? რაიმე კონკურსი ან ტესტირება ხომ არ გაგივლია?

— არა. კონკურსი ძირითადად, დიჯეებმა გაიარეს. მე და ჩემს მეგობარს არანაირი კონკურსი არ გაგვივლია. გიას მე მანამდეც ვიცნობდი, სანამ აქ მუშაობას დავიწყებდი...

— შენ რა გევალება? კონკრეტულად რას აკეთებ?

— როდესაც აქ მოვედით, მე და ჩემს მეგობარს რამდენიმე ადგილი შემოგვთავაზეს, მათ შორის, გადაცემის პროდიუსერის (სწორედ ამ საქმეს მოჰკიდა ხელი ჩემმა მეგობარმა) და გადაცემის წამყვანის — ანუ დიჯეის. მე შემომთავაზეს, რომ გადაცემის წამყვანი ვყოფილიყავი, მაგრამ უარი ვთქვი. ამჟამად კონკრეტულად განსაზღვრული სამუშაო არ მაქვს, ხან კომპიუტერთან ვმუშაობ, ხან სატელეფონო ზარებს ვპასუხობ...

— რატომ თქვი უარი დიჯეის ადგილზე?

— არ ვიცი. რატომღაც ვიფიქრე, რომ ამას ვერ შევძლებდი. მაგრამ შესაძლებელია, რომ მალე გადაცემის წამყვანიც გავხდე. ვნახოთ, ჯერ გადაწყვეტილი არ მაქვს.

— რომელ საათზე გეწყება სამუშაო დღე?

— სამსახური 10 საათზე მეწყება და საღამოს 7 საათამდე ვარ ხოლმე.

— სამსახურში ხშირად იგვიანებ?

— წესით, 10 საათზე უკვე აქ უნდა ვიყო, მაგრამ ამ დროს მოსვლას ვერ ვახერხებ და სულ მეჩხუბებიან — ნუ იგვიანებო. ძალიან მიჭირს დილით ადგომა, მაგრამ ალბათ, მალე შევეჩვევი.

— შენი მეუღლე როგორ შეხვდა ამ ამბავს? წინააღმდეგი ხომ არ იყო, რადიოში მუშაობა რომ დაგეწყო?

— არა. ჩემი ოჯახისგან არანაირი წინააღმდეგობა არ ყოფილა. პირიქით, ყველა ხელს მიწყობს საქმიანობაში.

— ბავშვს ვინ უვლის შენი არყოფნის დროს?

— ძიძა. გიორგის პატარაობიდანვე ძიძა ზრდის და ძალიან შეჩვეულია მასთან ყოფნას, ამიტომ, მისი დატოვების პრობლემა არასდროს მაქვს.

— შენი ქმარი, ირაკლი მუშაობს?

— არა, ირაკლი ჯერჯერობით სწავლობს.

— თამუნა, შეიძლება შენს ყურამდეც მოსულა ჭორი, თითქოს



ყველა ხელს მიწყობს საქმიანობაში

შენ და ირაკლი გაყრას აპირებთ. რაიმე საფუძველი ხომ არ აქვს ამ ჭორს?

— არა. ეს მართლაც, ჭორია და მეტი არაფერი. მე და ირაკლი ისევ ერთად ვარ. ამის მცდელობაც კი არ ყოფილა.

— მომავალში, მოდელობისთვის თავის დანებებას ხომ არ აპირებ?

— არა, მოდელობას ისევ ვაგრძელებ. რადიოში მუშაობა ნამდვილად არ მიშლის ხელს, რომ მოდელი ვიყო. ■

მოდა, მათ შორის ფეხსაცმლის, სეზონურად იცვლება. მაგრამ ზოგიერთი ახალი ტენდენცია, კონკრეტული სეზონის მიმდინარეობის დროს იჩენს ხოლმე თავს. რა სიახლეებია ფეხსაცმლის მოდაში 2005 წლის ზამთარში? ამ კითხვით დიზაინერ თამთა ვარდანაშვილს მივმართეთ.

ნელს მოდაში ყველა+ფერი, ოღონდ... ჭუჭყიანი

ეკა მინდაძე

— მიმდინარე ზამთარში, მოდაშია 20-იანი წლების, რეტროს სტილის ფეხსაცმელი — ე.ი. ჩვენი დიდი ბებიების დროინდელი ფეხსაცმელი. მართალია, ცოტა ძნელი აღსაქმელია თვალისთვის, მაგრამ რას ვიზამთ — ასეთი მკვეთრი ცვლილება მოხდა მსოფლიო მოდაში. წვეტიანი ფეხსაცმელი, მრგვალი ცხვირით შეიცვალა. პრეტენზიული და მომთხოვნი ქართველი მომხმარებელი მზად აღმოჩნდა ამ ცვლილებისთვის, თუმცა, ქალისთვის წვეტიანი სილუეტიდან უცებ მოკლე, მრგვალცხვირიან ფეხსაცმელზე გადასვლა ძნელია. ეს იმანაც გამოიწვია, რომ ქვედაბოლოს სიგრძეც შემცირდა — ის მუხლისთავს ასცდა. ამას ფეხსაცმლის ფორმის შეცვლა რომ არ მოჰყოლოდა, მაშინ ფეხი იმდენად გრძელი გამოჩნდებოდა, რომ ქალს „დაადაბლებდა“... გარდა ამისა, ძალიან მოდური გახდა ამ ბოლო დროს, ფართოყელიანი ჩექმა, ელვაშესაკრავის გარეშე. თან, მისი გარშემოწერილობა ბევრად უფრო განიერი უნდა იყოს, რადგან მოდაში შემოდის ფერადი წინდა, რომელიც სასურველია, რომ ჩანდეს, თუნდაც — „შეპარვით“.

— ჩექმის ყელი რამსიმაღლე უნდა იყოს?

— მოდაშია ნახევარჩექმაც და მუხლისთავს აცდენილიც. უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, ე.წ. ჩაჩაჩული სილუეტის ჩექმაც. მოდაშია საცხენოსნო ჩექმის მსგავსი სილუეტიც, მაღალი ქუსლით.

— ძირზე რას გვეტყვი, როგორია მოდაში?

— ძალიან მოდურია პლატფორმა. არსებობს ორნაირი პლატფორმა: მთლიანი, გაერთიანებული ძირით და ისეთი, როცა ქუსლი გამოკვეთილად შემაღლებულია. მთლიანი ძირი, ცოტა არ იყოს, ფეხის სილუეტს აუხეშებს, მით უმეტეს, როცა მოკლე ქვედაბოლოს იცვამთ. ასეთძირიანი ფეხსაცმელი ძალზე უხდება შარვალს. მეორენაირი პლატფორმა უფრო მეტად ქვედაბოლოს უხდება. მრგვალცხვირიანს მაღალი ქუსლი უნდა ახლდეს თან — 10 სანტიმეტრის სიმაღლის მაინც.

— რა მასალის ფეხსაცმელია დღესდღეობით მოდაში?

— ძალიან აქტუალურია ლაკი და ქსოვილი. ქსოვილი შეიძლება იყოს ბუკლე, ფულე, ნატურალური მაუდი და შალი, მაგრამ აუცილებლად უნდა ერთვოდეს დამუშავებული ტყავის სარჩული. თუ წინა სეზონში აქტუალური იყო ნატი, ზედ დატანებული ბევრი ნაქარგით, მიმდინარე სეზონში ეს ქსოვილი ბუკლემ და ნატურალურმა, შალნარევმა ქსოვილებმა შეცვალა, რომელთაც სხვადასხვაგვარი ზედაპირი აქვთ. თუმცა, ამავე დროს, ძალიან მოდურია თხელი ტყავი.

— დაასახელე ყველაზე მოდური ფერი.

— ძალიან მოდურია ჭუჭყიანი ყავისფერი, ჭუჭყიანი შაბიამნისფერი, ჭუჭყიანი თამბაქოსფერი და ძალიან ჭუჭყიანი ვარდისფერი, თითქმის ყავისფერში გადასული.

გინდათ შედეგი? გააკეთეთ რეკლამა „გზაში“!

ტესტი ერუდიციაზე

1. ძველი რომაელები მეფეთა მეფეებიდან ვინ-ის გამოსვლის ფორმალურ აქტს ეძახდნენ:

ა) პასპორტიზაციას;
ბ) ემანსიპაციას;
გ) დემოკრატიზაციას.

2. რა ჰქვია დედალ ცხვარს?

ა) ნერბი;
ბ) ყოჩი;
გ) ტახი.

3. კონსტანტინ გასკოვი ამბობდა: „კარგ და საუკეთესო ფეხბურთელს ბორის ის განსხვავებაა, რომ კარგს შეუძლია ნებისმიერ სიტუაციაში გაერკვეს, საუკეთესო კი. (დასრულეთ ფრაზა)

ა) თვითონ ქმნის სიტუაციას“;
ბ) გარკვევისთვის დროს არ კარგავს“;
გ) მხოლოდ გოლის გატანაზე ფიქრობს“.

4. რითი ამზადებენ კრამიტს საქართველოში?

ა) სილანარევი თიხით;
ბ) კირნარევი თიხით;
გ) სუფთა თიხით.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ვინაიდან სამოსში დომინანტური ყავისფერია, ფეხსაცმელიც ყავისფერია მოდაში. სხვათა შორის, ყავისფერ ტანსაცმელს ნაკლებად უხდება შავი ფეხსაცმელი. აქედან გამომდინარე, საჭიროა, ყავისფერ ტანისამოსს შესაფერისი – თუნდაც, მუქი შვინდისფერი ფეხსაცმელი შეუხამოთ. ქართველებში ტრადიციულად, დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს შავი ფეხსაცმელი, მაგრამ მის ალტერნატივად თეთრი წარმოგვიდგება, რომელიც ყველა ფერზე მოდურად გამოიყურება.

— წვეულებაზე წასვლისას ზამთრის როგორ ფეხსაცმელს უნდა

მივანიჭოთ უპირატესობა?

– თუ თქვენ წვეულებაზე მიდიხართ, გირჩევთ, მაღალქუსლიანი ჩექმა ჩაიცვათ, იმიტომ, რომ მაღალი ქუსლი ყოველთვის გამოირჩევა ელეგანტურობით. რაც არ უნდა მოდური იყოს დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი, ქალს მაინც შვენის ქუსლი და საერთოდ, ასე ვიტყოდი – ქუსლის ხმით ვხვდებით, რომ სახლში ქალი დადის...

— გაიხსენე, პირველად რამდენი წლისამ შეკერე ფეხსაცმელი?

– პირველად ტანსაცმელი 12 წლის ასაკში შევიკერე და სკოლაში წასვლისას ჩავიცვი. ბავშვობაში მამამ საკერავი მანქანა მაჩუქა, რომელიც ძალიან მიყვარდა. მას შემდეგ, სულ ვუკერავდი თოჯინებს ნარ-ნარი კაბას. 8-9 წლის ასაკში, ჩემივე შეკერილი ტანისამოსი მეცვა. ერთხელაც, საჩუქრად ბიძამ ესპანეთიდან ფეხსაცმელი ჩამომიტანა. ავდექი და დავშალე, რათა ჩემი თვალით მენახა, თუ როგორ იყო შეკერილი. მერე შევეცადე, ზუსტად ისეთივე გამეკეთებინა, მაგრამ არ დამაკმაყოფილა მისმა ფორმამ და გადავწყვიტე, საკერავი მანქანით ზევიდან მასზე რაღაც ფიგურა დამექარგა. იმდენად დამაინტერესა ფეხსაცმლის დამზადებამ, რომ გადავწყვიტე, ამ საქმეს გავყოლოდი.

— რამდენი ხანია, რაც მხოლოდ შენს შეკერილ ფეხსაცმელს ატარებ?

– ბოლო 8 წლის განმავლობაში, არც ერთი წყვილი სხვა ფეხსაცმელი არ მიყიდია.

— თავად რა სტილის ფეხსაცმელი გიყვარს?

– გაჩნია, როგორ ხასიათზე ვარ: თუ სამუშაო ფორმაში უნდა ვიყო, მირჩევნია, დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩავიცვა. ჩემი ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც საკუთარ ნამუშევარს ვუყენებ, ის გახლავთ, რომ უნდა იყოს აუცილებლად კომფორტული. ძალიან მიყვარს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი.

— შენი შემოქმედების ყველაზე კრიტიკული შემფასებელი ვინ არის?

– ყველაზე კრიტიკული შემფასებელი დედაჩემია, რომელიც არ იშურებს შენიშვნებს იმისათვის, რომ მე სწრაფი ტემპით ვიზარდო. ხშირად პირველად სინჯავს – ახალ მასალას, ახლა კალაპოტს და ქუსლს – დედაჩემზე ვამოწმებ.

— როგორც ვიცი, შენი ვაჟი დემეტრე ამ სტუდიის პრეზიდენტია. მომავალში აპირებს, შენს კვალს გაჰყვეს?

– მე მას არ ვუბიძგებ, რომ ჩემს გზას გაჰყვეს. გამოვიდეს კოსმონავტი ან ექიმი – ჩემთვის სულერთია, მაგრამ კარგია, რომ მან ერთი ხელობა უკვე იცის და გარანტია მაქვს, რომ ცხოვრება არ გაუჭირდება.

■

ეგზოტიკური ფაუნის მშვენიერი ნიმუშები

იმ ეგზოტიკურ მცენარეებს შორის, რომლებიც ბოლო დროს ჩვენში გავრცელდა, ქლოროფიტუმი და ასპიდისტრა გამოირჩევიან. მათი ამტანობა ძალზე აიოლებს მოვლის პროცესს და მცენარეთა ზარმაც მოყვარულთათვის, რომ იტყვიან, ნამდვილი მისწრებაა... მოგვითხრობენ თბილისის ბოტანიკური ბაღის ტროპიკული ორანჟერეის თანამშრომლები — ნანა ყუბანეიშვილი და ლია მეტრეველი.

ლევან ებრალიძე

— ქლოროფიტუმი სუმბულისებრთა ოჯახს მიეკუთვნება. ამ მცენარის სამშობლო სამხრეთ ამერიკაა. აერთიანებს 215-მდე სახეობას. დეკორატიულ მეყვავილეობაში ფართოდ გამოიყენება. ქლოროფიტუმის პოპულარობას მისი გამძლეობაც განაპირობებს. ის კარგად იზრდება როგორც თბილ, ისე ცივ ოთახებში, სინათლესა და ნახევრად ჩრდილშიც. იტანს ჰაერის სიმშრალესაც. აქვს ლამაზად გადმოშვებული, გრძელი ფოთლები. გაზაფხულსა და ზაფხულში ფოთლებს შორის ამოდის წვრილი, საყვავილე ღერო, რომელზეც ჯერ პატარა თეთრი ყვავილები წარმოიქმნება, შემდეგ კი — როზეტები საჰაერო ფესვებით. როზეტები შეგიძლიათ „დედას“ მოაცილოთ და ცალკე დარგოთ. თუმცა, უმჯობესია დატოვოთ, რადგან, რამდენიმე როზეტის განვითარების შემდეგ, მცენარე გაცილებით უფრო ლამაზდება, მით უმეტეს თუ ჰაერში ან კედელზეა

ქლოროფიტუმი

დაკიდებული. ქლოროფიტუმის გამრავლება ბუჩქის დაყოფითაც შეიძლება. კარგად იზრდება ფხვიერ, კორდიან ნიადაგზე. აქვს მსხვილი ფესვები, ხშირად ისეთი ძლიერი, რომ ფესვთა სიმძლავრით ქოთანი შეიძლება გატყდეს. ამიტომ სასურველია, ფართო ჭურჭელში ჩაირგოს. მცენარის ნორმალური გამოზამთრებისთვის კაშკაშა და გაბნეული სინათლეა საჭირო, ტემპერატურა კი — არანაკლებ 8 გრადუსისა. გაზაფხულიდან შემოდგომამდე უხვად მორწყვას მოითხოვს, ზამთარში კი — ზომიერად. ზაფხულში ჰაერის ტენიანობის შესანარჩუნებლად საჭიროა დროდადრო წყლის შესხურება. გადარგვა, უმჯობესია, გაზაფხულზე. როგორც გაზაფხულზე, ისე შემოდგომით გამრავლება შვილეული როზეტებით და მცენარის დაყოფით ხდება. მავნებლებისა და ავადმყოფობის მიმართ გამძლეა, მხოლოდ დასუსტებულ მცენარეს შეიძლება გაუჩნდეს ბუგრები. ფოთლის წვერების გაყავისფრებას და ხმობას, ხშირად, ცხელი ჰაერი ან მექანიკური დაზიანება იწვევს. ქლოროფიტუმი საუკეთესოა ინტერიერის გასაფორმებლად. ასევე გამოიყენება ღია გრუნტში, როგორც ბორდიურების გასაფორმებლად, ისე ყვავილნარებშიც.

ფოთლოვან-დეკორატიული მცენარე — ასპიდისტრა ბუნებრივად გავრცელებულია იაპონიასა და ჩინეთში. ამ გვარის რვა სახეობიდან კულტურაში ყველაზე მეტად ცნობილია Aspidistra elatior B.L. მას გრძელი, მაგარყუნწიანი ფოთლები აქვს და მარადმწვანე, ბალახოვანი მცენარეა. მოზრდილებს ძირში, თითქმის მიწის ზედაპირზე მჯდომი ხორციანი ყვავილები უვითარდებათ. ასპიდისტრა კარგად იტანს სინათლეს, დაჩრდილვას, ტენიანობას. ნიადაგისადმი დიდი მოთხოვნილება არ ახასიათებს. კარგი მოვლის პირობებში, ბუჩქად ვითარდება. ფოთლის სიცოცხლის ხანგრძლივობა 10 წელია! როცა ტემპერატურა 15 გრადუსზე მაღალია, საჭიროა შესხურება. მრავლდება გაზაფხულზე ფესურის დაყოფით. დაყოფისას არ უნდა დავაზიანოთ წვრილი ფესვები. თითოეულ ნაწილს უნდა

ასპიდისტრა

ჰქონდეს ფესვები, 3-4 ფოთოლი და დაირგოს 1-2 სანტიმეტრით უფრო ღრმად, ვიდრე მანამდე იყო. გამრავლება ფოთლითაც შეიძლება. ფოთოლი უნდა გამოშრეს და გარეცხილ ქვიშაში ჩაირგას. ასეთი ტიპის გამრავლება დიდ დროს მოითხოვს, ამიტომ უმჯობესია, ბუჩქის დაყოფა. ასპიდისტრა ვერ იტანს მზის პირდაპირ დასხივებას. გაზაფხულიდან შემოდგომამდე უხვად ირწყვება, ზამთარში — საჭიროებისამებრ. თბილ ზამთარში ღია გრუნტშიც კარგად იზამთრებს. ის საუკეთესო მასალაა ნახევრად დაჩრდილული ადგილების გასაფორმებლად.

ჭრელ ასპიდისტრას მოთეთრო-მოყვითალო ზოლებიანი ფოთლები აქვს. გამრავლება მწვანე ასპიდისტრის იდენტურია, მაგრამ მისგან განსხვავებით, ნიადაგის გამოშრობას ვერ იტანს. შემოდგომასა და ზამთარში უნდა მოვათავსოთ ცივ ან ზომიერად თბილ ოთახში. სასუქებით მდიდარ ნიადაგზე მისი ზოლებიანი ფოთლები შეიძლება გამწვანდეს. დაავადებებსა და მავნებლების მიმართ ორივე სახეობა გამძლეა. ასპიდისტრა გამოიყენება როგორც სკოლების, ბინების, ოფისებისა და სხვა დანიშნულების შენობების ინტერიერების გასაფორმებლად, ისე ღია გრუნტის ყვავილნარებში.

■

კვირის (24 - 30 იანვარი) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: თქვენმა კეთილშობილებამ და სულგრძელობამ შეიძლება ზიანი მოგაყენოთ. ნუ მოდუნდებით და ნუ მოიწყენთ. შემდეგი კვირიდან პირად ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლე გელით.

მამაკაცი: კვირის დასაწყისში ბევრ ახალ ნაცნობს შეიძენთ. გაერკვიეთ სამსახურებრივ პრობლემებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა გაგირთულდებათ. შაბათ-კვირას მოერიდეთ აზარტულ თამაშებს.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: თავი შეიკავეთ სერიოზული, საქმიანი მოლაპარაკებისაგან, უმჯობესია, ეს შემდეგი კვირისთვის გადადოთ. გამოიჩინეთ მოთმინება – ამით მხოლოდ მოიგებთ. კვირის მეორე ნახევარს საინტერესო ადამიანთა გარემოცვაში გაატარებთ.

მამაკაცი: თქვენთვის ჩვეულებრივი კვირა მოდის, არანაირი სიახლე არ გელით. ერთფეროვნებას თავადვე უნდა დააღწიოთ თავი, რადგან სხვებთან ურთიერთობა გაგაღიზიანებთ.

მარჩხეზი – 22/V-21/VI

ქალი: ნუ ენდობით შემთხვევით გაცნობილ ადამიანებს, თუ გინდათ, რომ აუტკივარი თავი არ აიტკივოთ. უქმე დღეები მეგობრებთან ან საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ. არ გაასესხოთ ფული.

მამაკაცი: კვირის დასაწყისში დაძაბულ გარემოში ცხოვრება მოგიწევთ. თქვენ გარშემო რატომღაც ყველა ღელავს და ასეთ საზოგადოებაში ადგილის პოვნა გაგიჭირდებათ. სამაგიეროდ, ხალისიანი და სიახლეებით სავსე იქნება კვირის მეორე ნახევარი.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: ფინანსური პრობლემების მოგვარებაში ძლიერი სქესის წარმომადგენლების დახმარების იმედი გქონდეთ. ისინი ამ კვირაში განსაკუთრებით ყურადღებიანი იქნებიან თქვენ მიმართ. ისარგებლეთ მათი კეთილგანწყობით და დრო სასიამოვნო გარემოში გაატარეთ.

მამაკაცი: ამ კვირაში, ურთიერთგამომრიცხავ წინადადებებს მიიღებთ. ყურადღებით მოუსმინეთ ყველას, ვინც თქვენთან იდეებით დახუნძლული მოვა. ამ კვირაში თქვენთვის წინა პლანზე ოჯახური პრობლემები დადგება.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: შესაძლოა, გაგიჩნდეთ სურვილი, შეხვდეთ და ესაუბროთ ადამიანებს, რომელთა მოსაზრებები ადრე არ გაინტერესებდათ; დაიკმაყოფილეთ ცნობისმოყვარეობა. ეს განწყობილებას გაგიუმჯობესებთ.

მამაკაცი: თქვენ გარშემო კონფლიქტური სიტუაცია იქმნება, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ მოხერხებული ადამიანები წყლიდანაც კი მშრალად ამოდიან. იფიქრეთ იმაზე, რომ დროულად მოაგვაროთ ფინანსური პრობლემები.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: კვირის მეორე ნახევარში, ძველ ნაცნობთა მოულოდნელი შეხვედრა მოგცემთ შანსს, უკეთესობისკენ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება. კარგი იქნება, თუ თქვენთვის მნიშვნელოვან საქმეს კვირის მეორე ნახევრისთვის დაგეგმავთ.

მამაკაცი: თქვენთვის ეს კვირა დაძაბული აღმოჩნდება, მაგრამ სულ მალე მდგომარეობა გამოსწორდება და მეგობრების დახმარებით ფინანსური მდგომარეობაც გაგიუმჯობესდებათ.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: ნუ შეეცილებით სხვებს ინიციატივის გამოჩენაში, ნუ გამომაჟღავნებთ მსუბუქი ფლირტის და აზარტული თამაშებისადმი მიდრეკილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, წაგებული დარჩებით.

მამაკაცი: შესაძლოა, ახალი სამსახური შემოგთავაზონ. შეეცადეთ, კარგად გაერკვეთ საკუთარ გრძნობებში. მათ, ვისაც მეუღლე არ ჰყავთ, ვურჩევთ, გადადგან გაბედული ნაბიჯები ოჯახის შესაქმნელად.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: არსებული ვითარება დაგარწმუნებთ იმაში, რომ ადამიანებზე არა მხოლოდ ზეგავლენის მოხდენა, არამედ მათი მართვაც შეგიძლიათ. კვირის დამლევს თაყვანისმცემლების გარემოცვაში აღმოჩნდებით.

მამაკაცი: მომგებიან, საქმიან წინადადებას მიიღებთ. ისარგებლეთ გამოცდილი ადამიანების რჩევით. ნუ დაგეგმავთ მნიშვნელოვან შეხვედრებს პარასკევს.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: ნუ დაკარგავთ დროს ურთიერთობების გარკვევაზე. ეცადეთ, იყოთ დამთმობი – სიჯიუტემ შეიძლება, საყვარელი ადამიანი დაგაკარგვინოთ. კარგი იქნება, თუ მეგობრებთან სტუმრობისთვის გამონახავთ დროს.

მამაკაცი: გამორიცხული არ არის, რომ გეგმის შეცვლა მოგიხდეთ, მაგრამ ნაჩქარევ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. კვირის ბოლოს, თქვენს მოსაზრებებს მეტი გულისყურით მოისმენენ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: დროა, შეანელოთ ტემპი და შეამციროთ საქმიანი შეხვედრების რაოდენობა. მეტი დრო დაუთმეთ მეგობრებს და იოცნებეთ ბედნიერ მომავალზე.

მამაკაცი: საქმიანობაში აჩქარებას არ გირჩევთ. შეეცადეთ, ეს კვირა ინფორმაციის შეგროვებას დაუთმოთ: რაც უფრო მეტი გეცოდინებათ საკარაუდო პარტნიორების შესახებ, მით უფრო სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: წარმატება გელით – როგორც სამსახურსა თუ შემოქმედებით საქმიანობაში, ასევე პირად ცხოვრებაში. შეეცადეთ, ადრე დაშვებული შეცდომების გამოსწორებას. თუ ამას ვერ შეძლებთ, ნუღარ გაიმეორებთ მაინც.

მამაკაცი: კვირის პირველ ნახევარს თუ ოჯახური პრობლემების მოგვარებას დაუთმობთ, მეორე ნახევარში საზოგადოებრივ საქმიანობაზე გადაერთეთ. დამატებითი შემოსავლის მიღების მოულოდნელი შანსი გამოგიჩნდებათ.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: წარმატებას მოგიტანთ კვირის დასაწყისში დაწყებული საქმიანი მოლაპარაკება. ასე რომ, გამოიჩინეთ გაბედულება, თავშეკავება კი – მხოლოდ ძვირად ღირებული ნივთის შეძენისას.

მამაკაცი: საუკეთესო დროა შემოქმედებითი პროექტების განსახორციელებლად. კვირის ბოლოს მოგეცემათ შანსი, გამოავლინოთ თქვენი დიპლომატიური შესაძლებლობები .



ჰოლანდიის დედაქალაქი
სარდალი, მხედართმთავარი ძველად
ფოთლოვანი ხე
ქალაქის თვითმართველობის შენობა
ფული ინდური მარცვლოვანი დაბურლობა
სასახლე იტალიაში
უმცირესი
უფლისწულის ტიტული ესპანეთში
მტაცებელი ცხოველი
ხოხბის ბარტყი
შექმნილი გარემოება
პატარძლის თავსაბურავი
თხელი ტალახი
ვაუჯა კამეჩი
ჰუნების ბელადი
ქალაქი დასავლეთ საქართველოში
სასოფლო სამეურნეო წარმოების მეცხ. საფუძველი
ჩაპლინის ცოლის სახელი
იტალიელი ფერმწერი
ერთგვაროვანი გრძელი დოლი
მაღალი ხარისხის მინა
საკარო წარმატება
იაპონური ალუბალი
ელექტროძრავის უძრავი ნაწილი
მდ. ურალის ძვ სახელწოდება
ცურვის სტილი
პლანეტის თანამგზავრი
იემენის დედაქალაქი
ყურანის ცალკეული თავი
ივიეა, რაც ვიგვამი
პატარა მოთხრობა
გოშია
ზღვრული ნორმა
რაიმე გამოცების ცალკე წიგნი
ფრანგული ვაზის ჯიში
საჭიდაო ხალიჩა
ესპანური ავიაკომპანია



23-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-გ; 3-ა.
58-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ა; 4-ა.

ანეკდოტები

***

ცოლ-ქმარს სტუმრები ეწვივნენ, დასხდნენ, ისაუბრეს...

— შესთავაზე სტუმრებს რაიმე გამაგრილებელი!

— ო, დიახ! — შეიცხადა ცოლმა და... ფანჯარა გამოაღო...

***

ერთი კაცი — მეორეს:

— შეხედე, რა დაგრეხილი ფეხები აქვს ამ გოგონას.

— ჩემი საცოლეა.

— ...და როგორ უხდება!

***



ბავშვს, რომელსაც ათთეთრიანი გალაეყლაპა, ხალხი შემოხვეოდა და არ იცოდნენ, რა ელონათ.

უეცრად კაცი მოვარდა, ჩაავლო ხელი ფეხებში და თავდაყირა ნჯღრევა დაუწყო. ბავშვმა პირიდან მონეტა გამოაგდო.

— თქვენ საავადმყოფოში მუშაობთ? — შეეკითხა ერთი.

— არა, საგადასახადოში.

***

„დაბოლილი“ ნარკომანი სადარბაზოში შედის. ზარს რეკავს. კარს მოხუცი ქალი აღებს.

ნარკომანი:

— რას უდგეხარ, დედი?.. თუ მოხვედი, შემოდი, რაღა!..

***

პატრული მოძრაობის საპირისპიროდ მიმავალ ნასვამ მძღოლს აჩერებს:

— სად მიდიხარ?

— არ ვიცი, მაგრამ მგონი, დავაგვიანე — უკვე ყველა უკან მიდის...

***

— დედა, დედა!

— რა იყო, შვილო?

— იცი, დღეს დეიდას ავტობუსში ადგილი დავუთმე.

— მერე, დაჯდა?

— არა, მამას მუხლებზე ვეჯექი.

***

— რა სარგებლობა მოაქვს „თელასს“?

— გამოთქმით გინებას გვასწავლის.

***

— ჭიჭიკია, მასესხე 5 ლარი, რაია?..

— მარტო 3 რომ მაქ?..

— არა უშავს... 3 მომეცი და 2, ვალი გექნება.

***

სვანი აეროპორტის ცნობათა ბიუროში რეკავს:

— უკაცრავად, რა დრო სჭირდება აქედან პარიზში ჩაფრენას?

— ერთი წამით... — პასუხობს ქალიშვილი.

— გმადლობთ! — ყურმილს დებს სვანი...

***

სვანი ქალაქელ ქალს თოკით ხეზე მაგრად მიაბამს და გაუკვირდება:

— რატომ მითხრეს, ამ ქალს ვერ დააბამო?!

***

ცოლი ქმარს:

— იცი, მიხო, დღეს მათხოვარი დავაპურე და ხუთი ლარიც ვაჩუქე!

— რა შაჯამე?

— ჩემი გაკეთებული ბოზბაში.

— სულ შაჭამა?

— კი, მთელი მათლაფა!

— მაშინა, 5 ლარი ცოტაა!..

***

მასწავლებელი — ახალ მოსწავლეს:



— რა გქვიან?

— მიტოი.

— მამაშენს რა ჰქვიან?

— მამის სახელით არ არის საჭირო, მასწ... „პროსტო“ მიტო დამიძახეთ...

***

ბავშვი სილაში ზის, თამაშობს და თან ჭამს.

— რას ჭამ, შვილო, ვინ მოგცა?

— არავის არ მოუცია.

— აბა, საიდან აიღე?

— არ ამიღია — თვითონ მოცოცდა...

***

ოქროს თევზი თიბავს. ეკითხებიან:

— ბიჭო, შენა ოქროს თევზი არა ხარ?

— კი ვარ.

— მერე, აქა რას აკეთებ?

— ერთი სვანის სამ სურვილს ვასრულებ...

***

ოთახში გაფითრებული მოსამსახურე ქალი შემორბის:

— ქალბატონო, თქვენი ქმარი იატაკზე წევს, არ ინძრევა, არ სუნთქავს, ხელში რაღაც ქვითარი უჭირავს, იატაკზე კი შეფუთული რაღაც გდია!

— მადლობა ღმერთს, ჩემი ქურქი მოვიდა!..

***

ძუკუს შვილი ეკითხება:

— მამიკო, მამიკო, მეგობარს რომ უჭირდეს, როგორ უნდა მოვიქცე?

— რაღა გაჭირვებულებს უმეგობრდები, მაგალითად?.. შეძლებული ცოტაა?!

***

ჩინელი ახალგაზრდა კაცი პროფესორს მიმართავს:

— ბატონო პროფესორო, თქვენი ქალიშვილის ხელს ვითხოვ!

— ახალგაზრდავ, — ეუბნება პროფესორი, — პასუხი უნდა გავიგო დიდი დრაკონისგან, როგორც ამას ყოველთვის აკეთებდა ბრძენი ხალხი აღმოსავლეთში.

— არ არის საჭირო, თქვენი მეუღლის თანხმობა უკვე მივიღე!

***

მიტუა — ქალაქელ სტუმარს:

— მიირთვით, მიირთვით ვაშლი... კიდევ შაჭამეთ, ნიკო ბატონო, არ მენანება — წელს ღორი მაინც არა მყამ და...

***

ტერორისტებმა ხელში ჩაიგდეს ღვინის სარდაფი და უკვე მეოთხე დღეა, ვერ ახერხებენ თავიანთი მოთხოვნების ფორმულირებას.

როგორი დამოკიდებულება გაქვთ ფულთან?

1. სამი მოსაზრებიდან რომელია თქვენთვის უფრო მეტად მისაღები?

ა) ზოგჯერ ფული მეტად ძვირად უჯდება ადამიანს;

ბ) ჭკვიანი ადამიანები ფულს თავში ინახავენ და არა გულში;

გ) ხელმოკლე ადამიანი შეზღუდული წარმოსახვის უნარით გამოირჩევა.

2. წარმოიდგინეთ, რომ თქვენი ერთ-ერთი მეგობარი უსაზღვროდ გამდიდრდა. როგორ იმოქმედებს ეს თქვენს ურთიერთობაზე?

ა) ეს მხოლოდ გამახარებს, თანაც, თუკი ამის აუცილებლობა შემექმნება, საძებარი აღარ მეყოლება ისეთი ადამიანი, რომელმაც შეიძლება ფული მასესხოს;

ბ) ინტერესებისა და შესაძლებლობების სხვაობამ, შესაძლოა ერთმანეთს დაგვაშოროს;

გ) გულწრფელად რომ ვაღიარო, ვფიქრობ, მისი შემშურდება, ეს კი ჩვენი მეგობრობისთვის სახარბიელო ნამდვილად არ იქნება.

3. თავის დროზე, როგორ გამოიყენეთ სახელმწიფოს მიერ მოცემული საპრივატიზაციო ჩეკი („ვაუჩერი“)?

ა) ხელი ჩავიქნიე და საერთოდ არ ამიღია;

ბ) გავყიდე;

გ) საინვესტიციო ფონდში დავაბანდე.

4. თქვენი აზრით, სწრაფად ფულის შოვნა რა გზით შეიძლება?

ა) ვალის აღებით;

ბ) ხარჯების შემცირებით;

გ) მომგებიანი საქმის მოკვარახჭინებით.

5. როგორი გრძნობა გეუფლებათ, როცა ძალზე ძვირად ღირებულ საჩუქარს გიძღვნიან?

ა) მიხარია;

ბ) თავს უხერხულად ვგრძნობ;

გ) მიჩნდება ეჭვის გრძნობა იმის თაობაზე, თუ რა განზრახვა ამოძრავებს მას, ვინც ეს საჩუქარი მიძღვნა.

6. როგორ მოიქცევით იმ შემთხვევაში, თუკი ვალს არ დაგიბრუნებენ?

ა) ვფიქრობ, ასეთ შემთხვევაში ვერაფერს მოვიმოქმედებ;

გ) მოვალეს სისტემატურად შევახსენებ, რომ მას ჩემი ვალი აქვს და დროა, ფულის დაბრუნებაზე იზრუნოს;

გ) საკუთარი ფულის დასაბრუნებლად ჩემთვის ხელმისაწვდომ ყველა საშუალებას გამოვიყენებ.

7. თუკი ტროტუარზე დაგდებულ მონეტას შენიშნავთ, აიღებთ თუ არა მას?

ა) ამისთვის დაკუზვაც არ ღირს;

ბ) არ ვიცი, გააჩნია როგორ განწყობაზე ვიქნები;

გ) აუცილებლად ავიღებ!

8. როცა ლაპარაკი ფულზე ჩამოვარდება ხოლმე, როგორი გრძნობა გეუფლებათ?

ა) მართალი გითხრათ, სალაპარაკოდ სხვა თემებს ვამჯობინებ;

ბ) საქმიანი ურთიერთობების დროს ეს სრულიად ბუნებრივია, მეგობრობაში კი ნამდვილად ზედმეტია ამაზე ლაპარაკი;

გ) ჩემი აზრით, ამ თემაზე საუბარი საინტერესოა და საკმაოდ სასარგებლოც.

9. როცა ხურდას გიბრუნებენ, გჩვევიათ თუ არა მისი დათვლა?

ა) არასოდეს ვითვლი;

ბ) ზოგჯერ ვითვლი ხოლმე;

გ) ყოველთვის ვითვლი.

10. საბირჟო მონაცემების მოსმენის შემდეგ ხასიათი ხომ არ გეცვლებათ?

ა) ეს არანაირად არ მოქმედებს ჩემზე, რადგან ამით საერთოდ არ ვინტერესდები?

ბ) ბირჟაზე მომხდარმა სერიოზულმა მოვლენებმა, შესაძლოა, საგონებელში ჩამაგდოს;

გ) საბირჟო სიახლეებს ყოველთვის დიდი ინტერესით ვისმენ და ამასთან დაკავშირებით, ზოგჯერ მღელვარებაც მიპყრობს ხოლმე.

დაანგარიშეთ ქულები: ყოველ „ა“ ვარიანტში დაიწერეთ 1 ქულა, „ბ“ ვარიანტში — 2 ქულა, „გ“ ვარიანტში — 3 ქულა.

ტესტის შედეგები

10-13 ქულა: ფულისა და სიმდიდრისადმი ლტოლვით არ გამოირჩევით. ცხოვრებაში სხვა პრიორიტეტებს ანიჭებთ უპირატესობას და შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის ფულს საკმაოდ მოკრძალებული ადგილი უკავია. მართალია, ასეთი დამოკიდებულება მსხვილ საფინანსო მოგებას ნამდვილად ვერ მოგიტანთ, მაგრამ, როგორც ჩანს, თქვენ უამისოდაც მშვენივრად გრძნობთ თავს.

14-21 ქულა: თქვენ ერთნაირად კარგად გამოგდით ფულის შოვნაც და მისი ხარჯვაც. გირჩევთ, მატერიალური პრობლემების გამო, სულიერი სიმშვიდე არ დაირღვიოთ — ეს ხომ დროებითი მოვლენაა. თქვენი იდეალი — ზომიერი კეთილდღეობაა და თქვენი შესაძლებლობების პატრონს ამის მიღწევა ნამდვილად არ უნდა გაგიჭირდეთ.

22-30 ქულა: ცხოვრებისეულ ღირებულებებს შორის, შეიძლება ითქვას, რომ თქვენთვის ფული პირველ ადგილზე დგას. ბევრი ფულის შოვნისა და გამდიდრების დაუძლეველი სურვილი გაქვთ და ამის მისაღწევად ძალ-ღონეს არ იშურებთ. გაითვალისწინეთ, ამ გზაზე ბევრი სირთულე და იმედგაცრუება გელით წინ, მაგრამ გული არ უნდა გაიტეხოთ და თქვენსას მიაღწევთ.

ბოლივუდელი სუპერვარსკვლავი საჯოცნელად ემზადება

პურიტანული წესებით ცნობილი, თავშეკავებული ინდური კინოს სუპერვარსკვლავმა აიშვარია რაიმ განაცხადა, რომ ჰოლივუდის იმ ფილმებში, სადაც თავად თამაშობს, კოცნის შესაძლებლობას არ გამორიცხავს. თუმცა დარწმუნებულია, რომ ეს ამბავი მის სამშობლოში სკანდალს გამოიწვევს.

მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთსა და იმ ქვეყნებში, სადაც მის ფილმებს უყურებენ, მსგავსი სცენები

აკრძალულია, CBS-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მსახიობი კინოში სექსის შესახებ თავისუფლად მსჯელობდა.

აიშვარია რაი 1973 წლის 1-ელ ნოემბერს ინდოეთის ქალაქ მანგალორეში დაიბადა. თავდაპირველად, არქიტექტურას სწავლობდა, შემდეგ კი მოდელი გახდა. 1994 წელს აიშვარიამ „მის მსოფლიოს“ კონკურსზე გაიმარჯვა, ცოტა ხნის წინ კი, ერთ-ერთმა ინგლისურმა ჟურნალმა იგი მსოფლიოს ულამაზეს ქალად დაასახელა. 1997 წლიდან აიშვარია რაიმ კინოში დაიწყო მუშაობა და 30 ფილმში ითამაშა. ის პირველი ინდოელი მსახიობია, რომელიც კანის კინოფესტივალის ჟიურის წევრად მიიწვიეს.

ცნობილია, რომ აიშვარია ბონდიანას მომდევნო ფილმში ჯეიმს ბონდის მეგობარი გოგონას როლის მიღებაზე ოცნებობს, მაგრამ ამჯერად ახალ ფილმში ინდოელი ვარსკვლავი კი არა, 24 წლის ბრაზილიელი სუპერმოდელი ჟიზელ ბიუნდხენი ითამაშებს. ■

გერმანიაში მოცარტის უცნობი პორტრეტი აღმოაჩინეს

ბერლინის სურათების გალერეაში იოჰან გეორგ ედლინგერის მიერ შექმნილი, მოცარტის დღემდე უცნობი პორტრეტი აღმოაჩინეს. ზეთის საღებავებით შესრულებული 80X60 სმ ზომის ტილო სავარაუდოდ, 1790 წლით თარიღდება. ამ წელს გენიალური კომპოზიტორი მიუნხენს უკანასკნელად ესტუმრა. ეს ტილო დიდი ავსტრიელი მუსიკოსის სიცოცხლეში შექმნილი უკანასკნელი პორტრეტი უნდა იყოს.

ბერლინის სურათების გალერეამ ეს ნახატი 70 წლის წინ შეიძინა, მაგრამ მაშინ ამ ნამუშევარს ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის პორტრეტად არ მიიჩნევდნენ. იდენტიფიცირება დიდი კომპოზიტორის შემოქმედების თაყვანისმცემელმა ვოლფგანგ ზაილერმა კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით შეძლო. გალერეის რესტავრატორებმა პორტრეტს პირვანდელი სახე დაუბრუნეს. ბერლინის მუზეუმის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მოცარტის უცნობ პორტრეტს მნახველის სამსჯავროზე დიდი მუსიკოსის დაბადების 249 წლისთავზე 27 იანვარს გამოიტანენ. ■

ჯატარის ჰრინცის ქორწილისათვის ვარდების 15-მეტრიანი თაიგული დამზადდა

კატარის სამეფო ტახტის მემკვიდრის, უფლისწულის შეიხ ტამიმ ბენ ჰამად ალ ტანის საქორწინო ცერემონიისათვის მსოფლიოში უდიდესი ვარდების თაიგული შეიქმნა, რომელიც გინესის რეკორდების წიგნში შევა. პირამიდის ფორმის თაიგულის სიმაღლე 15 მეტრს აღწევს. ულამაზესი ვარდებისაგან დამზადებული ეს საოცრება კატარის დედაქალაქ დოხას სანაპიროზე დაიდგმება და მას სოფლის მეურნეობის მინისტრი სულთანი ად-დოსარი საზეიმოდ გახსნის. 42-ტონიანი, 800 კგმ ფართობის ყვავილოვანი მონუმენტის დამზადებას 7 დღე დასჭირდა. ამ თაიგულის შესაქმნელად ტაილანდსა და ეკვადორში იშვიათი სახეობის ვარდები საგანგებოდ შეისყიდეს. კატარის მომავალი დედოფალი სახელმწიფო მინისტრის, საგამომცემლო სახლის „ალ-ვატანის“ მეპატრონის ქალიშვილია. პატარძლის ბაბუა შეიხი სახიმ ალ ტანი გასული საუკუნის 80-იან წლებში საამიროს საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. ალ-ტანის საგვარეულო კატარს XIX ს-ის მეორე ნახევრიდან მართავს. კატარი – კატარის ნახევარკუნძულზე მდებარე პატარა საამიროა. მისი ფართობი 10000კვმ-ია. მოსახლეობის რაოდენობა 750000, რომლის 85% უცხოელები არიან. ქვეყნის მთავარი სიმდიდრე ბუნებრივი აირია. რუსეთისა და ირანის შემდეგ, გაზის მარაგის მიხედვით, კატარს მსოფლიოში მესამე ადგილი უკავია. კატარის ზღვის შელფის საბადო ნორდ ფილდი მსოფლიოში უდიდეს საბადოდ ითვლება. ■

ბულგარელმა „ლოთობის ხეჯოხდი“ დაამყარა

ბულგარეთის ქალაქ პლოვდივის მცხოვრებმა სისხლში ალკოჰოლის შემცველობის ახალი ევროპული „რეკორდი“ დაამყარა – იტყობინება სააგენტო „ტანიუგი“ სოფიიდან. აღსანიშნავია, რომ 5 პრომილეს კონცენტრაცია სიცოცხლისათვის საშიშად ითვლება. პლოვდიველ პეტროვს კი სისხლში ალკოჰოლის 9,14 პრომილეს კონცენტრაცია აღმოაჩნდა. ახალი „რეკორდი“ ბულგარელმა ექიმებმა სრულიად შემთხვევით დააფიქსირეს. პეტროვს ავტომობილი დაეჯახა და ის საავადმყოფოში აღმოჩნდა. ექიმებმა თვალებს არ დაუჯერეს, როდესაც ანალიზის შედეგები იხილეს და გამოკვლევა 5-ჯერ გაიმეორეს. ტოქსიკოლოგთა აზრით, „რეკორდსმენმა“ მინიმუმ 2 ლიტრი 40-გრადუსიანი ალკოჰოლური სასმელი მიიღო. მედიკოსებმა უდიდესი ძალისხმევის შედეგად უმძიმესი მდგომარეობიდან ავადმყოფის გამოყვანა შეძლეს. წინა „რეკორდი“ – 8 პრომილე 2003 წელს დაფიქსირდა, იგი ლატვიის მოქალაქეს ეკუთვნის. ■

ფოტოკუთხეები

2(88) 20.I.-2.II.2005

ოჯახის მეუღლეები

საშვილიშვილო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

რა ვუყოთ თავის ტკივილს

როგორ გამოვკვებოთ ალერგიული ბავშვი

ბრონქიტი

ქალური ინსტინქტი

აქვს თუ არა ადამიანს ზედმეტი ორგანოები

მთავარი თემა: პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები

კომპრესი

ლისტერიოზი

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის